

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ნინო პეპანაშვილი

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული
ზიანის ანაზღაურება

*წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

ხელმძღვანელები:

ზურაბ ჭეჭელაშვილი,

პროფესორი, სამართლის
დოქტორი

ნუნუ კვანტალიანი,

პროფესორი, სამართლის
დოქტორი

სტრუქტურა

შესავალი

- თავი I. სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ცნება
- თავი II. ჯანმრთელობის, პაციენტის და სამედიცინო დაწესებულების ცნება, უფლებები და მოვალეობები
- თავი III. სამედიცინო საქმიანობის (მომსახურების) ცნება. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება
- თავი IV. სამედიცინო მომსახურების გამწევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მიზეზობრივი კავშირის დადგენა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს შორის
- თავი V. პროფესიული შეცდომის და მცდარი სამედიცინო ქმედების ცნებები. სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია
- თავი VI. სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალი

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

სარჩევი

აბრევიატურები	7
შესავალი	9
1. თემის აქტუალობა	9
2. ნაშრომის მიზანი	17
3. კვლევის მეთოდები	17
4. ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა	17
თავი I. სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ცნება	18
1. ზიანის ცნება. ზიანის სახეები	21
2. ზიანის და ზარალის ცნებათა მიმართება	28
3. პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი	29
4. სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას მიყენებული ზიანი	37
5. ქონებრივი ზიანი	39
6. არაქონებრივი ზიანი	40
7. ზიანის ანაზღაურება და ზარალბულის (პაციენტის) გარდაცვალებისას	43
8. ახლო ნათესავის (ახლობლის) სიკვდილით გამოწვეული შოკით მიყენებული დელიქტური ზიანის ანაზღაურება	48
9. მორალური ზიანის ანაზღაურების უნივერსალური პრინციპის სახით დაწესების მიზანშეწონილობა	49
10. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	54
10.1. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა	56
10.2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან წინასწარ გათავისუფლება	63
11. დაზარალბულის ბრალის მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას	65
12. დაზარალბულის თანხმობის მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას	68
13. დელიქტში თანამონაწილეები და ჩართული პირები. სოლიდარული პასუხისმგებლობა	74
14. რეგრესის უფლება	75
15. დელიქტური ზიანის დაზღვევა	76
15.1. პასუხისმგებლობის დაზღვევა	77
15.2. პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	80
მოკლე დასკვნა	81

თავი II. ჯანმრთელობის, პაციენტის და სამედიცინო დაწესებულების ცნება, უფლებები და მოვალეობები	81
1. ჯანმრთელობის ცნება	86
2. პაციენტის ცნება	89
3. პაციენტის უფლებები	90
3.1. დისკრიმინაციის აკრძალვა	91
3.2. ინფორმირებული თანხმობა. პაციენტის უარი სამედიცინო ჩარევაზე	93
3.3. ქალთა რეპროდუქციული უფლებები	95
3.4. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული თვითგამოხატვა	101
3.5. სისხლის დონაციის აკრძალვა სექსუალური ქცევის ნიშნით	102
3.6. პაციენტის უფლება ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე	106
4. სამედიცინო დაწესებულების ცნება და ფუნქციები	110
5. სახელმწიფო კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	116
6. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოება. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის კონტროლი	124
მოკლე დასკვნა	124
თავი III. სამედიცინო საქმიანობის (მომსახურების) ცნება. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება	126
1. სამედიცინო საქმიანობის (მომსახურების) ცნება	126
2. მომსახურების ხელშეკრულება	128
3. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება	129
4. ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) მოთხოვნებს შორის	131
5. განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების და ინფორმირებული თანხმობის ცნებათა მიმართება	133
6. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები და სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება	136
მოკლე დასკვნა	141
	144

თავი IV. სამედიცინო მომსახურების გამწევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მიზეზობრივი კავშირის დადგენა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს შორის

1. მართლწინააღმდეგობა	145
2. მიზეზობრივი კავშირი	158
2.1. მიზეზობრივი კავშირის შესახებ ადრეული კვლევები	158
2.2. მიზეზობრივი კავშირის თეორიები	
2.2. მიზეზობრივი კავშირი თანამედროვე ნაშრომებში	163
მოკლე დასკვნა	167

თავი V. პროფესიული შეცდომის და მცდარი სამედიცინო ქმედების ცნებები. სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალეულობის პრეზუმფცია

1. პროფესიული შეცდომა	170
2. მცდარი სამედიცინო ქმედება	171
3. შემთხვევის და რისკის ცნებები	177
4. შეცდომის სისხლისსამართლებრივი ცნება	181
5. ბრალეულობის პრეზუმფცია. მკურნალობის უარყოფითი შედეგი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი	183
6. დოქტრინა <i>Res Ipsa Loquitur</i> . გაუფრთხილებლობის ცნება	189
მოკლე დასკვნა	193

თავი VI. სამედიცინო მომსახურების გამწევის ბრალი

1. ზიანის მიყენების ანუ ობიექტური თეორია (ზიანის მიყენების პრინციპი)	200
2. ბრალის თეორია ანუ სუბიექტური თეორია (ბრალის პრინციპი)	207
3. ბრალის ცნება	210
4. განზრახვა და გაუფრთხილებლობა	213
5. <i>Recklessness</i> -ის და უხეში გაუფრთხილებლობის ცნებათა მიმართება	226
6. იურიდიული პირის ბრალი	231

მოკლე დასკვნა

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

აბრევიატურები

სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
სსმ	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
სპუ	საქართველოს პარლამენტის უწყებები
ქეგლ	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ლათ.	ლათინური
ბერძ.	ბერძნული
იტ.	იტალიური
გერმ.	გერმანული
ფრან.	ფრანგული
ინგ.	ინგლისური
იხ.	იხილეთ
ჟურნ.	ჟურნალი
გაზ.	გაზეთი
მაგ.	მაგალითად
ტ.	ტომი
დასახ.	დასახელებული
აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
თსსუ	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სს	სააქციო საზოგადოება
შეად.	შეადარეთ
თბ.	თბილისი
ADR	Alternative Dispute Resolution
AAOS	American Academy of Orthopaedic Surgeons
Art.	Article
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტილებები
BJA	The British Journal of Anaesthesia
Ca.	Circa
CACI	California Civil Jury Instructions
FGM	Female Genital Mutilation
SCC	Supreme Court of Canada
CEACCP	Continuing Education in Anaesthesia, Critical Care & Pain
CPT	European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment

CT	Computed Tomography
ECTIL	European Centre of Tort and Insurance Law
EC	European Community
EEC	European Economic Community
EJCL	Electronic Journal of Comparative Law
HSPM	Health Systems and Policy Monitor
IVF	In Vitro Fertilization
LLP	Limited Liability Partnership
MMEIG	Maternal Mortality Estimation Inter-Agency Group
NJW	Neue Juristische Wochenschrift სამართლებრივი ჟურნალი „ახალი იურიდიული საკვირო გაზეთი“
NJW-RR	NJW-Rechtsprechungs-Report
HIV/AIDS	Human Immunodeficiency Virus Infection and Acquired Immune Deficiency Syndrome
OECD	Organisation for Economic Co-operation and Development
OHCHR	Office of the High Commissioner for Human Rights
OLG	Oberlandesgericht უმაღლესი სამხარეო სასამართლო
La. R.S.	Louisiana Revised Statutes
UNAIDS	Joint United Nations Programme on HIV/AIDS
UNCRPD	United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities
UNDP	United Nations Development Programme
UNECA	United Nations Economic Commission for Africa
UNESCO	United Nations Educational, Scientific and Cultural Organization
UNFPA	United Nations Population Fund
UNHCR	United Nations High Commissioner for Refugees
UNICEF	United Nations Children's Fund
UNIFEM	United Nations Development Fund for Women
V.	Versus
Vol.	Volume
WHO	World Health Organization
WMA	World Medical Assembly
YEL	Yearbook of European Law
Ред.	Редактор
Т.	Том
М.	Москва
Собр.	Собрание
Ч.	Часть

შესავალი

1. შესასწავლი საკითხის აქტუალობა

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოში გაჩნდა კომპლექსური რეფორმების აუცილებლობა, რომელთა წარმატებაც პირველ რიგში, კანონმდებლობის ეფექტურ რეფორმაზე იყო დამოკიდებული. 1997 წელს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,¹ 1923 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის² მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსს დაეფუძნა. ამ უკანასკნელთან ცალკეული ნორმების შინაარსობრივი თანხვედრის მიუხედავად, საქართველოში გერმანიისგან განსხვავებით, „უფრო სხვაგვარი სამართლებრივი ტერმინოლოგია და ცნებათა ახლებური გაგება“³ ჩამოყალიბდა. სსკ-ის პროექტზე მუშაობის და მისი ამოქმედების შემდგომ პერიოდში, საქართველოში არ განხორციელებულა იურიდიული მეთოდის სათანადო დონეზე მიწოდება და სწავლება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო ახალი, უმთავრესად კონტინენტურ-ევროპულ მოდელზე ორიენტირებული კანონების გაგება-გააზრებისთვის.⁴ ამრიგად, ქართულმა სახელმწიფომ ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღო, მაგრამ მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის იყო ხელმისაწვდომი გერმანელი მეცნიერების თანამედროვე ნაშრომები, სასამართლო გადაწყვეტილებების ვრცელი კომენტარები, რომელიც ათწლეულების მანძილზე ავითარებდა გერმანულ სამართალს, ხელს უწყობდა კანონთა განმარტების მეთოდების, მათი განვრცობის და განვითარების, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.⁵

სსკ-ის 1007-ე მუხლს (რომლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის) ანალოგი არ მოეპოვება გსკ-ში. სსკ-ის შემდეგ, მოკლე დროში მიღებულ იქნა 1997 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ,⁶ რომლითაც განისაზღვრა, რომ *მცდარი სამედიცინო ქმედება* გულისხმობს ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. მოგვიანებით, 2000 წლის 5 მაისის საქართველოს კანონში პაციენტის უფლებების შესახებ, კანონმდებელმა მიუთითა, რომ პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც

¹პარლამენტის უწყებანი, №31, 24.07.1997.

² 1923 წლის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

³ *ბერნარდ შლოერის და ცენო რაიპენბეკერის* წინასიტყვაობა ნაშრომისთვის: *ციპელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009, XI.

⁴იქვე.

⁵იხ. *ციპელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009, IX.

⁶პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997.

გამოწვეულია მცდარი სამედიცინო ქმედებით.⁷ იმის გათვალისწინებით, რომ სსკ არ განსაზღვრავს ბრალის, განზრახვის და გაუფრთხილებლობის ცნებებს, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში მოცემული ლექსიკური ერთეული „უნებლიედ“ აგრეთვე ქმნის გაურკვევლობას, წინამდებარე ნაშრომში განხორციელდა პრობლემის კვლევა და შემოთავაზებულ იქნა მისი გადაჭრის გზა.

ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში ვხვდებით მითითებას, რომ „ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა.“⁸ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მედიცინაში ხმარებული ტერმინი „საექიმო შეცდომა“ იურიდიული ცნება არ არის, სისხლის სამართლის კოდექსსა და კომენტარებში მსგავსი ტერმინი არ მოიძებნება. საექიმო შეცდომა ექიმის უნებლიე შეცდომაა, რომელიც გამოწვეულია არა სპეციალისტის გულგრილი, ზერელე ან დაუდევარი მოქმედებით, არამედ მედიცინის თანამედროვე განვითარების საფეხურზე გამოკვლევების მეთოდების არასრულყოფით“⁹ (ამავე ნაშრომში პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მცდარი სამედიცინო ქმედება განხილულია, როგორც „ბრალის გარეშე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“¹⁰).

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც სასამართლო მიუთითებს, რომ „საქართველოს კანონმდებლობაში საექიმო შეცდომების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები იხმარება.“¹¹ ამავე გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ტერმინი „მცდარი საექიმო ქმედება“ შემდეგი სახით არის განმარტებული კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით: მცდარი სამედიცინო ქმედება – ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო დიაგნოზი ან/და სამკურნალო ღონისძიების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.“¹²

ნიშანდობლივად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მხრიდან ვხვდებით მტკიცებას, თითქოსდა „საექიმო შეცდომა სისხლის სამართლის დანაშაული არ გახლავთ“;¹³ „საექიმო შეცდომისთვის ექიმს არ ეკისრება სისხლის სამართლის ან დისციპლინური პასუხისმგებლობა.“¹⁴ ამავდროულად, სისხლის სამარ-

⁷ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 „ა.ბ“ მუხლი.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15].

⁹ კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 114.

¹⁰ იქვე, 199.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15].

¹² იქვე.

¹³ მისისიპის უნივერსიტეტის კლინიკური პროფესორის სტატია: გურული ზ., ლინჩობიდან ლენჩობამდე, გაზ. „24 საათი“, 2 მაისი, 2014, <<http://goo.gl/Ew28Hl>>, [21.08.15].

¹⁴ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების სტატია: შავია მ., დვამიჩაია რ., ბაქრაძე ი., ეთიკა ონკოლოგიაში, ჟურნ. „თანამედროვე მედიცინა“, №16, 2010, მაისი-ივნისი, <<http://goo.gl/12QbKe>>, [15.02.14]. სტატიაში ციტირებულია ექიმ პიროგოვის (Николай Иванович Пирогов (1810 – 1881); რუსი ქირურგი, პროფესორი) მოსაზრება („წესად ვაქციე, კათედრაზე ჩემი პირველი ასვლისას არაფერი დაეუძალო ჩემს მოწაფეებს; ვაღიარო ჩემ მიერ დაშვებული შეცდომა, იქნება

თლის მეცნიერთა განმარტებით, „სამედიცინო შეცდომისათვის ექიმი როგორც წესი, სს წესით პასუხს არ აგებს.“¹⁵ ამრიგად, საჭიროა, პირველ რიგში, თავად სამართლის მეცნიერებმა შეიმუშაონ ერთიანი მიდგომა ფუნდამენტური მნიშვნელობის ცნებებთან დაკავშირებით, როგორც არის ბრალი, განზრახვა, უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობა, დაუდევრობა, გულგრილობა, შეცდომა (მისატყვეველი და მიუტყვეველი), უნებლიედ მიყენებული ზიანი და ა.შ., რის შემდეგაც დამკვიდრდება ერთიანი მიდგომა შეცდომისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მითითებას, რომ „სწორედ ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას“;¹⁶ „ბრალის ფორმებიდან სისხლის სამართალში უპირატესი ადგილი განზრახვას უჭირავს... გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში.“¹⁷ აქ გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერთა მითითებით, „პრინციპულად სადავოა თვით ბრალის ცნება, მისი შინაარსის პრობლემა. ბუნებრივია, სადავო ხდება ბრალის ფორმის პრობლემაც; მეორეც, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიჩნეული.“¹⁸ ბოლო პერიოდში შესრულებულ კერძო სამართლებრივ სამეცნიერო კვლევებში განზრახვა და გაუფრთხილებლობა კვლავ მოიხსენიება ბრალის ფორმებად¹⁹ (ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია, რომ „უხეში გაუფრთხილებლობა“ და „მარტივი გაუფრთხილებლობა“ წარმოადგენენ გაუფრთხილებლობის ფორმებს²⁰) და ერთი შეხედვით, თითქოს ყურადღების მიღმა რჩება სისხლის სამართლის მეცნიერთა მითითება, რომლის თანახმად, „ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შემდეგ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აღარ წარმოგვიდგება ბრალის ფორმებად, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული.“²¹

კვლევის ფარგლებში დელიქტური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების (მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო

ეს დიაგნოზის დასმის თუ დაავადების მკურნალობისას“), რომელსაც სტატიების ავტორებისგან ერთვის კომენტარი: „მაგრამ უნდა ვაღიაროთ შეცდომები კოლეგებთან“ და არა ავადმყოფებთან და ნათესავებთან, მით უმეტეს, იურისტებთან. არ შეიძლება მედიცინის კორპორაციულობის დაუსრულებლად ნგრევა.“

¹⁵ *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 89.

¹⁶ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 386.

¹⁷ *ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 383-384.

¹⁸ *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 26, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15].

¹⁹ მაგ., იხ. *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 130.

²⁰ იხ. *ჩიტაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 150, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15];

²¹ *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 88.

გადაწყვეტილებების) და ცალკეული ნაშრომების გაანალიზებისას იკვეთება როგორც სამართლებრივ ცნებათა აღრევის, ისე სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული, ნორმის განმარტების იურიდიული მეთოდის უგულებელყოფის ტენდენცია, რაც საბოლოო ჯამში, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას აბრკოლებს (წინამდებარე კვლევაში მოცემულია ამ ტენდენციის ამსახველი არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება).

უნდა აღინიშნოს, რომ არც 1923 წლის და არც 1964 წლის²² სამოქალაქო სამართლის კოდექსი შეიცავდა სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სპეციალურ ნორმას და შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებით იყოს განპირობებული შესაბამისი მიმართულებით წარმოებული კვლევების სიმცირე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გარკვეულ ეტაპზე დამკვიდრებული იყო პრაქტიკა, რაც გულისხმობდა სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების გათავისუფლებას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ამავე დაწესებულებაში დასაქმებული ექიმის მიერ პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის საქმეებზე.²³ რაც შეეხება საკითხისადმი თანამედროვე მიდგომას, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 1007-ე მუხლის განმარტებისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში²⁴ და ზოგიერთ ნაშრომშიც²⁵ ვხვდებით კერძო სამართლის ფარგლებში ექიმის ბრალეულობის პრეზუმფციის უარყოფას.

წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში განხორციელდა სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის დეტალური ანალიზი, გამოიკვეთა სხვა ნორმატიულ აქტებში მოცემული დეფინიციების, ცნებების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას და ახალი რეგულაციების შემუშავებისას მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ აუცილებელია დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების პროგნოზირება, სამედიცინო დარგის სპეციალისტების აზრის გათვალისწინება. კანონმდებელმა ხელი უნდა შეუწყოს და არ შეაფერხოს სამედიცინო ბიზნესის და მასთან ერთად, მედიცინის,

²² საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., №36, მუხ. 662).

²³ იხ. უურნ. <<Советская Юстиция>>, №9, 1937, 52 (იხ. წინამდებარე ნაშრომის V თავის მე-5 პარაგრაფი („ბრალეულობის პრეზუმფცია. მკურნალობის უარყოფითი შედეგი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი“), 708-ე სქოლიო).

²⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15]; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-260-244-11), <<http://goo.gl/Hk7MUs>>, [28.08.15]; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15].

²⁵ იხ. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, 361; გელაშვილი ი., ჩანახახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 131; კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიაშვილი ნ., გვენტაძე ნ., აზაურაშვილი გ., წიგნი პაციენტებისთვის: ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), თბ., 2011, 118.

როგორც მეცნიერების განვითარება.²⁶ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს მედიცინასთან, როგორც მეცნიერებასთან (რომელიც ძვირადღირებულ კვლევებს აწარმოებს და პროგრესს ამ გზით აღწევს), ხოლო მეორე მხრივ, სამედიცინო ბიზნესთან, რომელმაც უნდა გაეყიდოს სამეცნიერო ლაბორატორიებში ჩატარებული ძვირადღირებული კვლევების შედეგი (მაგ., სამკურნალო საშუალება, სამედიცინო მოწყობილობა და ა.შ.).²⁷ ამ პროცესის ხისტი საკანონმდებლო რეგულაციებით შეფერხება დაუშვებელია. პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს, მაგ., დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის წარუმატებელი პრეზენტაცია საქართველოში, რომელმაც შესაბამისი დარგის სპეციალისტების მწვავე კრიტიკა გამოიწვია.²⁸

კვლევის აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც სამედიცინო მომსახურების ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში, სამედიცინო დაწესებულებების წინააღმდეგ სარჩელთა რაოდენობა იზრდება,²⁹ საქართველოში კი ამ საკითხზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა

²⁶მაგ., გასული საუკუნის 80-იან წლებში აშშ დაწინაურდა ბიოსამედიცინო ინოვაციების სფეროში, რაც შემთხვევითი არ ყოფილა და განპირობებულ იქნა ფედერალური მთავრობის მტკიცე კურსით; ფასების კონტროლის არარსებობა, მკაფიო რეგულაციები, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გამართულობა და ცნობილ კვლევით ინსტიტუტებში უცხოელ მკვლევართა მოზიდვა იყო ის ფაქტორები, რამაც შესაბამის სფეროში აშშ-ს წარმატება უზრუნველყო. აშშ-მა მართლაც მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ბიოსამედიცინო ინოვაციების განვითარების და მისი ბაზარზე დამკვიდრების კუთხით (იხ. *DeVol C.R., Bedroussian A., Yeo B., The Global Biomedical Industry: Preserving U.S. Leadership, September, 2011, <https://goo.gl/PEO3VE>, [17.07.15]*).

²⁷მაგ. ბიოსამედიცინო ინდუსტრიის შესახებ (რომელიც შედგება ფარმაცევტული, ბიოტექნოლოგიური, სამედიცინო მოწყობილობათა და დიაგნოსტიკის სექტორებისგან) იხ. *Löffler A., Stern S., The Future of the Biomedical Industry in the Era of Globalization, 2006, <http://goo.gl/z9kNC2>, [15.09.16]*; *Benavides D., Coles L., Dulaney G., Rath V., Yager C., The Evolving Role of Marketing in Biotechnology, 2005, <http://goo.gl/hlv4F1>, [15.09.16]*; *Mehta S., Commercializing Successful Biomedical Technologies (Basic Principles for the Development of Drugs, Diagnostics, and Devices), 2008, <http://goo.gl/EdOVtQ>, [17.08.15]*.

²⁸მაგ., იხ. *გვახარია მ.*, ღია წერილი სუროგაციის კანონზე მომუშავე კომისიას, ჟურნ. „ლიბერალი“, 5 დეკემბერი, 2014, <http://goo.gl/3oc3gb>, [06.07.15]; *გოგავა მ.*, ხელოვნურ ჩასახვაზე დაწესებულ აკრძალვებს სპეციალისტები აპროტესტებენ, „ნიუსჯი“, 13 ივნისი, 2012, <http://goo.gl/zVwGt6>, [10.08.15].

²⁹იხ. *Medical Malpractice Cases on the Rise in Germany, “Deutsche Welle”, 17.06.2013, <24.08.15>, [http://goo.gl/HZcDVz]*; *Donnelly L., NHS Negligence Claims Rise by 20 Per Cent in Just One Year, “The Telegraph”, 2 June, 2013, <http://goo.gl/k6w5z6>, [24.08.15]*; *Fleeter T.B., Worldwide Trends in Medical Liability, AAOS, <http://goo.gl/xn4iXm>, [24.08.15]*; *Dunning M., Medical Malpractice Rates Expected to Rise as Healthcare Providers Keep Consolidating, October 11, 2012, “Modern Healthcare”, <http://goo.gl/ias9rx>, [24.08.15]*; *Medical Malpractice Statistics, “Galfand Berger, LLP”, <http://goo.gl/J496cc>, [24.08.15]*; *Grossen J.M., Guillod O., Medical Malpractice Law: American Influence in Europe? “Boston College International and Comparative Law Review”, Vol. 6, Issue 1, 1983, <http://goo.gl/EVNo40>, [25.08.15]*. სარჩელთა მზარდი რაოდენობა შეინიშნებოდა გასული საუკუნის 60-იან წლებშიც. კერძოდ, სამასი ათასი ექიმიდან ყოველი მეექვსე მხილებულ იქნა ან მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა წარმოება სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებით; 1968 წელს ექიმების მიერ გადახდილმა სადაზღვევო პრემიებმა შეადგინა სამოცდათხუთმეტი მილიონი აშშ დოლარი (იხ. *Mcdaniel C.H., Malpractice Suits Increasing Cost of Medical Care in U.S., “The Nevada Daily Mail”, May 6, 1969, 7, <https://goo.gl/RxpCbo>, [19.08.15]*).

მცირეა.³⁰ ცალკეული კვლევები მოწმობს, რომ საქართველოში სამედიცინო რენტგენოლოგიური გამოკვლევისას რადიაციული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის მიმართულებით არასაკმარისი ღონისძიებები ტარდება,³¹ მაგრამ სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი დღის წესრიგში არ დგება, სავარაუდოდ, მაღალი ლატენცურობის (მაგ., ზიანი გამოწვეულია ჭარბი დასხივებით, რაც ძნელად დასადგენია პაციენტისთვის, რომელსაც სპეციალური ცოდნა არ აქვს; შესაბამისად, ის ვერ ახდენს ზიანის გამომწვევი წყაროს იდენტიფიცირებას) და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის სირთულის გამო.³² ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ „სასამართლო პრაქტიკის შესწავლით, მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენების შესახებ დავა არ წარმოებულა, თუმცა აღნიშნული მეტყველებს არა ამ გარემოების ბუნებაში არარსებობის, არამედ ამ საკითხის მიმართ საზოგადოების სათანადო სამართლებრივი მიდგომის არქონაზე... განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ზოგიერთი სამედიცინო მომსახურებისა და სამკურნალო საშუალებების მომეტებული საფრთხის წყაროსთვის მიკუთვნების საკითხის ღრმა გამოკვლევა და დადებით შემთხვევაში მისი საკანონმდებლო აქტებში ასახვა.“³³

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემა მოიცავს საკითხთა მეტად ფართო წრეს, რომელთა ნაწილი ქართული სამართლის მეცნიერების მიერ შესწავლილია. ცალკეული გამოცემებიდან უნდა აღინიშნოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში იურისტებისთვის შემუშავებული პრაქტიკული სახელმძღვანელო,³⁴ ჯანმრთელობის დაცვის სამართალში თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული

³⁰ სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეთა ოფიციალური სტატისტიკა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში ვერ იქნა მოპოვებული. ხელმისაწვდომია მაგ., შემდეგი შინაარსის მასალები: ზედოზირება და სიკვდილიანობა (იხ. *გოვსაძე მ.*, საბედისწერო განსაცდელი: ზედოზირება, 17 აპრილი, 2013, <<https://goo.gl/djV307>>, [25.08.15]); დედათა სიკვდილიანობის შემთხვევების აღრიცხვა (იხ. *შენგელია ლ., სოფრომაძე ზ.*, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ჟურნ. „ქართული პოლიტიკა (საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პოლიტიკა)“, №3, 2015, 31, <<http://goo.gl/IBMS7s>>, [25.08.15]).

³¹ (იხ. *ვერულავა თ., თორთლაძე ი.*, რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების სარისხის პრობლემები საქართველოში, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, №2, 2015, <<http://goo.gl/aYaCzV>>, [19.09.15]).

³² მაგ., საფრანგეთში, 2001-2006 წლებში ადგილი ჰქონდა პოსპიტლის ექიმების მიერ მტკიცებულებათა განადგურებას ისეთ საქმეებზე, როგორც არის ჭარბი დასხივებით (ზედოზირებით) გამოწვეული პაციენტის სიკვდილი და პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული უმძიმესი ზიანი (იხ. *Willsher K.*, French Doctors Stand Trial Over Cancer Radiation Scandal. “The Guardian”, 24 September, 2012, <<https://goo.gl/MYFXIm>>, [21.09.15]).

³³ *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 204.

³⁴ იხ. *ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ., მუშივილი ზ., მირზიაშვილი ნ.*, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბ., 2011.

საკითხების შესწავლას ემსახურება³⁵ და კვლევა საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიების შესახებ.³⁶

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომისთვის აქტუალურ საკითხთა წრეს, როგორც არის პაციენტის პირადი ცხოვრების დაცვა, კერძო ცხოვრების საიდუმლოება, სამედიცინო საიდუმლოება და პაციენტის პირადი უფლებები, რეპროდუქცია, როგორც პიროვნული უფლება, პრენატალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და ჩანასახი, როგორც ზიანის წყარო - ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაცული დისერტაციები.³⁷ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შესრულებული ქართულენოვანი თარგმანებიდან უნდა აღინიშნოს *თომსონის* და *ფინისის* ესსეები³⁸ და *კროპპოლერის* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი.³⁹

2. ნაშრომის მიზანი

ნაშრომი მიზნად ისახავს სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენას, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მიზნით შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების, სამეცნიერო ნაშრომების და სასამართლო პრაქტიკის კვლევას, მიღებული შედეგების გაანალიზებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიებას.

3. კვლევის მეთოდი

წინამდებარე კვლევა განხორციელდა დოგმატური და ნორმატიული, აგრეთვე, შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდით. ნაშრომში კვლევის მიზანი მიღწეულ იქნა შესაბამისი ნორმების, მათ შორის, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის ისტორიული, სისტემური, ლოგიკური და გრამატიკული განმარტების ხერხებით.

³⁵ იხ. *მაკარიძე დ., ხაზარაძე ვ.*, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა; ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 2014, <<http://goo.gl/gpjLUb>>, [17.12.15].

³⁶ იხ. *ახვლედიანი მ.*, ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2011.

³⁷ იხ. *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012; *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012.

³⁸ იხ. *თომსონი ჯ.ჯ.*, აბორტის მხარდაჭერა; *ფინისი ჯ.*, აბორტის დადებითი და უარყოფითი მხარეები: პასუხი ჯუდიით თომსონს. გამოცემაში: სამართლის ფილოსოფია (რედ., *დვორკინი რ.მ.*), თბ., 2010.

³⁹ იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014.

4. ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს შესავალს, ძირითად ტექსტს და დასკვნას. ნაშრომი ექვსი თავისგან შედგება, რომელთაგან თითოეულს ახლავს მოკლე დასკვნა. კვლევას ერთვის ბიბლიოგრაფია და შედგება დაახლოებით ორას ორმოცი გვერდისგან.

თავი I. სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ცნება

გენერალური დელიქტის ცნება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში 1804 წელს დამკვიდრდა, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიღებასთან ერთად, რომლის 1382-ე მუხლის თანახმად, ადამიანის ნებისმიერი ქმედება, რომელმაც სხვას ზიანი მიაყენა, ავალდებულებს მას, ვისი ბრალითაც ეს შედეგი დადგა, ანაზღაუროს დამდგარი ზიანი.⁴⁰ აღნიშნული მუხლისგან განსხვავებით (რომელშიც მოცემულია დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი წესი), გსკ-ის 823-ე I მუხლში კანონმდებელმა ცალ-ცალკე ჩამოთვალა კანონით დაცული უფლებები და სხვა სამართლებრივი სიკეთეები. კერძოდ, სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრების უფლება ან სხვა უფლება (ე.წ. ჩარჩო უფლებები, საწარმოო და პირადი უფლებების მომწესრიგებელი ნორმები).⁴¹

სსკ-ის 992-ე მუხლში მოცემულია ზიანის მიყენების შედეგად დელიქტური ვალდებულების წარმოქმნის ზოგადი წესი. კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია თუ არსებობს პასუხისმგებლობის პირობები. კერძოდ, სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი.⁴² ამ პირობათა ერთობლიობა ქმნის გენერალურ დელიქტს, თუმცა, რიგ შემთხვევებში შეიძლება საქმე გვქონდეს ე.წ. შეკვეცილ დელიქტთან (თუ კანონში არსებული პირდაპირი მითითების ძალით დელიქტური პასუხისმგებლობა შეიძლება იმ ელემენტის არარსებობის შემთხვევაში დადგეს, რომელიც გენერალური დელიქტის შემადგენლობაში შედის, მაშინ საქმე გვაქვს შეკვეცილ (შეზღუდულ) შემადგენლობასთან.⁴³

სხვადასხვა ნაშრომებში მოიხსენიებენ დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭირო ოთხ პირობას;⁴⁴ ზოგიერთ შემთხვევაში საუბარია „ტრადიციულ სამდონიან დელიქტზე“: ქმედება (შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ქმედება, შედეგი, კაუზალური კავშირი ქმედებას და შედეგს შორის), ამ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და ბრალი.⁴⁵ ფრანგული დელიქტური სამართლის შემთხვევაშიც

⁴⁰იხ. French Civil Code (Translated by *Rouhette G.*), <<http://goo.gl/TT0KWX>>, [27.08.15].

⁴¹იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 630.

⁴²იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 381.

⁴³იხ. *Гражданское Право*, Т. II, Полутом 2 (Ред. *Суханов Е.А.*), М., 2000, <<http://goo.gl/GBtSdv>>, [15.02.15].

⁴⁴*ძლიერი შვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ქურნ. „ადვოკატი“*, №2, 2013, 30; *ღუთორინგპაუხი პ.*, დელიქტური სამართლის პრობლემატიკა, გამოცემაში: *შნიტგერი პ.*, საკრედიტო სამართალი, *ღუთორინგპაუხი პ.*, დელიქტური სამართალი, *შუშკე ვ.*, საადსრულებო სამართალი, *ტოლკოტი ი.*, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბ., 2011, 19, <<http://goo.gl/P6c4wp>>, [15.02.15].

⁴⁵იხ. *Lahe J.*, The Concept of General Duties of Care in the Law of Delict, “*Juridica International*”, IX, 2004, 108, <<http://goo.gl/GzKIb5>>, [01.06.16].

საუბარია „სამ ელემენტზე: ზიანი, კაუზალობა, პასუხისმგებლობა (ბრალი).“⁴⁶ ავტორთა ერთი ჯგუფის მითითებით კი თუ გავანალიზებთ საქართველოს და ჰოლანდიის „სამოქალაქო სამართალში“ არსებულ ზოგად წესს და ცოტა მეტად ჩავუღრმავდებით კოდექსის სხვა წესებს, აღმოჩნდება, რომ, როგორც საქართველოში, ისე ნიდერლანდებში, დაზარალებულმა პიროვნებამ – მოსარჩელემ – სასამართლოს წინაშე უნდა დაადასტუროს ხუთი პირობის არსებობა. უპირველეს ყოვლისა, სამართალდამრღვევის ქმედება უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, მეორე – კანონდამრღვევის ქმედება გაუფრთხილებლობით მაინც უნდა იყოს ჩადენილი, მესამე – ქმედება სამართალდამრღვევს უნდა მიეწერებოდეს, მეოთხე – მოპასუხემ უნდა განიცადოს ზიანი და მეხუთე – ზიანი სამართალდამრღვევის ქმედებით უნდა იყოს განპირობებული.“⁴⁷ აქ სავარაუდოდ საქმე უნდა გვექონდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომასთან (ზიანს განიცდის არა მოპასუხე, არამედ დაზარალებული, მოსარჩელე).

ერთ-ერთ ნაშრომში მითითებულია, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია „ოთხი საფუძვლის“ (ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი, ბრალი) ერთდროული არსებობა.⁴⁸ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ „საბჭოთა სამოქალაქო სამართალი აღნიშნულ პირობებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს უწოდებდა. დღეს ასეთ საფუძვლად სამოქალაქო უფლების დარღვევა მიიჩნევა.“⁴⁹

უნდა ითქვას, რომ არა მარტო საბჭოთა ცივილისტები, არამედ თანამედროვე ავტორებიც⁵⁰ იზიარებენ მოსაზრებას, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობა.⁵¹ აღნიშნულისგან განსხვავებით,

⁴⁶Huet J., Responsabilité Contractuelle et Responsabilité Délictuelle, Essai de Délimitation Entre les Deux Ordres de Responsabilité – Thèse Dacty PARIS II 1978. მითითებულია: Sage Y., French Law of Delict: the Role of Fault and the Principles Governing Losses and Remedies, “VUW Law Review”, 26, 1996, 294, <<http://goo.gl/08EyhF>>, [01.06.16].

⁴⁷თოდუა მ., ვილემსი პ., ვაღლებულებითი სამართალი, თბ., 2006, 98. ასევე, იხ. Dutch Civil Code, Article 6:162 Definition of a “Tortious Act”, <<http://goo.gl/dvbe1L>>, [07.06.16].

⁴⁸ იხ. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 54.

⁴⁹ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 81, 25-ე სქოლიო, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15]. სამოქალაქო უფლების შესახებ კვლევა იხ. გამოცემაში: პეპანაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი პირველი), თბ., 2015, 21-80.

⁵⁰მაგ., იხ. Гражданское Право: Учебник., Т. 1 (Ред. Суханов Е.А.), М., 1993, 175; Гражданское Право: Учебник, Ч. 1, (Ред. Толстой Ю.К., Сергеева А.П.), М., 1996, 490. მითითებულია: Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга Первая (Общие Положения), 2000, 391, <<http://goo.gl/2bdoYg>>, [21.03.14].

⁵¹ იხ. Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга Первая (Общие Положения), 2000, 390, <<http://goo.gl/2bdoYg>>, [21.03.14]. მოძღვრება სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის შესახებ განავითარა მატვეევმა (იხ. Матвеев Г. К., Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955), რომელმაც „მის მიერ კონსტრუირებულ შემადგენლობაში“ ოთხი ტრადიციული ელემენტი ჩართო: მართლსაწინააღმდეგო ქმედება (უმოქმედობა), მისი საზიანო შედეგები, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი“ (Братушь С.Н., Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, 164 <<http://goo.gl/WzOZ12>> [11.04.15]). ამასთან, მივიდა დასკვნამდე, რომ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება

ავტორთა ერთი ჯგუფის მტკიცებით, „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის (ერთადერთი და საერთო) საფუძველია როგორც ქონებრივ, ასევე პირად არაქონებრივ სამოქალაქო უფლებათა დარღვევა“⁵² (რამდენადაც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ერთი მონაწილის პასუხისმგებლობას მეორის მიმართ, დამრღვევის პასუხისმგებლობას დაზარალებულის წინაშე და მისი მიზანია დარღვეული უფლების აღდგენა); სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილე სუბიექტის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში „დარღვეული უფლება უნდა აღდგეს, მათ შორის, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.“⁵³ შესაბამისად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია სამოქალაქო უფლების დარღვევის ფაქტი. სამოქალაქო უფლებათა ცალკეული სახეების, აგრეთვე, იმ სუბიექტთა შესაბამისად, რომელთაც ამგვარი დარღვევა განახორციელეს, კანონმდებელმა ჩამოაყალიბა სავალდებულო საერთო მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობებს. „მათ რიცხვს მიეკუთვნება: სამოქალაქო უფლების დარღვევის მართლწინააღმდეგობა; ზარალის (ზიანის) არსებობა; მიზეზობრივი კავშირი სამოქალაქო უფლების დარღვევას და ზარალს (ზიანს) შორის, დამრღვევის ბრალი.“⁵⁴

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია პასუხისმგებლობა ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენებისთვის. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 103-ე მუხლით დადგენილია, რომ ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისთვის ან სიკვდილისთვის, ან პაციენტისთვის მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით; სსკ-ით რეგულირდება ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული საკითხები (408–415-ე მუხლები), მაგრამ სსკ არ განმარტავს ქონებრივი (მატერიალური) ან არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნებებს.

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირთა წრე განისაზღვრება იმ პირით, რომელსაც ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიადგა ზიანი (სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლი). ამასთან, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც ზიანის მიყენების მომენტში ჩასახული იყო ან პირი, რომელიც ზიანის მიყენების მომენტში

შესაძლებელია მხოლოდ ხსენებული ოთხი ელემენტის ერთდროული არსებობის შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აღიარებდა პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას „შეზღუდული შემაღვენლობის“ შემთხვევაშიც (იხ. *Братусь С.Н.*, Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, 164 <<http://goo.gl/WzOZ12>> [11.04.15]).

⁵²Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга Первая (Общие Положения), 2000, 392, <<http://goo.gl/2bdoYg>>, [21.03.14].

⁵³იქვე.

⁵⁴იქვე.

ჩასახულიც კი არ იყო (მაგ., ჩაისახა დეფექტის მქონე ნაყოფი, რადგან დედა ბავშვის ჩასახვამდე ინფიცირებული იყო).⁵⁵ წინამდებარე ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირთა წრე დაზარალებულის (პაციენტის) გარდაცვალების შემთხვევაში და განხილულ იქნეს ახლო ნათესავის (ახლობლის) სიკვდილით გამოწვეული შოკით მიყენებული დელიქტური ზიანის ანაზღაურების საკითხი (იხ. ნაშრომის I თავის მე-7 და მე-8 პარაგრაფები).

1. ზიანის ცნება. ზიანის სახეები

ავტორთა ერთი ჯგუფი უთითებს იმ ფაქტზე, რომ რომაულ სამართალს არ შეუძლია ეწინააღმდეგება ერთიანი პრინციპი, რომლის საფუძველზეც ზიანის მიყენებელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაკისრებოდა; ამ ერთიანი პრინციპის დამკვიდრებაში განსაკუთრებული წვლილი *გროციუსს*,⁵⁶ *დომას*⁵⁷ და მოგვიანებით, *პოტიეს*⁵⁸ მიუძღვის.⁵⁹ ერთ-ერთ ნაშრომში⁶⁰ *გროციუსი* განმარტავს: „...დარღვევას ვუწოდებთ ნებისმიერ ბრალს, რომელიც მდგომარეობს როგორც მოქმედებაში, ისე მოქმედებისგან თავის შეკავებაში... ამგვარი ბრალის ძალით წარმოიქმნება ბუნებრივი ვალდებულება ზიანის არსებობისას, კერძოდ, მისი ანაზღაურების ვალდებულება.“⁶¹ სამოქალაქო კანონების შესახებ ნაშრომში,⁶² რომელმაც გავლენა მოახდინა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შინაარსზე, *დომა* „უკვე იყენებს ბრალის (faute) ცნებას და აყალიბებს ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ განზრახვის არსებობისას, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოპასუხეს საყვედურობენ სათანადო წინდახედულობის არარსებობას.“⁶³ *პოტიე* ზიანის ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ქმედებებს დელიქტურ და კვაზიდელიქტურ ქმედებებად ყოფდა. დელიქტურ ქმედებას წარმოადგენდა მოტყუების მიზნით ან ბოროტი განზრახვით ჩადენილი ქმედება, ხოლო კვაზიდელიქტურს - „მოქმედებები, რომლის მეშვეობით ზიანი დგება

⁵⁵ იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 627.

⁵⁶ Hugo Grotius (1583 – 1645).

⁵⁷ Jean Domat (1625 – 1696). *დომას* შესახებ იხ. *Coquille D.R.*, Comparative Studies in Continental and Anglo-American Legal History: Civilian Writers of Doctors' Commons, London: Three Centuries of Juristic Innovation in Comparative, Commercial and International Law, band III, Berlin, 1988, 203, 243-ე სქოლიო, <<https://goo.gl/gXly7n>>, [11.08.15].

⁵⁸ Robert Joseph Pothier (1699 – 1772).

⁵⁹ იხ. *ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 288, 307-308.

⁶⁰ იხ. *კელსის (Francis W. Kelsey)* ინგლისურენოვანი თარგმანი: *Grotius H.*, On the Law of War and Peace: Three books, <<http://goo.gl/GOHKYK>>, [11.07.15].

⁶¹ *ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 307.

⁶² იხ. *Domat J.*, Les Loix Civiles Dans Leur Ordre Naturel, 1689.

⁶³ *ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 307.

ბოროტი განზრახვის გარეშე, მაგრამ მიუტყვებელი გაუფრთხილებლობის შედეგად.“⁶⁴

1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების პერიოდში, სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ზოგადი განმარტებით, „ზიანი ეწოდება ამა თუ იმ პირადი თუ ქონებრივი დოვლათის ყოველ შემცირებას.“⁶⁵

ზიანი შეიძლება მიაღგეს პიროვნებას ან ქონებას. ⁶⁶ ამასთან, „პირადი ზიანის მიყენება შეიძლება ამავე დროს ქონებრივი ზიანის მიყენებაც იყოს.“ ⁶⁷ სხვისი ქონებისთვის მიყენებულ ზიანს შეიძლება მიეკუთვნოს „შედგები ცილისწამების, მუქარისა, შიშისა და ა.შ. მაგალითად... ძლიერი შიშის გავლენით ადამიანს მოუვიდა მძიმე ნერვული შერყევა; მუქარის შედეგად დაზარალებულმა ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა.“ ⁶⁸ ფიზიკურ დაზიანებას შეიძლება მოჰყვეს როგორც მკურნალობის ხარჯი (რაც გამოიწვევს ქონების შემცირებას), ისე შრომის ანაზღაურების დაკარგვა (ქონების მიუღებლობა). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, „სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს.“⁶⁹

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობის მიერ გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, „ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.“ ⁷⁰ ამასთან, „ზიანის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას... ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული უნდა იყოს“⁷¹ და „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანი. ასეთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი.“⁷²

ზოგიერთ ნაშრომში ვხვდებით მოსაზრებას, რომ თითქოსდა „არასახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილ ზიანს დელიქტი ეწოდება,“ ⁷³ მაშინ როდესაც, დელიქტი არის არა ზიანი (არასახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი ზიანი), არამედ სამართალდარღვევა, ხოლო „ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს.“⁷⁴

⁶⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 307.

⁶⁵ მაგ., გაუარესდა პირის ჯანმრთელობა, ცილი დასწამეს მას და ა.შ. (ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 422).

⁶⁶ იხ. Матвеев Г. К., Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 37.

⁶⁷ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 367.

⁶⁸ იაიჩკოვი კ.კ., ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი, თბ., 1947, 8.

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1156-1176-2011), <<http://goo.gl/t8OLWx>>, [01.01.16].

⁷⁰ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 378; ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 16.

⁷¹ თოდუა მ., ვიდეშვილი პ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 41.

⁷² ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 366.

⁷³ ტაკაშვილი ს., დელიქტური ვალდებულებების საკანონმდებლო მოწესრიგება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში, 2014, <<http://goo.gl/Sdz2mY>>, [28.01.16].

⁷⁴ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 366.

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს სახელშეკრულებო (ე.ი. ზიანი დგება მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად; „სახელშეკრულებო ზიანის შესაძლო სიდიდე სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებშია“⁷⁵) ან არასახელშეკრულებო ხასიათის (ე.ი. „მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში“⁷⁶) თუ სახელშეკრულებო ზიანი მხარეთა შორის უკვე არსებული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგია, არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს ისეთ ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა „ზიანის მიყენების პროცესში და უსაფუძვლო გამდიდრებისას“⁷⁷).

არასახელშეკრულებო (დელიქტური) ზიანი, რომელიც შედეგად მოსდევს დაზარალებულის აბსოლუტური უფლების დარღვევას, ზოგჯერ შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს, თუმცა, „როცა სიკეთე ერთდროულად სხვადასხვა უფლებათა, კერძოდ, რელატიურ და აბსოლუტურ უფლებათა ობიექტია, მაშინ ეს უკანასკნელი უფლება ფარავს პირველს.“⁷⁸

სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, საჭიროა, განისაზღვროს *პირდაპირი* და *არაპირდაპირი* ზიანის ცნებები. ამავე მუხლის თანახმად, პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება *საერთო საფუძვლებით*, ხოლო სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. მართალია, არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, ზიანის ამგვარი დაყოფა პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებულია და მხოლოდ გაუგებრობის გამომწვევია,⁷⁹ მაგრამ არსებობს საპირისპირო აზრიც.⁸⁰

⁷⁵ *ხოძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 366.

⁷⁶ *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 16.

⁷⁷ იქვე, 17.

⁷⁸ *ხოძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 367.

⁷⁹ ავტორთა სიტყვით, „მეცნიერული თვალსაზრისით აზრს მოკლებულია არაპირდაპირი (ირიბი) ზიანის გამოყოფა, რომელიც, როგორც ირკვევა, სულაც არ წარმოადგენს ზიანს, რამდენადაც ის კრედიტორისთვის ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ამგვარად, სრულიად საკმარისია ზიანის ერთიანი ცნება, რომლის შემადგენელი ნაწილებია რეალური ზიანი და ანაცდური მოგება“ (*Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное право, Книга Первая (Общие Положения), 2000, 362, <<http://goo.gl/2bdoYg>>, [21.03.14]).

⁸⁰ „ზიანის დაყოფა ორ კატეგორიად (პირდაპირი და ირიბი) ასახავს თანამედროვე ცხოვრებისეულ რეალებს, არცთუ იშვიათად გამოიყენება კანონმდებლობაში, დამკვიდრდა დოქტრინაში და ნაცნობია სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკისთვის, ამიტომ, არ ღირს ამ კლასიფიკაციის უარყოფა“ (*Добровинская А.В.*, Убытки в гражданском праве, 2016, <<http://goo.gl/UFHwnF>>, [07.06.16]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, იმისთვის, რომ განგესაზღვროთ ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირთა წრე, პირველ ყოვლისა, უნდა გავმიჯნოთ პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი (იხ. *Kingisepp M.*, Scope of Claim for Consequential Damage in Delict Law, “Juridica International”, VIII, 2003, 204, <<http://goo.gl/AMALvf>>, [07.06.16]). ავტორს მაგალითად მოჰყავს ისეთი შემთხვევა, როდესაც ქირურგი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზიანდება და მხარე მას მიყენებულ ზიანს უნაზღაურებს. ამ დროს არაპირდაპირი ზიანი იმ პოსპიტალს ადგება, სადაც დაზარალებული მუშაობდა (პოსპიტალი ვერ მიიღებს შემოსავალს, რადგან ქირურგს მუშაობა არ შეუძლია) (იქვე, მე-2 სქოლიო). როგორც

ზიანის პირდაპირ და არაპირდაპირ სახეებად დაყოფა უკავშირდება მიზეზობრივი კავშირის საკითხს.⁸¹

პირდაპირია ზიანი, რომელიც დადგა მისი გამომწვევი აუცილებელი მიზეზის შედეგად (მის გარეშე ზიანი არ დადგებოდა), ხოლო *არაპირდაპირია* ზიანი, რომელიც დადგა გარკვეულ გარემოებათა გამო, როგორც არის, მოვალის ან მესამე პირის ქმედება ან სხვა ფაქტორი.⁸² მაგ., მხედველობაში მიიღება დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში;⁸³ ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს დაუძლეველი ძალის მოქმედებით⁸⁴ ანდა საქმე გეჭონდეს გარემოებათა დამთხვევასთან.⁸⁵ პირდაპირი ზიანი უშუალო კავშირშია მის გამომწვევ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან (მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან) და ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ მის გარეშე ზიანი არ დადგებოდა (სახეზეა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი). არაპირდაპირი ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან (მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან) დაკავშირებულია შემთხვევითი კავშირით და ამავედროულად, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის გამომწვევ სხვა გარემოებასთან.⁸⁶

სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირდაპირი ზიანი. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო (პირდაპირი ზიანი). მოვალისათვის სავარაუდო ზიანი - ეს ისეთი ზიანია, რომელიც

წესი, ჰოსპიტალს ამგვარი ზიანი არ აუნაზღაურდება, მოცემულ შემთხვევაში ის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტს არ წარმოადგენს.

⁸¹ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნულია, რომ „არ არსებობს ირიბი ზიანი პირდაპირი ზიანის გარეშე. პირდაპირი ზიანის ანაზღაურება, რომელიც წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის (ზიანის მიყენების) ფაქტთან „უშუალო - გარდაუვალი მიზეზობრივი კავშირის“ დადგენის შედეგს, მოიცავს როგორც რეალური ზიანის, ისე ანაცდური მოგების ანაზღაურებას. ამგვარი მიზეზობრივი კავშირის არსებობა უნდა ამტკიცოს მხარემ, რომელიც მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს“ (Гражданский Кодекс Российской Федерации, Часть Первая: Научно-Практический Комментарий (Ред. *Абова Т.Е., Кабалкин А.Ю., Мозолин В.П.*), М., 1996, 590. მითითებულია: *Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное право, Книга Первая (Общие Положения), 2000, 362, <<http://goo.gl/2bdoYg>>, [21.03.14]). დეტალურად მიზეზობრივი კავშირის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავის მე-2 პარაგრაფი („მიზეზობრივი კავშირი“).

⁸²მაგ., სსკ-ის 742-ე II მუხლით გათვალისწინებულია ექსპედიტორის დამხმარის (მაგ., მტვირთავის (იხ. *ხამბახიძე ტ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, თბ., 2001, 440) არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საკითხი (იხ. *თოდუა მ., ვიდეძის პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 46).

⁸³იხ. *Матвеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 142-143 (მაგ., დაზარალებულმა დაარღვია ტექნიკური უსაფრთხოების წესები, რითაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ზიანის წარმოქმნას).

⁸⁴იქვე, 141 (მაგ., საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს, დაუძლეველი ძალის მოქმედებით გამოწვეულ ავიაკატასტროფაში დაღუპული მგზავრის შვილი სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე ტრანსპორტის მფლობელი კომპანიისგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას სარჩოს დაწესებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაუძლეველი ძალით გამოწვეულ ზიანთან).

⁸⁵იქვე, 142 (მაგ., ადვილად ააღებადი ნივთიერებით დატვირთული ვაგონი შეცდომით განთავსდა ორთქლმაგვალთან ახლოს. ვაგონს ცეცხლი მოედო, მაგრამ არა ამ შეცდომის გამო, არამედ შემხვედრი შემადგენლობის ორთქლმაგვიდან წამოსული ნაპერწკლით. ავტორი აღნიშნავს, რომ ხანძარი უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეული არ ყოფილა).

⁸⁶იქვე, 148-149.

სავარაუდო იქნებოდა ნებისმიერი გონივრული ადამიანისათვის. ხოლო ზიანის სავარაუდოობა ობიექტური მასშტაბით უნდა იქნეს შეფასებული.“⁸⁷

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ როდესაც საქმე ეხება არაპირდაპირ ზიანს, რიგ შემთხვევებში გადასაწყვეტი იქნება, რამდენად შეიძლება განსაზღვრული ქმედება განვიხილოთ, როგორც ზიანის გამომწვევი ადეკვატური მიზეზი.⁸⁸ მაგ., ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შედეგად, პირი სამედიცინო დაწესებულებაში მოხვდა, სადაც სხვა პაციენტთან მომხდარი კონფლიქტის გამო, მის ჯანმრთელობას დამატებით მიაღება ზიანი. ავტორის მტკიცებით, ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელს (რომლის გამოც პაციენტი საავადმყოფოში მოხვდა) ვერ დავაკისრებთ საავადმყოფოში მომხდარი ინციდენტის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სხვაგვარად იქნება საქმე თუ მაგ., ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შედეგად პირი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსდა და იქ მძიმედ დაავადდა ინფექციური დაავადებით (ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებელია ამგვარი ზიანისთვის). ფაქტობრივად, თავდაპირველი მართლსაწინააღმდეგო ქმედება მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში მხოლოდ ერთი რგოლია, რომლის გარეშე მოვლენათა ამგვარი განვითარება არ მოხდებოდა.⁸⁹ ერთი რამ უდავოდ ცხადია: „სამართლის რაობის თვალსაზრისით, რამდენადაც ის ადამიანთა ქცევაზე სოციალური ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს, უნდა ვაღიაროთ, რომ უკანონო ქმედებისთვის დაწესებული სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ გაცდება იმ ფარგლებს, რისი გათვალისწინებაც ჩვეულებრივ გონიერ ადამიანს ზიანის მიყენების მომენტში შეეძლო.“⁹⁰ ამასთან, თუ დამტკიცდება, რომ ზიანის მიმყენებ-

⁸⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2ბ/4238-11), <<http://goo.gl/ZytrH0>>, [07.05.16]. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „412-ე მუხლი... უპირველესად ადგენს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოვალისათვის ზიანი სავარაუდო უნდა იყოს ხელშეკრულების დადების მომენტში. მოვალისთვის სავარაუდო ზიანი – ეს ისეთი ზიანია, რომელიც სავარაუდო იქნებოდა ნებისმიერი გონივრული ადამიანისათვის, კიდევ უფრო ზუსტად, ბრუნვის საშუალო მონაწილისათვის. ამდენად, ზიანის სავარაუდოობა ობიექტური მასშტაბით ფასდება და არა კონკრეტული მოვალის სუბიექტური შესაძლებლობებით“ (*ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 465). ამასთან, „ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავლები... არაპირდაპირი ზიანი ისეთი ზიანია, რომელიც ზემოთაღნიშნული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო საერთოდ მოვალისათვის“ (*ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 466).

⁸⁸ ავტორი აღნიშნავს, რომ „თუ ქონებისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ და მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ქმედებით, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა, სახეზეა პირდაპირი ზიანი: ცეცხლის წაკიდება, რომელსაც პირდაპირი ზიანის სახით შედეგად მოსდევს სახლის დაზიანება, რემონტის ხარჯი, დაკარგული ქირა. პირიქით, იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია არამართლ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, არამედ სხვა, თანმდევი გარემოებებით, რომელიც მოულოდნელად ზრდის ზიანის მოცულობას, გვაქვს არაპირდაპირი ზიანი“ (*Шершеневич Г.Ф.*, Учебник Русского Гражданского Права, Т. 2, 2005, <<http://goo.gl/3ivO32>>, [14.09.2015]).

⁸⁹ *Шершеневич Г.Ф.*, Учебник Русского Гражданского Права, Т. 2, 2005, <<http://goo.gl/3ivO32>>, [14.09.2015].

⁹⁰ იქვე.

ლის განზრახვა იმთავითვე მოიცავდა არაპირდაპირი ზიანის სახით დამდგარ შედეგს, ის ვალდებული იქნება აანაზღაუროს ამგვარი ზიანი.⁹¹

შედარებითსამართლებრივი კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაგ., კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსში⁹² მოცემულია ზიანის ორი ძირითადი კატეგორია, კერძოდ, არაეკონომიკური (ინგ. “*Noneconomic Damages*”) და ეკონომიკური ზიანი (ინგ. “*Economic Damages*”).⁹³ ასევე, ოჰაიოს შტატის კანონთა კრებული (შესწორებებით)⁹⁴ განმარტავს ეკონომიკური ზიანის (ინგ. “*Economic Loss*”) და არაეკონომიკური ზიანის (ინგ. “*Noneconomic Loss*”) ცნებებს.⁹⁵ კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, *ეკონომიკური ზიანი* გულისხმობს ობიექტურად დამტკიცებულ ფულად დანაკლისს სამედიცინო ხარჯების ჩათვლით, დაკარგულ შემოსავალს, დაკრძალვის ხარჯებს, ქონებით სარგებლობის საშუალების მოსპობას, ზიანის შედეგის გამოსწორებისთვის ან შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, სუბსტიტუციური საყოფაცხოვრებო მომსახურების მიღების ხარჯებს, სამსახურის დაკარგვას და საქმიანი ან დასაქმების ხელსაყრელი შესაძლებლობის დაკარგვას (1431.2-ე „ბ“ (1) მუხლი); რაც შეეხება *არაეკონომიკურ ზიანს*, ის სუბიექტურ, არაფულადი სახის დანაკლისს გულისხმობს, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ პირის მიერ განცდილი ტკივილით, ტანჯვით, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებით, ფსიქიკური ტანჯვით, ემოციური დისტრესით, საზოგადოებრივი და ამხანაგური ურთიერთობების დაკარგვით, ცოლ-ქმრული თანაცხოვრების უნარის დაკარგვით⁹⁶ (ინგ. “*Loss of Consortium.*” ტერმინი წარმოადგენს ევფემიზმს სქესობრივი ურთიერთობისთვის⁹⁷), რეპუტაციის შელახვით და დამცირებით (1431.2-ე „ბ“ (2) მუხლი). ტეხასის სამოქალაქო პროცესისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებათა კოდექსის⁹⁸ 41-ე თავში მოცემულია ეკონომიკური ზიანის (ინგ. “*Economic Damages*”), არაეკონომიკური ზიანის (ინგ. “*Noneconomic Damages*”), კომპენსატორული (ფაქტობრივი, რეალური) ზიანის (ინგ. “*Compensatory Damages*”), სამომავლო ზიანის (ინგ. “*Future Damages*”), მომავალში მისაღები შემოსავლის (ინგ. “*Future loss of Earnings*”), საჯარიმო ზიანის (ინგ. “*Exemplary Damages*”) ცნებათა განმარტება, ხოლო ამავე კოდექსის IV კარის (ინგ. “*Liability in Tort*”) 74-ე თავში (ინგ. “*Medical Liability*”) მითითებულია, რომ *ეკონომიკურ ზიანს* და *არაეკონომიკურ ზიანს* აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მოცემულია ამავე კოდექსის 41-ე

⁹¹ იხ. *Шершеневич Г.Ф.*, Учебник Русского Гражданского Права, Т. 2, 2005, <<http://goo.gl/3ivO32>>, [14.09.2015]. იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავის მე-2.2 პარაგრაფი („მიზეზობრივი კავშირი თანამედროვე ნაშრომებში“).

⁹² California Civil Code, <<http://goo.gl/KypozK>>, [14.07.15].

⁹³ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Tolbert N., Dunford T.*, Recovering Property Damages Under California Law, 2002, <<https://goo.gl/qUgDD9>>, [11.07.16]; ასევე, *Tolbert N., Dunford T.*, Recovering Property Damages Under California Law, 2002, <<https://goo.gl/LtzeEH>>, [16.10.16].

⁹⁴ The Ohio Revised Code, <<http://codes.ohio.gov/orc/>>, [14.07.15].

⁹⁵ იხ. *Biggerman M.W.*, What Qualifies as a “Permanent and Substantial Physical Deformity” Exception to Ohio’s Cap on Noneconomic Losses? “Ohio Lawyer Magazine”, May/June, 2016, <<https://goo.gl/AUDrFI>>, [14.10.16].

⁹⁶ მაგალითისთვის იხ. *LaRoche v. United States*, 730 F.2d 538, 539 (1984), <<https://goo.gl/A7uWgE>>, [17.08.16].

⁹⁷ იხ. *Joshi S.*, Dictionary of Legal Terms, New Delhi, 2011, 106, <<https://goo.gl/vBRRxf>>, [16.10.16].

⁹⁸ Texas Civil Practice and Remedies Code, <<https://goo.gl/UwbOv>>, [14.07.15].

თავში: „არაეკონომიკური ზიანი გულისხმობს ზიანს, რომლის სანაცვლოდ მოსარჩელეს ეკუთვნის კომპენსაცია. კერძოდ, „ფიზიკური ტკივილისთვის და ტანჯვისთვის, ფსიქიკური ან ემოციური ტკივილისთვის ან აშლილობისთვის, ცოლ-ქმრული თანაცხოვრების უნარის დაკარგვისთვის, დამახინჯებისთვის, ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებისთვის, ამხანაგური და საზოგადოებრივი ურთიერთობების დაკარგვისთვის, გაჭირვებაში ჩაგდებისთვის, სიცოცხლით ტკობის საშუალების მოსპობისთვის,⁹⁹ რეპუტაციის შელახვისთვის და ყველა სხვა არამატერიალური ზიანისთვის, გარდა საჯარიმო ზიანისა“ (41.001-ე XII მუხლი).

წინამდებარე ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგად ნათელი ხდება, რომ სასურველია, სსკ-ის ზოგად ნაწილში ზიანის ცნება განისაზღვროს მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში,¹⁰⁰ ნათლად ჩამოყალიბდეს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ცნებები.

2. ზიანის და ზარალის ცნებათა მიმართება

სსკ იცნობს როგორც ზიანის ისე ზარალის ცნებებს, რომელთაც ერთი შეხედვით, კანონმდებელი აიგივებს, ერთი და იგივე მნიშვნელობის მატარებელ ცნებებად წარმოაჩენს სსკ-ის მე-18 VI მუხლში („...თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება“). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციაში¹⁰¹ მოცემულია მხოლოდ ზარალის ცნება (42-ე IX მუხლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება...“), ზიანის ცნება კი საერთოდ არ გვხვდება.

როგორც ლექსიკური ერთეულები, ზიანი და ზარალი¹⁰² სინონიმებია,¹⁰³ მაგრამ მათი შინაარსობრივი დატვირთვა, როგორც სამართლებრივი ცნებებისა, განსხვავებულია (გაზიარებული უნდა იქნეს მსჯელობა, რომლის თანახმად, „ზიანი და ქონებრივი დანაკლისი ერთი და იგივე არ არის. სინამდვილეში, დანაკლისი ფაქტია, ხოლო ზიანი – ამ ფაქტის სამართლებრივი შეფასება;“¹⁰⁴ „დანაკლისი წარმოადგენს ზიანის ან ზარალის ფულად გამოხატულებას“¹⁰⁵), მათი გაიგივება

⁹⁹ინგ. “Loss of Enjoyment of Life”.

¹⁰⁰როგორც ეს განხორციელებულია მაგ., გსკ-ის 276-ე II მუხლის შემთხვევაში, სადაც *კროპოლერის* სიტყვით, ნორმა „გაუფრთხილებლობას განმარტავს მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში“ (*კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 154). ანალოგიურად, მიზანშეწონილია, სსკ-ის ზოგად ნაწილში მოცემული იყოს ზიანის განმარტება, მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში.

¹⁰¹სპუ, №31-33, 24.08.1995.

¹⁰²ლექსიკური ერთეული ზარალი არაბულიდან მოგვიანებით დამკვიდრდა ქართულ ენაში და ქონებრივ დანაკარგს, დანაკლისს ნიშნავს. ზარალის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვაა მოგება (იხ. ქეგლ, IV, 1955, 98). შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსში (სსმ, №54, 12.10.2010) გვხვდება მოგება-ზარალის ცნება (მაგ., 32-ე X მუხლი).

¹⁰³იხ. ნეიმანი ა., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978, 182.

¹⁰⁴*ჩხაიძე ს.*, ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 2014, 6.

¹⁰⁵*ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 16.

მიზანშეწონილი არ არის. *ზიანი* ფართო მნიშვნელობის სამართლებრივი ცნებაა, მოიცავს *ზარალის* („ქონებრივი ზიანი გულისხმობს ზარალს“¹⁰⁶) ცნებას, რომელიც გულისხმობს მატერიალურ დანაკარგს, რაც პირმა (დაზარალებულმა) ზიანის მიყენების შედეგად განიცადა („ზიანს, რაც ქონებას მიაყენეს და რაც ფულადი თანხითაა გამოსახული, ზარალი ეწოდება;“¹⁰⁷ „...ზიანი შესაძლებელია, არსებობდეს როგორც ქონებრივი ასევე, არაქონებრივი სახით, როცა ზარალი ყოველთვის ქონებრივია“¹⁰⁸).

3. პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი¹⁰⁹

გერმანული სამართლის მეცნიერება ზიანის ანაზღაურების წინაპირობათაგან პირველ რიგში დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ფაქტს ასახელებს (გსკ-ის 823-ე I მუხლი). დაცულ სამართლებრივ სიკეთედ მოიაზრება *ადამიანის სიცოცხლე* (რა დროსაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის მესამე პირებს), *ადამიანის სხეული*, *თავისუფლება* (823-ე I მუხლი იცავს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური მოძრაობის თავისუფლებას), საკუთრების უფლება და სხვა უფლებები, რომლებიც „შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი უფლებები, რომლებიც კონკრეტულად ჩამოთვლილი სამართლებრივი სიკეთის მსგავსად უფლების მფლობელს ანიჭებს ექსკლუზიურ, ნებისმიერი პირის მხრიდან მხედველობაში მისაღებ მდგომარეობას.“¹¹⁰ *კროპპოლერი* აღნიშნავს, რომ სხეულის დაზიანება გულისხმობს გარეგან ზიანს, რა დროსაც ჯანმრთელობის დაზიანება არის „წმინდა გარეგანი ზიანი, როდესაც ჯანმრთელობა ზიანდება შინაგანი ფუნქციების დარღვევისას. დაზიანება შეიძლება იყოს ფიზიკური (დარტყმა, მოწამვლა) ან ფსიქიკური (შოკის შედეგად მიყენებული ზიანი).“¹¹¹ ამასთან, ზიანი შეიძლება მიადგეს როგორც ჩანასახის ჯანმრთელობას (მაგ., ფეხმძიმე ქალის საგზაო ინციდენტში მოხვედრის შედეგად, ჩანასახს ტვინი დაუზიანდა და ბავშვი ჯანმრთელობის პრობლემებით დაიბადა), ისე მას, ვინც ჯერ ჩანასახული არ არის (მაგ., ჩანასახ დეფექტის მქონე ნაყოფი, რადგან დედა ბავშვის ჩანასახამდე ინფიცირებული იყო). ამავე დროს, „მოთხოვნის უფლებები არა აქვს შვილს, რომელიც დაიბადა დეფექტიანი დედის მიერ წითურის გადატანის შემდეგ, როდესაც მშობლებმა არ გააკეთეს აბორტი ექიმის რჩევით, რომელსაც რეგრესის წესით მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება; სწორი რჩევის შემთხვევაში ბავშვი არ დაიბადებოდა.“¹¹²

1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ

¹⁰⁶ *იაიხიკოვი კ.კ.*, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი, თბ., 1947, 8.

¹⁰⁷ *ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 422.

¹⁰⁸ *ჩხაიძე ს.*, ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), *ეურნ.* „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 2014, 6.

¹⁰⁹ ჯანმრთელობის ცნებასთან დაკავშირებით იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავის („პაციენტის და სამედიცინო დაწესებულების ცნება, უფლებები და მოვალეობები“) 1-ლი პარაგრაფი.

¹¹⁰ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 630.

¹¹¹ იქვე, 627.

¹¹² იქვე.

1959 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომლის თანახმად, „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.“¹¹³ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია, არის თუ არა ემბრიონი/ფეტუსი¹¹⁴ უფლებათა მატარებელი.¹¹⁵ საქართველოში უკანონო აბორტი სისხლის სამართლის წესით ისჯება „არა როგორც ჩანასახის სიცოცხლისუნარიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, არამედ როგორც დანაშაული, რომელიც საფრთხეში აგდებს ქალის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.“¹¹⁶ ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დაცვის ძირითადი ობიექტია ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ხოლო დამატებითი ობიექტია ნაყოფის სიცოცხლე.¹¹⁷ მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ჩანასახს „არ ენიჭება უფლებასამართლობა ან რაიმე უფლებები.“¹¹⁸ თუმცა საჭიროა, რომ „ადამიანის ემბრიონს და ჯერ დაუბადებელ ჩანასახს მოვეპყროთ ადამიანური ღირსებისთვის შესაფერი პატივისცემით ნებისმიერ სიტუაციაში, რამეთუ საუბარია „პროტოადამიანზე“.“¹¹⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად, ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არ შეიძლება ვინმეს სიცოცხლე განზრახ იყოს ხელყოფილი.¹²⁰ ემბრიონის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეზე, *ვო საფრანგეთის წინააღმდეგ*,¹²¹ სადაც სასამართლომ ცალსახად ვერ გადაჭრა საკითხი, იცავს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი ჩანასახს. სასამართლომ

¹¹³ ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულა.

¹¹⁴ ადამიანის ჩანასახი პირველი რვა კვირის განმავლობაში იწოდება ემბრიონად (ბერძ. *Εμβρυον*), ხოლო შემდეგ, დაბადებამდე – ფეტუსად (ლათ. *“Fetus”*). ჩანასახი, მაგრამ ჯერაც დაუბადებელი ბავშვის აღსანიშნავად ზოგჯერ გამოიყენება ლათინური ტერმინი *“Nasciturus”* (იხ. *Груздев В.В., Человек и право: Исторические, Общетеоретические и Цивилистические Очерки*, Кострома, 2010, <<https://goo.gl/F9WpTI>>, [23.12.16], 385-401). ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, ეს ტერმინი „არ გაჩენილა რომაელ იურისტთა მოღვაწეობის შედეგად“ და ტექნიკური ტერმინის სახით იყენებდნენ სიტყვას *“Venter”* (იხ. *Ничипорук П., Nasciturus-Postumus: Римская Юридическая Терминология, Применяемая для Определения Зачатого Ребенка*, №2 (14), 2004, 116-131. მითითებულია: *Груздев В.В., Человек и Право: Исторические, Общетеоретические и Цивилистические Очерки*, Кострома, 2010, <<https://goo.gl/F9WpTI>>, [23.12.16], 400, მე-10 სქოლიო).

¹¹⁵ იხ. *ჭელიძე ლ.*, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, თბ., 2002, 256.

¹¹⁶ *ღეგვიძევილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 152.

¹¹⁷ იქვე, 153.

¹¹⁸ *Гражданское Право*, Т. I, 2002, 116; *Гражданское Право*, Т. I, 2000, 120. მითითებულია: *Груздев В.В., Человек и право: Исторические, Общетеоретические и Цивилистические Очерки*, Кострома, 2010, 390, <<https://goo.gl/F9WpTI>>, [23.12.16].

¹¹⁹ *Ковлер А.И., Антропология Права: Учебник для Вузов*, М., 2002, 431. მითითებულია: *Груздев В.В., Человек и право: Исторические, Общетеоретические и Цивилистические Очерки*, Кострома, 2010, 387, <<https://goo.gl/F9WpTI>>, [23.12.16].

¹²⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 I მუხლი.

¹²¹ იხ. *Vo v. France*, [2004], ECHR, no. 53924/00, <<http://goo.gl/sZfCG2>>, [05.07.15].

დაადგინა, რომ რადგან არ არსებობდა ევროპულ ქვეყნებს შორის მეცნიერული და იურიდიული კონსენსუსი ადამიანის სიცოცხლის დასაწყისის განსაზღვრებასთან დაკავშირებით, ამ ცნების განსაზღვრა სახელმწიფოთა მიხედვლების სფეროს უნდა მიკუთვნებოდა. აქედან გამომდინარე, თუ გარკვეული ხანდაზმულობის მქონე ჩანასახს რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობა სიცოცხლის მქონედ მიიჩნევს, მას დაიცავს მე-2 მუხლის გარანტიები." ¹²² გადაწყვეტილების 86-ე პარაგრაფში სასამართლო აცხადებს, რომ დაუბადებელი ბავშვის ნათლად განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსის არარსებობის მიუხედავად, ის ექვემდებარება დაცვას საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, ფეტუსის სიცოცხლე მჭიდროდ არის დაკავშირებული დედის სიცოცხლესთან და მისი დაცვა შესაძლებელია დედის დაცვის გზით.“ ¹²³

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების და სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების საკითხებზე მსჯელობის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც არის სუროგატი დედის მიერ ორსულობისას ნაყოფისთვის მიყენებული, ე.წ. პრენატალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ნორმის განვრცობითი განმარტების მეთოდით, შესაძლებელია, ჩანასახის სხვა ქონებრივ უფლებათა დადგენაც, კერძოდ, სსკ-ის 1006-ე მუხლით გათვალისწინებული მარჩენალის გარდაცვალების გამო სარჩოს მოთხოვნისა და სსკ-ის ზოგადი დელიქტური 992-ე მუხლის საფუძველზე მუცლადყოფნისას მიყენებული (პრენატალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.“ ¹²⁴ აქვე ისმის კითხვა თუ რამდენად მიზანშეწონილია კონკრეტული შემთხვევების სათითაოდ, დეტალურად მოწესრიგება, პირველ რიგში, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

შედარებითსამართლებრივი კვლევის მიზნით, საინტერესოა ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი, რომლის თანახმად, „დაბადება განსაზღვრავს სამართალსუბიექტობას; მაგრამ ჩასახული ბავშვი უკვე დაბადებულად უნდა ჩაითვალოს მისთვის ხელსაყრელი მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ის უნდა დაიბადოს მომდევნო მუხლში მოცემულ გარემოებათა შესაბამისად“ (მომდევნო, 30-ე მუხლით დადგენილია, რომ დაბადებულად ჩაითვლება დედის საშვილოსნოდან სრულად გამოცალკევებული ფეტუსი, რომელიც ოცდაოთხი საათი იცოცხლებს). ¹²⁵ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლში ასახულია რომის სამართლის პრინციპი ¹²⁶ (დიგესტებში ვკითხულობთ: „დაუბადებელი ბავშვები სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა დარგში განიხილებიან, როგორც უკვე დაბადებულები“ ¹²⁷); *დერნბურგი* განმარტავს, რომში ჩანასახს შეიძლებოდა დანიშნონდა მზრუნველი, ის

¹²² *წულუკიანი თ.*, სიცოცხლის უფლება: ძირითადი პრინციპები და გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრთა უფლებები სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტის მიხედვით, *ჟურნ. „სოლიდარობა“*, №2(35), 2010, 56.

¹²³ *Vo v. France*, [2004], ECHR, no. 53924/00, <<http://goo.gl/ttvJ8z>>, [05.07.15].

¹²⁴ *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 136.

¹²⁵ Spanish Civil Code, <<https://goo.gl/JqTZBU>>, [25.09.16].

¹²⁶ იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 105.

¹²⁷ *იუსტინიანეს* დიგესტები, I წიგნი, V ტიტული, 26-ე ფრაგმენტი გამოცემაში: *The Digest of Justinian*, London, Vol. I, 1904, 28, <<https://goo.gl/dARocO>>, [25.09.16].

იყო აღჭურვილი როგორც კერძო, ისე საჯარო უფლებებით და „ამის ასახსნელად რომაელები მიმართავდნენ ხოლმე ფიქციას, რომ ჩანასახი უკვე ადამიანია. იგივე აზრი შემდეგი დროის იურისტებმა გამოთქვეს სიტყვებით: *nasciturus pro jam nato habetur*. მაგრამ ეს ფიქცია იფარგლება იმ მიზნებით, რომელთაც იგი გამოიწვიეს - მითი სარგებლობდნენ მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ ჩანასახი ცოცხალი დაიბადებოდა და უფლების სუბიექტად შეიქმნებოდა; ამგვარად, თუ შემდეგში ის მკვდარი დაიბადებოდა, ან დედას მუცელი მოწყდებოდა, მაშინ მესამე პირებისთვის, მაგ., ჩანასახის დედისთვის ზემოაღნიშნული ფიქცია ვერავითარ უფლებებს ვეღარ დააფუძნებდა.“¹²⁸ წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომლის თანახმად, საკითხისადმი იმგვარი მიდგომა, რაც ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლშია მოცემული, იმდენად მოქნილი და ზუსტია, რომ „ზედმეტი ხდება ცალკეული ვითარებისა და მათთან დაკავშირებული შედეგების დეტალური მოწესრიგება. ზედმეტია ჩანასახის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის კონსტრუქციის ჩამოყალიბებაც.“¹²⁹

სსკ-ის 408-ე II მუხლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი¹³⁰ ან შეუმცირდა ის, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამასთან, 413-ე II მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

ადამიანის ჯანმრთელობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, მაგრამ არ არსებობს ჯანმრთელობის ცნების საკანონმდებლო დეფინიცია.¹³¹ აღსანიშნავია, რომ 1960 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში¹³² ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფი მოიხსენიებოდა, როგორც სხეულის დაზიანება, ხოლო 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში¹³³ *სხეულის დაზიანება* შეიცვალა *ჯანმრთელობის დაზიანებით*, რაც საკითხის მართებულ გადაწყვეტად შეფასდა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XX თავში („დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ“) „მოცემული დანაშაულებრივი ქმედებებიდან ზოგიერთი სრულებითაც არ აყენებს ზიანს ადამიანის სხეულს მისი პირდაპირი გაგებით. მაგ., ფსიქიკური ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია დაშინებით, ან კიდევ ძალადობა,

¹²⁸ *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 121-122.

¹²⁹ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 105.

¹³⁰ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური პაკეტის გაცემის წესის და პირობების მე-2 „ი“ მუხლის თანახმად, *შრომისუუნარო* არის პირი, რომელსაც დადგენილი აქვს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ან არის 18 წლამდე ან 65 წლის და მეტი ასაკის პირი.

¹³¹ ჯანმრთელობის ცნების შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავის I-ლი პარაგრაფი.

¹³² საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., №1.

¹³³ სსმ, №41(48), 13.08.1999.

რომელიც იწვევს დაზარალებულის ფსიქიკურ ტანჯვას (სსკ 126-ე მუხ.). ამდენად, ცნება „ჯანმრთელობის დაზიანება“ უფრო ფართოა.“¹³⁴ აღნიშნული მსჯელობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სსკ-ის 408-ე II და 1007-ე მუხლებზე მსჯელობისას (რამდენადაც 408-ე II მუხლში მოიხსენიება როგორც *სხეულის დაზიანების* ასევე *ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების* ცნებები, ხოლო სსკ-ის 1007-ე მუხლში საუბარია პირის *ჯანმრთელობისთვის* მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე).

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონის¹³⁵ თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად პირს შეიძლება დაუდგინდეს *ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა*, ე.ი. ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით (მე-3 „ი“ მუხლი). ქმედობაუნარიანობის *დროებით* ან *სამუდამო* შეზღუდვას განაპირობებს ადამიანის შესაძლებლობის შეზღუდვა (რაც თავის მხრივ, გულისხმობს მყარ ფიზიკურ, ფსიქიკურ, ინტელექტუალურ ან სენსორულ დარღვევებს) (მე-10 I მუხლი). კანონმდებელი ცალკე გამოყოფს პროფესიული შრომისუნარიანობის ცნებას და ადგენს, რომ *პროფესიული შრომისუნარიანობა* გულისხმობს ადამიანის უნარს, შეასრულოს განსაზღვრული კვალიფიკაციის და მოცულობის სამუშაო სათანადო ხარისხით (21-ე I მუხლი). აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ *პროფესიის* განმარტება: ადამიანის შრომითი საქმიანობის სახე, რომელსაც ის ფლობს სპეციალური განათლების შედეგად მიღებული ცოდნით, უნართა და გამოცდილებით (მე-3 „ე“ მუხლი).

იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულს აქვს ორგანიზმის ფუნქციის გამოხატული დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის ან აბრკოლებს ნებისმიერი შრომის შესრულებას, მათ შორის, სპეციალურად შექმნილ პირობებშიც კი, უდგინდება პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა ასი პროცენტით (22-ე I მუხლი). თუ დაზარალებულს შეუძლია შეასრულოს სამუშაო მხოლოდ სპეციალურად შექმნილ პირობებში, პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა განისაზღვრება არანაკლებ სამოცდაათი პროცენტით (22-ე II მუხლი). თუ დაზარალებულს შრომითი დასახიზრების შედეგად შეუძლია შეასრულოს თავისი პროფესიული საქმიანობა, მაგრამ ნაკლები მოცულობით ან კვალიფიკაციის დაქვეითებით და ანაზღაურების შემცირებით, ან მან დაკარგა კვალიფიკაცია, მაგრამ შეუძლია შეასრულოს შედარებით დაბალი კვალიფიკაციის და მცირე ანაზღაურების სხვა პროფესიის სამუშაო, პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი განისაზღვრება ოცდახუთიდან სამოც პროცენტამდე, სამუშაოს მოცულობის, ანაზღაურების შემცირების და კვალიფიკაციის დაქვეითების მიხედვით (22-ე III მუხლი). თუ დაზარალებულს შეუძლია მუშაობის გაგრძელება თავისი პროფესიით, რასაც თან სდევს ანაზღაურების შემცირება, ან თავისი პროფესიით, მაგრამ წინანდელზე უფრო მეტი დაძაბულობით,

¹³⁴ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 69.

¹³⁵ სსმ, №35, 26.12.2001.

პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი დგინდება ოცდახუთ პროცენტამდე (22-ე IV მუხლი).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციით განსაზღვრულია *ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევის კატეგორიები* (მაგ., ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევას განეკუთვნება ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ემოცია, მეტყველება), დინამიურ-სტატიკური ფუნქციის დარღვევა (გადაადგილება, დგომა და ა.შ.) (მე-6 მუხლი), *ქმედობაუნარიანობის ძირითადი კატეგორიები* (ქმედობაუნარიანობის ძირითად კატეგორიებს განეკუთვნება, მაგ., *თვითმომსახურების უნარი* (ადამიანის მიერ ძირითადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის და პირადი ჰიგიენის ჩვევების შესრულების უნარი); *გადაადგილების უნარი* (სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილების, მექანიკური წინააღმდეგობების გადალახვის, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში სხეულის წონასწორობის შენარჩუნების უნარი); *შრომითი საქმიანობის უნარი* (სამუშაოს ხასიათის, მოცულობისა და პირობების მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს შესრულების უნარი) და სხვ.) (მე-7 მუხლი) და დაავადებები, ანატომიური და გონებრივი დეფექტები, რომლებიც წარმოადგენენ მკვეთრად გამოსატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს (მე-9 მუხლი).

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, განზრახ მსუბუქი დაზიანება, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, *ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასთან* საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც სახეზეა სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან (117-ე I მუხლი). *ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებად* ჩაითვლება იმგვარი დაზიანება, რომელიც სიცოცხლისთვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან (118-ე I მუხლი). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ქმნის *ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება*, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია (120-ე მუხლი).

4. სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას მიყენებული ზიანი

სსკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, „სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით.“ მართალია, კანონმდებელი არ განმარტავს *მკურნალობის* ცნებას (სხვადასხვა კანონებში მოცემულია პალიატიური მკურნალობის,¹³⁶ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის,¹³⁷ პროფილაქტიკური მკურნალობის,¹³⁸ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის¹³⁹ ცნებები), მაგრამ მიუთითებს ქირურგიულ ოპერაციაზე და არასწორ დიაგნოზზე, რომელმაც პირის ჯანმრთელობას ზიანი მიაყენა. ჩნდება კითხვა, თუ რა იგულისხმა კანონმდებელმა სიტყვებში: „და სხვ.“? კითხვაზე პასუხის ძიების პროცესში უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სსკ-ის 1007-ე მუხლის ტექსტი დახვეწას საჭიროებს¹⁴⁰ (მასში დარღვეულია ცნებათა ნათლად ჩამოყალიბების პრინციპი (ისინი გარკვევით, შეძლებისდაგვარად ზუსტად და არა ფარდობითად უნდა იყოს ჩამოყალიბებული), რომელიც მიზნად ისახავს, „განსხვავებული ინდივიდუალური განმარტებებისთვის რაც შეიძლება მცირე შესაძლებლობა დარჩეს“¹⁴¹). მართებული იქნება თუ სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ლექსიკური ერთეული *მკურნალობა* ჩანაცვლდება შესაბამისი, მაგალითად, *სამედიცინო მომსახურების* ცნებით¹⁴² და ამოღებული იქნება ფრჩხილებში მოთავსებული წინადადება (*„ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.“*) ან მისი შინაარსი უფრო ნათლად ჩამოყალიბდება, რადგან მუხლის ტექსტში არსებული „და სხვ.“ ზრდის განსხვავებული ინტერპრეტაციების ალბათობას.

სსკ-ის 1007-ე მუხლთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად საქმე გვაქვს პროფესორ *კნიპერის* მიერ აღწერილ შემთხვევასთან, რა დროსაც „კანონმდებელი შეგნებულად ირჩევს ბუნდოვან, ზოგად, არაფრისმთქმელ ფორმულირებას, იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი შემდგომში სამართალწარმოების პროცესში შეივსება.“¹⁴³ თუ ვივარაუდებთ, რომ ჩამონათვალით (*„ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.“*) კანონმდებელს სწორედ ზოგადი ფორმულირებისგან სურდა თავი დაეღწია, ფაქტია,

¹³⁶იხ. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ტ“ მუხლი.

¹³⁷იხ. ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 „ღ“ მუხლი.

¹³⁸იხ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ნ“ მუხლი.

¹³⁹იხ. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 „ო“ მუხლი.

¹⁴⁰კანონში წინადადების წყობის, კანონის ენობრივი სტილის შესახებ იხ. *მასბაუმი მ.ს.*, კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7 №2-3 (1), 2004, 274-276.

¹⁴¹*კნიპერი რ.*, საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისათვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, 1998, 25. აღნიშნული პრინციპი ერთ-ერთია იმ შვიდი პრინციპიდან, რომელიც *მონტესკიემ* (Montesquieu, 1689 – 1755) ჩამოაყალიბა 1748 წელს (იხ. *Crabbe*, Legislative Drafting, I, 1994, 148, <<https://goo.gl/MkBGAv>>, [05.09.15]).

¹⁴²ამგვარი ჩანაცვლების მიზანშეწონილობის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

¹⁴³*კნიპერი რ.*, საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისათვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, 1998, 28.

საბოლოო ჯამში მისი მცდელობა არცთუ წარმატებული შედეგით დასრულდა.

5. ქონებრივი ზიანი

ზოგადი განმარტებით, ქონებრივ ზიანში იგულისხმება „ქონებრივი კეთილდღეობის ისეთი შემცირება, რომელსაც, ჩვეულებრივ, შეესაბამება ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულება, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, გამოასწოროს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის მომტანი შედეგები.“¹⁴⁴

რაში შეიძლება გამოიხატოს ის ქონებრივი ზიანი, რომელიც პირმა განიცადა? სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს შეიძლება იყოს ქონების შემცირება ¹⁴⁵ (ლათ. *“Damnum Emergens”*; მაგ., დაზარალებულის კუთვნილი ნივთის განადგურება) ანდა იმ ქონების მიუღებლობა (ე.ი. მომავალი ზიანი, რომლის დანამდვილებით დადგენა შეუძლებელია და მხოლოდ ივარაუდება), რომელსაც პირი მიიღებდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა ზიანის გამომწვევ ქმედებას (ე.წ. ანაცდენი გამორჩენა, ¹⁴⁶ ლათ. *“Lucrum Cessans”*. მაგ., კონკრეტული სუბიექტის ბრალეული ქმედების შედეგად იურიდიული პირის მიერ მოგების მიუღებლობა). ამასთან, დროთა განმავლობაში მეცნიერული აზრი შეჯერდა იმ პოზიციაზე, რომ „სასამართლომ არ უნდა მიიღოს მხედველობაში ქონებრივი გამორჩენა, უკეთუ ამ გამორჩენის მიღება მხოლოდ პრობლემატურია და არ შეიძლება ნავარაუდები იქნეს ისეთი ეგებისობით, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში დანამდვილებით მიღებას უდრის.“ ¹⁴⁷ შედარებისთვის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ეკონომიკურ ზიანს, ჯანმრთელობის და პიროვნების საკუთრების ზიანს (მატერიალურს და მორალურს) ან სპეციალურად მითითებულ სხვა უფლებებს არ განასხვავებს; „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ასანაზღაურებელი ზიანი უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ „იურიდიულად დაცული ინტერესის“... დარღვევაში, რომ ეს ზიანი უნდა „დადგინდეს საფუძვლიანად“... და ბოლოს, იგი არ უნდა წარმოადგენდეს მოპასუხის ქმედებათა „პირდაპირ და უშუალო შედეგს.“ ¹⁴⁸ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში კანონმდებელი არ განმარტავს ზიანის (ფრან. *“dommage”*) ცნებას და 1382-

¹⁴⁴ *Матвеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 45.

¹⁴⁵ ე.ი. „ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი“ (სსკ-ის 411-ე მუხლი), რეალური ზიანი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „დადებითი ზიანი“ („სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ტერმინს „დადებითი ზიანი“. ზიანის ანაზღაურება „ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის“ სწორედ რომ დადებითი ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს... დადებითი ზიანი რეალური, მატერიალიზებული ზიანია და ამდენად, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან მისი მიზეზობრივი კავშირი აშკარაა და უეჭველია“ (*ხოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 462).

¹⁴⁶ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „მიუღებელი შემოსავლები“, „ანაცდური მოგება“ („ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავლები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ანაცდური მოგება“ (*ხოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 463).

¹⁴⁷ *ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 422-423.

¹⁴⁸ *ცვაიკურტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 319.

ე მუხლის შინაარსით, „მოიცავს მხოლოდ პირად ზიანს და ქონებრივ ზიანს თუ კიდევ მორალურ ზიანსაც, აგრეთვე ასანაზღაურებელ უბრალო ეკონომიკურ ზარალს და შესაძლებლობას უშუალო დაზარალებულისთვის, დაეყრდნოს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლს. მოცემულ და კიდევ მრავალ საკითხს კანონი უტოვებს სასამართლო პრაქტიკას.“¹⁴⁹

6. არაქონებრივი ზიანი

პირისთვის მიყენებული ზიანი შეიძლება შედეგად მოჰყვეს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც არღვევს პირად არაქონებრივ უფლებებს (მაგ., სახელი, პატივი და ღირსება, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა, პირადი უფლებები, რომლებიც საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ და ა.შ.¹⁵⁰). პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს მატერიალური ზიანი (მაგ., შემოსავლის დაკარგვა). შესაბამისად, პირისთვის მიყენებული ზიანი შეიძლება ორ კატეგორიად დაეყოთ: პირად არაქონებრივ და პირად ქონებრივ ზიანად.¹⁵¹

სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემული არაქონებრივი (მორალური) ზიანის განმარტებები ძირითადად ერთგვაროვანია. მაგ., ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ „მორალური ზიანი სულიერი გრძობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალური ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს.“¹⁵² ამ

¹⁴⁹ იქვე, 308.

¹⁵⁰ სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმოყოფის ბრალისა. თუკი დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმოყოფის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად (სსკ-ის მე-18 VI მუხლი).

¹⁵¹ იხ. *Матвеев Г. К., Основания Гражданскоправовой Ответственности*, М., 1970, 39-41. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მორალური ზიანის“ ცნებას კანონმდებლობაში, როგორც ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის მომცველ დეფინიციას, მეტად ფართო ასპექტი აქვს. ეს ტერმინი გულისხმობს როგორც თვით „მორალურ ზიანს“, მიყენებულს ზნეობრივი გრძობებისა და ურთიერთობების სფეროში, ასევე სხვა ზიანს (ფსიქიკური ტრავმები, დასახიჩრება და მისთანები), რაც თუმცა მორალურის ფარგლებს გარეთ გამოდის, მაგრამ ასევე არ არის ქონებრივი. „მორალური ზიანი“, „ქონებრივი ზიანის“ ანალოგიურად, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ უფლების შელახვას“ (*ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 19).

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ა-1477-1489-2011), <<https://goo.gl/u4164Y>>, [28.08.15].

გადაწყვეტილებაში მოხსენიებული „სულიერი ტანჯვა“ არ წარმოადგენს სამართლებრივ ან სამედიცინო ტერმინს; სამედიცინო ლიტერატურაში გვხვდება „ფსიქიკური წამების“¹⁵³ ცნება, რომელიც შედეგად სტრესულ მდგომარეობას იწვევს და გააჩნია გარეგნული გამოხატულება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური სიმპტომატიკა.¹⁵⁴ ზემოაღნიშნული განმარტებისგან განსხვავებით, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (სადაც განხილულია სსკ-ის 413-ე მუხლი) „სულიერი ტანჯვასთან“ ერთდროულად ნახსენებია „ფსიქიკური სტრესი“, რომელიც უკვე სამედიცინო ტერმინს წარმოადგენს:¹⁵⁵ „განსახილველი ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი.“¹⁵⁶

სასამართლო პრაქტიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სასამართლოს წინაშე დაისვა კითხვა არასრულწლოვნის მიერ მორალური ზიანის აღქმის, მისი გათვითცნობიერების უნართან დაკავშირებით.¹⁵⁷ კერძოდ, მხარე (საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) უარს აცხადებდა არასრულწლოვანი პირის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების გამო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე იმ დასაბუთებით, რომ „მორალური ზიანი არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის“, ხოლო არასრულწლოვან მოსარჩელეს „ასაკის გამო მორალური ზიანის არსებობა

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობაში მორალური ზიანი განისაზღვრება როგორც ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა: „ტერმინი „ტანჯვა“ განსაზღვრავს, რომ მორალური ზიანის მიმყენებლის მოქმედებამ აუცილებლად უნდა პოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში, მისი უარყოფითი ფსიქიკური რეაქციის გამოწვევაში „ზნეობრივი ტანჯვის“ გამომსახველადმეტ-ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ცნება „განცდები“. განცდების მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა უსიამოვნებები. ინგლისისა და აშშ-ის სამართლის თანახმად, „მორალური ზიანის“ ანალოგია „ფსიქიკური ზიანი“, რომელიც თანსაზღვრება როგორც „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა“. ამასთანავე, ინგლისურ-ამერიკული სასამართლო პრაქტიკა ფსიქიკურ ტანჯვაში გულისხმობს ნეგატიურ ემოციურ რეაქციებს“ (*ჩიკაგო შვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 18).

¹⁵³ იხ. *დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ.*, ქართული სამედიცინო ენციკლოპედია, 2005, <<http://goo.gl/3YP4nm>>, [01.03.16].

¹⁵⁴ იხ. *დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ.*, ქართული სამედიცინო ენციკლოპედია, 2005, <<http://goo.gl/3YP4nm>>, [01.03.16].

¹⁵⁵ „სტრესი წარმოადგენს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, რომელიც ვითარდება გარემოს მხრიდან ექსტრემალური მოქმედების საპასუხოდ და მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ და ქცევით გამოვლინებებს. არახელსაყრელი ზემოქმედების სახეობიდან გამომდინარე, სტრესი შესაძლებელია იყოს ფიზიოლოგიური, ან ფსიქიკური. თავის მხრივ ფსიქიკური სტრესი იყოფა ინფორმაციულ და ემოციურ სტრესად... ემოციური სტრესის მიზეზი შესაძლებელია იყოს ნეგატიური გრძნობებიდან ერთ-ერთი: წყენა, შიში, მუქარა და ასე შემდეგ. ემოციური სტრესის მიმდინარეობა დამოკიდებულია მის ფორმაზე (იმპულსური, დამუხრუჭებითი, გენერალიზირებული)“ (*დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ.*, ქართული სამედიცინო ენციკლოპედია, 2005, <<http://goo.gl/3YP4nm>>, [01.03.16]).

¹⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1156-1176-2011), <<http://goo.gl/t8OLWx>>, [01.01.16].

¹⁵⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-972-936 (3კ-08), <<http://goo.gl/47VXGM>>, [28.08.15].

გათვითცნობიერებული არ აქვს.“ საკასაციო პალატამ აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა: „სახეზეა დელიქტი, რომელსაც მოჰყვა არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ისეთი მორალური ზიანი, რომლის დადგომის შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს მის ანაზღაურებას. მორალური ზიანი არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. ტკივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გათვითცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას (სრულწლოვნების ასაკს) და იგი ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟის, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძნობა და სხვ.) შესაძლოა უფრო მეტი სიმწვავეთ განიცადოს მოზარდმა, რომლის ჯანმრთელობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა“.

7. ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის (პაციენტის) გარდაცვალებისას

სსკ-ის 1006-ე მუხლით დადგენილია დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების წესი. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, რომლის რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში ასეთი შეიძლება იყოს, მაგ., გარდაცვლილის არასრულწლოვანი შვილი ან შრომისუნარო შვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს (სსკ-ის 1212-ე მუხლი); სსკ-ის 1198-ე II მუხლის თანახმად, მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება და „მშობლის აღნიშნული ვალდებულება იმპერატიულია;“¹⁵⁸ აგრეთვე, შრომისუნარო მშობელი (სსკ-ის 1218-ე I მუხლი), არასრულწლოვანი და ან/და ძმა; სრულწლოვანი შრომისუნარო და ან/და ძმა (სსკ-ის 1223-ე მუხლი), არასრულწლოვანი შვილიშვილი; შრომისუნარო სრულწლოვანი შვილიშვილი (სსკ-ის 1225-ე მუხლი) და სხვა.

ზიანის მიმყენებელი ვალდებულია სარჩო იხადოს, ვიდრე გარდაცვლილი პაციენტი იქნებოდა ვალდებული, რომ ის ეხადა (მაგ., შვილის სრულწლოვანების მიღწევამდე¹⁵⁹). რაც შეეხება სარჩოს ნაცვლად ერთჯერადი ანაზღაურების მოთხოვნას და სარჩოს დაწესების მიზანს, სსკ-ის 1006-ე II მუხლის თანახმად, სარჩოს ნაცვლად ერთჯერადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია, მაგრამ იმ პირობით თუ არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ არ იზიარებდა ქვემდგომი ინსტანციების მიერ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისთვის გარდაცვლილის ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებას და აღნიშნა: „პირის გარდაცვალების გამო

¹⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-378-367(კ-13), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15]. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ უარყო მხარის მოსაზრება, რომლითაც ის სადავოს ხდიდა ბავშვის მშობლის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს.

¹⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-378-367(კ-13), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15]. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზარალებულის გარდაცვალებისას მის არასრულწლოვან შვილს უფლება აქვს მოითხოვოს მამის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მოპასუხეებისთვის სარჩოს დაკისრება მის სრულწლოვანებამდე.

სარჩენთათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ზიანის მიმყენებელს წარმოეშობა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რაც დაზარალებული პირის გარდაცვალების მომენტში არსებობს. ამასთან, სარჩენ პირად მიიჩნევა არა ოჯახის ყველა წევრი, არამედ დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელსაც დამოუკიდებლად საკუთარი რჩენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს არასრულწლოვნობის ან შრომისუნარობის გამო, ასევე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ... ოჯახი შედგებოდა სამი წევრისაგან და მას კმაყოფაზე ჰყავდა როგორც შვილი... ასევე მეუღლე, საქმეში არ არის რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ არსებობდა... მეუღლის... კანონისმიერი რჩენის ვალდებულება“.¹⁶⁰

როგორც აღინიშნა, დაზარალებულის გარდაცვალებისას სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს პირს, რომლის რჩენაც გარდაცვლილ პაციენტს ევალებოდა. ასეთი შეიძლება იყოს გარდაცვლილის შვილი, რომელიც პაციენტის გარდაცვალების შემდეგ დაიბადება.¹⁶¹ სსკ გარდაცვლილის სიცოცხლეში ჩასახული ბავშვის ასეთ უფლებას პირდაპირ არ არეგულირებს,¹⁶² მაგრამ სარჩოს დაწესებით ზიანის ანაზღაურების უფლება არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ, თუნდაც ბავშვი არ იყოს გარდაცვლილი მშობლის (პაციენტის) გენეტიკური შვილი.

8. ახლო ნათესავის (ახლობლის) სიკვდილით გამოწვეული შოკით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

როგორია ქართული სასამართლოების მიდგომა ახლო ნათესავის (ახლობლის) სიკვდილით გამოწვეული შოკის შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურების საკითხისადმი? არსებობს თუ არა ამ მიმართულებით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (საქართველოში სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა)? განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქართული სასამართლო ჯერ გაემიჯნა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომლის თანახმად, „მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა უახლოესი ადამიანის გარდაცვალების საფუძველზე (მეუღლე ან მშობელი ან შვილი)“, ¹⁶³ ხოლო შემდგომ კვლავ შეცვალა თავისი პოზიცია

¹⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-378-367(კ-13), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15].

¹⁶¹ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 425.

¹⁶² იხ. *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 24.

¹⁶³ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 427. ამავე ავტორის განმარტებით, „როდესაც ვსაუბრობთ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრის განსაზღვრის შესახებ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, უპირველეს ყოვლისა, ის ნორმები, რომლებიც პირს უფლებას აძლევს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის

(შეგვიძლია მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას თვალი მივადევნოთ მაგ., 2008-2013 წლების შუალედში).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაში¹⁶⁴ სასამართლომ განმარტა: „მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლების მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს... მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება, სრულ ანაზღაურებაში მორალური ზიანის ანაზღაურება იგულისხმება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული, ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძვლად. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით (იხ. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის №3კ-1218-01 გადაწყვეტილება; 2001 წლის 6 აპრილის №3კ/242 გადაწყვეტილება; 2003 წლის 29 იანვრის №3კ-1443-02 გადაწყვეტილება; 2006 წლის 9 ნოემბრის №ას-14-1466-05 გადაწყვეტილება; 2006 წლის 27 სექტემბრის №ას-105-545-06 გადაწყვეტილება)... უდავოა, რომ ახალგაზრდა

ანაზღაურება“ (*ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 27); „არცთუ იშვიათად დაზარალებულის ახლობელი ნათესავისათვის „ფიზიკური“ ან „ზნეობრივი ტანჯვის“ სიძლიერე აღემატება თვით დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის სიძლიერეს... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას უფლება მიეცეს დააყენოს განცდილი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი. ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმდენად გაფართოვდება, რომ პრინციპული მნიშვნელობა მორალური ზიანის კომპენსაციის დანიშნულებისა აზრს დაკარგავს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მორალური ზიანი უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ იმ პირს, ვინც მიყენებული ზიანის ფაქტის გამო უშუალოდ განიცადა ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა“ (*ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 28). რაც შეეხება პირთა წრეს, რომელთაც უფლება უნდა ჰქონდეთ, მოითხოვონ ახლობლის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, ავტორის აზრით, ზედმეტად არ უნდა გაფართოვდეს და „მართებული იქნებოდა, ასეთის უფლება ჰქონოდა გარდაცვლილის მეუღლეს, მშობლებს, შვილებსა და დედამამიშვილებს“ (*ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 29).

¹⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-327-309 (2კ-07), <<http://goo.gl/Gpx9qv>>, [31.12.15]. ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განჩინება (საქმე №ბს-1521-1478 (2კ-08), <<http://goo.gl/G0ooFG>>, [01.01.16].

შილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მორალურ ტკივილს, მაგრამ იგი არ ექვემდებარება მატერიალურ ანაზღაურებას, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შესაბამისად, მორალური ზიანის კომპენსაციის ნაწილში, რომელსაც არა აქვს რესტიტუციის მნიშვნელობა... სასარჩელო მოთხოვნის და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.“

ვითარება მოგვიანებით შეიცვალა. მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა შვილის წამებისა და მკვლელობის გამო, მოპასუხეთა მიერ მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების შესახებ (გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით),¹⁶⁵ ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალების გამო მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით განმარტა: „ახლო ნათესავის, კონკრეტულ შემთხვევაში შვილის სიკვდილის გამო ჩვეული სულიერი ტკივილი, რაც გრძელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ქმნის ცოცხალი ნათესავის ჯანმრთელობის, მისი ფსიქო-ნერვული მდგომარეობის დაზიანების წინაპირობას. პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მდგომარეობა ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოწვეულია შვილის მკვლელობის ფაქტით გამოწვეული განცდებით. ამდენად, სახეზეა გაუბათილებელი პრეზუმფცია შვილის გარდაცვალების გამო მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე, რაც ზიანის ანაზღაურების დაკისრების კანონისმიერ წინაპირობას ქმნის“ (სააპელაციო პალატამ მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება ორი ათასი ლარის ოდენობით).¹⁶⁶

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით¹⁶⁷ სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელეებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით: „მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. დამკვიდრებული მოსაზრებით, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძვლის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, პირდაპირ, ცალსახად არის დადგენილი, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი

¹⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-868-817-2010), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15].

¹⁶⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2ბ/2774-11), <<http://goo.gl/rJJ06b>>, [31.12.15].

¹⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-378-367(კ)-13), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15].

არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ, თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული, ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძვლად. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ასევე უპირველესად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მეუღლის, შვილის, მშობლის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, ასეთი რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია მხოლოდ დაზარალებულს, რის გამოც მოსარჩევების მოთხოვნა თანხის ანაზღაურების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს“.

სსკ-ის მე-18 VI მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. როგორც უკვე აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მორალური ზიანი, რომელიც წარმოიშვა „უახლოესი ადამიანის გარდაცვალების საფუძველზე“.¹⁶⁸ ამგვარად, თუ მაგ., მეუღლეს არ ეკუთვნის სსკ-ის 1006-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურება, ის ინარჩუნებს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას („ანაზღაურებას ექვემდებარება აგრეთვე იმ პირთა მორალური ზიანი, რომლებიც არ შედიან იმ პირთა რიცხვში, რომლებსაც გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მარჩენალის დაკარგვის გამო“¹⁶⁹). თუმცა, კვლევამ აჩვენა, ქართულ სასამართლოებში ამ მიმართულებით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს.

სასამართლო პრაქტიკა, *კროპოლერის* განმარტებით, „ზიანის ანაზღაურების გავრცელებას მესამე პირზე... არაპირდაპირი დარღვევების შესარაცხად იყენებს (მაგ. შოკით მიღებული ზიანი ოჯახის წევრის უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღებისას).“¹⁷⁰ ამავდროულად, განიხილავს რა ობიექტური შერაცხვის საკითხს და მის ფარგლებში შემთხვევათა ცალკეულ ჯგუფებს (მათ შორის, შოკის შედეგად მიყენებული ზიანის საკითხს), აღნიშნავს, რომ „თუ პირმა განიცადა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც კვალიფიცირდება შოკად... მაშინ იგი, როგორც წესი, არის მისი ზოგადცხოვრებისეული რისკი. მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება შეერაცხოს ზიანის მიმყენებელს შოკის შედეგად მიყენებული ზიანი. მაგრამ ამავე დროს შოკი უნდა გამომდინარეობდეს მისი გამომწვევი

¹⁶⁸ *ნიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 427.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 127.

მოვლენიდან, მაგალითად, საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის მუქარის შემთხვევაში, თუმცა, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა უშუალოდ განიცადა ახლო ნათესავის სიკვდილი (მაგ., OLG Nurnberg NJW, 1998, 2293), ან მას შეატყობინებენ მისი მძიმე დაზარალების შესახებ (მაგ., BGHZ, 93, 351), მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნულს არ მიეკუთვნება შორეული ნათესავების უბედური შემთხვევა ან უმნიშვნელო ქონებრივი ზიანი (ძალის სიკვდილის შესახებ შდრ. KreisG Cottbus, NJW-RR, 1994, 804).¹⁷¹ აქვე საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა ერთ-ერთ საქმეზე,¹⁷² სადაც მხარე საკასაციო საჩივრით მოითხოვდა მორალური ზიანის კომპენსაციას ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების გამო (საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე დადასტურებული იყო მავნე შედეგის არსებობა და მოპასუხეთა ბრალი. მოსარჩელის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული არაქონებრივი ზიანი გამოხატული იყო იმ მწვავე სულიერი ტკივილებით და ფსიქიკური აშლილობით, რომელიც აღენიშნებოდა როგორც მოსარჩელეს, ისე მის მშობლებს): „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება“, ხოლო რაც შეეხება მშობლებს, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის „ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მშობლების სულიერ განცდებს... არ აქვს მნიშვნელობა კომპენსაციის ოდენობისათვის, ვინაიდან ისინი არ არიან თანამოსარჩელები საქმეზე. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად“.

9. მორალური ზიანის ანაზღაურების უნივერსალური პრინციპის სახით დაწესების მიზანშეწონილობა

მორალური ზიანის ანაზღაურების უნივერსალური პრინციპის სახით დაწესების მიზანშეწონილობაზე მსჯელობის პროცესში შეიძლება დაისვას კითხვა, უნდა შეერაცხოს თუ არა ზიანის მიმყენებელს მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებით გამოწვეული შოკი (*კროპპოლერი* აღნიშნავს, რომ „უმნიშვნელო ქონებრივი ზიანის მიყენებით გამოწვეული შოკი არ შეერაცხება ზიანის მიმყენებელს“¹⁷³)? თუ დელიქტური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა დაცული სამართლებრივი სიკეთის დარღვევა, მაგ., ისეთი სიკეთისა, როგორც არის ადამიანის ჯანმრთელობა და რომლის დაზიანება შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქიკური (*კროპპოლერის* სიტყვით, *ფსიქიკური ზიანი გულისხმობს შოკის შედეგად მიყენებულ ზიანს*),¹⁷⁴ რატომ არ უნდა

¹⁷¹ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 637.

¹⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-972-936 (3კ-08), <<http://goo.gl/47VXGM>>, [28.08.15].

¹⁷³ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 637.

¹⁷⁴ იქვე, 627.

დაექვემდებაროს ანაზღაურებას მაგ., საკუთრების განზრახ განადგურებით გამოწვეული ფსიქიკური ზიანი (ფსიქიკური ზიანი, რომლის არსებობა დადგინდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და რომლის არსებობა ეჭვს არ იწვევს)?

ზემოხსენებული კითხვა სასამართლოს წინაშე მართლაც დაისვა. მოქალაქის სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი, მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი, ხანძრით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები, კერძოდ, უბინაობა და გაუთვალისწინებელი ვალები, საფუძვლად დაედო მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას.¹⁷⁵

აღნიშნულის საფუძველზე, მოსარჩელე ითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსკ-ის 413-ე II მუხლით¹⁷⁶ გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას: „კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება განპირობებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.“ ამავე გადაწყვეტილებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს“, ამასთან, სსკ-ის 413-ე II მუხლით „არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად და ა.შ., რაც ყოველად დაუშვებელია. ამდენად... საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები და ამ ფაქტორების შედეგად... ჯანმრთელობის გაუარესება არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.“

¹⁷⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1156-1176-2011), <<http://goo.gl/t8OLWx>>, [01.01.16].

¹⁷⁶ სსკ-ის 413-ე II მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

გარდა ამისა, სასამართლომ მოპასუხეს არ დააკისრა მატერიალური პასუხისმგებლობა სსკ-ის 408-ე III მუხლის¹⁷⁷ საფუძველზე, მიუთითა რა, რომ ამ ნორმის გამოყენების სამართლებრივ წინაპირობას სსკ-ის 408-ე II მუხლი¹⁷⁸ წარმოადგენს.

კითხვაზე, მართებული იქნება თუ არა მორალური ზიანის ანაზღაურების დაწესება უნივერსალური პრინციპის სახით, პასუხი უარყოფითად უნდა იქნეს გაცემული. პროფესორ *ნინიძის* განმარტებით, მორალური ზიანი „შეიძლება შედეგად მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ასევე სულიერი სიკეთის ხელყოფას, შეიძლება დადგეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის, ასევე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში მიყენებული ვნების შედეგად.“¹⁷⁹ ავტორის სიტყვით, „ყოველგვარი ქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება ანუ მორალური ზიანის ანაზღაურების დაწესება უნივერსალური პრინციპის სახით გამართლებული არ არის. საკითხის ასეთ გადაწყვეტას არასდროს არცერთი კანონმდებელი ან თეორეტიკოსი არ ითხოვდა.“¹⁸⁰ ამასთან, მიზანშეწონილია, რომ არაქონებრივი ზიანის არსებობისას სამოქალაქო უფლებათა დაცვის ის ხერხი იქნეს გამოყენებული, რომელიც გულისხმობს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას და უფლების დამრღვევ ქმედებათა აღკვეთას. ავტორის სიტყვით, იგივე სანქცია რიგ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადი საიდუმლოების ხელყოფისას. რაც შეეხება თავად ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას, „ზიანის ანაზღაურება ხშირად არა რესტიტუციური, არამედ კომპენსაციური ბუნებისაა. კომპენსაციური ხასიათის იქნება ყოველთვის მორალური ზიანის რეპარაცია.“¹⁸¹ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹⁸² სასამართლო ხაზს უსვამს მორალური ზიანის ანაზღაურების სწორედ კომპენსაციურ და არა რესტიტუციურ ბუნებას: „მორალური ზიანის

¹⁷⁷ სსკ-ის 408-ე III მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.

¹⁷⁸ სსკ-ის 408-ე II მუხლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმძირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

¹⁷⁹ *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, მარტი-აპრილი, 1978, 54.

¹⁸⁰ იქვე. ასე, მაგალითად, ცნობილი პუბლიცისტისა და იურისტის, *გრიგოლ რცხილაძის* (1876-1934) მიერ 1928 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნულია, რომ „მორალურ ზიანის ფულადი ანაზღაურება შემოდებულ უნდა იქნეს, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ყოველგვარი უსიამოვნებისთვის ფულადი ანაზღაურების დაწესება მიგვაჩნდეს მიზანშეწონილად. პირიქით, მორალური ზიანის თითოეული ტიპური შემთხვევა შეფასებულ უნდა იქნეს მომქმედ სამართლის სისტემის საერთო მიზნების თვალსაზრისით და ანაზღაურდეს მხოლოდ ისეთი ზიანი, რაც დაცვის ღირსი მორალური სიკეთის შელახვისაგან წარმოსდგება. მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მისცემს ხელში სასამართლოს მძლავრ იარაღს უშუალო გაელენა იქონიოს მოქალაქეთა ცხოვრების იმ მხარეებზე, რომელთაც ყველაზე უფრო ინტიმური ხასიათი აქვთ და რომელთა გამოვლინებასაც წარმოადგენს ე. წ. ყოფა-ცხოვრება“ (*რცხილაძე გრ.*, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928, 82).

¹⁸¹ *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, მარტი-აპრილი, 1978, 54.

¹⁸² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-972-936 (3კ-08), <<http://goo.gl/47VXGM>>, [28.08.15].

ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.“

აღნიშნული მსჯელობის ფონზე, დამატებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად, სხვაობა მორალური ზიანის (მაგ., ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის) ანაზღაურების საკითხს და ქონებრივი ზიანის გამო „სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის“ შემთხვევას შორის საკმაოდ დიდია, რამდენადაც ქონებრივი ზიანის მოცულობის დადგენის შემდეგ შესაძლებელი ხდება „მატერიალური ინტერესის გამოსწორება“¹⁸³ (მაგ., დაზიანებული თუ განადგურებული ნივთი შეიძლება ახლით შეიცვალოს) მორალური ზიანისას კი, მაგ., ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის შემთხვევაში, ამგვარი „გამოსწორება“ შეუძლებელია, რადგან საქმე გვაქვს ფსიქიკისთვის მიყენებულ შეუქცევად ზიანთან,¹⁸⁴ რა დროსაც ხელყოფილია ადამიანის სიცოცხლე, რომელსაც ნივთის მსგავსად ვერ შევაკეთებთ და ვერც ახლით შევცვლით (ნიშანდობლივია, რომ *პელეგრინო* მსჯელობს რა შედეგის, ქცევის და დაცვის ვალდებულებებზე, სწორედ *გამოსწორების* ვალდებულებაზე მიუთითებს: „დელიქტური ვალდებულებების შემთხვევაში საქმე ეხება კანონიერი ძალის მქონე გამოსწორების ვალდებულებებს, მაშინ როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებები იურიდიული მორიგეობით დაფუძნებული ხელშეკრულების ქმედების შესრულების ვალდებულებებს წარმოადგენენ“¹⁸⁵). რადგან მორალური ზიანის ზუსტი შეფასების მეთოდი არ არსებობს, მისი რეპარაცია უნდა განხორციელდეს გონივრულ და სამართლიან ფარგლებში. აქვე უნდა

¹⁸³ *ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 469.

¹⁸⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, მიუთითებს რა მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის ფუნქციებსა და მიზანზე, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მიყენებული ზიანის შეუქცევად ხასიათზე: „მორალური ზიანის ანაზღაურებას ეკისრება სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ... ძალიან ხშირად მიღებული შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანი არის მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანის გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ა-1477-1489-2011), <<https://goo.gl/u4164Y>>, [28.08.15]).

¹⁸⁵ *პელეგრინო მ.*, სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? (სახელშეკრულებო სამართალში ბრალის როლის შედარებითი სამართლებრივი განხილვა), კრებულში: სერგო ჯორბენაძე 70, თბ., 1996, 165.

აღინიშნოს, რომ დასახელებულ გადაწყვეტილებაში¹⁸⁶ უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს გაემიჯნა და თანაბრად არ განეხილა „ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვა“ (სადაც სასამართლომ მაგალითად მოიყვანა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად „განცდილი სულიერი ტანჯვა“) და ქონების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დელიქტური ვალდებულება, რამდენადაც, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა სამართლებრივი ბუნება იდენტური არ არის (პირი ნებაყოფლობით შედის სახელშეკრულებო ურთიერთობაში და უნდა ითვალისწინებდეს ამ გარიგების თანმდევ რისკს, რომ ვალდებულება შეიძლება არ შესრულდეს).

როგორც აღინიშნა, მორალური ზიანი ქონებრივ ანაზღაურებას ექვემდებარება და ამ ანაზღაურების უპირველესი ფუნქციაა დაზარალებულისთვის „განცდილი არამატერიალური ზიანის კომპენსირება“.¹⁸⁷ *კროპპოლერი* აღნიშნავს, რომ საკითხისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებში: თუ ბრალეული პასუხისმგებლობის დროს აუცილებელია დაზარალებულის „ე.წ. მორალური დაკმაყოფილება განცდილი ზიანისთვის“, ¹⁸⁸ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევაში „მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია უკანა პლანზე ინაცვლებს... აქ საქმე ეხება ყველა შემთხვევაში ერთიან მოთხოვნას, რომელიც, ამ ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება ცალკეულ მოთხოვნებად დაიყოს, არამედ ექვემდებარება მთლიანობაში შეფასებას... შეფასების დროს გასათვალისწინებელია: მძიმე დაზიანებები და მათგან გამოწვეული ტანჯვა, მათი განგრძობადობა და დაზიანებულის მიერ მათი აღქმა, აგრეთვე ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის ხარისხი... უმძიმესი დაზიანებების შემთხვევებში კომპენსირებადი არამატერიალური ხელყოფა შესაძლებელია პიროვნების განადგურება იყოს, ეს ზუსტად ის შემთხვევებია, როდესაც იგი აღქმისა და მგრძობელობის უნარის დაკარგვასთან არის დაკავშირებული (BGHZ, 120, 1: მეან-გინეკოლოგიის შეცდომის გამო ახალშობილმა მიიღო ტვინის მძიმე დაზიანება).“¹⁸⁹

10. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

სსკ-ის 394-ე I მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ხოლო სსკ-ის 408-ე I მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (აქვე კანონმდებელი

¹⁸⁶იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1156-1176-2011), <<http://goo.gl/t8OLWx>>, [01.01.16].

¹⁸⁷*კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 136.

¹⁸⁸იქვე.

¹⁸⁹*კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 136.

მიუთითებს ისეთ შემთხვევაზე, როდესაც სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთმევა ან შეუმცირდება შრომის უნარი, ანდა გაიზრდება მისი მოთხოვნილებები. ასეთ ვითარებაში დაზარალებულს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით უნდა აუნაზღაურდეს¹⁹⁰). ამასთანავე, სსკ-ის 317-ე I მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან წარმოიშობა.¹⁹¹ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შორის მთავარი განსხვავება არის ის, რომ „სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა ნებაყოფლობით, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულება ეკისრება კანონით“¹⁹² (სახელშეკრულებო ზიანი გულისხმობს იმგვარ ზიანს, რაც გამოწვეულია სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით; „დელიქტურ ვალდებულებებს და ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილ ვალდებულებებს ბევრი აქვთ საერთო... როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საუბარია მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან, მათ შორის არსებითი სხვაობაც არის: დელიქტური ვალდებულების დროს მხარეები თავიანთი უფლებებით და მოვალეობებით დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ მხოლოდ ზიანის მიყენების მომენტიდან; სახელშეკრულებო ვალდებულებათა შემთხვევაში კი მხარეები ურთიერთშორის დაკავშირებულნი არიან უფლებებით და მოვალეობებით ხელშეკრულების დადების მომენტიდან... კონტრაქტის

¹⁹⁰სსკ-ის 408-ე II მუხლი.

¹⁹¹ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების წარმოშობის საფუძველია და „კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის „კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძველს“, რომელიც მითითებულია სსკ-ის 317-ე I მუხლში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1333-1562-05), <<http://goo.gl/ERozxZ>>, [28.08.15].

¹⁹² თოღუა მ., ვილემსი პ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 81. პროფესორი დერნბურგი აღნიშნავს, რომ რომაელები ვალდებულებებს მათი წარმოშობის საფუძვლის მიხედვით ყოფდნენ ორ მთავარ ჯგუფად: *obligationes ex contractu* (ე.ი. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები) და *obligationes ex delicto* (ე.ი. დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულებები) და ეს დაყოფა მათ შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებებს ემყარებოდა (იხ. *Дернбург Г., Обязательственное Право, М., 1911, 14*). რომში ზიანის ანაზღაურების საკითხებში ზოგადი შინაარსის, საბაზო მნიშვნელობის აქტი იყო ე.წ. აკვილიუსის კანონი (იხ. *Покровский И.А., История Римского Права, М., 2002, <<http://goo.gl/8qPAgq>>, [16.02.14]*), რომელიც საგანგებოდ აწესრიგებდა ექიმის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხს: „თუ ექიმმა, რომელმაც შენი მონა გაჭრა (ოპერაცია გაუკეთა), მაგრამ შემდგომი მკურნალობა არ ჩაუტარებია, რის გამოც შენი მონა მოკვდა, მაშინ ექიმი დაუდევრობისთვის (*culpa*) პასუხს აგებს“ (IV,3,6). ბრალად ერაცხებოდა ექიმს უვიცობა (გამოუცდებლობა): „მაგალითად, თუ ექიმმა შენი მონა იმიტომ მოკლა, რომ მას ოპერაცია ცუდად გაუკეთა ან არასწორად უმკურნალა“ (IV,3,7) (რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ., 2002, 215). აკვილიუსის კანონი ზიანის მიყენებისთვის პირის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის მიყენება მოხდა განზრახი ან გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების შედეგად (IV,3,14) (იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ., 2002, 217).

ვალდებულება, ანაზღაუროს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი, წარმოადგენს თითქოსდა მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების გაგრძელებას“¹⁹³). ამასთან, „ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული წესები შეეხება ყველა შემთხვევას, სადაც დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. ამდენად, მნიშვნელობა არ აქვს, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა (თუკი ეს დადასტურებულია) უკავშირდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას თუ არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, როგორცაა დელიქტი.“¹⁹⁴ შესაბამისად, კანონმდებელი ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძვლებზე მიუთითებს სსკ-ის 1007-ე მუხლში („სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას... პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით“), რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ როდესაც წყდება თუ როდის და რა ფარგლებში აგოს პასუხი ზიანის მიმყენებელმა დაზარალებულის წინაშე, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების პრინციპები ამ დროს შეიძლება საერთო იყოს (თუმცა არსებობს გარკვეული თავისებურებები ორივე შემთხვევისთვის). უფრო ნათლად რომ განვმარტოთ, ხელშეკრულების დარღვევისას საქმე გვაქვს დარღვევასთან, რომელიც თავის მხრივ, „აგრეთვე წარმოადგენს თავისებურ დელიქტს და თავისი შემადგენლობით... არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა სამართალდარღვევისგან, რამდენადაც როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ირღვევა განსაზღვრული, კანონით დაცული უფლებები“¹⁹⁵ (ცხადია, ამ უფლებათა ხასიათი ერთგვაროვანი არ არის; ზოგჯერ შეიძლება დარღვეული იყოს აბსოლუტური, ზოგჯერ კი – რელატიური (ფარდობითი) უფლება¹⁹⁶).

სსკ-ის 412-ე მუხლში კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში წარმოიქმნება ანაზღაურებადი ზიანი. კერძოდ, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამგვარად, გარდა იმისა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქმედებას და დამდგარ საზიანო შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას, ზიანი აგრეთვე უნდა იყოს წინასწარ სავარაუდო. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას

¹⁹³ *Матвеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 46-47.

¹⁹⁴ *თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 129.

¹⁹⁵ *Матвеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 47.

¹⁹⁶ იქვე. სხვაობის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ორი შემთხვევა (1. საპნის მწარმოებელ ქარხანას და საწარმოს შორის დაიდო ხელშეკრულება ნედლეულის მიწოდების შესახებ. ამ უკანასკნელმა ვალდებულება არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. შედეგად, კონტრაქტის საწარმოო პროცესი ხანგრძლივად შეჩერდა და ქარხანამ მნიშვნელოვნად იზარალა; 2. დაშვებული სინქარის გადაჭარბებით მოძრავი ავტომობილი ველოსიპედისტს შეეჯახა და დააზიანა ველოსიპედი) და აღნიშნავს, რომ „როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დარღვეულია განსაზღვრული ქონებრივი უფლებები. მათ შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში დარღვეული აღმოჩნდა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფარდობითი უფლებები, მეორე შემთხვევაში კი – საკუთრების უფლებიდან გამომდინარე აბსოლუტური უფლებები.“ ავტორის სიტყვით, სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების რეგლამენტაცია ხორციელდება არა მარტო სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, არამედ, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობებით და სპეციალური კანონებით.

წარმოშობს არა სსკ-ის 408-ე–415-ე მუხლები, არამედ „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამომდინარეობს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) მოთხოვნის საფუძველებიდან“¹⁹⁷ (მაგ., სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილები, 161-ე მუხლი, 974-ე I მუხლი, 394-ე მუხლი, 992-ე მუხლი, 1006-ე მუხლი).

10.1. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

სსკ-ის 408-ე I მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება,¹⁹⁸ ხოლო სსკ-ის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.¹⁹⁹ ისმის კითხვა: სსკ-ის 408-ე I მუხლის და 409-ე მუხლის დანაწესი რა შედეგებს წარმოშობს სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე? ანალოგიური შინაარსის ნორმა მოცემული იყო 1923 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის²⁰⁰ 410-ე მუხლში,²⁰¹ რომლის თანახმად, წინანდელი მდგომარეობის აღდგენა უნდა განხორციელდეს არა მარტო მაშინ, როდესაც ზიანი მიაღება ნივთს, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიყენებული იქნება პირადი ზიანი: „უკეთუ დაზიანებულია ჯანმრთელობა, პასუხისმგებელმა პირმა უნდა მისცეს დაზარალებულს თავისი ჯანმრთელობის აღდგენის შესაძლებლობა, რისთვისაც უნდა

¹⁹⁷ *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 117.

¹⁹⁸ გსკ-ის 249-ე I მუხლის თანახმად, „პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.“ იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 131.

¹⁹⁹ გსკ-ის 251-ე I მუხლის თანახმად, „თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, ან იგი კრედიტორის ზიანის ასანაზღაურებლად საკმარისი არ არის, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა კრედიტორს ზიანი უნდა აუნაზღაუროს ფულადი სახით“; ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, „ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, კრედიტორს ზიანი აუნაზღაუროს ფულადი სახით, თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებით. დაზარალებული ცხოველის მკურნალობის შედეგად დამდგარი დანახარჯები არ ითვლება შეუსაბამოდ მაშინაც კი, როდესაც ისინი ცხოველის ღირებულებას მნიშვნელოვნად აღემატება“ (*კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 134).

²⁰⁰ სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1923 წლის 1 სექტემბრიდან და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის პანდექტურ სისტემაზე აგებული 1922 წლის 31 ოქტომბრის სამოქალაქო კოდექსის ქართულენოვან თარგმანს წარმოადგენდა (რომელიც თავის მხრივ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შეკვეცილი ვარიანტი იყო); მოქმედებდა 1965 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის შემოღებამდე.

²⁰¹ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 410-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ „ზიანის ანაზღაურება გამოიხატება წინანდელი მდგომარეობის აღდგენაში, ხოლო რამდენადაც ასეთი აღდგენა შეუძლებელია – მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ცვლილებითა და დამატებით 1925 წ. ნოემბრის 1-მდე), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1925).

გადაუხადოს მას მეურნალობაზე გაწეული ხარჯი.“²⁰² კოდექსის მოქმედების დროისთვის საკითხისადმი პრაქტიკული მიდგომა ნათლად იკვეთება 1939 წელს გამოქვეყნებულ, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ზიანის მიმყენებელი ვალდებულია, დაზარალებულს ზიანის მიყენების შედეგად ჯანმრთელობის გაუარესებით (დასახინჩრებით, ხეიბრობით) გამოწვეული ისეთი ხარჯი აუნაზღაუროს, რაც მის პირად მომსახურებაში (ამ სახის მომსახურების შინაურ პირობებში მიღება შეუძლებელია) გადაიხდება; დაზარალებულის ეს უფლება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 410-ე მუხლს ეფუძნება, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურება გამოიხატება წინანდელი მდგომარეობის აღდგენაში, ხოლო რამდენადაც ასეთი აღდგენა შეუძლებელია – მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში. სასამართლოს განმარტებით, ამ ტიპის ზარალში ჩაითვლება ზემოხსენებული პირადი მომსახურების ხარჯიც, რომელიც პირს არ გადახდებოდა, რომ არა ზიანის მიყენების ფაქტი.²⁰³

სსკ-ის 408-ე მუხლით (ისევე, როგორც 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 410-ე მუხლით) გათვალისწინებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს ის, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს „შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ ამა თუ იმ ქონების გადაცემა დაზარალებულისთვის... სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობა ყოველთვის ქონებრივი პასუხისმგებლობაა.“²⁰⁴ ამასთან, *პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა* გულისხმობს სამართალდარღვევის ქონებრივი შედეგების გადატანას პასუხისმგებელ პირზე.²⁰⁵

როგორც აღინიშნა, სსკ-ის 408-ე I მუხლს შეესაბამება გსკ-ის 249-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების ფორმისა და ფარგლების შესახებ. *კროპპოლერის* განმარტებით, 249-ე I მუხლში მოცემული ნორმა „გამოხატავს ზიანის ანაზღაურების სამართლის ძირითად პრინციპს – ნატურით ანაზღაურებას: დაზარალებულ პირს, ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უფლება აქვს, მოითხოვოს საწყისი მდგომარეობის აღდგენა იმისგან დამოუკიდებლად, დაზიანებულია მისი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე (მაგ., ერთი მხრივ, მეურნალობის ხარჯები დაზიანებისთვის და, მეორე მხრივ, პატივის შემლახველი გამონათქვამების შეწყვეტა... მაშასადამე, ძირითადი მიზანია დაზარალებული პირის თვითმყოფადობის (ხელშეუხებლობის) ინტერესის დაცვა (Integritätsinteresse – შენარჩუნების ინტერესი) და არა მხოლოდ სხვადასხვა ღირებულებითი ინტერესის დაცვა.“²⁰⁶ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ მართალია, დოქტრინასა და პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურებად უმეტესად ხელყოფილი სიკეთის ფულადი ანაზღაურება მოიაზრება, მაგრამ

²⁰² აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 423

²⁰³ იხ. კურნ. <<Советская Юстиция>>, №17-18, 1939, 68.

²⁰⁴ აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 423.

²⁰⁵ იქვე.

²⁰⁶ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 132.

„ასეთად უნდა განვიხილოთ მისი ნატურით ანაზღაურებაც... ზიანის ფულადი კომპენსაცია გამართლებულია იქ, სადაც შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია. ნატურით რესტიტუციაზე და ფულად კომპენსაციაზე კრედიტორის უფლება ალტერნატიულია.“²⁰⁷ მსჯელობს რა ფულადი ანაზღაურების გზით ზიანის ნატურით ანაზღაურების საკითხზე, *კროპპოლერი* აღნიშნავს, რომ გსკ-ის 249-ე II მუხლის პირველი წინადადება („თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა“) კრედიტორს არჩევანის უფლებას აძლევს, არ დაელოდოს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და თავად აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ოღონდ ზიანის მიმყენებლის ხარჯზე. ამასთან, ვინაიდან გსკ-ის 249-ე II მუხლის პირველი წინადადება „ზიანის ნატურით ანაზღაურების ერთგვარი სახეა, მოთხოვნის წინაპირობაა ის, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელი უნდა იყოს“; წინააღმდეგ შემთხვევაში, გსკ-ის მხოლოდ 251-ე I მუხლის შესაბამისად მოხდება კომპენსაციის დაკისრება (გსკ-ის 251-ე მუხლს შეესაბამება სსკ-ის 409-ე მუხლი), მაგრამ ნორმა, რომელიც კრედიტორს ნებას რთავს, განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით მოითხოვოს, არ მოქმედებს იმ შემთხვევებზე, როდესაც სახეზეა არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანი.²⁰⁸ არაქონებრივი ზიანის საკითხები წესრიგდება გსკ-ის 253-ე მუხლით²⁰⁹ (რომელსაც შეესაბამება სსკ-ის 413-ე მუხლი²¹⁰) და მასში მოცემული ნორმა ეხება მხოლოდ ასანაზღაურებელ ფულად კომპენსაციას (გსკ-ის 251-ე მუხლი) და არა ნატურით ანაზღაურებას (გსკ-ის 249-ე მუხლი).²¹¹ თუ გსკ-ის 253-ე I მუხლში მოცემულია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ძირითადი ცნება, 253-ე II მუხლში კი - „ყველა მნიშვნელოვანი გამონაკლისი შემთხვევა“,²¹² რა დროსაც პირი იძენს არამატერიალური ზიანის მოთხოვნის უფლებას. *კროპპოლერი* მიუთითებს, რომ გსკ-ის 253-ე მუხლის მეორე ნაწილით მასში დასახელებული სიკეთეების ხელყოფის შემთხვევისთვის (ე.ი. როდესაც სახეზეა სხეულისთვის, ჯანმრთელობისთვის, თავისუფლებისთვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისთვის მიყენებული ზიანი; აქვე ავტორი

²⁰⁷ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 452.

²⁰⁸ იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 134.

²⁰⁹ გსკ-ის 253-ე I მუხლის თანახმად, „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“; გსკ-ის 253-ე II მუხლის თანახმად, „თუ ანაზღაურებას ექვემდებარება სხეულისათვის, ჯანმრთელობისათვის, თავისუფლებისათვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებული ზიანი, მაშინ არაქონებრივი ზიანისათვისაც შესაძლებელია გონივრული ფულადი საზღაური იქნეს მოთხოვნილი.“

²¹⁰ სსკ-ის 413-ე I მუხლის თანახმად, „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“ სსკ-ის 413-ე II მუხლის თანახმად, „სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.“

²¹¹ იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 135.

²¹² იქვე, 136.

წერს: „მაგ., არ მოქმედებს საკუთრების ხელყოფის შემთხვევებში“²¹³) დადგენილია არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა. ამასთან, „ქმნის არა ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს, არამედ წინაპირობად ითვალისწინებს მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების კანონისმიერ ვალდებულებას,“²¹⁴ რომელიც მოცემულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ გსკ-ის 823-ე მუხლში (მასში არსებული დებულება „წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის სამართლის ძირითად ნორმას“²¹⁵). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა „უმნიშვნელო არაქონებრივი ზიანის შემთხვევებში... არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას“.²¹⁶

გსკ-ის 249-ე და სსკ-ის 408-ე I მუხლების, გსკ-ის 253-ე და სსკ-ის 413-ე მუხლების შინაარსობრივი თანხვედრის ფონზე მეტად საინტერესოა გსკ-ის 249-ე და 253-ე მუხლების ურთიერთმიმართების ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: *კროპპოლერის* განმარტებით, გსკ-ის 249-ე II მუხლის პირველი წინადადების („თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა“) თანახმად, როდესაც საქმე ეხება ნივთის დაზიანებას, ძირითადად დაზარალებული არჩევანში თავისუფალია, მიღებული თანხა მოახმაროს თუ არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. მაგრამ ვითარება იცვლება, როდესაც საქმე ეხება სხეულის დაზიანებას: „არ წარმოიშობა მოთხოვნის უფლება მაშინ, როდესაც დაზარალებული პირი ნაიარევის კორექტირებას არ გააკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ კორექტირების თანხების ანაზღაურებას ითხოვს (BGHZ, 97, 14).“²¹⁷ აღნიშნული მოსაზრების არგუმენტად სახელდება ის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა გსკ-ის 253-ე I მუხლი, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი საზღაურის მოთხოვნა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

სსკ-ის 408-ე II მუხლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა ის, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. პროფესორ *ზოიდიხ* განმარტებით, ის ფაქტი, რომ სსკ-ის 408-ე II მუხლში კანონმდებელი საგანგებოდ

²¹³ იქვე. აღნიშნულს ეხმიანება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 413-ე II მუხლით „არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე.“ წინააღმდეგ შემთხვევაში დასახელებული ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევებზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1156-1176-2011), <<http://goo.gl/t8OLWx>>, [01.01.16]).

²¹⁴ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სახწავლო კომენტარი), თბ., 2014, 136.

²¹⁵ იქვე, 626.

²¹⁶ იქვე.

²¹⁷ იქვე, 132.

ამახვილებს ყურადღებას სხეულის დაზიანების და ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევაზე, განპირობებულია ამ ფასეულობების განსაკუთრებული ადგილით უფლებათა იერარქიაში, ისინი წარმოადგენენ „ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს და სამართლებრივი დაცვის საგანგებო საგანს.“²¹⁸ შესაბამისად, მათი დაცვა და ზიანის ანაზღაურება „გარანტირებულია ყოველგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშე. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.“²¹⁹

იმ შემთხვევაში თუ ზიანი სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შედეგად დადგა, ზიანის ოდენობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფარგლებით უნდა განისაზღვროს. ზოგიერთ შემთხვევაში არასახელშეკრულებო ზიანი შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მომდინარეობდეს:²²⁰

„მხედველობაშია ზიანი, რომელიც რელატიური უფლების დარღვევის შედეგი კი არაა, არამედ აბსოლუტური უფლებისა.“²²¹ ამგვარად, „როდესაც ზიანი ადგება ერთდროულად სხვადასხვა უფლებას, როგორც რელატიურს, ისევე აბსოლუტურს, მაშინ უპირატესობა ენიჭება ამ უკანასკნელს, რადგანაც ასეთი ზიანის წინასწარ შეფასება შეუძლებელია და იგი დგინდება ხელყოფილი სიკეთის ფასეულობის მიხედვით.“²²²

პროფესორ *კროპპოლერის* სიტყვით, „თუ პაციენტი დებს ხელშეკრულებას ექიმთან კონსულტაციის ან მკურნალობის შესახებ, რომ ბავშვის დაბადება სრულად (მაგ. კონტრაცეპტივით) ან სხვა განსაზღვრული გარემოებების (მაგ., ბავშვის მძიმე ინვალიდობის) არსებობის დროს თავიდან იქნეს აცილებული და, მიუხედავად ამისა, ექიმის დაუდევრობით (არასასურველი) ბავშვი ჩნდება, არსებობს ერთიანი მიდგომა საკითხისადმი, რომ ამ შემთხვევაში, ბავშვი არასოდეს

²¹⁸ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 454.

²¹⁹ იქვე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურების საკითხს ეხებოდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით გათვალისწინებული ურთიერთობა ეხება მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურებას, „აღნიშნული ურთიერთობა წარმოადგენს ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას, რადგან დელიქტური ვალდებულებების დროს ხდება აბსოლუტური უფლებების ხელყოფა, კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი უფლებების, როგორცაა პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-442-721-05), <<http://goo.gl/ERozxZ>>, [28.08.15]).

²²⁰ მაგ., არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა მოიხსენიება სსკ-ის 742-ე II მუხლში („ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“) და სსკ-ის 696-ე მუხლში („არასახელშეკრულებო მოთხოვნები გადაზიდვებისას“).

²²¹ *თოდუა მ., ვიდეძის პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 46.

²²² იქვე.

ჩაითვლება ზიანად, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის ღირსების დაცვასთან.²²³

ამგვარად, თუ ექიმის „დაუდევრობით“ ე.წ. არასასურველი ბავშვი იბადება, ის ზიანად არასოდეს ჩაითვლება; ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი ყოველი სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისთვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს (იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავის 1-ლი პარაგრაფი („მართლწინააღმდეგობა“), ექიმს ვერ დაეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან მისი ქმედება ზიანის მომტან ქმედებად ვერ შეფასდება.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მშობლების მიერ ბავშვის რჩენის ვალდებულება შეიძლება შეფასდეს როგორც ქონებრივი ზიანი, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმს და პაციენტს (რომელსაც სურს ორსულობის შეწყვეტის გზით თავიდან აიცილოს სოციალური უმწეობა, ანუ ქალს არ შეუძლია ბავშვის რჩენა) შორის არსებობს ხელშეკრულება ორსულობის შეწყვეტის შესახებ და ექიმის შეცდომის შედეგად ბავშვი დაიბადება, მისი რჩენის ხარჯები ექიმს გადახდება (ვითარება შეიცვლება თუკი მოგვიანებით სოციალური უმწეობის ფაქტი აღმოიფხვრება). როდესაც საქმე გვაქვს ე.წ. სამედიცინო ინდიკატორთან, მაგ., ორსულობის შეწყვეტას დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა განაპირობებს, სახელშეკრულებო დაცვის მიზანი შელახულად ჩაითვლება თუ არსებობს ქალის „ფსიქიკური დატვირთვის საშიშროება ინვალიდი ბავშვის რჩენის გამო.“²²⁴

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, „არასასურველი ჩასახვისა და დაბადებისათვის სარჩელებში ექიმის ბრალეული მოქმედებით ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება ან/და მოსარჩელის პიროვნული უფლებების, რეპროდუქციის უფლების დარღვევა მართლსაწინააღმდეგოდ უნდა შეფასდეს“;²²⁵ ხოლო „ჩასახვა, თუნდაც დაუგეგმავი, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებად არ შეიძლება შეფასდეს, თუკი ამან განსაკუთრებული გართულება არ გამოიწვია. ამდენად, სსკ-ის 1007-ე მუხლით დადგენილი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების სპეციალური ნორმა ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ვინაიდან სსკ... რეპროდუქციის უფლებათა ხელყოფას სპეციალურ დელიქტად არ გამოყოფს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა, შესაძლოა, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ გენერალურ დელიქტს დაეფუძნოს.“²²⁶

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსკ-ის 408-ე I მუხლით გათვალისწინებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ

²²³ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 136.

²²⁴ იქვე, 119.

²²⁵ გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 129.

²²⁶ იქვე, 133.

გადაწყვეტილებაში²²⁷ საკასაციო პალატამ განმარტა: „დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სარჩოს ოდენობის სწორად დადგენა, რათა გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის შესაბამისი ოდენობის სარჩოს გადახდით მიღწეულ იქნეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანი.“

10.2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან წინასწარ გათავისუფლება

სსკ-ის 395-ე II მუხლი დაუშვებლად აცხადებს მხარეთა წინასწარ შეთანხმებას მოვალის მიერ განზრახვი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისგან მისი გათავისუფლების შესახებ²²⁸ (ასევე, გსკ-ის 276-ე III მუხლის თანახმად, მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს განზრახვისათვის პასუხისმგებლობისაგან), მაგრამ სსკ-ის 410-ე მუხლით კანონმდებელი უშვებს ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

სსკ-ის 410-ე მუხლი 2009 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე²²⁹ დაუშვებლად ცნობდა ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმას წინასწარი შეთანხმებით (410-ე მუხლის ანალოგი გსკ-ში არ მოიპოვება). სსკ-ის სარედაქციო კომისიის წევრი, პროფესორი *ზოიძე* 410-ე მუხლის კომენტარში აღნიშნავს, რომ სსკ-ის 395-ე და 410-ე მუხლების „დანაწესებს შორის ერთგვარი წინააღმდეგობაც შეიმჩნევა... როგორც ჩანს, 395-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა უნდა განვიხილოთ სპეციალურ შემთხვევად, რომელშიაც წინასწარი შეთანხმება ეხება მხოლოდ ბრალეულობის საკითხს.“²³⁰ თუ 2009 წელს 410-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებამდე სსკ-ის 395-ე და 410-ე მუხლებს შორის წინააღმდეგობა შეინიშნებოდა, ცვლილების შემდეგ ეს წინააღმდეგობა მაინც არ აღმოფხვრილა. ამგვარად, სსკ-ის 410-ე მუხლი საჭიროებს ცვლილებას, სსკ-ის 395-ე მუხლში მოცემულ ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმებით კანონმდებელი დაუშვებლად ცნობს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინასწარ გამორიცხვას ან შეზღუდვას იმ შემთხვევებისთვის, როდესაც საქმე ეხება მომეტებული საფრთხის წყაროთი პირისთვის მიყენებულ ზიანს (სსკ-ის 999-ე, მე-1000, 1002-ე

²²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-378-367(კ-13), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15].

²²⁸ სსკ-ის 395-ე II მუხლი.

²²⁹ იხ. 2009 წლის 4 დეკემბრის საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, №2284, სსმ I, №45, 21.12.2009.

²³⁰ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 459.

მუხლები). მსგავსი აკრძალვა არ გვხვდება სსკ-ის 1007-ე მუხლში და თანაც, მასში მოცემულია მითითება ზიანის ანაზღაურების საერთო საფუძვლების შესახებ. აქ შეიძლება პრობლემატური გახდეს სსკ-ის 1007-ე და ამავე კოდექსის 410-ე მუხლებს შორის მიმართება. 1007-ე მუხლთან დაკავშირებით არ გვხვდება კანონმდებლის ისეთი მითითება, რაც სსკ-ის 999-ე და მე-1000 მუხლებთან დაკავშირებით არის მოცემული სსკ-ის 1002-ე მუხლში („999-ე და მე-1000 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ეხება პირისათვის მიყენებულ ზიანს, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს“ - სსკ-ის 1002-ე მუხლის პირველი წინადადება).²³¹

აღნიშნული მსჯელობის ფონზე, წინამდებარე ნაშრომში კეთდება ცალსახა დასკვნა, რომ პირის ჯანმრთელობისთვის სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ზიანის მიყენების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვა ან შეზღუდვა დაუშვებელია, რადგან საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობის აბსოლუტურ უფლებას.

11. დაზარალებულის ბრალის მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას

ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ბრალს ზიანის დადგომაში. თუ გამოიკვეთება დაზარალებულის ბრალი (დადგინდება, რომ დაზარალებულმა ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო ²³²), მოპასუხე

²³¹ საკითხი უკავშირდება სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოების და მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის კონტროლს (იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავის მე-6 პარაგრაფი („სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოება. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის კონტროლი“). რადიოფარმპრეპარატების იდენტიფიკაციაზე, დოზის გათვლაზე, შინაგანი დასხივების დოზიმეტრიასა და პერსონალის, პაციენტის ოჯახის, მოსახლეობის რადიაციულ დაცვაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია რადიოიზოტოპური ლაბორატორიების მოწყობისა და მედიცინაში ღია რადიოფარმპრეპარატების გამოყენების წესების და ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 II მუხლით (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №438 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „რადიოიზოტოპური ლაბორატორიების მოწყობისა და მედიცინაში ღია რადიოფარმპრეპარატების გამოყენების წესები და ნორმები“ დამტკიცების შესახებ, სსმ, ვებგვერდი, 10.01.2014, <<https://goo.gl/gHgtm>>, [21.08.15]).

²³² შედარებითსამართლებრივი კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა აღნიშნულ საკითხზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბებული მიდგომა, რაც მრავალრიცხოვან სასამართლო გადაწყვეტილებებშია ასახული. მათ შორის არის შემთხვევები, როცა საქმე გვაქვს პაციენტის ისეთ გაუფრთხილებელ ქმედებასთან, რომელიც შესაძლოა ხელშემწყობი ფაქტორი იყო მოგვიანებით დამდგარი ზიანისთვის: *Jensen v. Archbishop Bergan Mercy Hosp.*, 236 Neb.1, (1990), <<https://goo.gl/HGDZ4O>>, [17.08.16] (პულმონარული ემბოლიით (ფილტვის ემბოლია, ანუ დახშობა) დაავადებულმა პაციენტმა უგულვებელყო ექიმის რეკომენდაცია. საბოლოო ჯამში, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის (სამედიცინო მომსახურების გამწვევის) ქმედება არ ყოფილა პაციენტის გარდაცვალების უშუალო მიზეზი). პაციენტის გაუფრთხილებლობა ზოგ შემთხვევაში საპატიოდ არ ხდის ექიმ-სტომატოლოგის გაუფრთხილებლობას, რომელსაც შედეგად ორგანიზმში ინფექციის შეჭრა მოჰყვა: *LaRoche v. United States*, 730 F.2d 538, 539 (1984), <<https://goo.gl/A7uWgE>>, [17.08.16]; და საქმეები, სადაც პაციენტის გაუფრთხილებელ ქმედებას წინ უსწრებდა სამედიცინო მომსახურების ისეთი ქმედება, რომელმაც წარმოშვა ზიანი: *Cox v. Lesko* 263 Kan. 805, (1998), <<https://goo.gl/Kd6wBI>>.

მხარეზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტორი, თუ „უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული“ (სსკ-ის 415-ე I მუხლი). დაზარალებულის ბრალი შეიძლება გამოიხატოს მის უმოქმედობაში (იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც დაზარალებულს ვეალებოდა და შეეძლო კიდევ, თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა ზიანი) (სსკ-ის 415-ე II მუხლი). ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა სსკ-ის 415-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე მხარე (სამედიცინო დაწესებულება) სრულად გათავისუფლდეს პაციენტისთვის ზიანის ანაზღაურების დელიქტური ვალდებულებისგან თუ საქმე ეხება სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას? ამ კითხვაზე პასუხი დადებითად უნდა იქნეს გაცემული. თუ დამდგარ ზიანს და ქმედებას შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ეს ქმნის მოპასუხის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს, ხოლო თუ ზიანი ერთდროულად განაპირობა როგორც მოპასუხე, ისე დაზარალებული მხარის ქმედებამ, ზიანზე პასუხისმგებლობის ტვირთი შესაბამისად განაწილდება მხარეთა შორის, თითოეული მათგანის ბრალის ხარისხის შესაბამისად. ამასთან, დაზარალებულის ბრალი შეიძლება მდგომარეობდეს მის უმოქმედობაში, რაც გამოიხატება იმ აუცილებელი ქმედების განუხორციელებლობაში, რომელიც ხელს შეუწყობდა ზიანის პრევენციას ან მისი შედეგების შერბილებას (მიტიგაციას) (მაგ., დაზარალებულმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება).²³³ ამგვარად, სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას, 415-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად, დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში გაველენას ახდენს სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოცულობაზე. სრული რეპარაციის (გერ. *Totalreparation*) შეზღუდვის შემთხვევები (რა დროსაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გადანაწილდება მის გამომწვევ პირებზე) გათვალისწინებულია გსკ-ის 254-ე მუხლით. *კროპპოლერის* განმარტებით, „თუ დაზარალებულის ბრალეულობა გადაწონის ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობას, შესაძლებელია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მთლიანად გამოირიცხოს“ და მოცემულ შემთხვევაში „თანაბრალეულობა გაგებულ უნდა იქნეს მოვალეობის დარღვევად (საკუთარი გაცნობიერებული ინტერესის დარღვევა), ვინაიდან მართლწესრიგი არ იცნობს თვითდაზიანების აკრძალვას და, აქედან გამომდინარე, არც (ბრალეულად დარღვეული) გულმოდგინეობის

[17.08.16] (სასამართლომ უარყო მოსარჩელის პოზიცია, რომლის თანახმად, თუ პაციენტმა ექიმის მითითებებს არ მისდია, მხოლოდ იმის საფუძველს ქმნის, რომ შემცირდეს სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ ანაზღაურებელი ზიანის ოდენობა). ასევე, იხ. *Yehuda A.*, *Comparative Negligence and Mitigation of Damages: Two Sister-Doctrines in Search of Reunion*, 2012, <<https://goo.gl/zKwIDO>>, [18.09.16]; *Ackerman L.J.*, *The Doctrine of Avoidable Consequences in Disability Insurance*, “University of Newark Law Review”, Vol. IV, №1, 1938, <<https://goo.gl/bvKF1T>>, [19.09.16]; *Watson H.T.*, *Federal Health Care Law May Reduce or Eliminate Future Medical Expense Tort Damages*, “Medical Malpractice”, Vol. 28, №12, September, 2011, <<https://goo.gl/BGPBwZ>>, [19.09.16].

²³³ იხ. *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 443.

ვალდებულება არსებობს მესამე პირის ან საზოგადოების წინაშე.“²³⁴ ავტორის მითითებით, თანაბრალეულობის დადგენისას ჯერ შეფასდება დაზარალებულის წვლილი ზიანის გამოწვევაში, შემდეგ დადგინდება ორივე მხარის ბრალეულობის ხარისხი, რა დროსაც, თანაბრალეულობის შერაცხვის წინაპირობაა დაზარალებულის ბრალეულობაუნარიანობა.²³⁵

დაზარალებულის ბრალს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსკ-ის 1006-ე მუხლით („ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას“) გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას. ისმის კითხვა, იმ შემთხვევაში თუკი ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც (სსკ-ის 415-ე მუხლი), ზიანის მიმყენებლისთვის (სამედიცინო დაწესებულებისთვის, სსკ-ის 1007-ე მუხლი) სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ არა სსკ-ის 415-ე I მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ გსკ-ის 844-ე მუხლის („მესამე პირთა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებები მკვლელობის შემთხვევაში“) შემთხვევაში მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი მიუძღვის დაზარალებულს, მაშინ მესამე პირის მოთხოვნის უფლების მიმართ გამოიყენება 254-ე მუხლის („თანაბრალეულობა“) ნორმები (მაშასადამე, დგება სრული რეპარაციის შეზღუდვის საკითხი). ანალოგიურად, იმ შემთხვევაში თუკი დადგინდება, რომ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც (სსკ-ის 415-ე მუხლი), ზიანის მიმყენებლისთვის (სამედიცინო დაწესებულებისთვის, სსკ-ის 1007-ე მუხლი) სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსკ-ის 415-ე I მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

12. დაზარალებულის თანხმობის მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას

სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა თუ სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი. ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს გამორიცხავს დაზარალებულის თანხმობა. დაზარალებულის თანხმობა ზიანის მიყენების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს თუკი თავად ასეთი თანხმობა არ არის მართლსაწინააღმდეგო. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, ტერმინ „დაზარალებულის თანხმობას“ ახასიათებს პირობითობა და მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ჩანაცვლება ტერმინით „პირის თანხმობა საკუთარი ინტერესისათვის ზიანის მიყენებაზე“, ვინაიდან თანხმობის

²³⁴ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 136.

²³⁵ იქვე, 137-138.

არსებობა გამორიცხავს დაზარალებულის არსებობასაც.²³⁶ დაზარალებულის თანხმობა მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს ისეთ შემთხვევაში, როდესაც დარღვეული უფლება „დაზარალებულის თავისუფალ განკარგულებაში იმყოფება.“²³⁷

დაზარალებულის თანხმობის ინსტიტუტი მჭიდრო კავშირშია ისეთ საკითხებთან, როგორც არის პაციენტის ევთანაზია, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა და იძულებითი სტერილიზაცია.²³⁸

დაზარალებულის თანხმობა ნამდვილია იმ შემთხვევაში თუ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელსაც კანონი გარიგების ნამდვილობისთვის ითვალისწინებს. თანხმობა მხარის მიერ არ უნდა იქნეს განცხადებული კანონსწინააღმდეგო მიზნით, კანონისთვის გვერდის ავლით; თანხმობას იურიდიული ძალა ექნება თუ თანხმობის გამცემი პირი ქმედუნარიანია ან თანხმობას აცხადებს პირის კანონიერი წარმომადგენელი; თანხმობა არ უნდა შეიცავდეს ნების ნაკლს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით. თუკი დაზარალებული პირის მიერ განცხადებული თანხმობა ჩამოთვლილ პირობებს არ აკმაყოფილებს, ის ბათილია (არარა ან საცილო).²³⁹

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში *ევთანაზია*²⁴⁰ განიმარტება, როგორც „უკუზღებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე თხოვნით“ (მე-3 „ვ“ მუხლი). ამავე კანონის თანახმად, სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება (151-ე მუხლი). გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის

²³⁶ იხ. *ლეკვეიშვილი მ.*, დაზარალებულის თანხმობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 176, <<http://goo.gl/moKjNP>>, [12.01.16].

²³⁷ *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 413.

²³⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იძულებით სტერილიზაციას წამების ერთ-ერთ ფორმად განიხილავს. ორგანიზაციის 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ იძულებითი სტერილიზაცია წარმოადგენს ძალადობის აქტს, სოციალური კონტროლის ფორმას და და გულისხმობს წამების, სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან ან სასჯელისგან დაცვის უფლების დარღვევას. ამასთან, „სახელმწიფო მოხელეთა მიერ იძულებითი აბორტის ან სტერილიზაციის განხორციელება ოჯახის დაგვემვის ძალდატანებითი კანონმდებლობის საფუძველზე ან იძულებითი აბორტის ან სტერილიზაციის პოლიტიკის განხორციელება, წამებას უთანაბრდება“ (UN Human Rights Council, Promotion and Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, Including the Right to Development: Report of the Special Rapporteur on Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, *Juan E. Méndez*, 1 February 2013, 11, <<http://goo.gl/sSf8xR>>, [12.08.15]). ასევე, იხ. ავსტრიაში ექიმის მიერ განხორციელებული სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა სტერილიზაციისა და წინადაცემის სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტების შესახებ ნაშრომი: *Leischner A., Zeinhofner C., Lindner C., Kopetzki C.*, Medical Law in Austria, 2011, 125-127, <<http://goo.gl/ias9rx>>, [24.08.15]. სტერილიზაციის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავის 3.3-ე პარაგრაფი.

²³⁹ *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946.

²⁴⁰ იხ. *Keown J.*, European Court of Human Rights: Death in Strasbourg – Assisted Suicide, the Pretty Case, and the European Convention on Human Rights, “International Journal of Constitutional Law”, №1 (4), 2003, 722-730, <<http://goo.gl/sy0mCc>>, [02.03.16].

კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი მკვლევლობისთვის, რომელიც ჩადენილია მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით (110-ე მუხლი).²⁴¹ ასეთ შემთხვევაში მართალია, სახეზეა დაზარალებულის (პაციენტის) მიერ განცხადებული ნება, მაგრამ ეს ზიანის მიყენების მართლწინააღმდეგობას არ გამოორიციხავს, რამდენადაც საქმე გვაქვს კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებასთან.²⁴²

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ქალს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ. ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას (139-ე II „ა“ მუხლი).²⁴³ ამ წესის დარღვევა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით, უკანონო აბორტისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.²⁴⁴ როგორც წესი, აბორტი ანუ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, ე.ი. დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნა, ორსული ქალის თანხმობით ხორციელდება, მაგრამ „მისი თანხმობის გარეშე მუცლის მოშლა შესაძლებელია უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში, რაც ქალის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს და გამოორიციხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას.“²⁴⁵

სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ისეთი შემთხვევა, როდესაც პაციენტს და სამედიცინო დაწესებულებას შორის არსებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება

²⁴¹ იხ. *დეკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 52-55.

²⁴² აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ფონზე საინტერესოა კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ლეგალურად იქნა აღიარებული სამედიცინო დახმარება პირისთვის, რომელსაც სიკვდილი სურს (ინგ. “Physician-Assisted Dying” (PAD). იხ. *Carter v. Canada*, 2015 SCC 5, (2015), <<https://goo.gl/j05WpI>>, [19.09.16]. აგრეთვე, იხ. *Gallagher R.*, Physician-Assisted Suicide and Euthanasia: Introduction, 2015, <<https://goo.gl/lbypVi>>, [19.09.16]; *Anderson Ryan T.*, Always Care, Never Kill: How Physician-Assisted Suicide Endangers the Weak, Corrupts Medicine, Compromises the Family, and Violates Human Dignity and Equality, 2015, <<https://goo.gl/AHe6kn>>, [19.09.16].

²⁴³ თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით, რომელთა ჩამონათვალი დგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 140-ე II მუხლი).

²⁴⁴ აბორტის მხარდაჭერის, დედის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის, უფლებათა ლოგიკური სტრუქტურის, ზოგადად უფლების ცნების ინტერპრეტაციის, სიცოცხლის უფლების, საკუთარ სხეულზე გადაწყვეტილების მიღების უფლების და აბორტის მხარდაჭერის საწინააღმდეგო მოსაზრების შესახებ იხ. *თომსონი ჯ.ჯ.*, აბორტის მხარდაჭერა; *ფინისი ჯ.*, აბორტის დადებითი და უარყოფითი მხარეები: პასუხი ჯუდით თომსონს. გამოცემაში: სამართლის ფილოსოფია (რედ., *დვორკინი რ.მ.*), თბ., 2010, 131-150; 151-180.

²⁴⁵ *თომსონი ჯ.ჯ.*, აბორტის მხარდაჭერა; *ფინისი ჯ.*, აბორტის დადებითი და უარყოფითი მხარეები: პასუხი ჯუდით თომსონს. გამოცემაში: სამართლის ფილოსოფია (რედ., *დვორკინი რ.მ.*), თბ., 2010, 152.

ითვალისწინებს რინოპლასტიკას. როგორ უნდა გადაწყდეს სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობის საკითხი თუ პაციენტი ოპერაციის შედეგით უკმაყოფილო დარჩა? იქნება თუ არა ექიმის ქმედებაში პაციენტის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების შემადგენლობა (სახის წარუშლელი დამახინჯება)? აღნიშნულ შემთხვევაში სისხლის სამართლის მეცნიერება მიუთითებს სამედიცინო წესების დაცვის ფაქტორზე. კერძოდ, თუ სასამართლომ გამოარკვია, რომ ოპერაცია ჩატარებულია სწორად, სამედიცინო წესების დაცვით, ექიმს არ ჰქონია პაციენტის სახის დამახინჯების განზრახვა, მაშინ ექიმი, მიუხედავად იმისა, კმაყოფილია თუ არა პაციენტი ოპერაციის შედეგით, პასუხს არ აგებს მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, ვინაიდან საქმე გვაქვს დაზარალებულის თანხმობასთან.²⁴⁶

13. დელიქტში თანამონაწილეები და ჩართული პირები. სოლიდარული პასუხისმგებლობა

სსკ-ით დადგენილია სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (998-ე I მუხლი). ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ზიანის უშუალო მიმყენებელი დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ის პირი, რომელმაც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა (998-ე II მუხლი). სოლიდარული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც. დელიქტით მიყენებული ზიანისთვის სოლიდარული პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ისეთ ვითარებაში, როდესაც ზიანი მიყენებულია ორი ან მეტი პირის მიერ და პასუხისმგებლობა შეუძლებელია დაიყოს თითოეული მათგანის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ეკვივალენტურ ნაწილებად. იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი ზიანის მიმყენებელი სუბიექტის მიერ მიყენებული ზიანი მაინც შეიძლება გამოიყოს მიყენებული ზიანის მთლიანი მოცულობიდან, პასუხისმგებლობა დადგება მიყენებული ზიანის შესაბამისად.²⁴⁷ დელიქტში თანამონაწილეები (*ე.ი. პირები, რომლებმაც ზიანი მიაყენეს ერთობლივად ჩადენილი დელიქტის შედეგად*), მონაწილეები (*რომელთაგან შეუძლებელია გამოიყოს პირი, რომელმაც უშუალოდ მიაყენა ზიანი თავისი ქმედების შედეგად*) და თანამონაწილეები (*ე.ი. წამქეზებლები და დამხმარე პირები, რომლებიც დელიქტში თანამონაწილეებს უთანაბრდებიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამონაწილეობის, წამქეზებლად და დამხმარე პირად მიჩნევის საკითხი წყდება სისხლის სამართლის კანონში შემუშავებული პრინციპის შესაბამისად*²⁴⁸), სსკ-ის 998-ე, 463-ე („სოლიდარული ვალდებულება“) და 465-ე („კრედიტორის უფლება, მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი მოვალისაგან“) მუხლების შესაბამისად, პასუხს

²⁴⁶ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008, 227.

²⁴⁷ იხ. *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 441.

²⁴⁸ იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 652. აგრეთვე, იხ. გსკ-ის 830-ე მუხლი („დელიქტში თანამონაწილეები და ჩართული პირები“).

აგებენ სოლიდარულად.²⁴⁹ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 998-ე მუხლში მოცემული ნორმის საფუძველზე დანაშაულით მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირები, როგორც სოლიდარული მოვალეები. თანამონაწილეობის ფორმები განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით.²⁵⁰

14. რეგრესის უფლება

როგორც წესი, ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ძალით პასუხისმგებელ პირს ეკისრება მის მიერ ან იმ პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლისთვისაც ის პასუხს აგებს.²⁵¹ მაგ., პირის მკურნალობისას მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს სამედიცინო დაწესებულებამ (სსკ-ის 1007-ე მუხლი). საწარმო (ორგანიზაცია და სხვა) ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიაღება მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას (სსკ-ის 997-ე მუხლი). მას შემდეგ, რაც პირი აანაზღაურებს მესამე პირისთვის მუშაკის მიერ მიყენებულ ზიანს, იძენს რეგრესის უფლებას ანუ უფლებამოსილია, ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხის ოდენობით, უკუმოთხოვნა წაუყენოს იმ პირს, რომლის ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) ზიანი მიაღება მესამე პირს.

რეგრესის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია პირის (სამედიცინო დაწესებულების) მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესრულებაზე. სწორედ ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ იძენს ის რეგრესის უფლებას ზიანის მიმყენებელი პირის წინაშე. მართალია, რეგრესული ვალდებულება დამოუკიდებელი, სრულიად ახალი ვალდებულებაა, მაგრამ თავდაპირველ ვალდებულებას და რეგრესულ ვალდებულებას შორის მაინც არსებობს მჭიდრო კავშირი. კერძოდ, რეგრესულ ვალდებულებებთან მიმართებაში ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, რაც მესამე პირის წინაშე შესრულდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

15. დელიქტური ზიანის დაზღვევა

სამართალდარღვევით (დელიქტით) წარმოშობილი ვალდებულება მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, მოქცეულია სამართალდარღვევების ზოგადი პრევენციის ღონისძიებათა სისტემაში და უახლოვდება ისეთ იურიდიულ ინსტიტუტს, როგორც არის დაზღვევა, რომლის მიზანია დაზარალებულის უზრუნველყოფა „არა ზიანის დადგომისაგან, არამედ,

²⁴⁹ იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 651.

²⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-937-880-2012), <<http://goo.gl/Z3rZnw>>, [06.05.16].

²⁵¹ იხ. *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 407.

ზიანის მიყენების ვალაუვალობისაგან.“²⁵² ამგვარი სიახლოვე გახდა მიზეზი იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბდა აზრი, თითქოსდა ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულება დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სუროგატი იყოს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ზოგი ავტორი ვარაუდობდა, რომ „ამ თვალსაზრისით დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის შეფარდების არეს გაფართოება თანდათან განდევნის ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა ინსტიტუტს.“²⁵³

ათწლეულების მანძილზე, მეცნიერების ცდა, ბრალის პრინციპი შეუსაბამონ იმ ნორმებს, რომლითაც დადგენილია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, მათ შორის, ზიანის (გაუფრთხილებლობით) მიყენების შემთხვევაში, დღემდე წარუმატებელია. *ბრატუსი* აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ავტორი დაუშვებლად მიიჩნევს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტის აღიარებას. მათი მტკიცებით (მაგ., მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში), საქმე გვაქვს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ისეთ სახესთან, რომელიც გარკვეულწილად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის პასუხისმგებლობის იდენტურია.²⁵⁴

15.1. პასუხისმგებლობის დაზღვევა

დელიქტური ვალდებულებები მჭიდროდ უკავშირდება დაზღვევის ინსტიტუტს, რომლის მეშვეობით ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს (მაგ., სამედიცინო დაწესებულებას) შეუძლია აირიდოს ის ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე ტვირთი, რაც ზოგადად დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ახლავს.

დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის²⁵⁵ თანახმად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კანონი გამოყოფს დაზღვევის შემდეგ სახეებს: *პირადი* (დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან), *ქონების* (დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან) და *პასუხისმგებლობის* (დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან) დაზღვევა (მე-4 მუხლი).

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში შეიძლება შეიქმნას ფონდი მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისთვის, სამედიცინო პერსონალის შენატანების და

²⁵² აგარკოვი მ.მ., *ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 409.

²⁵³ იქვე.

²⁵⁴ იხ. *Рахмилович В.А.*, О Противоправности как Основании Гражданской Ответственности, “Сов. государство и право”, №3, 1964, 62. მითითებულია: *Братусь С.Н.*, Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, 163, მე-6 სქოლიო, <<http://goo.gl/BWMH4>>, [11.04.15].

²⁵⁵ პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31.05.1997.

კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებისგან (58-ე II მუხლი). ფონდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება გულისხმობს დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში, განზრახვის გარეშე დაშვებული შეცდომების შედეგად მესამე პირების მიმართ დამდგარი ზიანის დაზღვევას.²⁵⁶ სადაზღვევო ორგანიზაციები აზღვევენ შემთხვევებს, რომლის შედეგად ზიანი მიადგა მესამე პირს. კერძოდ, ანაზღაურებას ექვემდებარება არასწორი დიაგნოზის დასმისას, პაციენტის მკურნალობის, ქირურგიული ოპერაციების ჩატარების, სამედიცინო მანიპულაციების, სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის და პაციენტის სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით ტრანსპორტირების დროს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები.²⁵⁷

საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებულ სადაზღვევო პაკეტში პაციენტის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ისეთი შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო აპარატურის ექსპლუატაციის, უსაფრთხოების წესების დარღვევით, პირდაპირ არ მოიხსენიება. როგორც აღინიშნა, ობიექტური შერაცხვის საკითხის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმოქმედობის შერაცხვის და იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამოწვეულია ზიანი (სამედიცინო აპარატურიდან შეიძლება სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა მიღება; მათ შორის არის რადიაციული დასხივება, რაც რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების პროცესში რადიაციული უსაფრთხოების სისტემის არასათანადო უზრუნველყოფაზე მეტყველებს²⁵⁸). ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას შეფასებას ექვემდებარება ისეთი გარემოებები, როგორც არის ნივთიდან მომდინარე საფრთხისგან დაცვის ვალდებულება, ექსპლუატაციის წესების დაცვის და პროფესიული ხასიათის უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებიც ექიმებისთვის არის დადგენილი (შესაბამისი სერვისის მიმწოდებლები უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის პირობებს).²⁵⁹

საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი უფლებამოსილია დააზღვიოს პროფესიული შეცდომა, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი მიადგა (97-ე მუხლი).

²⁵⁶ აღნიშნული დაზღვევით იფარება ისეთი პროფესიის მქონე პირთა პასუხისმგებლობა, როგორც არის ექიმი, იურისტი, არქიტექტორი და ა.შ. მაგ., იხ. პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადაზღვევო კომპანია „უნისონი“, <<http://goo.gl/7WuhGN>>, [15.09.15].

²⁵⁷ იხ. ექიმის პასუხისმგებლობა, რა შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას („ჯი.პი.აი. პოლდინგი, ვენის სადაზღვევო ჯგუფი“), <<https://goo.gl/xZ63SH>>, [17.09.15].

²⁵⁸ იხ. *გერულავა თ., თორთლაძე ი.*, რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემები საქართველოში, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, №2, 2015, <<http://goo.gl/aYaCzV>>, [19.09.15].

²⁵⁹ იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 639.

პროფესორ *ბონარის* განმარტებით, „არსებობს დაზღვევათა ტრადიციული დაყოფა ზიანის დაზღვევად და პირად დაზღვევად.“²⁶⁰ *ზიანის დაზღვევა* აერთიანებს ორი სახის დაზღვევას, *ქონების დაზღვევას*²⁶¹ და *პასუხისმგებლობის დაზღვევას* (რომლის მიზანია დაზღვეულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება; პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, ფაქტობრივად, „მზღვეველი... იხდის დაზღვეულის ვალებს, რომლებიც მისი პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს... მას შემდეგ, რაც ქონების მზღვეველი თავის დაზღვეულს აუნაზღაურებს მისთვის მიყენებულ ზიანს, მას უჩნდება რეგრესული მოთხოვნის უფლება, ანუ იგი ჩაენაცვლება ამ უკანასკნელს უფლებებსა და მოვალეობებში“²⁶²).

პირად დაზღვევაზე²⁶³ დაზღვევის გადაჭარბების პრინციპი არ ვრცელდება: „ერთსა და იმავე პირს შეუძლია დადოს სიცოცხლის დაზღვევის რამდენიმე ხელშეკრულება და თავისუფლად განსაზღვროს თითოეულის სადაზღვევო თანხა.“²⁶⁴ განსახილველ საკითხს ეხმიანება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულ პირს წარმოეშობა ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუმცა მზღვეველს არა აქვს უფლება გასცეს სადაზღვევო საზღაური და შემდგომ ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს ეს თანხა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე.“²⁶⁵

სამედიცინო დაწესებულების მიერ ზიანის ანაზღაურების დელიქტური ვალდებულება შეიძლება დადგეს არა მხოლოდ სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არამედ სსკ-ით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევებისას, როგორც არის, მაგ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღარი ზიანის ანაზღაურება (იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო დაწესებულების კუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით პაციენტის ტრანსპორტირების დროს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება პაციენტის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება სსკ-ის 999-ე მუხლის შესაბამისად), პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული

²⁶⁰ *ბონარი ჯ.*, სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003, 9.

²⁶¹ ამ ტიპის დაზღვევის საგანია დაზღვეული სუბიექტის ზიანის ანაზღაურება, რაც უკავშირდება მისი კუთვნილი ქონებიდან რაიმე ნაწილის ან მთლიანი ქონების განადგურებასთან, დაზიანებასთან, დაკარგვასთან. ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს, მაგ., ისეთი მოვლენებით, როგორც არის ხანძარი, ქურდობა, ბუნებრივი კატასტროფები (იხ. *ბონარი ჯ.*, სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003, 10).

²⁶² სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003, 11.

²⁶³ გულისხმობს ისეთი რისკის დაზღვევას, რომელიც დაკავშირებულია არა დაზღვეულის ქონებასთან (ზიანის დაზღვევა), არამედ მის სიცოცხლესთან. პირადი დაზღვევის სახეებია დაზღვევა სხეულის დაზიანების წინააღმდეგ, ჯანმრთელობის დაზღვევა (ანუ დაზღვევა ავადმყოფობის შემთხვევისთვის) და სიცოცხლის დაზღვევა.

²⁶⁴ *ბონარი ჯ.*, სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003, 15.

²⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-663-624-2011), <<http://goo.gl/SgeCsx>>, [28.08.15].

საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (სსკ-ის მე-1000 მუხლი), შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანისთვის (სსკ-ის 1004-ე მუხლი) ²⁶⁶ და ა.შ.

15.2. პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა

როგორც აღინიშნა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში შეიძლება შეიქმნას (სავალდებულო არ არის) ფონდი მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისთვის, სამედიცინო პერსონალის შენატანების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებისგან (58-ე II მუხლი; ფონდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის). წინამდებარე კვლევის ფარგლებში უნდა აღინიშნოს, რომ თუ დადგება სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღების საკითხი, აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რაც პირველ რიგში, ამგვარი რეგულაციის მოქმედების შედეგების წინასწარი პროგნოზირების საშუალებას მოგვცემს. მაგ., მსჯელობს რა დაზღვევისა და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ურთიერთდამოკიდებულებაზე, *ბონარი* აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის სამართლის განვითარების კვლადაკვალ დაზღვევის ინსტიტუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტები „სულ უფრო მეტ პასუხს აგებენ მცირე მიზეზის გამოც კი. იურიდიული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ჩვენ პირის ბრალზე დაფუძნებული სუბიექტური პასუხისმგებლობიდან გადავივართ ობიექტურ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ყოველგვარი ბრალისგან დამოუკიდებლად არსებობს.“ ²⁶⁷ პროფესორის სიტყვით, ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში ფორმულა „პასუხისმგებლობა/ანაზღაურება“ ჩაანაცვლა ფორმულამ „პასუხისმგებლობა/ანაზღაურება/დაზღვევა“, კანონმდებელმა ხელად გაიაზრა და შედეგად, ასზე მეტი სახის პასუხისმგებლობის დაზღვევას სავალდებულო ხასიათი მიენიჭა. მათ შორის არის ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტთა პასუხისმგებლობის დაზღვევაც (2002 წლის 4 მარტის კანონით პაციენტის უფლებებისა და

²⁶⁶ მიყენებული ზიანი სამივე შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება ბრალის მიუხედავად.

²⁶⁷ *ბონარი* კ., სადაზღვევო სამართლის საწესები, თბ., 2003, 11. პასუხისმგებლობის შემთხვევათა ზრდის ტენდენციაზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც, მათ შორის, რენეს უნივერსიტეტის (ფრან. *Université de Rennes I*) პროფესორი *ფილიპ პიერი (Philippe Pierre)*, რომელიც აღნიშნავს, რომ *კუშნერის* აქტით პაციენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც ხორციელდება (იხ. *Pierre P.*, *The Role of Insurance in Compensation for Medical Injuries since the Kouchner Act*, “Drexel Law Review”, Vol. 4, 2011, 152, <<http://goo.gl/URGRKM>>, [21.05.15]. საფრანგეთში განვითარებული მოვლენები თავის დროზე არც ქართველ მეცნიერებს დარჩენიათ უყურადღებოდ: „საფრანგეთის პრაქტიკაში იმდენად ფართოდ გავრცელდა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომ ბრალის პრინციპისაგან განდგომა კოლოსალურად აღმავალია. სადაზღვევო კომპანიები მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ ყველა სახის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა“ (*ზოდუ* ბ., ავტომობილების მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, *ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“*, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 30).

ჯანდაცვის სისტემის ხარისხის შესახებ (ე.წ. *კუშნერის აქტი*²⁶⁸).²⁶⁹ პარლამენტის მიერ ამ კანონის მიღების შემდეგ სადაზღვევო კომპანიების ნაწილი ერთიანად ჩამოშორდა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროს (მათი განმარტებით, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პაციენტის უფლებათა ზრდამ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ნაკლებ მიმზიდველი გახდა კომპანიებისთვის),²⁷⁰ ხოლო დარჩენილებმა მკვეთრად გაზარდეს სადაზღვევო პრემიის რაოდენობა.²⁷¹ *ბონერი* ყურადღებას ამახვილებს პასუხისმგებლობის დაზღვევის უარყოფით ეფექტზე. კერძოდ, „პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებობით ხშირ შემთხვევაში შეიძლება აიხსნას პირთა პასუხისმგებლობის ჩარჩოების გაფართოება... პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროცესის წარმოებისას სასამართლო აღარ ეძებს ბრალეულ ან პასუხისმგებელ პირს. მას აინტერესებს პასუხისმგებლობის მზღვეველი, რომელიც უბედურ შემთხვევაში „გარეული“ პირის უკან „იმალება“. მზღვეველის დადგენისთანავე საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ დაზღვეულმა პასუხი უნდა აგოს. ეს მაშინვე აძლევს უფლებას დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება. ითვლება, რომ სახეზეა ბრალი (მაშინ როდესაც ეს სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს), ან კიდევ მიმართავენ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობისა თუ ობიექტური პასუხისმგებლობის ახალ შემთხვევებს.“²⁷²

მოკლე დასკვნა

1. სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ არსებობს პასუხისმგებლობის *პირობები*. კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება ე.წ. გენერალური დელიქტის არარსებობისას).

²⁶⁸ იხ. The 2002 Act on Patients' Rights and Quality of Care. აღნიშნული კანონით გათვალისწინებული პაციენტის უფლებების, პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ იხ. Health Systems in Transition (HiT), Profile of France, HSPM, <<http://goo.gl/t3Z47V>>, [21.05.15].

²⁶⁹ იხ. *ბონარი ჟ.*, სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003, 12.

²⁷⁰ იხ. *Pierre P.*, The Role of Insurance in Compensation for Medical Injuries Since the Kouchner Act, “Drexel Law Review”, Vol. 4, 2011, 153, <<http://goo.gl/URGRKM>>, [21.05.15]. *კუშნერის აქტმა* თავისებური გავლენა იქონია საფრანგეთში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ინსტიტუტის (ADR) შესახებ იხ. *Thouvenin D.*, French Medical Malpractice Compensation Since the Act of March 4, 2002: Liability Rules Combined with Indemnification Rules and Correlated with Several Kinds of Proceedings, “Drexel Law Review”, Vol. 4, 2011, 176-178, <<http://goo.gl/YlvcBf>>, [21.05.15].

²⁷¹ ამგვარი ვითარება შეიქმნა არა მარტო საფრანგეთში, არამედ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სხვა წევრ ქვეყნებშიც (ავსტრალია, ავსტრია, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, შვეიცარია, ამერიკის შეერთებული შტატები) (იხ. Policy Issues in Insurance, Medical Malpractice Prevention, Insurance and Coverage Options, №11, OECD, 2006, 16-17, 21, 30-ე სქოლიო, <<https://goo.gl/IGgp3q>>, [21.05.15].

²⁷² *ბონარი ჟ.*, სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003, 12.

სამედიცინო დაწესებულების სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ფიზიკური პირის (პაციენტის) სამოქალაქო უფლების დარღვევა.

2. როგორც აღინიშნა, თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობის მიერ გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, „ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.“²⁷³ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია უფლების შექმნა,²⁷⁴ დარღვევა, მოსპობა,²⁷⁵ მაგრამ არა დამცირება (შეიძლება საქმე გვქონდეს მაგ., დამამცირებელ მოპყრობასთან, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ღირსების შელახვას²⁷⁶, შეურაცხყოფას, დაკნინებას²⁷⁷) ან განადგურება (მაგ., შეიძლება განადგურდეს ნივთი და ამით დარღვეულ იქნეს საკუთრების უფლება ამ ნივთზე). რაც შეეხება კეთილდღეობას, ის შეიძლება შენარჩუნდეს,²⁷⁸ მოიშალოს ან ხარისხობრივად შემცირდეს, მიღწეულ ან მოპოვებულ იქნეს, როგორც შედეგი (არსებობს პირადი კეთილდღეობის, სოციალური კეთილდღეობის ცნებები; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში ჯანმრთელობა განმარტებულია, როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა²⁷⁹). უფლებისა და კეთილდღეობის ცნებათა მიმართების თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ პირველ ყოვლისა, სწორედ დაცული უფლება გულისხმობს კეთილდღეობას,²⁸⁰ უფლებათა დარღვევა კი მოასწავებს კეთილდღეობის მოშლას. რაც შეეხება მოსაზრებას, რომლის თანახმად „ზიანის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას... ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული უნდა იყოს“²⁸¹ და განმარტებას, რომლის თანახმად, „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანი. ასეთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი,“²⁸² უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება სამართლებრივად დაცული

²⁷³ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 378; ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 16.

²⁷⁴ მაგ., სსკ-ის 24-ე I მუხლის თანახმად, იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს.

²⁷⁵ მაგ., სსკ-ის 1186-ე მუხლი ითვალისწინებს მეუღლისგან სარჩოს მიღების უფლების მოსპობას; უფლების მოსპობა იგივეა, რაც უფლების დაკარგვა.

²⁷⁶ იხ. გოცირიძე ე., პატივისა და ღირსების ხელშეშვალობა; წამების ან სხვაგვარი არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა, გამოცემაში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 113.

²⁷⁷ ქეგელ, ტ. III, თბ., 1953, 564.

²⁷⁸ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 25-ე I მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მომსახურების და აუცილებელი სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც საჭიროა თავად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

²⁷⁹ Constitution of the World Health Organization, 1946, <<http://goo.gl/fHMKRv>>, [12.06.15].

²⁸⁰ მაგ., „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. ეს თავისთავად გულისხმობს დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას და განხორციელებას“ (ქანთარია ბ., ქორწინება და ოჯახი, გამოცემაში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 449).

²⁸¹ თოდუა მ., ვიდეშვილი პ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 41.

²⁸² ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 366.

სიკეთე (არ არსებობს დაცული ზიანი); ე.ი. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაში განხორციელდება თუ ზიანი მიყენებულია სამართლებრივად დაცული სიკეთისთვის და ეს ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანია.

3. სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი გულისხმობს ადამიანის სხეულის ანატომიური მთლიანობის, ორგანიზმის ბუნებრივი, ფიზიოლოგიური ან/და ფსიქიკური პროცესების დარღვევას.

მიზანშეწონილია, სსკ-ის ზოგად ნაწილში ზიანის ცნება განისაზღვროს მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში,²⁸³ ნათლად ჩამოყალიბდეს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ცნებები.

სსკ-ში არსებული არაქონებრივი (მორალური) ზიანი და მორალური ზიანი (მაგ., სსკ-ის მე-18 VI მუხლში ერთდროულად გვხვდება როგორც არაქონებრივი (მორალური) ზიანი, ისე მორალური ზიანი) უმჯობესი იქნება, შეიცვალოს ერთიანი, არაქონებრივი ზიანის ტერმინით, რომელიც მოცემულია სსკ-ის 413-ე მუხლის სათაურში (ცნებათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ სსკ-ის 1519-ე მუხლის ძალით, შესაბამისი შინაარსით უნდა ჩამოყალიბდეს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 103-ე მუხლი, რომელიც მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე მიუთითებს). კვლევის ამ ეტაპზე გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, როდესაც ვმსჯელობთ ტერმინზე „მორალური ზიანი“, ამ დროს „იურისპრუდენციისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია პრობლემის სამართლებრივი საფარველი. ამ გაგებით უმჯობესია მორალური ზიანის ნაცვლად ვიხელმძღვანელოთ ტერმინით „არაქონებრივი ზიანი“.²⁸⁴ ამასთან, დასახელებული ტერმინი ინსტიტუტის შინაარსს უკეთ ასახავს, რამდენადაც „ასეთი ზიანის მთავარი მახასიათებელი არის მისი არაქონებრივი ხასიათი.“²⁸⁵

არაქონებრივი ზიანის ცნების ჩამოყალიბებისას სასურველია, მხედველობაში იქნეს მიღებული განმარტება, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანი შეიძლება „შედგად მოჰყვეს როგორც ქონებრივი, ასევე სულიერი სიკეთის ხელყოფას, შეიძლება დადგეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის, ასევე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში მიყენებული ვნების შედეგად.“²⁸⁶ ასევე, მოსაზრებები, რომ არაქონებრივი ზიანი არის „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად“²⁸⁷ და „ფსიქიკური (ფსიქოლოგიური) ტანჯვა ან

²⁸³ როგორც ეს განხორციელებულია მაგ., გსკ-ის 276-ე II მუხლის შემთხვევაში, სადაც *კროპოლერის* სიტყვით, ნორმა „გაუფრთხილებლობას განმარტავს მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში“ (*კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 154). ანალოგიურად, მიზანშეწონილია, სსკ-ის ზოგად ნაწილში მოცემული იყოს ზიანის განმარტება, მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში.

²⁸⁴ *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 147; ასევე, *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, 231.

²⁸⁵ *დოღონაძე ლ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, *ჟურნ. „თეუსუ“*, №2 (10), 2010, 142.

²⁸⁶ *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, *ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“*, №2, მარტი-აპრილი, 1978, 54.

²⁸⁷ *დოღონაძე ლ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, *ჟურნ. „თეუსუ“*, №2 (10), 2010, 142.

სხეულის დაზიანება, რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი უარყოფითი (ფსიქიკური) შედეგი ან ორივე ერთდროულად.“²⁸⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *ფსიქიკა* და *ფსიქოლოგია* არ არის იდენტური ცნებები; არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის, ფსიქიკური აშლილობის და ა.შ. ცნებები და არა ფსიქოლოგიური აშლილობის ან ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის; თვით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში მოიხსენიება ფსიქიკური და არა ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

არაქონებრივ ზიანად უნდა ჩაითვალოს *ფსიქიკური ან/და ისეთი ფიზიკური ტრავმა, რომელმაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია პირის ფსიქიკაზე და განაპირობა პირის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მოშლა.*

პოსტტრავმული სიმპტომები შეიძლება იყოს ემოციური სტაბილურობის დარღვევა, ფსიქიკური სტრესის შედეგად გამოწვეული ფიზიკური ტკივილი, შინაგანი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა, ინსომნია, დადლილობა (შრომისუნარიანობის დაქვეითება), მეტყველების დარღვევა, შფოთვითი აშლილობა და ა.შ. აქ მხედველობაშია მისაღები, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, როგორც ადამიანის ორგანოს ან მისი ფუნქციის დარღვევა შეიძლება სხვადასხვა ხარისხის იყოს, ასევეა ფსიქიკური სფეროც, მოსალოდნელია განვითარდეს პათოლოგიური მდგომარეობა (მძიმე), დისფუნქცია (ნაკლებად მძიმე მდგომარეობა) ან დისტრესი (შედარებით მსუბუქი მდგომარეობა), რაც სტრესზე დროებით რეაგირებას გულისხმობს და არ წარმოადგენს პათოლოგიას.²⁸⁹

4. პირის ჯანმრთელობისთვის სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ზიანის მიყენების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვა ან შეზღუდვა დაუშვებელია, რადგან საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობის აბსოლუტურ უფლებას.

5. სსკ-ის 1007-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პირის *ჯანმრთელობისთვის* მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველებით. ამავე კოდექსის 408-ე II მუხლში და 413-ე II მუხლში კი საუბარია *სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების* შემთხვევებზე. მიზანშეწონილია, *სხეულის დაზიანების* და *ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების* ცნებები ჩანაცვლდეს *ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების* ერთიანი ცნებით. სხეულის დაზიანება სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევას²⁹⁰ გულისხმობს; რიგ შემთხვევებში შეიძლება სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევის გარეშეც საქმე გვექონდეს ჯანმრთელობის დაზიანებასთან. *ჯანმრთელობის დაზიანება* მოიცავს როგორც ადამიანის სხეულის, ისე ფსიქიკისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევებს.

6. მიზანშეწონილია, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არარსებობის პირობებში, სსკ-ში კანონმდებელმა მიუთითოს ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი

²⁸⁸ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 147.

²⁸⁹ იხ. *გაგოშიძე თ.*, პათოფსიქოლოგიის საფუძველები, თბ., 2015, 3-4.

²⁹⁰ *გამყრელიძე ო., ტყეშელიაძე გ., სურგულაძე ლ., ტურავა მ., ებრაელიძე თ.*, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), თბ., 2002, <<http://bit.ly/2dTYpcg>>, [16.10.16].

ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე. კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს პირთა წრე, რომელსაც მიენიჭება პირის გარდაცვალებით მათთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

7. მიზანშეწონილია, სსკ-ის 1006-ე მუხლით გათვალისწინებულ იქნეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირისთვის, რომელიც გარდაცვლილის სიცოცხლეში უკვე ჩასახული იყო. შესაბამისად, სსკ-ის 1006-ე I მუხლი შეიძლება ჩამოყალიბდეს მაგ., შემდეგი შინაარსით: „დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც წარმოიშობა, როდესაც მესამე პირი ზიანის მიყენების მომენტში ჩასახული იყო და დაიბადა დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ“ (შეად. გსკ-ის 844-ე II მუხლი).

ამავდროულად, საკითხი საჭიროებს შემდგომ საფუძვლიან კვლევას და შესაძლოა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, უმჯობესი იყოს სსკ-ის ზოგად ნაწილში გაკეთდეს ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს, რომ დაბადების ფაქტი განსაზღვრავს პირის სამართალსუბიექტობას (დაბადების შემთხვევაში პირი ხდება სამართლის სუბიექტი; დაბადებულად ჩაითვლება დედის ორგანიზმიდან სრულად გამოცალკევებული ნაყოფი), მაგრამ ჩანასახი უკვე დაბადებულად უნდა ჩაითვალოს მისთვის სასიკეთო მიზნებისთვის.

თავი II. ჯანმრთელობის, პაციენტის და სამედიცინო დაწესებულების ცნება, უფლებები და მოვალეობები

სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის სრულყოფილი ანალიზის მიზნით საჭიროა დადგინდეს, 1. ჯანმრთელობის ცნება, 2. სამედიცინო დაწესებულების და პაციენტის ცნება, ცალკეული უფლებები და მოვალეობები; 3. რა შემთხვევაში წარმოადგენს სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სუბიექტს; 4. გაანალიზდეს მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები (იმისთვის, რომ დადგეს სამედიცინო მოწყობილობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სამედიცინო მოწყობილობის ცნება).

1. ჯანმრთელობის ცნება

სსკ-ის 1007-ე მუხლით რეგულირდება პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. ამდენად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რას ნიშნავს ჯანმრთელობა, რომლის საკანონმდებლო დეფინიციას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის²⁹¹ კონსტიტუციის პრეამბულაში ადამიანის ჯანმრთელობა განმარტებულია, როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა უბრალოდ სნეულების ან უძღურების არარსებობა.²⁹²

სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში თუ სამეცნიერო ნაშრომებში გვხვდება განსხვავებული ტერმინები, კერძოდ, *ჯანმრთელობის უფლება*,²⁹³ *სამედიცინო მომსახურების უფლება*,²⁹⁴ *ჯანმრთელობის დაცვის უფლება*²⁹⁵ (ევროპის სოციალური ქარტია, მე-11 მუხლი). ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის²⁹⁶ 35-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს ეროვნული კანონმდებლობით და პრაქტიკით დადგენილი პირობების შესაბამისად პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის და სამედიცინო მკურნალობით სარგებლობის უფლება.²⁹⁷

²⁹¹ საქართველო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (World Health Organization) წევრი გახდა 1992 წლის 16 მაისს.

²⁹² Constitution of the World Health Organization, 1946, <<http://goo.gl/fHMKRv>>, [12.06.15].

²⁹³ ინგ. "Right to Health". იხ. The Right to Health, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, WHO, 2008, <<http://goo.gl/c6NieX>>, [17.06.15].

²⁹⁴ ინგ. "Right to Health Care". იხ. Wheeler M., A constitutional right to health care, 2013, <<http://goo.gl/jVpYDR>>, [17.06.15]; Roy A., Yes, Health Care is a Right – An Individual Right, "Forbes", 28 March, 2013, <<http://goo.gl/rnyOw>>, [17.06.15].

²⁹⁵ ინგ. "Right to Protection of Health".

²⁹⁶ Charter of Fundamental Rights of the European Union (2000/C 364/01), "Official Journal of the European Communities" (18.12.2000), 16, <<http://goo.gl/KqBm3>>, [05.07.15].

²⁹⁷ ჯანმრთელობის დაცვის ცნებას განმარტავს პაციენტის უფლებების შესახებ 1994 წელს შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ, ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუციის კონცეფციას და აღმათის დეკლარაციის ჯანდაცვის

ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ჯგუფს მიკუთვნებული *ჯანმრთელობის უფლება* არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც „უფლება – იყო ჯანმრთელი, ან გამოხატავდეს მოთხოვნას ყველაფერზე, რაც სრული ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღწევად საჭირო“, ²⁹⁸ არამედ „ის წარმოადგენს მოკლე მინიმუმს ხელშეკრულების უფრო სრულყოფილ ტექსტებზე და შესაძლოა სხვადასხვა დონეზე დამატებით იქნეს განმარტებული შესაბამისი სამართლებრივი ნაშრომებით.“²⁹⁹

ჯანმრთელობის უფლება დეკლარირებულია მრავალრიცხოვან საერთაშორისო დოკუმენტებში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, ³⁰⁰ ევროპის სოციალურ ქარტიაში, ³⁰¹ პაციენტთა უფლებების ევროპულ ქარტიაში, ³⁰² რომელიც სპეციალურ გარანტიებს მოიცავს, მაგრამ ვინაიდან ამ სტანდარტების განხორციელებაზე სამეთვალყურეო ორგანო არ არსებობს, მათი განხორციელება უშუალოდ დაზარალებულს არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, „სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის ანალიზის გამოყენება შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების უკეთესი განმარტებისთვის. არასავალდებულო დოკუმენტებზე დაყრდნობა (როგორცაა პაციენტთა უფლებების ევროპული ქარტია), ამ დოკუმენტს ანიჭებს მეტ ძალასა და ავტორიტეტს და ხელს უწყობს მისი დებულებებისთვის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების სტატუსის მინიჭებას.“³⁰³

მოდელს ემყარება. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს მომსახურების მთელ სფეროს, ჯანმრთელობის ხელშეწყობას და დაცვას, დაავადებათა პრევენციას, დიაგნოზირებას, მკურნალობას, ზრუნვას და რეაბილიტაციას (იხ. Declaration on the Promotion of Patients' Rights in Europe, The European Consultation on the Rights of Patients, Amsterdam, 28-30 March, 1994, 6, <<http://goo.gl/CGa6h3>>, [25.07.2015]).

²⁹⁸ ტობეზი ბ., ჯანმრთელობის უფლება, კრებულში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, თბ., 2006, 203.

²⁹⁹ იქვე.

³⁰⁰ Universal Declaration of Human Rights, 1948, <<http://goo.gl/6s6Qc6>>, [12.05.15]. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 25-ე I მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მომსახურების და აუცილებელი სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც საჭიროა თავად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. ყოველ ადამიანს უფლება აქვს უზრუნველყოფილ იქნეს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებლად წარმოქმნილ სხვა გარემოებათა გამო საარსებო წყაროს დაკარგვისას.

³⁰¹ European Social Charter (Adopted in 1961 and Revised in 1996), <<http://goo.gl/1dlzG5>>, [12.06.15]. ევროპის სოციალური ქარტის მე-11 მუხლის („ჯანმრთელობის დაცვის უფლება“) თანახმად, ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც, მიზნად ისახავენ 1. ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურ აღმოფხვრას; 2. ჯანმრთელობის განმტკიცების და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წახალისებისთვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას; 3. ეპიდემიურ, ენდემურ და სხვა დაავადებათა, ისევე როგორც უბედურ შემთხვევათა შედეგების დაგვარად აღკვეთას.

³⁰² European Charter of Patients's Rights, 2002, <<http://goo.gl/llKI5H>>, [12.06.15].

³⁰³ ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ., მუიშვილი ზ., მირზიკაშვილი ნ., ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბ., 2011, 80-81, <<http://goo.gl/eIOyBX>>, [06.06.15].

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის ცნების დეფინიციას არ იძლევა, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში დეკლარირებულია ჯანმრთელობის დაზღვევით („როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით“) სარგებლობის და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების საყოველთაო უფლებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინებაში ვკითხულობთ, რომ „სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას.“³⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის შესახებ უახლეს სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჯერ არ დამდგარა კონსტიტუციის 37-ე მუხლის სრულყოფილი განმარტების წინაშე, შესაბამისად, სასამართლოს ასევე არ მოუხდენია კონსტიტუციის ამ მუხლის შეზღუდვის საფუძვლების განმარტება.“³⁰⁵ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი მოიცავს უფლებათა ფართო წრეს, ამდენად, „ჯანმრთელობის კონსტიტუციურ

³⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება (საქმე №2/3/441) საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<http://goo.gl/0tjRv5>>, [13.06.15]. განჩინებაში აღნიშნულია: „საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სიკეთე არის ადამიანის სიცოცხლე. მოსარჩელეს, როგორც იურიდიულ პირს, ეს სიკეთე არ აქვს. იურიდიულ პირს არ აქვს ჯანმრთელობაც და შესაბამისად, ის ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლებით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის თაობაზე ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.“ აქვე საინტერესოა ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოიხსენიება ცხოველის ჯანმრთელობის ცნება, რომელიც უშუალო კავშირშია სახელმწიფოს ვალდებულებასთან, უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ფორმირება (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე IV მუხლი). ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის დროს არა მარტო ადამიანის (როგორც სამედიცინო - ბიოლოგიური კვლევის ობიექტის) უფლებების, არამედ ლაბორატორიული ცხოველებისადმი პუმანური დამოკიდებულების პრინციპების დაცვას საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესაბამისად (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 105-ე მუხლი). ადამიანის ჯანმრთელობასთან ერთად ცხოველის ჯანმრთელობის მოხსენიება არ ნიშნავს ცხოველის ჯანმრთელობის უფლების აღიარებას. კანონმდებლის მიზანია ცხოველის დაცვა და „ცხოველთა დაცვა არ გულისხმობს მათთვის უფლებათა მინიჭებას“ (Тон А., Правовая Норма и Субъективное Право. Исследования по Общей Теории Права, <<Вестник Гражданского Права>>, №4, Т. 10, 2010, 197-199). ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, როგორც არის ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა (მუხლი 259), მოქცეულია მონახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. აღნიშნული დანაშაულის ობიექტი არის საზოგადოებრივი ზნეობა და „მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ცხოველებისადმი მოპყრობის ზნეობრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფას“ (ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი ვ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 667).

³⁰⁵ ტულუში თ., ბურჯანაძე ვ., მშვენიერაძე ვ., გოცირიძე ვ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), თბ., 2013, 514, <<https://goo.gl/3yEXw0>>, [17.06.15].

უფლებასთან კონტექსტში“ გარანტირებულია სხვა მნიშვნელოვანი უფლებები, მათ შორის, უფასო სამედიცინო დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა და ა.შ.³⁰⁶

2. პაციენტის ცნება

სსკ-ის 1007-ე მუხლი ეხება სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ვინაიდან სსკ იცნობს ფიზიკური და იურიდიული პირის ცნებებს, ხოლო ჯანმრთელობის უფლების მატარებელი სუბიექტი არის სწორედ ფიზიკური პირი („სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის სიკეთე, რაც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს...“³⁰⁷), 1007-ე მუხლში მოხსენიებული პირი გულისხმობს პაციენტს, ე.ი. ნებისმიერ პირს, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით.³⁰⁸

გარდა პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონისა, პაციენტის ცნება განმარტებულია სხვა კანონებშიც. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პაციენტი არის პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს სამედიცინო დახმარებით (მე-3 „რ“ მუხლი); ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში³⁰⁹ პაციენტის ცნება განმარტება, როგორც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი, რომელიც სარგებლობს ფსიქიატრიული დახმარებით (მე-4 „ბ“ მუხლი), რაც გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის გამოკვლევა, მკურნალობა და დაავადების გამწვავების თავიდან აცილება, მისი სოციალური ადაპტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა (მე-4 „გ“ მუხლი). ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის³¹⁰ თანახმად, პაციენტი არის პირი (საქართველოს მოქალაქე, უცხოელი – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი), რომლის მდგომარეობა შესაბამისმა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელმა განსაზღვრა, როგორც ფილტვის ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევა ან ფილტვის ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა (მე-4 „ვ“ მუხლი).

³⁰⁶ ტულუში თ., ბურჯანაძე ვ., მშენიერაძე ვ., გოცირიძე ვ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), თბ., 2013, 514, <<https://goo.gl/3yEXw0>>, [17.06.15].

³⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება (№2/3/441) საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<http://goo.gl/0tjRv5>>, [13.06.15].

³⁰⁸ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 „დ“ მუხლი.

³⁰⁹ სსმ, №30, 27.07.2006.

³¹⁰ სსმ, ვებგვერდი, 23.12.2015.

3. პაციენტის უფლებები

ვინაიდან პაციენტის უფლებები დეტალურად არის შესწავლილი სხვადასხვა ნაშრომებში,³¹¹ წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილდა მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. კერძოდ, განიხილება ისეთი პრობლემური და აქტუალური საკითხები, როგორც არის დისკრიმინაციის აკრძალვა, ინფორმირებული თანხმობა, პაციენტის უარი სამედიცინო ჩარევაზე, ქალთა რეპროდუქციული უფლებები, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული თვითგამოხატვა, სისხლის დონაციის აკრძალვა სექსუალური ქცევის ნიშნით და პაციენტის უფლება ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე.

პაციენტის უფლებათა კლასიფიკაცია შესაძლებელია სოციალურ და ინდივიდუალურ უფლებებად. ჯანდაცვის სფეროში სოციალური უფლებები უკავშირდება სახელმწიფოს და სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მიერ ნაკისრ ვალდებულებებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაზე და ეფუძნება როგორც მოსახლეობისთვის ჯანდაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობის, ისე უსამართლო დისკრიმინაციული ხასიათის ფინანსური, გეოგრაფიული, კულტურული ან სოციალური თუ ფსიქოლოგიური ხასიათის ბარიერების აღმოფხვრის პრინციპს. ზოგადად, სოციალური უფლებებით სარგებლობა ხორციელდება კოლექტიურად და დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონეზე.³¹² რაც შეეხება პაციენტის ინდივიდუალურ უფლებებს (მათ შორის, ისეთ უფლებებს, როგორც არის პიროვნების ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რელიგიური მრწამსი), ისინი, როგორც წესი, საერთაშორისო დოკუმენტებში და სხვადასხვა სახელმწიფოების კანონებში უფრო დეტალურად არის გადმოცემული.³¹³ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის გზით შესაძლებელია იქმნება გაირკვეს ცალკეულ ნორმატიულ აქტებში დეკლარირებული პაციენტის უფლებების კონცეპტუალური საფუძველი. პაციენტის უფლებებზე მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხებს, როგორც არის დისკრიმინაციის აკრძალვა, ინფორმაციის მიღების უფლება, სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაციის გაცნობა, სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის და კონფიდენციალურობის უფლება, კონფიდენციალურობის უფლების

³¹¹ მაგ., იხ. *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014; *კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიაშვილი ნ., გვენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ.*, წიგნი პაციენტებისთვის: ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), თბ., 2011; *ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჭავჭავაძე გ., კიკნაძე ნ., მეთევილი ზ., მირზიაშვილი ნ.*, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბ., 2011.

³¹² იხ. Declaration on the Promotion of Patients' Rights in Europe, The European Consultation on the Rights of Patients, Amsterdam, 28-30 March, 1994, 6-7, <<http://goo.gl/CGa6h3>>, [25.07.2015].

³¹³ ექიმის ვალდებულებას, პაციენტი სცეს პაციენტის უფლებებს, განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინოს ე.წ. დაუცველი, მოწყვლადი ადამიანებისთვის, როგორც არის ბავშვი, მოხუცი, სულით ავადმყოფი, ხეიბარი, მარტოხელა, მიუსაფარი, პატიმარი და ტყვე. ითვალისწინებს საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსიც (მიღებული საქართველოს ექიმთა კონგრესის მიერ, 2006 წლის 6 მაისს, <<https://goo.gl/hhQHM3>>, [06.07.15]).

შინაარსი, ქალ პაციენტთა უფლებები და მოვალეობები, დონორის უფლებები, ორგანოებით და ქსოვილებით ვაჭრობის აკრძალვა, გარდაცვლილი პირის ორგანოს და ქსოვილის აღება, ინფორმირებული თანხმობა, პაციენტის უარი სამედიცინო ჩარევაზე და პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

3.1. დისკრიმინაციის აკრძალვა

დისკრიმინაციის აკრძალვა მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილისა. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონში მითითებულია პაციენტის დისკრიმინაციის აკრძალვა ისეთი ნიშნით, როგორც არის გენეტიკური მემკვიდრეობა, დაავადება, სექსუალური ორიენტაცია ან პირადული უარყოფითი განწყობა (მე-6 I მუხლი).³¹⁴ კანონში აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ დაავადებასთან დაკავშირებით პაციენტის უფლებების შეზღუდვის პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა (მე-6 II მუხლი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის იდეის ნორმატიულ გამოხატულებას.“³¹⁵ ის არის „კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა“ და „წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს. მე-14 მუხლის არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის

³¹⁴ გარდა ამისა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში მითითებულია, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოსატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის გამო (1-ლი მუხლი).

³¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (№2/1/536) საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუნაშვილი და გონა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/luSKDN>>, [16.08.15].

იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტული პირების უნარებზე. უნარების სახელმწიფოს ძალისხმევით გათანაბრების მცდელობა კი, უმეტესწილად, თავად იწვევს დისკრიმინაციას.“³¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოყალიბებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. კონსტიტუციის აღნიშნული დებულების „მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვლის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა... მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში.“³¹⁷

ზოგადად, პაციენტის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია გამონაკლისის სახით. ნებისმიერი შეზღუდვა შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებთან. პაციენტის უფლებების შეზღუდვა შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც საზოგადოებრივი წესრიგის, ისე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებიდან და მიზნად უნდა ისახავდეს სხვა პირთა, ადამიანის უფლებათა დაცვას. შეზღუდვის მიზეზი ზოგჯერ შეიძლება იყოს მესამე პირის ინტერესის უპირატესობა (ე.წ. „ინტერესთა კონფლიქტის“ დოქტრინა) ანუ ამ შემთხვევაში პაციენტის უფლებების შეზღუდვით მიიღწევა სერიოზული ზიანისგან მესამე მხარის დაცვა, შეუძლებელია ამ ზიანის სხვა საშუალებით თავიდან აცილება (შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შეზღუდვის შედეგად შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება). მსგავსი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავად პაციენტს ემუქრება სერიოზული საფრთხე (ე.წ. თერაპიული გამონაკლისი).³¹⁸

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობა. დაუშვებელია დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო (მრავალი ნიშნის მიხედვით) (მე-2 IV მუხლი), პირდაპირი (მე-2 II მუხლი) ან ირიბი დისკრიმინაცია (მე-2 III მუხლი) ისეთი უფლებებით სარგებლობისას, როგორიც არის:

³¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება (№1/1493) საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“* და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, <<https://goo.gl/d0TdD4>>, [16.08.15].

³¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება (№2/1-392) საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. მითითებულია: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება (№2/5/556) საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/P3UGUX>>, [16.08.15].

³¹⁸ Declaration on the Promotion of Patients' Rights in Europe, The European Consultation on the Rights of Patients, Amsterdam, 28-30 March, 1994, 6-7, <<http://goo.gl/CGa6h3>>, [25.07.2015].

- საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლება, სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება;³¹⁹
- პაციენტის უფლება, მეორე აზრის³²⁰ მოსაძიებლად დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას (მე-8 მუხლი);
- პაციენტის უფლება, აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწვევი (მე-9 მუხლი).

3.2. ინფორმირებული თანხმობა. პაციენტის უარი სამედიცინო ჩარევაზე

სსკ-ის 319-ე I მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილნი არიან კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებას, კანონმდებლის მიერ დადგენილია გარკვეული მოთხოვნები, რაც წინ უძღვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფორმირებული თანხმობის ინსტიტუტს. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, *ინფორმირებული თანხმობა* გულისხმობს პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას პაციენტისთვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობის და სიცოცხლისთვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ (მე-3 „კ“ მუხლი). საექიმო საქმიანობის სუბიექტმა³²¹ სამედიცინო მომსახურების გაწევამდე უნდა მიიღოს პაციენტის ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა განზრახულ სამედიცინო ჩარევაზე (საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე I მუხლი). კანონმდებლის მიერ მოცემულია იმ სამედიცინო ჩარევათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც წერილობით ინფორმირებულ თანხმობას საჭიროებს.³²² გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

³¹⁹ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

³²⁰ ავადმყოფობის დიაგნოზის, პროგნოზის, მკურნალობის ოპტიმალური მეთოდის შესახებ იმ სპეციალისტის აზრი, რომელსაც პაციენტი მიმართავს მკურნალი ექიმის გვერდის ავლით იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის დარწმუნებული დიაგნოზის და მკურნალობის სისწორეში ან განზრახული სამკურნალო მეთოდის გამოყენებას თან სდევს სერიოზული შედეგები (მაგ., დამსახინრებელი ოპერაცია) (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „მ“ მუხლი).

³²¹ ე.ი. პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას (საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ვ“ მუხლი), რაც გულისხმობს უმაღლესი სამედიცინო განათლების და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობას, რომლის შედეგებზეც ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მე-5 „ბ“ მუხლი).

³²² კერძოდ, ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია (გარდა მცირე ქირურგიული მანიპულაციებისა); აბორტი; სისხლძარღვების კათეტერიზაცია (გარდა პერიფერიული

საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველი ქმედუნარიანი პირი უფლებამოსილია, წინასწარ, წერილობით გამოხატოს ნება განუკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაში აღმოჩენის შემთხვევაში მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და პალიატიური მზრუნველობის ჩატარების შესახებ. ზოგადად, პაციენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა და ისეთ ვითარებაში, როდესაც არსებობს განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადების არსებობაზე დასაბუთებული ეჭვის დასადასტურებლად მოქალაქეთა შემოწმების აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში პაციენტი ვალდებულია, ჩაიტაროს ყველა სათანადო გამოკვლევა, რა დროსაც დაცული უნდა იყოს მოქალაქეთა ღირსება და მათი ძირითადი უფლებები (მე-9 მუხლი).

საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ქმედუნარიანი ან/და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტი უარს განაცხადებს სამედიცინო მომსახურების მიღებაზე ან მოითხოვს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურების შეწყვეტას, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია მიაწოდოს პაციენტს ამომწურავი ინფორმაცია მოსალოდნელი შედეგების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პაციენტი, რაც დასტურდება შესაბამის სამედიცინო დოკუმენტაციაზე ხელმოწერით (46-ე I მუხლი). აღნიშნული წესი არ ვრცელდება მშობიარე პაციენტზე, რომელიც უარს განაცხადებს ისეთი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, რომელიც აუცილებელია ცოცხალი ნაყოფის დაბადებისთვის და ეს მომსახურება მშობიარის ჯანმრთელობის და სიცოცხლისთვის მინიმალური რისკის მატარებელია. ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ

ვენების კათეტერიზაციისა); ჰემოლიალიზი და პერიტონეული დიალიზი; ხელოვნური განაყოფიერება; ქირურგიული კონტრაცეფცია – სტერილიზაცია; გენეტიკური ტესტირება; გენური თერაპია; სხივური თერაპია; ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპია (საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე II მუხლი). რაც შეეხება სამეცნიერო კვლევაში ავადმყოფის ან ჯანმრთელი მოხალისის მონაწილეობას, მათი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით და აღამიანზე ბიოსამედიცინო გამოკვლევების ჩატარების აღიარებული საერთაშორისო ნორმებით (მე-8 II მუხლი). სამედიცინო განათლების და სამეცნიერო კვლევის პროცესში მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის ჩართვა ან სამედიცინო ჩარევის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთის არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით (მე-11 მუხლი). ამასთან, საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია პაციენტისგან მიიღოს სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობაზე ზეპირი ინფორმირებული თანხმობა, ხოლო სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროცესში მონაწილეობაზე - წერილობითი ინფორმირებული თანხმობა (47-ე I მუხლი). იმ შემთხვევაში თუ პაციენტი მცირეწლოვანია ან არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი იღებს პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობით ინფორმირებულ თანხმობას სამედიცინო განათლების ან სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროცესში პაციენტის ჩართვაზე (47-ე II მუხლი).

გადაწყვეტილება ნაყოფის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს (46-ე II მუხლი).

3.3. ქალთა რეპროდუქციული უფლებები

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (136-ე მუხლი). კანონმდებელი არ მიჯნავს ქალის და მამაკაცის უფლებებს და ოჯახის დაგეგმვის კუთხით მათ თანაბარ უფლებებს ანიჭებს (შვილების რაოდენობის და მათი დაბადების დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით), რითაც შესაბამისობაში მოდის 1979 წლის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-16 მუხლთან, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლება და მოვალეობა, რომ ისინი თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ როგორც შვილების რაოდენობას, ისე მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს.

ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია მოსახლეობისა და განვითარების შესახებ 1994 წლის საერთაშორისო კონფერენციამ,³²³ რომლის პროგრამა გაეროს მოსახლეობის ფონდის³²⁴ ძირითადი სახელმძღვანელოა. აღნიშნული დოკუმენტის 2.7-ე პუნქტში რეპროდუქციული ჯანმრთელობა განისაზღვრა, როგორც რეპროდუქციულ სისტემასთან, მის ფუნქციებთან და პროცესებთან დამოკიდებულებაში სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძღურების არარსებობა, რომელიც რეპროდუქციულ სისტემას, მის ფუნქციებს და პროცესებს უკავშირდება. რეპროდუქციულ ჯანმრთელობაში იგულისხმება ადამიანის უფლება, ჰქონდეს შესაბამისი და უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრება და რეპროდუცირების შესაძლებლობა (ამასთან, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, როდის და რა სიხშირით ისარგებლოს რეპროდუცირების უფლებით). ამ უფლებით ქალები და მამაკაცები თანაბრად სარგებლობენ. ისინი უფლებამოსილი არიან, ინფორმირებულნი იყვნენ ოჯახის დაგეგმვის უსაფრთხო, ეფექტური, ხელმისაწვდომი და სათანადო მეთოდების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი არჩევანისამებრ შობადობის რეგულირების სხვა ისეთი მეთოდების შესახებ, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება. მათ აგრეთვე უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვის სათანადო სერვისზე, რომელიც ქალებს საშუალებას მისცემს, დაცულნი იყვნენ ფეხმძიმობისას და მშობიარობისას, ხოლო წყვილებს მიეცემათ ჯანმრთელი ბავშვის ყოლის მაქსიმალური შესაძლებლობა.³²⁵ რეპროდუქციული უფლებები მოიცავს ადამიანის უფლებებს, რომლებიც აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით და

³²³International Conference on Population and Development (ICPD).

³²⁴United Nations Population Fund (UNFPA).

³²⁵იხ. Report of the International Conference on Population and Development (Cairo, 5-13 September, 1994), <<http://goo.gl/fH5w3x>>, [30.07.15, 22:09].

შეთანხმებებით. ეს უფლებები ეფუძნება ყოველი წყვილის და ინდივიდის ძირითად უფლებას, თავისუფლად და საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვიტოს ბავშვების რაოდენობა, მათი დაბადების შუალედი და დრო. დაუშვებელია რეპროდუქციის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანზე ზემოქმედება დისკრიმინაციის, იძულების ან ძალადობის გზით.³²⁶

საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლში არსებულ სამედიცინო ჩარევათა ჩამონათვალში, რომლის განხორციელებამდე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია მიიღოს წერილობითი ინფორმირებული თანხმობა, სხვა სამედიცინო ჩარევათა შორის დასახელებულია ქირურგიული კონტრაცეფცია – სტერილიზაცია, რომელიც აბორტის და ხელოვნური განაყოფიერების მსგავსად, კომპლექსური კვლევის საგანს წარმოადგენს, აერთიანებს რა სამედიცინო, სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებს.³²⁷

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ნებაყოფლობითი ქირურგიული კონტრაცეფციის – სტერილიზაციის³²⁸ გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ 1. სამედიცინო ჩარევა ხორციელდება სათანადო ნებართვის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ; 2. არსებობს პაციენტის წერილობითი მოთხოვნა; 3. პაციენტს ექიმმა ჩაუტარა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან სტერილიზაციამდე გასულია მოსაფიქრებელი ვადა, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ თვეს; 4. თუ პაციენტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.³²⁹

ისტორიულად, ადამიანის სტერილიზაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება პოპულაციის კონტროლის (მართვის) და ევგენიკის საკითხებს. სტერილიზაცია, რომელიც ტარდება პაციენტის წინასწარი კონსულტაციის ან წინასწარი ინფორმირების გარეშე, მოიხსენიება, როგორც იძულებითი სტერილიზაცია,³³⁰ თუმცა არსებობს სხვა ტერმინებიც, როგორც არის, ძალდატანებითი სტერილიზაცია³³¹ (პაციენტს მუქარით აიძულებენ ან მატერიალური წახალისების გზით ითანხმებენ სტერილიზაციაზე) და არანებაყოფლობითი სტერილიზაცია³³² (რომელიც აერთიანებს იძულებითი და ძალდატანებითი სტერილიზაციის ცნებებს).³³³

³²⁶იქვე, მე-7.3 პუნქტი.

³²⁷იხ. Shannon TA., Ethical Issues Involved with In Vitro Fertilization, “AORN Journal”, September, 1990, №52(3), <<http://goo.gl/6p0NYX>>, [06.07.15].

³²⁸ ქალის სტერილიზაცია გულისხმობს „ფემინიზაციისგან სამუდამო დაცვას“ (Female Sterilization, the Facts, U.S. Department of Health and Human Services, <<http://goo.gl/gvyft4>>, [10.08.15]), ხოლო მამაკაცის სტერილიზაცია ანუ ვაზექტომია სამუდამოდ თრგუნავს მამაკაცის ნაყოფიერების უნარს (Male Sterilization, the Facts, U.S. Department of Health and Human Services, <<http://goo.gl/aaA759>>, [10.08.15]).

³²⁹საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 145-ე მუხლი.

³³⁰ინგ. “Forced Sterilization”.

³³¹ინგ. “Coercive Sterilization”.

³³²ინგ. “Involuntary Sterilization”.

³³³იხ. Albert G., Forced Sterilization and Romani Women’s Resistance in Central Europe, “Population and Development Program”, No.71, Summer, 2011, 1, <<http://goo.gl/oEo1RA>>, [12.08.15].

რაც შეეხება *ევგენიკას*, ტერმინი პირველად გამოიყენა *ფრანსის გალტონმა*.³³⁴ გალტონის და მისი მიმდევრების მტკიცებით, ევგენიკა, როგორც მეცნიერება, საბოლოო ჯამში უნდა გარდაქმნილიყო ახალი დროის რელიგიად. მე-20 საუკუნეში ევგენიკური მოძღვრება მეტად პოპულარული იყო, ვიდრე ნაცისტური გერმანიის იდეოლოგიასთან და დანაშაულებრივ პოლიტიკასთან არ ასოცირდა (განსაზღვრული ნიშნით სოციალური ჯგუფების გენოციდი, ე.წ. რასობრივი ჰიგიენის მოძღვრებით³³⁵ ნაკარნახევი დანაშაულებრივი ღონისძიებები, საკონცენტრაციო ბანაკებში წარმოებული სამედიცინო ექსპერიმენტები, ევთანაზიის პროგრამა, ინფანტიციდი და ა.შ.³³⁶). მას შემდეგ, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ საკითხი კვლავაც აქტუალური გახდა მორალური, ეთიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით.³³⁷ იძულებითი სტერილიზაციის ფაქტებს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის აღსანიშნავია, ევროპაში წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობებიდან რიცხოვნობად ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის, ბოშების³³⁸ იძულებითი სტერილიზაციის ფაქტები ჩეხოსლოვაკიაში (1971-1991 წლებში; ჩეხეთის ომბუდსმენის ინფორმაციით, ჩეხოსლოვაკიაში დაახლოებით ოთხმოცდაათი ათასი ქალი გახდა უკანონო მოპყრობის მსხვერპლი, რაც განპირობებული იყო გამრავლების „მაღალი, არაჯანმრთელი“ მაჩვენებლით³³⁹), სლოვაკეთში, უნგრეთში³⁴⁰ და უზბეკეთში.³⁴¹

³³⁴Francis Galton, 1822-1911; იხ. *Galton F.*, Hereditary Talent and Character, Macmillan's Magazine, 12, 157-166, 318-327, <<http://goo.gl/hEaUxa>>, [11.08.15]; *Galton F.*, Hereditary Genius: An Inquiry into Its Laws and Consequences, 2000, <<http://goo.gl/YWH7W>>, [11.08.15].

³³⁵რასობრივი ჰიგიენის გერმანული საზოგადოება დააარსა *ალფრედ პლოეტცმა* (Alfred Ploetz, 1860-1940), 1905 წელს (იხ. German/Nazi Eugenics, “American Eugenics Movement”, 2000, <<http://goo.gl/NkXnZX>>, [12.08.15]). „რასობრივი ჰიგიენის“ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა პოლოკოსტი 1933-1945 წლებში (ანუ „გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ ევროპის ტერიტორიაზე ებრაელების, ბოშების, საბჭოთა ტყვეების, შავკანიანი გერმანელების, პოლონელი ინტელექტუალების, იეჰოვას მოწმეების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მიმართ განხორციელებული გენოციდი“ (ბარბაქაძე დ., პოლოკოსტის დღე, „სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი“, <<http://goo.gl/1vdzqx>>, [12.08.15]); Introduction to the Holocaust, United States Holocaust Memorial Museum, “Holocaust Encyclopedia”, <<http://goo.gl/rQTPPE>>, [12.08.15].

³³⁶იხ. Euthanasia in Nazi Germany - The T4 Programme, <<http://goo.gl/ZHfdz>>, [13.08.15].

³³⁷იხ. *Hashiloni-Dolev Y.*, German and Israeli Attitudes Towards Reproductive Genetics and the Effect of Religion, 195, <<https://goo.gl/7filhqg>> [11.08.15]; *Hashiloni-Dolev Y., Weiner N.*, New Reproductive Technologies, Genetic Counselling and the Standing of the Fetus: Views from Germany and Israel, *Sociology of Health & Illness*, Vol. 30, №7, 2008, 1055–1069, <<http://goo.gl/pIITva>>, [11.08.15].

³³⁸იხ. *Albert G.*, Forced Sterilization and Romani Women’s Resistance in Central Europe, “Population and Development Program”, №71, Summer, 2011, 1, <<http://goo.gl/oEo1RA>>, [12.08.15].

³³⁹იხ. *Stoyanova G.*, Forced Sterilization of Romani Women – a Persisting Human Rights Violation, February 7, 2013, “Romedia Website”, <<https://goo.gl/T3G3Ct>>, [11.08.15].

³⁴⁰იხ. *Albert G.*, Forced Sterilization and Romani Women’s Resistance in Central Europe, “Population and Development Program”, No.71, Summer, 2011, 2, <<http://goo.gl/oEo1RA>>, [12.08.15].

³⁴¹2013 წლის დეკემბერში „ღია საზოგადოების ფონდის“ ხელშეწყობით გამოიცა ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის (ინგ. The British Broadcasting Corporation (BBC)) შუა აზიის კორესპონდენტის, *ნატალია ანთელავას* ანგარიში უზბეკეთში ქალთა იძულებითი სტერილიზაციის შესახებ (იხ. *Antelava N.*, Forced Sterilization of Women in Uzbekistan, December, 2013, <<https://goo.gl/hfZzUW>>, [12.08.15]), რის შემდეგაც უზბეკეთის მთავრობამ *ანთელავა* გამოაცხადა *პერსონა ნონ გრატად* (იხ. Central Asian experts: Natalia Antelava Sucked BBC into a Dubious Deal, November 21, 2014, <<https://goo.gl/kACXiN>>, [12.08.15]). ანგარიშის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ბრძოლის მიზნით,

პაციენტის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის პოტენციურ მაგალითს ქმნის როგორც ქალის სტერილიზაცია მისი ნების საწინააღმდეგოდ, ისე ექიმის მიერ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ფესმძიმე ქალის იძულება, გაიკეთოს აბორტი; შესაბამის ინსტიტუციებში მყოფი პაციენტის მკურნალობა მისგან ნებართვის მიღების გარეშე (იმ მოტივით, რომ მიაჩნიათ, თითქოსდა ასეთი კატეგორიის პაციენტები მოკლებულნი არიან უნარს, მკურნალობის თაობაზე თავად მიიღონ გადაწყვეტილება); ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტის ჩართვა სამედიცინო კვლევაში მისი თანხმობის გარეშე და ელექტრო-კონვულსიური თერაპიის³⁴² ჩატარება პაციენტისთვის, რომელსაც განუმარტავენ, რომ თითქოსდა ეს არის „ძილის თერაპია“.³⁴³

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა იძულებითი სტერილიზაციის შესახებ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ჰუმან რაითს ვონის³⁴⁴ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსოფლიო მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა იძულებითი სტერილიზაციის პრაქტიკა ეფუძნება პოპულაციის კონტროლის ევგენიკურ პრაქტიკას, ისეთ საკითხებს, როგორც არის მენსტრუალური მენეჯმენტი და პირადი ჰიგიენა, ორსულობის პრევენცია (სექსუალური ძალმომრეობის შედეგად მიღებული ფესმძიმობის ჩათვლით). როგორც წესი, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა განპირობებულია ტრადიციული სოციალური დამოკიდებულებით, რომელიც შეზღუდულ შესაძლებლობას ადამიანურ ტრადედიად განიხილავს. მრავალ ქვეყანაში იძულებითი სტერილიზაციის ირგვლივ დებატები გრძელდება როგორც მთავრობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახის წევრების, ისე იურიდიული და სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც აქცენტი კეთდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა „საუკეთესო ინტერესზე“. როგორც წესი, მათ არგუმენტებს საერთო არაფერი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა უფლებებთან და ითვალისწინებს მხოლოდ სოციალურ ფაქტორს, მორგებულია ამ უკანასკნელთა ზრუნვაზე პასუხისმგებელ პირთა ინტერესზე, რაც შეიძლება ნაკლები უხერხულობა შეექმნათ ზრუნვის პროცესში; ნაკლებად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა სექსუალური

უკანასკნელი ცამეტი წლის მანძილზე, უზბეკეთის მთავრობა ექიმებს აიძულებს (დაწესებულია კვოტები, რომელთა შესრულებაც კონტროლდება), ჩატარონ რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალთა სტერილიზაცია, რომელთაც უკვე ჰყავთ ორი ან მეტი შვილი. ამასთან, სტერილიზაციას მეტწილად ექვემდებარებიან დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, განსაკუთრებით, ბოშები (იხ. *Antelava N., Forced Sterilization of Women in Uzbekistan, December 2013, 1-2, <https://goo.gl/hfZzUW>, [12.08.15]*).

³⁴² ინგ. Electroconvulsive Therapy (ECT), წინათ ცნობილი, როგორც ელექტროშოკური თერაპია (ინგ. “*Electroshock Therapy*”). იხ. *Brain Stimulation Therapies, “National Institute of Mental Health”, <http://goo.gl/qQRdQU >, [12.08.15]*.

³⁴³ იხ. *ახლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ., მეიშვილი ზ., მირზიაშვილი ნ., ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბ., 2011, 32, <http://goo.gl/eIOyBX>, [06.06.15]*.

³⁴⁴ ინგ. “*Human Rights Watch*”.

ძალმომრეობისგან და ექსპლოატაციისგან დაცვის ადეკვატურ ზომებს, მათ მხარდაჭერას იმ შემთხვევაში თუ მიიღებენ გადაწყვეტილებას, გახდნენ მშობლები. სხვა ღონისძიებათა გარდა, რაც უნდა გატარდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დახურული დაწესებულებების მონიტორინგი, სადაც ისინი განთავსებულნი არიან (როგორც არის მზრუნველობას მოკლებულთა თავშესაფარი, ფსიქიატრიული საავადმყოფო და სხვა ინსტიტუტები) და მათთვის კონტრაცეფციის იმ ალტერნატიული მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ არის შეუქცევადი ხასიათის და განსხვავდება სტერილიზაციისგან.³⁴⁵

ზემოსხენებულის გარდა, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ანგარიშებში მოიხსენიება ადამიანის უფლებათა დარღვევის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც უხეშად ხელყოფს ადამიანის უფლებებს და წარმოადგენს სამედიცინო ჩვენების არარსებობისას იძულებითი სამედიცინო ჩარევის მაგალითს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებობს ე.წ. „ქალთა წინადაცვეთის“ (ქალთა გენიტალიების ტრავმირების) პრაქტიკა, რომელიც მიიმედ აზიანებს ქალის ჯანმრთელობას და წარმოადგენს რეპროდუქციული უფლების დარღვევას.³⁴⁶ ამგვარი ჩარევა იწვევს უნაყოფობას, ახალშობილთა სიკვდილიანობას, ქმნის ინფექციის და სხვადასხვა დაავადებათა განვითარების რისკს, რიგ შემთხვევებში მთავრდება ლეტალური შედეგით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2014 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით ქალთა წინადაცვეთის მანეჟ პრაქტიკის მსხვერპლია ას ოცდახუთი მილიონი გოგონა და ქალი.³⁴⁷

საქართველოში ე.წ. „ქალთა წინადაცვეთის“ ტრადიციის ან ცალკეული ფაქტების არსებობა (მაგ., მიგრანტებს შორის³⁴⁸) სამართალდამცავი ორგანოების ან ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მონაცემებით არ დასტურდებოდა. 2016 წლის 4

³⁴⁵ იხ. Human Rights Watch, Sterilization of Women and Girls with Disabilities, A Briefing Paper, November 10, 2011, <<https://goo.gl/bBHgKU>>, [12.08.15].

³⁴⁶ იხ. UN Human Rights Council, Promotion and Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, Including the Right to Development: Report of the Special Rapporteur on Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, *Juan E. Méndez*, 1 February, 2013, 11, <<http://goo.gl/sSf8xR>>, [12.08.15].

³⁴⁷ იხ. World Health Organization, Female Genital Mutilation, Fact sheet №241, February, 2014, <<http://goo.gl/W0zhJz>>, [14.08.15].

³⁴⁸ ე.წ. „ქალთა წინადაცვეთის“ ტრადიცია გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მეტწილად აფრიკის დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში, აზიისა და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში და ამავე ტერიტორიებიდან წამოსულ იმიგრანტებს შორის, ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში (იხ. Eliminating Female Genital Mutilation (An Interagency Statement), OHCHR, UNAIDS, UNDP, UNECA, UNESCO, UNFPA, UNHCR, UNICEF, UNIFEM, WHO, 2008, 1, <<http://goo.gl/iRgkr8>>, [15.08.15]; აგრეთვე: Female Genital Mutilation Risk and Safeguarding (Guidance for Professionals), March, 2015, Department of Health, <<https://goo.gl/xQsBlz>>, [15.08.15]; Female Genital Mutilation/Cutting: United States Government's Response, July 21, 2014, <<https://goo.gl/XZX2bz>>, [15.08.15]; Ending Female Genital Mutilation/Cutting: Lessons From a Decade of Progress: Population Reference Bureau, 2014, <<http://goo.gl/uaRPB6>>, [15.08.15]; *Behrendt A.*, Listening to African Voices (Female Genital Mutilation/Cutting Among Immigrants in Hamburg: Knowledge, Attitudes and Practice), February, 2011, <<http://goo.gl/A36qMw>>, [15.08.15].

ნოემბერს საერთაშორისო ორგანიზაციამ „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტმა“³⁴⁹ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება, რომლის ავტორის მტკიცებით, ყვარლის რაიონის სამ სოფელში, კერძოდ, თივში, სარუსოსა და ჩანთლისყურეში მცხოვრებ ავარიელების ეთნიკურ ჯგუფში დამკვიდრებულია გოგონათა წინადაცვეთის პრაქტიკა, რაც არა სამედიცინო დაწესებულებაში არამედ შინაურ პირობებში ტარდება.³⁵⁰

3.4. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული თვითგამოხატვა

იძულებითი სტერილიზაციის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ტრანსგენდერი ადამიანების მიერ სქესის შეცვლის საკითხს. მართალია, სახელმწიფო აფინანსებს გარკვეული კატეგორიის სამედიცინო ოპერაციებს, მაგრამ ტრანსგენდერების შემთხვევაში სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი არ არის „მისი მაღალი სოციალური მნიშვნელოვანების მიუხედავად“.³⁵¹ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ადგენს დასკვნას შესწორების და ცვლილების შეტანის შესახებ. შემთხვევათა ჩამონათვალში დასახელებულია სქესის შეცვლასთან დაკავშირებით სახელის, მამის სახელის და გვარის შესწორების აუცილებლობა,³⁵² მაგრამ განსაზღვრული არ არის თუ რა ჩაითვლება *სქესის შეცვლად*. გარდა ამისა, არ არსებობს პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტში ცვლილების განხორციელებისთვის.³⁵³ მარეგისტრირებელ ორგანოს „არაფორმალური პრაქტიკა აქვს დამკვიდრებული“, ³⁵⁴ რაც გამოიხატება შემდეგში: „სავალდებულოა შეუქცევადი სტერილიზაციის, ჰორმონალური მკურნალობის და წინასწარი ქირურგიული პროცედურების გავლა, რათა პირმა ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება შეძლოს. სქესის კვლავმინიჭების პროცედურის სრულად გავლის შემთხვევაში, პირს გააჩნია უფლება ოფიციალურ დოკუმენტებში შეცვალოს მონაცემები სქესის შესახებ.“³⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპულმა

³⁴⁹ Institute for War and Peace Reporting (IWPR).

³⁵⁰ Mirmaksumova A., FGM Uncovered in Georgia, IWPR, 2016, <<https://goo.gl/HSSSp0>>, [10.10.16].

³⁵¹ ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია (CM/Rec(2010)/5) წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე - საქართველო, რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი („ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“), თბ., 2012, 25, <<http://goo.gl/X5H9Iq>>, [14.08.15].

³⁵² სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის 106-ე I „დ“ მუხლი.

³⁵³ იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, წინადადება იუსტიციის მინისტრს სამოქალაქო აქტებში ტრანსგენდერთათვის სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებით, 27 მაისი, 2015, <<http://goo.gl/DdMv0Y>>, [14.08.15].

³⁵⁴ ელიზბარაშვილი თ., სქესის შეცვლის სამართლებრივი სირთულეები და სახელმწიფო პოლიტიკა, ჟურნ. „17 მაისი“, <<http://goo.gl/CuFVUL>>, [14.08.15].

³⁵⁵ ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია (CM/Rec(2010)/5) წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე - საქართველო, რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი („ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“), თბ., 2012, 25, <<http://goo.gl/X5H9Iq>>, [14.08.15].

სასამართლომ საქმეზე *ქრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,³⁵⁶ დაადგინა, რომ სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ტრანსგენდერის მიერ ოპერაციული ჩარევის შედეგად სქესის შეცვლის ფაქტის იურიდიული აღიარებისთვის, ხოლო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის №1728 რეზოლუცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, იმ ოფიციალურ დოკუმენტებში, სადაც ასახულია ინდივიდის სქესი, განხორციელდეს პიროვნებისთვის სასურველი გენდერული იდენტიფიკაცია, სტერილიზაციის ან სხვა სამედიცინო პროცედურების (როგორც არის სქესის კვლავინიჭების ოპერაცია და ჰორმონალური თერაპია) გავლის რაიმე წინასწარი ვალდებულების გარეშე.³⁵⁷ ევროპის საბჭოს პოზიციას სტერილიზაციის და სხვა მოთხოვნების აკრძალვის შესახებ იზიარებს გაეროს ორგანოების, ევროპის საბჭოს, ეროვნული სასამართლოების და რამოდენიმე სახელმწიფოს მიერ სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის პოლიტიკის სახელმძღვანელო ინსტრუმენტად აღიარებული³⁵⁸ საერთაშორისო სამართლის იოგიაკარტას პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ თვითგამოხატვასთან მიმართებაში.³⁵⁹

3.5. სისხლის დონაციის აკრძალვა სექსუალური ქცევის ნიშნით

დონორის ხელშეუვალი უფლებაა დონორობის აქტის ნებაყოფლობა.³⁶⁰ დონორი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე (აკრძალულია სისხლის და სისხლის კომპონენტების აღება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისგან³⁶¹). სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ საქართველოს კანონი აწესებს თექვსმეტიდან სამოცდახუთ წლამდე ასაკობრივ ზღვარს სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის მსურველთათვის. პოტენციურმა დონორმა სავალდებულო წესით უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რომლის მიზანია დადგინდეს, აქვს თუ არა პირს დონორობის საწინააღმდეგო ჩვენებები (1-ლი I მუხლი). დონორი ვალდებულია, სავალდებულო სამედიცინო შემოწმების დროს მედიცინის მუშაკებს შეატყობინოს მისთვის ცნობილი ყველა გადატანილი დაავადება და მის მიერ ნარკოტიკული და სხვა ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენების ფაქტები (მე-9 I მუხლი). თუ პირი თავისი დაავადებების შესახებ ცნობებს განზრახ დამალავს ან დაამახინჯებს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მე-9 II მუხლი). ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ვალდებულნი არიან,

³⁵⁶ იხ. *Christine Goodwin v. the United Kingdom* [2002], ECHR, no. 28957/95, <<http://goo.gl/xAngMR>>, [14.08.15].

³⁵⁷ იხ. Parliamentary Assembly, Resolution №1728 (2010) on Discrimination on the Basis of Sexual Orientation and Gender Identity, <<http://goo.gl/XW3g2L>>, [14.08.15].

³⁵⁸ იხ. ტრანსგენდერი ადამიანების სქესის აღიარების სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო მაგალითები, 2012, <<https://goo.gl/O2Cpko>>, [14.08.15].

³⁵⁹ იხ. Yogyakarta Principles (Principles on the Application of International Human Rights Law in Relation to Sexual Orientation and Gender Identity, March, 2007, 11-12, <<http://goo.gl/2PVwfl>>, [14.08.15].

³⁶⁰ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 III მუხლი.

³⁶¹ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 129-ე I მუხლი.

უზრუნველყონ დონორების ჯანმრთელობის დაცვა ისეთი კომპლექსური ღონისძიებების საშუალებით (მათ შორის, სისხლის აღების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის და სამედიცინო პერსონალის სათანადო მომზადების გზით), რომელთა მიზანია დონორობის უვნებლობა, დონორობის ფუნქციის შესრულების დროს გართულებების და ინფექციური სენით დაავადების შესაძლებლობათა თავიდან აცილება (მე-11 II მუხლი).

2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*³⁶² და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/6 ბრძანების №1 დანართის („სისხლის, პლაზმის, სისხლის უჯრედების დონორების სამედიცინო შემოწმების შესახებ დებულება“) 24-ე მუხლში³⁶³ (2000 წლის 5 დეკემბრის რედაქცია) მოცემული სიტყვა *ჰომოსექსუალიზმი* და სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №282/6 ბრძანების №1 დანართის („სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ“) მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში³⁶⁴ (2007 წლის 27 სექტემბრის რედაქცია) მოცემული სიტყვა *ჰომოსექსუალიზმი* საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (თანასწორობის უფლება)³⁶⁵ და მე-16

³⁶² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (№2/1/536) საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/luSKDN>>, [16.08.15].

³⁶³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/6 ბრძანების №1 დანართში („სისხლის, პლაზმის, სისხლის უჯრედების დონორების სამედიცინო შემოწმების შესახებ დებულება“) მოცემულია დონორობის აბსოლუტური წინააღმდეგჩვენებები. 24-ე მუხლის თანახმად, დონორობის აბსოლუტურ წინააღმდეგჩვენებას წარმოადგენს „შიდსის რისკ ფაქტორებისადმი მიკუთვნება (ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, ტატუირება, ნემსის ჩხვლეტა).“

³⁶⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №282/6 ბრძანების №1 დანართის („სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივები“) მე-18 მუხლის (დონორების სამედიცინო გამოკვლევა) მე-2 პუნქტში მოცემული იყო დონორების სამედიცინო გამოკვლევის მოცულობა („დონორის ზოგადი მდგომარეობის შეფასება, წონა, ანამნეზი, პირველ რიგში – ეპიდანამნეზი (მათ შორის, დონორის აივ-ინფექციითა და ჰეპატიტით დაინფიცირების რისკფაქტორები – ჰომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია, ნარკომანია), ხილული ღორწოვანი გარსებისა და კანის საფარველის მდგომარეობა, პულსი, არტერიული წნევა“).

³⁶⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა, არსებითად თანასწორ პირებს შორის, ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

(პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) ³⁶⁶ მუხლებთან მიმართებით. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ „სადავო ნორმით გათვალისწინებული ჩარევის ფორმა იძლევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, კერძოდ, ახდენს სარისკო დონორების სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის პროცესისგან დისტანცირებას და წარმოადგენს ქმედით ღონისძიებას სისხლის რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.“ ამავდროულად, „სადავო ნორმების საფუძველად სოციალურ ჯგუფზე მითითება („ჰომოსექსუალიზმი“), ზედმეტად ზღუდავს ამ სოციალურ ჯგუფში შემავალი იმ პირების უფლებებს ისე, რომ არ იღებს მხედველობაში იმ გარემოებას, კავდებიან თუ არა ეს პირები სარისკო სექსუალური ქცევით და დროის რა მონაკვეთში იყვნენ ისინი დაკავებული ამგვარი ქცევით“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №282/6 ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №74 დადგენილებით („ტექნიკური რეგლამენტი - სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ“), ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 ოქტომბრის №01-39/6 ბრძანებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/6 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქცევა, რომელიც უკავშირდება სისხლის გზით გადამდები დაავადებების შექმნის მაღალ რისკს: ა) მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან“;

კერძოდ, ერთი მხრივ, სარისკო სექსუალური ქცევის მქონე ჰომოსექსუალ მამაკაცებთან მიმართებით დადგენილია აბსოლუტური აკრძალვა „ფანჯრის პერიოდის“ მიღმაც, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყენებული ტერმინის ფართო შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება აკრძალვა შეეხოს ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული სარისკო სექსუალური ქცევით. შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის ძირითად უფლებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (№2/1/536) საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუნაშვილი და გონა ვაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/luSKDN>>, [16.08.15]).

³⁶⁶სასამართლოს განმარტებით, „დაუშვებელია უფლების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს საჭიროა კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სადავო ნორმებით, სისხლის ან/და სისხლის კომპონენტის დონორი ვერ იქნება პირი, რომელიც თვითიდენტიფიცირებას ახდეს ჰომოსექსუალად, მაგრამ არ კავდება სარისკო სექსუალური ქცევით. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ახდენს ისეთი პირის დისტანცირებას დონაციის პროცესისგან, რომლის მიერ სისხლის ჩაბარება არ შეიცავს რეციპიენტთა ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ რისკებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა არათანაზომიერია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (№2/1/536) საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუნაშვილი და გონა ვაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/luSKDN>>, [16.08.15]).

აგრეთვე, დაემატა 65¹-ე პუნქტი, რომლითაც დონორობის უკუჩვენებებს დაემატა სქესობრივი კონტაქტი სისხლის გზით გადამდები დაავადებების შექმნის მაღალი რისკის (მათ შორის, მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან) მქონე პარტნიორთან და დადგინდა გადავადება თორმეტი თვის განმავლობაში ბოლო კონტაქტიდან. ამგვარად, განხორციელებული ცვლილებით სისხლის დონაცია აიკრძალა სექსუალური ქცევის ნიშნით (ნაცვლად სექსუალური ორიენტაციის საფუძველით აკრძალვისა) და აკრძალვამ დაკარგა აბსოლუტური ხასიათი. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კოალიციის („კოალიცია თანასწორობისათვის“³⁶⁷) მტკიცებით, „ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების შესახებ ბრძანებაში შესული ცვლილების მიხედვით, ფორმალურად, სისხლის დონაცია აიკრძალა არა სექსუალური ორიენტაციის საფუძველით, არამედ სექსუალური ქცევის ნიშნით. ამასთან აკრძალვამ შეინარჩუნა სამუდამო ხასიათი. ბრძანების ახალი რედაქციის მიხედვით თუ მამაკაცს ერთხელ მაინც ჰქონია სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, სისხლის დონაცია სამუდამოდ ეკრძალება.“³⁶⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში სისხლის დონორი ვერ იქნება მამაკაცი, რომელსაც 1977 წლიდან (სწორედ ამ წელს დაიწყო შიდსის ეპიდემია შტატებში) დღემდე სხვა მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია დასახელებული ჯგუფის აივ ინფექციით, ჰეპატიტით და სხვა ინფექციებით დაავადების მზარდი რისკის ქვეშ ყოფნა.³⁶⁹ თუმცა, ამავე დეპარტამენტმა უკვე გააკეთა განცხადება აბსოლუტური აკრძალვის მოსალოდნელი გაუქმებისა და თორმეტთვიანი გადავადების პერიოდის დაწესების შესახებ.³⁷⁰ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სექსუალური უმცირესობის უფლებებთან დაკავშირებით პროგრესული დამოკიდებულების მქონე ისეთი ქვეყნები, როგორც არის მაგ., გერმანია, პოლანდია და დანია, ზღუდავენ ამ კატეგორიის პირთა მიერ სისხლის დონაციას, ხოლო რუსეთში, სადაც „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა“ აკრძალულია, ამ მიმართულებით რაიმე შეზღუდვები არ არსებობს.

³⁶⁷ კოალიცია წარმოადგენს ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, იდენტობა, საფარი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი) არაფორმალურ გაერთიანებას (იხ. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება (ერთი წლის შედეგები), 2015, 67, <<http://goo.gl/uKSgOy>>, [17.08.15]).

³⁶⁸ ამავე დოკუმენტში მოცემულია კოალიციის მოთხოვნა, რომ „სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რათა საკუთარი ბრძანება შეუსაბამოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. სახალხო დამცველმა გამოიყენოს მორიგების მექანიზმიც“ (ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება (ერთი წლის შედეგები), 2015, 27, <<http://goo.gl/uKSgOy>>, [17.08.15]).

³⁶⁹ იხ. Blood Donations from Men Who Have Sex with Other Men Questions and Answers, U.S. Food and Drug Administration, <<http://goo.gl/VrwlHq>>, [17.08.15].

³⁷⁰ იხ. Revised Recommendations for Reducing the Risk of Human Immunodeficiency Virus Transmission by Blood and Blood Products (Draft Guidance for Industry), May, 2015, 10, <<http://goo.gl/xNna2W>>, [17.08.15]. FDA Commissioner Margaret A. Hamburg's Statement on FDA's Blood Donor Deferral Policy for Men Who Have Sex with Men, December 23, 2014, <<http://goo.gl/2AXcpH>>, [17.08.15].

აკრძალვები არ არის დაწესებული აგრეთვე ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, პოლონეთი და ა.შ.³⁷¹

3.6. პაციენტის უფლება ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე

როგორც აღინიშნა, სამედიცინო საქმიანობა (სამედიცინო მომსახურება) გულისხმობს საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან (ფსიქიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციასთან), პალიატიურ მზრუნველობასთან, პაციენტის სამედიცინო მოვლასთან, პროთეზირებასთან, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებასთან, პაციენტის სამედიცინო განათლებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებთან და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებასთან და ხორციელდება დადგენილი წესით.³⁷² ისმის კითხვა: სსკ-ის რომელი მუხლით უნდა გადაწყდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი იმ შემთხვევაში თუ პაციენტის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა სამედიცინო დაწესებულების მიერ რეალიზებული ინფიცირებული სისხლის გადასხმით? საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც 1. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, მოცემულ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება აიცილებს თუ არა პასუხისმგებლობას პაციენტთან დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების იმ მუხლზე მითითებით, რომლითაც მხარეები თანხმდებიან პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე ან საერთოდ გამორიცხავენ მას (სსკ-ის 410-ე მუხლი); 2. უნდა განისაზღვროს სუბიექტი, რომელსაც მტკიცების ტვირთი დაეკისრება.

სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი კითხვა დაისვა³⁷³ და სასამართლომ სამედიცინო დაწესებულების, კერძოდ, შპს „... სისხლის ბანკის“ პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის 413-ე, 1009-ე-1016-ე მუხლებით გადაწყვიტა (ზოგადად, წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა ის სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან³⁷⁴). შესაბამისად, კითხვაზე, მოცემულ შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება აიცილებს თუ არა პასუხისმგებლობას პაციენტთან დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების იმ მუხლზე მითითებით, რომლითაც მხარეები თანხმდებიან პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე ან საერთოდ გამორიცხავენ მას, პასუხი უარყოფითად უნდა იქნეს გაცემული, რამდენადაც სსკ-ის 1016-ე მუხლის თანახმად, მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით

³⁷¹ იხ. *Dias O.*, It's Time to Allow Gay Men to Donate Blood, July 2, 2015, "Huffington Post", <<http://goo.gl/2AXcpH>>, [17.08.15].

³⁷² ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ჩ“ მუხლი.

³⁷³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-296-624-07), <<http://goo.gl/EBAwqL>>, [27.08.15].

³⁷⁴ სსკ-ის 1009-ე I მუხლი.

გამოწვეული ზიანისთვის არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს და ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი დაზარალებულს ეკისრება³⁷⁵ (ე.ი. წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის მიმართ არ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია).

აღნიშნულ საქმეზე საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სამედიცინო დაწესებულების გულისხმიერების ვალდებულებაზე, მხარესთან ნივთის ხარისხზე შეთანხმების არსებობა-არარსებობის მნიშვნელობასა და შესაბამის სფეროში სამედიცინო დაწესებულების ზედმიწევნით კეთილსინდისიერი და მაღალპროფესიული საქმიანობის მიმართ არსებულ პრეზუმფციაზე: „ბუნებრივია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქციას, გულისხმიერი დამოკიდებულება მართებს ნივთის საიმედოობასთან მიმართებაში. ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკთანაა დაკავშირებული... სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს შორის ნივთის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამოირიცხავს უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში კასატორი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს რა სპეციფიკური პროდუქტის - სისხლის პროდუქციასა და მის რეალიზაციას, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. ასეთი ნდობა განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში კონტრაქტის მზადყოფნის პრეზუმფციით, როგორც პროფესიონალი კადრებით ისე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ დონორის შიდასის ვირუსით დაინფიცირების უზუსტესი მეთოდით დადგენა შესაძლებელია სათანადო აპარატურითა და ტექნიკით, რომელიც ძვირადღირებულია და ასეთი შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ინფექციური პათოლოგიის, შიდასისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრს გააჩნია. ეს გარემოება გამოირიცხავს კასატორის არგუმენტს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე. აღნიშნული ნორმით, უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს არ აგებს იმ ნაკლისათვის, რომლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს. მწარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათანადო ტექნიკით აღჭურვაზე, ხოლო ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული“. აქვე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან მწარმოებელი ახორციელებდა ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებაზე, სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე და ამ პროდუქტის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერების და ტექნიკის

³⁷⁵სსკ-ის 1012-ე მუხლი.

არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ის ვალდებული იყო, მომხმარებლისთვის ამის შესახებ ეცნობებინა და გაეფრთხილებინა სავარაუდო თანმდევი შედეგების შესახებ (სასამართლოს ეს დასკვნა სსკ-ის 318-ე მუხლს დაეფუძნა, რომელიც ადგენს კონტრაქტის ვალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე).

4. სამედიცინო დაწესებულების ცნება და ფუნქციები

სსკ-ში სამედიცინო დაწესებულების ცნება განმარტებული არ არის, შესაბამისად გაურკვეველია თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე მიუთითებს კანონმდებელი სსკ-ის 1007-ე მუხლში.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 53-ე III მუხლის თანახმად, სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებები ვალდებული არიან დაიცვან სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, წესები და ნორმები. ამავე კანონის თანახმად, სამედიცინო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი (სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი (57-ე I მუხლი), რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას (53-ე I მუხლი). ამავე კანონის თანახმად, სამედიცინო დაწესებულება საქმიანობას თავისი წესდების მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს (59-ე I მუხლი). ამასთან, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოიხსენიება სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები, აგრეთვე, სახელმწიფო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები.³⁷⁶ ამავე კანონის 53-ე I მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულების საფინანსო რესურსებში სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული წილი შეადგენს არანაკლებ 75%-ს, ხოლო მის ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების არანაკლებ 75%-ისა გათვალისწინებულია სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციების განსახორციელებლად. ეს ფუნქციებია: 1. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა; 2. დაავადებათა პროფილაქტიკა ან/და მკურნალობა ან/და პაციენტების რეაბილიტაცია ან/და პალიატიური მზრუნველობა; 3. სამედიცინო საქმიანობა; 4. ფარმაცევტული საქმიანობა;³⁷⁷ 5. გეამის პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; 6. ეპიდემიოლოგიური კონტროლის დონისძიებების განხორციელება (53-ე II მუხლი).

სამედიცინო დაწესებულების ცნება განმარტებულია სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონში, რომლის

³⁷⁶ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს განეკუთვნება სახელმწიფო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების თვითანაზღაურების და თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად საფინანსო, სამეურნეო, სახელშეკრულებო ურთიერთობების და მართვის სისტემის ავტონომია კანონმდებლობით დადგენილი წესით (მე-4 „პ“ მუხლი).

³⁷⁷ ფარმაცევტული საქმიანობა წესრიგდება საქართველოს კანონით წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (პარლამენტის უწყებანი, 17-18, 05.05.1997).

თანახმად, სამედიცინო დაწესებულება არის „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას“ (მე-3 „ზ“ მუხლი). სამედიცინო დაწესებულებას აგრეთვე განმარტავს საქართველოს კანონი აივ ინფექცია/შიდსის შესახებ³⁷⁸ („იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო მომსახურებას“ (მე-3 „ვ“ მუხლი).

ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონით³⁷⁹ განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი (მე-4 „მ“ მუხლი). აღნიშნული კანონით სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი განისაზღვრება, როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო სერტიფიკატი ან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „დ“ მუხლი).

საქართველოში მოქმედებს სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამედიცინო დაწესებულებებს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით³⁸⁰). პრაქტიკაში დაისვა კითხვა: თუ პირის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა ისეთი სუბიექტის მიერ, რომელიც „მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით“ დაფუძნებულ საწარმოს წარმოადგენს, გადაწყდება თუ არა პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის 1005-ე მუხლის მიხედვით? 2004 წელს მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში³⁸¹ სასამართლომ განმარტა სსკ-ის 1005-ე მუხლი და მიუთითა, რომ ზიანი არ დამდგარა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების უხეში გაუფრთხილებლობით, ვინაიდან შპს მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით წარმოადგენს კერძო სტრუქტურას: „საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1005-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ორგანოში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, კერძოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი

³⁷⁸სსმ, №37, 30.11.2009.

³⁷⁹სსმ, №26, 12.07.2007.

³⁸⁰სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამედიცინო დაწესებულებას წარმოადგენს მაგ., შპს „ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო“. უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ იქნა ისეთი სამედიცინო დაწესებულებები, როგორც არის სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“ და შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ (იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013-2014 წლების ანგარიში, <<http://goo.gl/mIRPPo>>, [27.08.15]).

³⁸¹იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-205-172-კ-04), <<http://goo.gl/9X8UII>>, [28.08.15].

ორგანოები³⁸²... დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხე სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების უხეშმა გაუფრთხილებლობამ განაპირობა დამდგარი შედეგი, მით უფრო, რომ შპს... არის არა სახელმწიფო დაწესებულება, არამედ კერძო სტრუქტურა... ქ. რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის – მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დამდგარი შედეგი გამოწვეულია სკ-ის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული მერიის მოსამსახურეთა განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით.“

როგორც აღინიშნა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოიხსენიება სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებები, აგრეთვე, სახელმწიფო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები.³⁸³ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედებს მაგ., საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი,³⁸⁴ რომელიც დებულებით³⁸⁵ განსაზღვრული მიზნების და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში

³⁸² ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1700-1656(გ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17], სადაც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1005-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ორგანოში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, კერძოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

³⁸³ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს განეკუთვნება სახელმწიფო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების თვითანაზღაურების და თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად საფინანსო, სამეურნეო, სახელშეკრულებო ურთიერთობების და მართვის სისტემის ავტონომია კანონმდებლობით დადგენილი წესით (მე-4 „პ“ მუხლი).

³⁸⁴ შეიქმნა და ფუნქციონირებს საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 აგვისტოს №483 ბრძანებულების საფუძველზე. ბრძანების 1-ლი I მუხლის თანახმად, გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს თავდაცვის სამინისტროს და ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა, სამხედრო განათლებისა და მომზადების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების (კადეტების), თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილი კომპენსაციის/პენსიის მიმღები სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი, დედა, მამა), იურიდიული და ფიზიკური პირების სამედიცინო მომსახურებას.

³⁸⁵ იხ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №297 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის" დებულების დამტკიცების თაობაზე (სსმ, №147, 30.10.2006).

გამოვიდეს მოსარჩელედ ანდა მოპასუხედ.³⁸⁶ საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო.³⁸⁷

წინამდებარე ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სამკურნალო დაწესებულების სამართლებრივი სტატუსი, როგორც არის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება. პატიმრობის კოდექსის³⁸⁸ თანახმად, პენიტენციური დაწესებულება არის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის სამართლებრივი აქტით შექმნილი დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი და ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში. პენიტენციური დაწესებულება მისთვის პატიმრობის კოდექსით მინიჭებული ცალკეული ფუნქციების შესრულებისას არის ადმინისტრაციული ორგანო (მე-8 I მუხლი).³⁸⁹ პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფენ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მოსამსახურეები (პატიმრობის კოდექსის მე-8 V მუხლი), ხოლო ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება არის პენიტენციური დაწესებულების ერთ-ერთ სახე (ისევე, როგორც პატიმრობის დაწესებულება და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) (პატიმრობის კოდექსის მე-8 VI მუხლი).

ამგვარად, სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებები³⁹⁰ დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნებია, არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, თითოეული ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში. ეს დაწესებულებები მათთვის მინიჭებული ფუნქციების შესრულებისას წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს.³⁹¹

როგორც აღინიშნა, სსკ-ში სამედიცინო დაწესებულების ცნება განმარტებული არ არის, შესაბამისად გაურკვეველია თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე

³⁸⁶ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის დებულების I-ლი IV მუხლი.

³⁸⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 I „ა“ მუხლი.

³⁸⁸ სსმ, №12, 24.03.2010.

³⁸⁹ სზაკ-ის მე-2 I „ა“ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

³⁹⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №19 პენიტენციური დაწესებულება – ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი.

³⁹¹ იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №114 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების მე-2 I მუხლი (სსმ, ვებგვერდი, 31.08.2015) და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №113 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №19 პენიტენციური დაწესებულების – ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულების მე-2 I მუხლი (სსმ, ვებგვერდი, 31.08.2015).

მიუთითებს კანონმდებელი სსკ-ის 1007-ე მუხლში. წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული „ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ის ყველა ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე უნდა ვრცელდებოდეს.“³⁹²

ვინაიდან საქართველოში კერძო სამედიცინო დაწესებულებების გარდა მოქმედებს სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ, წინამდებარე ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საქმეების განსჯადობის პრობლემა.³⁹³ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე II მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე; განსჯადობის აღრევა იწვევს „საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე.“³⁹⁴

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე IX მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასთვის გარანტირებულია.³⁹⁵ ეს კონსტიტუციური პრინციპი აისახა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლში.³⁹⁶ ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს როგორც ხელშეკრულების საფუძველზე, ისე კანონით გათვალისწინებული საფუძველით.³⁹⁷

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი (მოიცავს 207-ე-209-ე მუხლებს) ითვალისწინებს სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს. 2008 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან,“³⁹⁸ შესაბამისად, ზოგადი

³⁹² მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 2014, 77-78, <<http://goo.gl/gpjLUB>>, [17.12.15].

³⁹³ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, 347-350.

³⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1471-1433(კ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17].

³⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-860-822(კ-07), <<https://goo.gl/LldRFd>>, [22.05.17]. ასევე, იხ. ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 285.

³⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1700-1656(გ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17].

³⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-860-822(კ-07), <<https://goo.gl/LldRFd>>, [22.05.17]. ასევე, იხ. ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 284.

³⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-860-822(კ-07),

ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით „განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული /ასე, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი/.“³⁹⁹

სსკ-ის 1005-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში „ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა იყოს მოპასუხე მხარე, ხოლო ზიანის მიმყენებლის განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც დგინდება დავაზე სამართალწარმოების განხორციელების შედეგად, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელ პირს ამ ზარალის რეგრესის წესით მთლიანად, ან ნაწილობრივ ანაზღაურება.“⁴⁰⁰ ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება „არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს.“⁴⁰¹

სსკ-ის 1005-ე მუხლით ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ხორციელდება ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლებს, კანონმდებელი ითვალისწინებს ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის დაკისრებას არა მხოლოდ ბრალის დადასტურების, არამედ ბრალის გარეშე განხორციელებული ზიანის გამომწვევი ქმედების გამო.⁴⁰²

განიხილა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 I „გ“ მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლები და სსკ-ის 1005-ე მუხლი, 2011 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ „სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ზიანის მიმყენებელი პირის სტატუსი არ არის საკმარისი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, აუცილებელია მოხელის მიერ ზიანის მიმყენებელი ქმედება სხვა პირის მიმართ ჩადენილი იყოს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, ამასთან, ამგვარი ქმედების შედეგად დაირღვეს ისეთი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება. მიუხედავად ზემოთ გაკეთებული დასკვნებისა,

<<https://goo.gl/LldRFd>>, [22.05.17]. ასევე, იხ. ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 284.

³⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-860-822(კ-07), <<https://goo.gl/LldRFd>>, [22.05.17]. ასევე, იხ. ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 284; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1700-1656(გ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17].

⁴⁰⁰ ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010, 147.

⁴⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1700-1656(გ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17].

⁴⁰² იქვე, 285.

დაზარალებულს არ ერთმევა უფლება ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მოხელისაგან, როგორც ფიზიკური პირისაგან სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.“⁴⁰³ ეს გადაწყვეტილება თავის მხრივ, შეიცავს მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლომ განმარტა: „ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით... საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკისრება.“⁴⁰⁴ ამგვარად, დაზარალებული (მოსარჩელე) უფლებამოსილია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს;

- სსკ-ის 992-ე ან დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი ნორმების საფუძველზე (საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარება თუკი დაზარალებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს კონკრეტული სუბიექტისგან, არა როგორც სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურისგან, არამედ, როგორც ფიზიკური პირისგან),

- სსკ-ის 1005-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის და სახელმწიფოსგან (მუნიციპალიტეტისგან) სოლიდარულად (ზიანი მიყენებული უნდა იყოს განზრახ ან უხეშო გაუფრთხილებლობით),

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, მხოლოდ სახელმწიფოსგან (მუნიციპალიტეტისგან).

იმ შემთხვევაში თუ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა

⁴⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-352-335-2011, <<https://goo.gl/rdcXUo>>, [25.05.17].

⁴⁰⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-233-224(გ-10), <<https://goo.gl/atVAwy>>, [25.05.17]

განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა პალატას.⁴⁰⁵ განსჯადობის აღრევა დაუშვებელია, რამდენადაც „იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახავს ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე... არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და ექვემდებარება გაუქმებას.“⁴⁰⁶

5. სახელმწიფო კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში⁴⁰⁷

პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია პაციენტის უფლებების დარღვევით, მცდარი სამედიცინო ქმედებით და სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით. გარდა ამისა, ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს ქმნის ზიანი, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობით და რეგულირებით. პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება და სახელმწიფო სამედიცინო და სანიტარიული სტანდარტების შეცვლა (მე-10 მუხლი). ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს განეკუთვნება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ექიმთა სერტიფიცირების, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირებისა და სამედიცინო დაწესებულებაზე ნებართვის გაცემისთვის (მე-4 „ლ“ მუხლი).⁴⁰⁸

ერთ-ერთ საქმეზე,⁴⁰⁹ დაადგინა რა მიზეზობრივი კავშირი არასრულწლოვნის ვაქცინაციას (პროფილაქტიკური აცრა ბავშვთა პოლიკლინიკის უბნის პედიატრმა განახორციელა) და მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს შორის (პოსტვაქცინალური მწვავე ენცეფალომიელიტი), თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო

⁴⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1522-1483(კ-10), <<https://goo.gl/TA5KBy>>, [25.05.17].

⁴⁰⁶ იქვე.

⁴⁰⁷ იხ. წინამდებარე ნაშრომის VI თავის მე-6 პარაგრაფი („იურიდიული პირის ბრალი“).

⁴⁰⁸ კანონმდებლობით განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმები, მათ შორის არის სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი; სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი, ფარმაციისა და ფარმწარმოების მოწესრიგება (საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებულ გამოგებლობას მიეკუთვნება ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა (მე-3 I „ნ“ მუხლი); სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმირება და ეპიდემიოლოგიური კონტროლი (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 I მუხლი).

⁴⁰⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-434-25 (3კ-05), <<http://goo.gl/wZ2X4W>>, [28.08.15].

გარემოს უზრუნველყოფა არის სახელმწიფოს ვალდებულება. სახელმწიფოს ამ ვალდებულებას ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო... ამავ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მოსახლეობის სრული ინფორმირება სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობების შესახებ. მე-15 მუხლის თანახმად კი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ევალუა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციანა ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მეთოდური, ინსტრუქციული დოკუმენტაციისა და ანალიზის ინფორმაციის გამოცემა.“ არასრულწლოვნის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრალი, სასამართლო კოლეგიის დასკვნით, გამოიხატა შემდეგში: „იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამოცანაა სახელმწიფო ჯანდაცვისა და სტრატეგიულ-პროფილაქტიკურ მმართველობათა განვითარება, სახელმწიფო სამედიცინო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, სამინისტრო ვალდებული იყო მაქსიმალურად შეესწავლა, გაეანალიზებინა ის ინფორმაცია, რაც არსებობდა იმ დროისათვის ჰეპატიტის ვაქცინაციის პროცესებთან დაკავშირებით და მიეწოდებინა მოსახლეობისათვის, რათა მინიმუმამდე დაეყვანა მავნე შედეგი და უზრუნველყო ბავშვის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება სავარაუდო შედეგის მიმართ. აცრის პერიოდისთვის მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრების კალენდარში უკუჩვენებების სრულად დაუფიქსირებლობამ მშობლებს მოუსპო არჩევანის საშუალება, გაეკეთებინა არჩევანი ვაქცინაციისა და სავარაუდო შედეგს შორის... საქმის მასალებით დგინდება, რომ ჰეპატიტის მიმართ სახელმწიფო სტანდარტი შემუშავებული არ ყოფილა, ასეთ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყვნენ, უზრუნველყოთ ამგვარი სტანდარტების შემუშავება, რაც მათი მხრიდან არ განხორციელებულა“... სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სამინისტროს და სსიპ დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის არამართლზომიერ ქმედებას (უმოქმედებას) შედეგად მოჰყვა არასრულწლოვნის დაავადება, რომელიც საქმის განხილვის მომენტისთვის იყო სრულიად უმწეო და საჭიროებდა კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას და სხვა მომსახურებას. შესაბამისად, „სასამართლო კოლეგიამ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ მოსარჩელემ უნდა მიიღოს მატერიალური დახმარება

ერთჯერადად 1000 ლარი მინიმალური ხელფასის ოდენობით... და ყოველთვიურად 50 ლარი მინიმალური ხელფასის ოდენობა“.

პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია 2002 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას მიუთითა, რომ ჯანდაცვის სფეროში სამინისტროს უნდა განხორციელებინა სახელმწიფო პოლიტიკა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. სასამართლოს აზრით, პასუხისმგებლობის დამატებით საფუძვლად ის გარემოებაც გამოდგებოდა, რომ დაავადების გამოვლენიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტების მიერ ვერ მოხერხდა სწორი დიაგნოზის დასმა და მკურნალობა. საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსაზრება და მიიჩნია, რომ მიუხედავად მათი უწყებრივი ქვემდებარეობისა, სამინისტრო ვალდებული იყო კონტროლი და ზედამხედველობა გაეწია საქართველოში მოქმედი ყველა სამედიცინო დაწესებულების მოქმედებაზე.⁴¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ ეს მსჯელობა არ გაიზიარა და აღნიშნა: „საკასაციო სასამართლო გასათვალისწინებლად მიიჩნევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას... რომ საოლქო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დასმული სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კონტროლის გაწევა და ზედამხედველობის განხორციელება საქართველოში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებზე არ გულისხმობს უშუალოდ სამინისტროს მიერ სწორი დიაგნოზის დასმასა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას. მით უფრო, რომ ეს დაავადება წარმოიშვა რადიოაქტიული ზემოქმედების შედეგად, რაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას სცილდება. მეტიც, აღსანიშნავია, რომ დაავადება სახელმწიფოს მიერ არანაირი სტანდარტებით დამტკიცებული არ ყოფილა.“ საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ „მიუხედავად სამედიცინო დაწესებულებების უწყებრივი ქვემდებარეობისა, ისინი დამოუკიდებელი სუბიექტები – იურიდიული პირები არიან, რომლებიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით აგებენ პასუხს თავიანთ ქმედებაზე, ამ შემთხვევაში სამინისტროს პასუხისმგებლობა არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, რადგან... არ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების... კანონისმიერი წანამძღვრები“.

⁴¹⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №3გ-ად-297-კ-02), <<http://goo.gl/PfJv8B>>, [28.08.15].

6. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოება. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის კონტროლი

სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო მოწყობილობათა უსაფრთხოების, მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი. სამედიცინო მოწყობილობიდან შეიძლება ისეთი დაზიანების მიღება, როგორც არის დასხივება, დამწვრობა, ელექტროტრავმა და სხვა. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს რობოტიზირებული ოპერაციების (მაგ., ე.წ. და ვინჩის ტექნოლოგია⁴¹¹), ლაპარასკოპიული ოპერაციების (ტარდება სპეციალური აპარატის, ლაპარასკოპის მეშვეობით⁴¹²) შემთხვევაში და ა.შ.

ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის⁴¹³ (შემდგომში – ასოცირების შესახებ შეთანხმება) ითვალისწინებს ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან საქართველოს დაახლოების პრიორიტეტებს,⁴¹⁴ რომლებიც შეტანილია 2010 წლის საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის შესახებ და საკანონმდებლო რეფორმისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღების პროგრამაში. ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან საქართველოს დაახლოების პრიორიტეტები მოიცავს სხვადასხვა დირექტივებს, მათ შორის,

- 1993 წლის დირექტივას (93/42/EEC) სამედიცინო მოწყობილობების შესახებ;⁴¹⁵
- 1998 წლის დირექტივას (98/79/EC) ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ;⁴¹⁶

⁴¹¹იხ. Important Patient Safety Information, Da Vinci Surgery, <<http://goo.gl/x6uA7N>>, [02.09.15]; Da Vinci Robotic Surgery Lawsuits, The Peterson Firm, <<http://goo.gl/g6oSh0>>, [02.09.15].

⁴¹²იხ. Laparoscopy, WebMD Medical Reference from Healthwise, <<http://goo.gl/0cId7a>>, [02.09.15].

⁴¹³2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (სსმ, ვებგვერდი, 11.09.14, <<https://goo.gl/V08U0Q>>, [28.08.15]).

⁴¹⁴პრიორიტეტებს, რომლებიც შეტანილია 2010 წლის მარტის საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის შესახებ და საკანონმდებლო რეფორმისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღების პროგრამაში (იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართი, <<https://goo.gl/nvfPid>>, [12.07.15]).

⁴¹⁵Council Directive 93/42/EEC of 14 June 1993 Concerning Medical Devices, <<http://goo.gl/oq9SWI>>, [12.07.15].

⁴¹⁶Directive 98/79/EC of the European Parliament and of the Council of 27 October 1998 on In Vitro Diagnostic Medical Devices, <<http://goo.gl/ixPxUZ>>, [12.07.15].

- 1990 წლის დირექტივას (90/385/EEC) აქტიური იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობების შესახებ წვერი ქვეყნების კანონების დაახლოების თაობაზე.⁴¹⁷

იმისთვის, რომ დადგეს სამედიცინო მოწყობილობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, პირველ ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სამედიცინო მოწყობილობის ცნება. სამედიცინო მოწყობილობების შესახებ დირექტივის (93/42/EEC) 1-ლი I მუხლის თანახმად, სამედიცინო მოწყობილობა არის ნებისმიერი ინსტრუმენტი, აპარატი, მოწყობილობა, მასალა ან სხვა განცალკევებულად ან კომბინირებულად გამოსაყენებელი საგანი, პროგრამული უზრუნველყოფის ჩათვლით, რომელიც მწარმოებლის მიერ საგანგებოდ არის შექმნილი დიაგნოზის დასმის და/ან თერაპევტული მიზნებით და აუცილებელია მისი სწორი გამოყენებისთვის და რომელიც მწარმოებლის მიერ შექმნილია ადამიანისთვის, შემდეგი მიზნით:

- დაავადების დიაგნოსტიკა, პრევენცია, მონიტორინგი, მკურნალობა ან შემსუბუქება,
- ტრავმის ან შეზღუდული შესაძლებლობის დიაგნოსტიკა, მონიტორინგი, მკურნალობა, შემსუბუქება ან კომპენსირება,
- ანატომიის ან ფიზიოლოგიური პროცესის გამოკვლევა, ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია,
- ჩასახვის კონტროლი.⁴¹⁸

შესაბამისად, ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 1998 წლის დირექტივის (98/79/EC) 1-ლი II „ბ“ მუხლით განსაზღვრულია *ინ ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობის ცნება*, ხოლო აქტიური იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობების შესახებ წვერი ქვეყნების კანონების დაახლოების თაობაზე 1990 წლის დირექტივით (90/385/EEC) განსაზღვრულია *აქტიური სამედიცინო მოწყობილობის და აქტიური იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობის ცნებები*.

სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებები:

1. აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტირება შეუძლებელია;
2. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოება წარმოადგენს რისკის ეფექტური მართვის შედეგს;
3. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება სამედიცინო მოწყობილობების ეფექტურობის და ხარისხის საკითხს;

⁴¹⁷Council Directive of 20 June 1990 on the Approximation of the Laws of the Member States Relating to Active Implantable Medical Devices (90/385 /EEC), <<http://goo.gl/Tbe7Pb>>, [12.07.15].
⁴¹⁸იხ. Council Directive 93/42/EEC of 14 June 1993 Concerning Medical Devices, art. 1 (II (a)), <<http://goo.gl/oq9SWl>>, [12.07.15].

4. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოებაზე ზრუნვა უნდა გაგრძელდეს მთელი დროის მანძილზე, ვიდრე მის სრულ ამორტიზაციამდე;

5. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოებაზე ზრუნვა საჭიროებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას და მათ საერთო პასუხისმგებლობას.⁴¹⁹

როგორც წესი, ამა თუ იმ სამედიცინო მოწყობილობას ახლავს თანმდევი რისკი, რომელთა აღმოჩენა შეუძლებელია მის რეალიზაციამდე (მაგ., იმპლანტანტის ნაკლი შეიძლება გამოვლინდეს მას შემდეგ, რაც მისი ადამიანის ორგანიზმში ჩანერგვა (იმპლანტაცია) განხორციელდება. რიგ შემთხვევებში, შეიძლება, საქმე გვექონდეს გამონაკლის შემთხვევასთან, პაციენტის ინდივიდუალურ შეუთავსებლობასთან). სამედიცინო მოწყობილობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა გულისხმობს ისეთ საფეხურებს, როგორც არის *რისკის ანალიზი* და *შეფასება*. ნებისმიერ სამედიცინო მოწყობილობასთან დაკავშირებული რეგულაცია ამ მოწყობილობიდან მომდინარე საფრთხის შესაბამისი უნდა იყოს. მარეგულირებელი სუბიექტი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ სამედიცინო მოწყობილობის მწარმოებელი ეფექტურად უძღვება რისკის მართვასთან დაკავშირებულ დეტალებს და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.⁴²⁰

მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტი გამოიყენება ამბულატორიულად/დღის სტაციონარის პირობებში განსახორციელებელ, მაღალი რისკის შემცველ შემდეგ სამედიცინო ქმედებებზე: სტომატოლოგია, ქირურგია (ყველა პროფილის), მეანობა-გინეკოლოგია, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (*Emergency*), დერმატო-ვენეროლოგია, სამედიცინო რადიოლოგია (გარდა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისა) ⁴²¹, დიალიზი, ინფექციურ დაავადებებთან (მათ

⁴¹⁹იხ. Medical Device Regulations (Global Overview and Guiding Principles), WHO, Geneva, 2003, 3, <<http://goo.gl/w1SKET>>, [05.10.15].

⁴²⁰იხ. Medical Device Regulations (Global Overview and Guiding Principles), WHO, Geneva, 2003, 4-5, <<http://goo.gl/w1SKET>>, [05.10.15].

⁴²¹ მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილების მე-3 მუხლი (სსმ, 155, 29/11/2010, <<https://goo.gl/URicLB>>, [28.08.15]). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბირთვული და რადიაციული საქმიანობა გულისხმობს რადიოაქტიური მასალების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების გამოყენებას სხვადასხვა, მათ შორის სამედიცინო მიზნით. მაიონებელი გამოსხივების ხელფონური წყაროა, მაგ., რენტგენის აპარატი. რადიაციას ახასიათებს ბიოლოგიური მოქმედება, იწვევს ცოცხალი უჯრედების დაზიანებას, რაც იწვევს სხვადასხვა უარყოფით შედეგს, მეტწილად კი განიხილება, როგორც სიმსივნის წარმოქმნის პოტენციური წინაპირობა (იხ. რადიაციული უსაფრთხოება, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, <<http://goo.gl/rbUh7k>>, [18.09.15]). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 თებერვლის №164 დადგენილებით დამტკიცებულ დოკუმენტში („ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია“) აღნიშნულია, რომ დასახეწია რადიაციული უსაფრთხოების ნორმები და მოთხოვნები სამედიცინო დასხივების სფეროში, რაც განპირობებულია მედიცინაში „ბირთვული და რადიაციული ტექნოლოგიების გამოყენების ტემპების მნიშვნელოვანი ზრდით და ამ სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებით, რაც მოითხოვს კომპეტენციების პერმანენტულ სრულყოფას მარეგულირებელი სტრუქტურების მხრიდან“ (ქიმიური,

შორის აივ/ინფექციასთან/შიდსთან) დაკავშირებული საქმიანობა, ფთიზი-ატრია, ენდოსკოპია.⁴²² ტექნიკური რეგლამენტი შეიცავს მოთხოვნებს სამედიცინო აპარატურის, ხელსაწყოების, ჰიგიენური პირობების და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით.⁴²³

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მე-16 II მუხლით განსაზღვრულია საქმიანობათა სახეები, რომლებზეც ლიცენზია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა. მათ შორის არის მაიონებელი გამოსხივების გენერატორის სამედიცინო მიზნით გამოყენება, მაიონებელი გამოსხივების წყაროს სამედიცინო (სამკურნალო) მიზნით გამოყენება; რადიოაქტიური ნივთიერებების (რადიოფარმპრეპარატების⁴²⁴) სამედიცინო დიაგნოსტიკის და სამედიცინო სამკურნალო მიზნით გამოყენება.⁴²⁵ ლიცენზიის მფლობელი

ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია, 12, <<http://goo.gl/YNQUda>>, [18.09.15]).

⁴²² მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილების მე-3 მუხლი.

⁴²³ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 63¹-ე III მუხლი. მაგ., რენტგენის კაბინეტის საპროცედუროები, სხივური თერაპიისა და აგრეთვე რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის ლაბორატორიები, სადაც განთავსებულია მაიონებელი გამოსხივების წყაროები, არ შეიძლება განთავსებული იყოს ორსულთა პატრონაჟისა და პედიატრიული კაბინეტების მომიჯნავედ (მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილების მე-13 მუხლი).

⁴²⁴ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 I მუხლის თანახმად, სამედიცინო მიზნებისთვის (დიაგნოსტიკა, თერაპია) გამოიყენება მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული რადიოფარმპრეპარატები.

⁴²⁵ პაციენტის და პერსონალის რადიაციული დაცვის და რადიოფარმპრეპარატებით მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება შესაბამისი რეგლამენტით, რომლის მე-7 II მუხლის თანახმად, ექიმის და სამედიცინო ფიზიკოსის პასუხისმგებლობა მდგომარეობს შემდეგში: რადიოფარმპრეპარატებით მკურნალობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ექიმ-რადიოლოგს, რომელსაც გაეფილი აქვს შესაბამისი მომზადება და საკმარისი ცოდნა გააჩნია ბირთვული მედიცინის სამკურნალო პროცედურების სფეროში, აგრეთვე გათვითცნობიერებულია ალტერნატიული მეთოდების შესაძლებლობებში (ქირურგია, ქიმიოთერაპია, პორმონოთერაპია); სამედიცინო ფიზიკოსი პასუხისმგებელია რადიოფარმპრეპარატების იდენტიფიკაციაზე, დოზის გათვლაზე, შინაგანი დასხივების დოზიმეტრიასა და პერსონალის, პაციენტის ოჯახის, მოსახლეობის რადიაციულ დაცვაზე (იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №438 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „რადიოიზოტოპური ლაბორატორიების მოწყობისა და მედიცინაში ღია რადიოფარმპრეპარატების გამოყენების წესები და ნორმები“ დამტკიცების შესახებ, სსმ, ვებგვერდი, 10.01.2014, <<https://goo.gl/gIIgtm>>, [21.08.15]). ამავე რეგლამენტის მე-5 II მუხლით დადგენილია, რომ რადიონუკლიდური დიაგნოსტიკური გამოკვლევები და ამბულატორიული თერაპია ტარდება მხოლოდ სამედიცინო ჩვენებებით იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ან არ შეიძლება ჩატარდეს გამოკვლევები სხვა ალტერნატიული მეთოდებით (ერთ-ერთი კვლევის თანახმად, „საქართველოს მოსახლეობაში რენტგენოლოგიური მომსახურების უსაფრთხოების მხრივ ინფორმაციის ნაკლებობა... დაბალია ექიმი რადიოლოგის მიერ პაციენტებისათვის რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატიული დიაგნოსტიკის მეთოდის შეთავაზება. კვლევის მონაცემებით, 46%-ს ნაწილობრივ აუსხნეს კვლევის საჭიროება და 36%-ს შესთავაზეს ალტერნატიული კვლევა, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია“ (ვერულავა თ., თორთლაძე ი., რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემები საქართველოში, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, №2, 2015, <<http://goo.gl/aYaCzV>>, [19.09.15]).

ვალდებულია, მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მუშაობის უფლება მიანიჭოს მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური პროფესიული ცოდნა.⁴²⁶ უსაფრთხოების ძირითადი ნორმები მაიონებელი გამოსხივებით გამოწვეული უსაფრთხოების პაციენტების და სამედიცინო დასხივების გავლენის ქვეშ მყოფი სხვა პირების დასაცავად⁴²⁷ დადგენილია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული, მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტით. აღნიშნული რეგლამენტით განსაზღვრულია ზოგადი მოთხოვნები მაიონებელი გამოსხივების დახურული წყაროების და გენერატორების უსაფრთხოებისადმი. კერძოდ, სამედიცინო დანადგარის კონსტრუქცია, გაუმართაობის შემთხვევაში, უნდა გამორიცხავდეს ან მინიმუმამდე დაყავდეს პაციენტის დაუგეგმავი დასხივება ან მუშაკის შეცდომა.⁴²⁸ სამედიცინო დამასხივებელი დანადგარების კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს რაც შეიძლება დაბალ დონეზე დასხივებას და ამასთანავე მაღალი ხარისხის დიაგნოსტიკური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.⁴²⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის⁴³⁰ 59²-ე II მუხლის („მაიონებელი გამოსხივების წყაროებით სარგებლობის წესების დარღვევა“) თანახმად, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მუშაკის დასხივება დადგენილი დოზური ზღვრის გადაჭარბებით ან პაციენტის დაუსაბუთებელი სამედიცინო დასხივება, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.⁴³¹

⁴²⁶ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე „თ“ მუხლი.

⁴²⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს №450 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის („მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ) I-ლი II „ბ“ მუხლი.

⁴²⁸ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს №450 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის („მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ) 29-ე მუხლი (სსმ, ვებგვერდი, 01/09/2015, <<https://goo.gl/K3MOq5>>, [21.08.15]).

⁴²⁹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს №450 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის („მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ) 30-ე მუხლი.

⁴³⁰ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31.12.1984.

⁴³¹ აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ადვოკატების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო „ნიუ იორკ თაიმსში“ 2010-2011 წლებში გამოქვეყნებულმა სტატიათა სერიამ, სადაც აღწერილია რადიაციული თერაპიის ინდუსტრიაში არსებული საფრთხეები (იხ. Patrick Malone and Associates, P.C., Radiation Overdose Injuries, <<http://goo.gl/ShccBy>>, [19.08.15]). ზედღირების და პაციენტისთვის მიყენებული ზიანის შესახებ მაგ., იხ. Roberts G., Marsh B., Fatal Radiation Software Problems and Poor Quality Control at St. Vincent's Hospital Cause a Fatal Overdose, “The New York Times”, January 22, 2010, <<http://goo.gl/DbTfbd>>, [19.08.15]; Bogdanich W., Radiation Offers New Cures, and Ways to Do Harm, “The New York Times”, January 23, 2010, <<http://goo.gl/Ih99SH>>, [19.08.15]; Parker-Poper T., When Radiation Treatment Turns Deadly, “The New York Times”, January 23, 2010, <<http://goo.gl/fvD14I>>, [19.08.15]; Radiation Mistakes: One State’s Tally, “The New York Times”, January 24, 2010, <<http://goo.gl/JEe2Oc>>, [19.08.15]; Brody J., Medical Radiation Soars, With Risks Often Overlooked, “The New York Times”, August 20, 2012, <<http://goo.gl/CG90X8>>, [19.08.15]. აგრეთვე იხ. Malone Patrick A., Doctor Who Botched Prostate

მოკლე დასკვნა

1. როგორც წინამდებარე ნაშრომის პირველი თავის დასკვნაში აღინიშნა, სამედიცინო დაწესებულების სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ფიზიკური პირის (პაციენტის) სამოქალაქო უფლების დარღვევა.

კვლევის ამ ეტაპზე გაზიარებულია მსჯელობა, რომლის თანახმად, *უფლება* არის „სამართლის ნორმით განსაზღვრული მოქმედების ზომა, მასშტაბი, საზღვარი ანუ სამართლის ნორმით განსაზღვრული პირის იურიდიული შესაძლებლობა,“⁴³² ხოლო სამოქალაქო უფლება კი გულისხმობს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებულ სამართლებრივ ძალაუფლებას, „დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით.“⁴³³

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში დეკლარირებული პაციენტის უფლებების კონცეპტუალურ საფუძველს ქმნის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტები.⁴³⁴

პაციენტის ცალკეული უფლებები აგებულია ჯანმრთელობის აბსოლუტური უფლების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, დაცულია როგორც საერთაშორისო დოკუმენტებით, ისე საქართველოს კონსტიტუციით და რომლის დარღვევა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას.

2. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ჯანმრთელობის ცნებას. შესაბამისად, სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ჯანმრთელობის ცნების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემული განმარტება, რომლის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა უბრალოდ სნეულების ან უძღურების არარსებობა.

სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში თუ სამეცნიერო ნაშრომებში მოცემული განსხვავებული ტერმინები (როგორც არის, მაგ., *ჯანმრთელობის უფლება*, *სამედიცინო მომსახურების უფლება*, *ჯანმრთელობის დაცვის უფლება*) არ ცვლის ჯანმრთელობის უფლების შინაარსს. *ჯანმრთელობის უფლება* არ შეიძლება ცალსახად განიმარტოს, როგორც უფლება, რომელიც გულისხმობს შეუზღუდავი მოთხოვნის უფლებას ყველაფერზე, რაც საჭიროა სრული

Cancer Brachytherapy Procedures at VA Hospital Sanctioned, March 1, 2011, <<http://goo.gl/mD5cgb>>, [19.08.15]. კომპიუტერული ტომოგრაფიიდან მომდინარე საფრთხის და მისი ალტერნატიული საშუალებების (ულტრასონოგრაფია და მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია) შესახებ იხ. Grady D., CT Scans Increase Children’s Cancer Risk, Study Finds, “The New York Times”, June 6, 2012, <<http://goo.gl/8UNuEh>>, [19.08.15].

⁴³² *სავანელი ბ.*, სამართლის ზოგადი თეორია (სამართლის საფუძველები და მეთოდები), თბილისი, 2005, 120.

⁴³³ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2011, 98.

⁴³⁴ მათ შორის, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1961 წლის ევროპის სოციალური ქარტია, 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღწევად. ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილი განმარტება შეიძლება მოძიებულ იქნეს საერთაშორისო დოკუმენტებში და დამატებით განიმარტოს შესაბამისი სამართლებრივი ნაშრომებით.⁴³⁵

3. სსკ-ში სამედიცინო დაწესებულების ცნება განმარტებული არ არის, შესაბამისად გაურკვეველია თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე მიუთითებს კანონმდებელი სსკ-ის 1007-ე მუხლში. ამგვარად, აღნიშნული ნორმა ყველა ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე უნდა გავრცელდეს, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო ტიპის დაწესებულებები.

4. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოების საკითხი და თავად სამედიცინო მოწყობილობის ცნება საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც უკავშირდება პაციენტისთვის მიყენებული ზიანის წყაროს იდენტიფიცირებას.

სამედიცინო მოწყობილობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რისკის მართვის მთელი პროცესი (რაც მოიცავს სრული ამორტიზაციის დროს), დაწყებული მისი გამოგონებიდან, ვიდრე მის უსაფრთხო უტილიზაციამდე/განადგურებამდე. სამედიცინო მოწყობილობების ოპტიმალური უსაფრთხოება და ხარისხი დამოკიდებულია ყველა იმ სუბიექტის ეფექტურ თანამშრომლობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან ამ მოწყობილობათა შექმნის და სრული ამორტიზაციის პროცესში.

⁴³⁵ იხ. *ტობესი ბ.*, ჯანმრთელობის უფლება, კრებულში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, თბ., 2006, 203.

თავი III. სამედიცინო საქმიანობის (მომსახურების) ცნება. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება

ნაშრომის წინამდებარე თავში განიხილება როგორც სამედიცინო მომსახურების ცნება, ისე სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც აღინიშნა, არასახელშეკრულებო (დელიქტური) ზიანი ზოგჯერ შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს.⁴³⁶ *კროპპოლერი* მიუთითებს, რომ შესაძლებელია, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდეს, თუმცა, „ამავე დროს, წესით, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებს დელიქტური მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადებზე.“⁴³⁷ ამგვარად, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ნაშრომის წინამდებარე თავში განიხილილია ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) მოთხოვნებს შორის.

1. სამედიცინო საქმიანობის (მომსახურების) ცნება

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სამედიცინო საქმიანობა (სამედიცინო მომსახურება) გულისხმობს ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან (ფსიქიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციასთან), პალიატიურ მზრუნველობასთან, პაციენტის სამედიცინო მოვლასთან, პროთეზირებასთან, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებასთან, პაციენტის სამედიცინო განათლებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებთან და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებასთან და ხორციელდება დადგენილი წესით.⁴³⁸

წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია მსჯელობა, რომლის თანახმად, „სამედიცინო მომსახურება სამედიცინო საქმიანობასთანაა გაიგივებული, რაც არასწორია. ამ ნორმის თანახმად, სამედიცინო მომსახურება საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს... კანონმდებელმა სამედიცინო მომსახურებას სამედიცინო საქმიანობის მრავალი ელემენტი დაუქვემდებარა, რაც, თავის მხრივ, დაცვის ობიექტის არეალის გაზრდასაც გულისხმობს.“⁴³⁹

⁴³⁶ იხ. *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 367.

⁴³⁷ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 626.

⁴³⁸ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ჩ“ მუხლი.

⁴³⁹ *მაკარიძე დ., ხაზარაძე გ.*, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა; ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 2014, 85, <<http://goo.gl/gpjLUb>>, [17.12.15].

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე I მუხლთან⁴⁴⁰ დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ტერმინი „სამედიცინო დახმარება“ ჯანდაცვის კანონმდებლობაში იშვიათად გამოიყენება, მისი კანონისმიერი განმარტება არ არსებობს. ყველგან გამოიყენებულა „სამედიცინო მომსახურება“. უმჯობესია, თუ მომავალში შევა ცვლილება კონსტიტუციის ამ მუხლში და „დახმარების“ ნაცვლად, ჩაიწერება „მომსახურება“, რომელიც უფრო ადეკვატურად ასახავს მედიცინის მიზნებს, რომლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულება და ექიმი ვალდებულია არათუ დაეხმაროს, არამედ კვალიფიციურად მოემსახუროს პაციენტს.“⁴⁴¹

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 32-ე II მუხლის თანახმად, ექიმს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნულ სპეციალობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტს სჭირდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება,⁴⁴² ან/და აღენიშნება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა და შესაბამისი სპეციალობის ექიმის მოძიება ვერ ხერხდება. კანონმდებლის ლინგვისტურ-სტილისტური აზროვნების, ცნებებით ოპერირების თავისებურებათა დასაზუსტებლად (ამ შემთხვევაში, ისეთ ლექსიკურ ერთეულებთან მიმართებაში, როგორიც არის *დახმარება* და *მომსახურება*), მართებული იქნება, მაგ., ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის და იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის ტექსტის გაანალიზება. იურიდიული დახმარების შესახებ კანონში გამიჯნულია *იურიდიული დახმარების* და *იურიდიული კონსულტაციის* ცნებები, რომელთაც მოიცავს *იურიდიული მომსახურების* ცნება. აღნიშნულზე მეტყველებს ამავე კანონის მე-14 „კ“ მუხლის შინაარსი.⁴⁴³ რაც შეეხება კანონს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, აქ *დახმარების* ცნება⁴⁴⁴

⁴⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე I მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

⁴⁴¹ *ქანთარია ბ.*, ჯანმრთელობის დაცვა; ჯანმრთელობისათვის უნებელ გარემოში ცხოვრების უფლება; მდგრადი განვითარება, გამოცემაში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 456.

⁴⁴² ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ტ“ მუხლის თანახმად, *გადაუდებელი სამედიცინო დახმარება* გულისხმობს *სამედიცინო დახმარებას*, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლი 130).

⁴⁴³ იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 „კ“ მუხლის თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის ერთ-ერთი ფუნქციაა „რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის მიერ კვალიფიციური *იურიდიული დახმარების* გაწევის უზრუნველყოფა და გაწეული *მომსახურების* ხარისხის კონტროლი სამსახურის დებულებით დადგენილი წესით.“

⁴⁴⁴ ფსიქიატრიული დაწესებულების საქმიანობის მიზანია *ფსიქიატრიული დახმარების* გაწევა (ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 „დ“ მუხლი), რაც გულისხმობს დონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის გამოკვლევა, მკურნალობა, დაავადების გამწვავების თავიდან აცილება, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის სოციალური ადაპტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა (ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 „გ“ მუხლი).

უფრო რთულ შინაარსს იძენს, უკავშირდება რა *იძულების*⁴⁴⁵ და *არანებაყოფლობითობის*⁴⁴⁶ ელემენტებს.

ტერმინი სამედიცინო დახმარება გვხვდება როგორც საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, ისე მაგ., საქართველოს კანონში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ,⁴⁴⁷ საქართველოს კანონში ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ,⁴⁴⁸ საქართველოს კანონში აივ ინფექცია/შიდსის შესახებ.⁴⁴⁹ გარდა ამისა, სამედიცინო დახმარების ცნება მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (45-ე მუხლი).

2. მომსახურების ხელშეკრულება

სსკ არ განმარტავს მომსახურების ცნებას და არც მომსახურების ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებს შეიცავს. მომსახურების ცნება განმარტებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში.⁴⁵⁰ ამ კოდექსის მიზნებისთვის მომსახურებად ითვლება საქმიანობა, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება.⁴⁵¹

კროპპოლერის განმარტებით, მომსახურების ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა, რომლის ერთი მხარე (ე.ი. მომსახურების გამწვევი) ვალდებულია განახორციელოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე (ე.ი. მომსახურების მიმღები) ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული ანაზღაურება.⁴⁵² ნარდობის ხელშეკრულების განსხვავებით (რომელიც გულისხმობს მენარდის ვალდებულებას,

⁴⁴⁵ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა არის სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების სპეციალური სახე (ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 „ო“ მუხლი).

⁴⁴⁶ „არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება ტარდება, როდესაც პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი“ (ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 I მუხლი).

⁴⁴⁷ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის (სსმ, ვებგვერდი, 08.06.2012) 34-ე V მუხლში მოცემულია ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო სამედიცინო დახმარების სახეები. ამავე კანონში გვხვდება *სამედიცინო-ფსიქოლოგიური დახმარების* და *გადაუდებელი სამედიცინო დახმარების* ცნებები. როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლის ლინგვისტურ-სტილისტური აზროვნების თავისებურებათა დასაზუსტებლად (ამ შემთხვევაში, ისეთ ლექსიკურ ერთეულებთან მიმართებაში, როგორც არის *დახმარება* და *მომსახურება*), მართებული იქნება, მაგ., ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის გაანალიზება, სადაც აგრეთვე გამოიწვეულია *დახმარების* და *მომსახურების* ცნებები (კერძოდ, 34-ე II მუხლის თანახმად, „ნარკომანიით დაავადებულ პირს, I, II და III სიაში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მომხმარებელს ნარკოლოგიური *დახმარება* გაეწევა შესაბამის ნარკოლოგიური *მომსახურების* მიმწოდებელ დაწესებულებაში“).

⁴⁴⁸ ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე „დ“ მუხლი.

⁴⁴⁹ აივ ინფექცია/შიდსის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „თ“ მუხლი.

⁴⁵⁰ სსმ, №54, 12.10.2010.

⁴⁵¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 I მუხლი. ამავე მუხლით განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის საქმიანობის სახეები, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურება.

⁴⁵² იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 457.

დაამზადოს შეპირებული ნაკეთობა⁴⁵³), მომსახურების ხელშეკრულების ვალდებულების საგანი არის არა განსაზღვრული შედეგის მიღება, არამედ რაიმე ტიპის საქმიანობის ერთჯერადი ან მრავალჯერადი გაწევა. გერმანიაში „მომსახურების ხელშეკრულების სამართალს გამოეყო ცალკე მდგომი სამართლის სფერო – შრომის სამართალი, რომელიც დასაქმებულის განსაკუთრებულ უფლებებს ეხება და იცავს მათ.“⁴⁵⁴ მომსახურების ხელშეკრულებას მიეკუთვნება მაგ., სამედიცინო მკურნალობის ხელშეკრულება, რომლის ერთი მხარე, კერძოდ, ექიმი, ჰპირდება მეორე მხარეს „მხოლოდ რეგულარულ, შესაბამის მკურნალობას, მაგრამ არა მკურნალობის შედეგს.“⁴⁵⁵

3. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პაციენტისთვის სახელმწიფო სამედიცინო პროგრამის ფარგლებს ზევით სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო დაწესებულებას და პაციენტს შორის დადგენილი წესით ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია გასაწევი სამედიცინო მომსახურების და შესაბამისი ანაზღაურების პირობები და ოდენობა (მე-60 I მუხლი). როგორც სამედიცინო მომსახურების პროცესში, ისე სამედიცინო მომსახურების დასრულების შემდგომ, ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან ზუსტად შეასრულონ ხელშეკრულების პირობები (მე-60 II მუხლი). იმ შემთხვევაში თუ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი, მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი უარს განაცხადებს ხელშეკრულების გაფორმებაზე, რაც დადასტურდება დადგენილი წესით გაფორმებულ აქტში, სამედიცინო დაწესებულება უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მკურნალობის დაწყებაზე. სამედიცინო დაწესებულებას მკურნალობის დაწყებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს თუ პაციენტს აღენიშნება კრიტიკული მდგომარეობა (მე-60 III მუხლი). *კრიტიკული მდგომარეობა* გულისხმობს ჯანმრთელობის მოშლის ფორმას, რა დროსაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე მისი სიკვდილი გარდაუვალია (მე-3 „ღ“ მუხლი).

სამედიცინო დაწესებულებას და პაციენტს შორის დადებული ხელშეკრულება შეიძლება შერეული ხასიათის იყოს, მოიცავდეს მაგ., ნარდობის ან ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტებს; ვალდებულების საგანი შეიძლება იყოს დასამზადებელი მოძრავი ნივთის მიწოდება, რა დროსაც მხარეთა შორის ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმებით დარეგულირდება. გარდა ამისა, მომსახურების და ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნის მიზნით უნდა დადგინდეს ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა მიერ გამოხატული ნება.⁴⁵⁶ სამედიცინო

⁴⁵³ იხ. *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 469.

⁴⁵⁴ იქვე, 457.

⁴⁵⁵ იქვე, 469.

⁴⁵⁶ იქვე. ავტორის სიტყვით, „შესაძლოა, კვლევისა და გამოვლენის სამუშაოები იყოს როგორც მომსახურების ხელშეკრულების, ასევე, ნარდობის ხელშეკრულების საგანი; მომსახურების ხელშეკრულება იქნება მოცემული მაშინ, როდესაც, ხელშეკრულების მიხედვით, შეთანხმებულია მომსახურების გაწევა, მაშასადამე, მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის წესების შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედეგის მიღებისგან

დაწესებულებას და პაციენტს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით ვალდებულების საგანი ერთდროულად შეიძლება იყოს მაგ., პაციენტისთვის პროთეზის როგორც დამზადება და მიწოდება, ისე მისი შემდგომი ფიქსაცია (ე.ი. ერთი და იგივე სამედიცინო დაწესებულება ახორციელებს პროთეზის დამზადებას და მისი ფიქსაციის მიზნით პაციენტის სამედიცინო მომსახურებას), ასევე, პლასტიკური ოპერაცია იმპლანტანტებით (რა დროსაც, იმპლანტანტების დამამზადებელი არის არა ის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ოპერაციას ატარებს).

სსკ-ის 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ შერეული ტიპის ხელშეკრულების განმარტებისას მისი ანალიზის გზით უნდა გაირკვეს, რომელი ხელშეკრულების ელემენტებს მოიცავს ის, ხოლო შემდეგ, ამ ცალკეული ელემენტების განმარტების მიზნით გააზრებულ უნდა იქნეს მთლიანი ხელშეკრულების შინაარსი იმგვარად, რომ „დადგინდეს მხარეთა ნება, თუ რა მიზნის მიღწევა სურდათ ამ ხელშეკრულებით, რა იურიდიულ და ეკონომიკურ ინტერესს გულისხმობდნენ მხარეები ვალდებულების შესრულებაში.“⁴⁵⁷ სასამართლომ განმარტა სსკ-ის 340-ე მუხლი და აღნიშნა, რომ „ვალდებულების შესრულების არსი ერთ შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთ ან რამდენიმე ელემენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში – მთლიანობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის მისაღწევად მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაგრამ, ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ შერეული ხელშეკრულებით მხარეები ითვალისწინებენ ერთი საერთო მიზნის მიღწევას და ამ ხელშეკრულებაში შემავალი ხელშეკრულებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შერეული ხელშეკრულების ელემენტები. ამდენად, შერეული ხელშეკრულების სტრუქტურის გათვალისწინებით ის წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებას, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა ხელშეკრულებების სხვადასხვა პირობები, მაგრამ ეს პირობები წარმოადგენენ ერთი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.“

4. ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) მოთხოვნებს შორის

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას და არასახელშეკრულებო (დელიქტურ) პასუხისმგებლობას შორის არსებულ სხვაობათაგან აგრეთვე მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის განსხვავებული წესი. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო სსკ-ის 1008-ე მუხლთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ეს სპეციალური ნორმა დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების

დამოუკიდებლად. ხოლო ნარდობის ხელშეკრულება გვეჩვენა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მიზანია შედეგის მიღება, მაშასადამე, კონკრეტული მუშაობის შედეგის მიღწევა ან მოხსენებების მომზადება.“

⁴⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1244-1503-09), <<http://goo.gl/M1B2ed>>, [28.08.15].

ხანდაზმულობისათვის და იგი არსებითად განსხვავდება ხანდაზმულობის ვადის დაწყების ზოგადი 130-ე მუხლის მოთხოვნისაგან.“⁴⁵⁸ ასევე ვხვდებით მითითებას, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებულია „ხანდაზმულობის სპეციალური ვადა.“⁴⁵⁹ ამგვარად, მართებული იქნება თქმა იმისა, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლით დადგენილია არა ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, არამედ ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის სპეციალური წესი, რომლის ძალით, სსკ-ის 130-ე მუხლისგან განსხვავებით, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა იწყება არა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, არამედ „იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“.

სსკ-ის 1008-ე მუხლთან დაკავშირებით გაზიარებულ უნდა იქნეს მსჯელობა, რომლის თანახმად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება გვაძლევს ორ ალტერნატიულ პირობას („დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“) და თუ ისინი არ იქნება განხილული ერთიან პირობად, მაშინ ნორმის მიზანი ბუნდოვანი და აზრს მოკლებულია: „სრულიად გაუმართლებელი და არაგონივრულია დაშვებულ იქნეს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ზიანის შესახებ, თუ მან არ იცის ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა. ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება მოთხოვნებზე, ხოლო მოთხოვნა არის კონკრეტული პირისაგან რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, შეუძლებელია მოხდეს ხანდაზმულობის ვადის ათვლა მოთხოვნის მიმართ, მაშინ როდესაც უფლებამოსილმა პირმა არ იცის, ვის მიმართ აქვს მას ეს მოთხოვნა. შესაბამისად, „ან“ კავშირი „და“ კავშირით უნდა ჩანაცვლდეს და შემადგენლობის კუმულაციურ წინაპირობად ჩაითვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა ნაკლებად მიზანშეწონილია.“⁴⁶⁰

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, სსკ-ის 130-ე და 1008-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის განსხვავებული წესი ქმნის დაზარალებულის მიერ სსკ-ის 1008-ე მუხლით მინიჭებული უფლებით ბოროტად სარგებლობის საფრთხეს („მიუხედავად იმისა, რომ ზიანის შესახებ მხარეს შეეძლო ხელშეკრულების დადების მომენტში ან მისი შესრულებისთანავე შეეტყო, და მან, მაგალითად, უხეში გაუფრთხილებლობით, ამის შესახებ მხოლოდ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეიტყო, ის უფლებამოსილია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს დელიქტის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად“⁴⁶¹) და ამგვარი სარგებლობის გამორიცხვა სასამართლომ

⁴⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-254-939-03), <<https://goo.gl/XbOLiy>>, [04.05.16].

⁴⁵⁹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010, 159.

⁴⁶⁰ იქვე, 158-159.

⁴⁶¹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010, 158.

უნდა განახორციელოს სსკ-ის 1008-ე მუხლში მოცემული ნორმის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილთან ურთიერთკავშირში განმარტების გზით.⁴⁶²

5. განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების და ინფორმირებული თანხმობის ცნებათა მიმართება

ერცვლდება თუ არა სამედიცინო დაწესებულებას და პაციენტს ან სამედიცინო დაწესებულებას და პაციენტის ნათესავს⁴⁶³ ან კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე სსკ-ის 316-ე II მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება⁴⁶⁴ და რა ფარგლებში? რა შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ სამედიცინო დაწესებულების მიერ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაზე?

სსკ-ის 316-ე II მუხლის ანალოგიური შინაარსის ნორმა მოცემულია გსკ-ის 241-ე II მუხლში: „თავისი შინაარსის მიხედვით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას.“⁴⁶⁵ ვინაიდან 1997 წლის სსკ (1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მსგავსად) ეფუძნება გსკ-ს, წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის საყურადღებოა გსკ-ის ცალკეული ნორმების განმარტება. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ მოსაზრებებს და ნორმის განმარტებას სამართალშემფარდებლისთვის სავალდებულო ძალა არ აქვს,⁴⁶⁶ მაგრამ სწორ მიმართულებას აძლევს მას ცალკეული ნორმების შეჯერებისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში (როგორც წინამდებარე ნაშრომის შესავალში აღინიშნა, გსკ-თან ცალკეული ნორმების შინაარსობრივი თანხვედრის მიუხედავად, საქართველოში ჩამოყალიბდა გერმანულისგან განსხვავებული, „უფრო სხვაგვარი სამართლებრივი ტერმინოლოგია და ცნებათა ახლებური გაგება“⁴⁶⁷).

კროპპოლერის განმარტებით, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას, გარდა ქმედების განხორციელების ვალდებულებისა (რაც გათვალისწინებულია გსკ-ის 241-ე I მუხლით⁴⁶⁸), მიეკუთვნება *დამატებითი ვალდებულებები* და

⁴⁶² იქვე.

⁴⁶³ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ს“ მუხლის თანახმად, *პაციენტის ნათესავი* არის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის მიხედვით, აქვს უპირატესი უფლება მონაწილეობა მიიღოს პაციენტის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

⁴⁶⁴ აღნიშნული მუხლის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

⁴⁶⁵ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 109.

⁴⁶⁶ იხ. *ბოელინგის* შესავალი წერილი ნაშრომში: *ბოელინგი პ., ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, X.

⁴⁶⁷ *ბერნარდ შლოერის* და *ცენო რაიკენბეგერის* წინასიტყვაობა ნაშრომში: *ციპელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009, XI.

⁴⁶⁸ აღნიშნული მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ვალდებულების შესრულება

სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას როგორც ხელშეკრულების დადებით, ისე წინასახელშეკრულებო სტადიაზეც⁴⁶⁹ (აქ პროფესორი მაგალითად ასახელებს ხელშეკრულების მომზადების ეტაპს; შედარებისთვის მოჰყავს გსკ-ის 311-ე მუხლი და აღნიშნავს, რომ ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში⁴⁷⁰ „...საქმე ეხება არა ძირითად ვალდებულებებს, არამედ მეორე მხარის უფლებების, სამართლებრივი სიკეთისა და ინტერესების დაცვის ვალდებულებებს (დამატებითი ვალდებულებები)“⁴⁷¹ ამ ვალდებულებებს შორის კი ხშირად, განმარტების ვალდებულებაც მოიაზრება („განმარტების ვალდებულება ხშირად იჩენს ხოლმე თავს ვალდებულებით ურთიერთობებში. მაგ., ექიმის მიერ პაციენტის მკურნალობა ჯერონად ტარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პაციენტს დროულად, წინასწარ და სრულად განემარტება მკურნალობის სახეობის, მოცულობის, მიმდინარეობის, რისკის, ალტერნატივების და ჩარევის პროგნოზის შესახებ და პაციენტი ამაზე თანხმობას განაცხადებს“⁴⁷²).

ამგვარად, სსკ-ის 316-ე II მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება თუ მაგ., მხარე უგულებელყოფს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 I მუხლით გათვალისწინებულ წესს, რაც სამკურნალო, დიაგნოსტიკურ, სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკურ და პალიატიური მზრუნველობის პროცესებში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელ პირობად აცხადებს პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით გამოსატულ ინფორმირებულ თანხმობას. პაციენტისთვის საჭირო სამედიცინო ჩარევა⁴⁷³ ხორციელდება ჯანმრთელობის და სიცოცხლისთვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ.⁴⁷⁴ სსკ-ის 316-ე

შეიძლება, ასევე, გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებითაც“ (*კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი)*, თბ., 2014, 109).

⁴⁶⁹ სსკ-ის 317-ე II მუხლის თანახმად, სსკ-ის 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას.

⁴⁷⁰ გსკ-ის 311-ე II მუხლის თანახმად, „ვალდებულებითი ურთიერთობა § 241 - ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულებებით ასევე წარმოიშობა: 1. ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებით; 2. ხელშეკრულების მომზადებით, რომლითაც, შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მხედველობაში მიღებით, ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ან ანდობს მათ ამ მხარეს; ან 3. მსგავსი საქმიანი კონტაქტებით“. გსკ-ის 311-ე III მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა, §241-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე დებულებებით, შეიძლება, ასევე, წარმოიშვას იმ პირების მიმართ, რომლებიც თავად არ უნდა გახდნენ ხელშეკრულების მხარეები. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა, კერძოდ, თუ მესამე პირი სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ნდობით და ამით მოლაპარაკებასა თუ ხელშეკრულების დადებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს (იხ. *კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი)*, თბ., 2014, 196).

⁴⁷¹ *კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი)*, თბ., 2014, 197.

⁴⁷² იქვე, 198, 48-ე სქოლიო.

⁴⁷³ *სამედიცინო ჩარევა*, ე.ი. მანიპულაცია, პროცედურა, რომელსაც ატარებს ექიმი ან სხვა სამედიცინო პერსონალი დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, რეაბილიტაციისა და პალიატიური მზრუნველობის მიზნით (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ც“ მუხლი).

⁴⁷⁴ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „კ“ მუხლი.

II მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება თუ მაგ., უგულებელყოფილი იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის მე-14 მუხლი, რომლითაც დადგენილია, რომ პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია სამედიცინო ჩარევების წინ; პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე ივსება ერთობლივად პაციენტის და ექიმის მიერ,⁴⁷⁵ მას შემდეგ რაც მკურნალი ექიმი პაციენტს სამედიცინო მომსახურების არსისა და საჭიროების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიაწოდებს. პაციენტს უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელი შედეგები;
 - პაციენტის ჯანმრთელობის და სიცოცხლისთვის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკი;
 - განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტები და ამ უკანასკნელთა თანხმდები რისკი და შესაძლო ეფექტიანობა;
 - სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები; სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური და სოციალური საკითხები.
- ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ის ფაქტი, რომ სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობა არ არსებობდა, არ განიხილება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საფუძველად თუ ამგვარ ქმედებას და ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი.⁴⁷⁶

⁴⁷⁵იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტს არ შეუძლია თანხმობის მიცემა, ფორმას ავსებს და თანხმობას იძლევა პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი. მათი არარსებობის შემთხვევაში ექიმი აკეთებს სათანადო ჩანაწერს სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში იმის თაობაზე, რომ ინფორმირებული თანხმობის მოპოვება სამედიცინო მომსახურების გაწევაზე შეუძლებელია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის მე-14 III მუხლი).

⁴⁷⁶იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-394-373-2012), <<http://goo.gl/kZTa3J>>, [23.08.14] და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15].

6. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები და სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება

მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს ჯანდაცვის მომსახურების ბაზრის გლობალიზაცია.⁴⁷⁷ საქართველოში განვითარების საწყის ეტაპზე სამედიცინო ტურიზმის ბიზნესი,⁴⁷⁸ თუმცა ურთიერთობათა ეს სფერო სამართლებრივი თვალსაზრისით სათანადოდ მოწესრიგებული არ არის. უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ სამედიცინო ტურიზმით მოსარგებლე პირთა შორის უმრავლესობა სამედიცინო მომსახურების სხვა სახეებთან ერთად უპირატესობას ანიჭებს ისეთ სფეროს, როგორც არის უნაყოფობის მკურნალობა.⁴⁷⁹

საქართველოში თანდათან ვითარდება სამედიცინო მომსახურების ის სახე, რაც დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს უკავშირდება, თუმცა, ურთიერთობათა ეს სფერო სამართლებრივი თვალსაზრისით აგრეთვე საკმარისად მოწესრიგებული არ არის. შესაბამისად, რთულდება სსკ-ის 1007-ე მუხლის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულების მიერ მკურნალობის პროცესში მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. არსებობს რიგი საკითხებისა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს.

როგორც წესი, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების მხარეები არიან კლინიკა (სამედიცინო დაწესებულება) და ე.წ. „ქალი-პარტნიორი“ (პაციენტი). გასაწევი სამედიცინო მომსახურება გულისხმობს მკურნალობას *In vitro*⁴⁸⁰ განაყოფიერების და ემბრიონის გადატანის მეთოდით (რა დროსაც კვერცხუჯრედის სპერმით განაყოფიერება ხდება ორგანიზმის გარეთ, ლაბორატორიულ პირობებში),⁴⁸¹ ხოლო სხვა შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ კლინიკა (სამედიცინო დაწესებულება) და კვერცხუჯრედის დონორი (პაციენტი), სამედიცინო ხელშეკრულების შესაბამისად პაციენტისთვის გასაწევი სამედიცინო მომსახურება გულისხმობს საკვერცხეების ჰორმონალურ სტიმულაციას და ფოლიკულების ასპირაციას.⁴⁸²

როგორც აღინიშნა, საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლში მოცემულია სამედიცინო ჩარევათა ჩამონათვალი, რომლის განხორციელებამდე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია მიიღოს წერილობითი ინფორმირებული

⁴⁷⁷ იხ. Lunt N., Smith R., Exworthy M., Green S.T., Horsfall D., Mannion R., Medical Tourism: Treatments, Markets and Health System Implications: A Scoping Review, Paris, 2011, 6-7, 9, <<https://goo.gl/NDkPBg>>, [15.09.16].

⁴⁷⁸ საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესახებ იხ. Gerzmana O., Tegetashvili A., Main Trends of Developing Medical Tourism in Georgia, “European Scientific Journal”, 2015, Special Edition, Vol. 2, 229, <<https://goo.gl/AJ0XH3>>, [15.09.16].

⁴⁷⁹ იხ. Lunt N., Smith R., Exworthy M., Green S.T., Horsfall D., Mannion R., Medical Tourism: Treatments, Markets and Health System Implications: A Scoping Review, Paris, 2011, 7, <<https://goo.gl/NDkPBg>>, [15.09.16].

⁴⁸⁰ ლათ. “*In vitro*”, ინგ. “*In glass*” – შუშაში (იხ. Merriam-Webster's Learner's Dictionary, <<https://goo.gl/xvctvd>>, [17.10.16]).

⁴⁸¹ იხ. IVF - In Vitro Fertilization, State of Israel, Ministry of Health, <<https://goo.gl/3JI8pv>>, [16.09.16].

⁴⁸² იხ. IVF Cycle Details - In Vitro Process, USC Fertility, <<https://goo.gl/vxEjx7>>, [16.09.16]; Sherbahn R., Ovarian Stimulation IVF Protocols Medications and Drugs for In Vitro Fertilization, <<https://goo.gl/F7YZSn>>, [16.09.16].

თანხმობა. ჩამონათვალში, აბორტის და სხვა სამედიცინო ჩარევათა გარდა, დასახელებულია ხელოვნური განაყოფიერება, რომელიც ათწლეულების მანძილზე ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის და განსაკუთრებული ეთიკური რეგულაციების საგანს წარმოადგენს.⁴⁸³

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში რამდენიმე წესით შემოიფარგლება. კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია: 1. უშვილობის მეურნელობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა; 2. თუ ქალს არ აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის (სუროგატული დედის) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით; წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია.⁴⁸⁴ ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არ აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.⁴⁸⁵ დონორის სპერმით განაყოფიერება ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში: უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისთვის, თუ მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არ აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება.⁴⁸⁶ აღსანიშნავია, რომ აშშ-ში არსებობს პრეცედენტული მნიშვნელობის საქმე *მელისა ელიზაბეტ სტერნის*⁴⁸⁷ მშობლად ბიოლოგიური მამის აღიარების შესახებ. ნიუ-ჯერსის სააპელაციო სასამართლომ იურიდიული ძალის მქონედ ცნო *მელისა ელიზაბეტ სტერნის* ბიოლოგიურ მამას, *უილიამ სტერნს*⁴⁸⁸ და სუროგატ დედას, *მერი ბეთ ვაითჰედს*⁴⁸⁹ შორის არსებული ხელშეკრულება სუროგაციის შესახებ. საბოლოო ჯამში, *უილიამ სტერნი* ცნობილ იქნა *მელისა ელიზაბეტ სტერნის* მეურვედ, ხოლო *მერი ბეთ ვაითჰედს* ბავშვის მონახულების უფლება მიენიჭა.⁴⁹⁰

2012 წლის 6 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი⁴⁹¹ ითვალისწინებდა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

⁴⁸³ იხ. Shannon TA., Ethical Issues Involved with In Vitro Fertilization, "AORN Journal", September, 1990, №52(3), <<http://goo.gl/6p0NYX>>, [06.07.15].

⁴⁸⁴ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე I მუხლი.

⁴⁸⁵ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე II მუხლი.

⁴⁸⁶ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 141-ე „ა“ მუხლი.

⁴⁸⁷ ინგ. Melissa Elizabeth Stern.

⁴⁸⁸ ინგ. William Stern.

⁴⁸⁹ ინგ. Mary Beth Whitehead.

⁴⁹⁰ იხ. In re Baby M, 537 A.2d 1227, 109 N.J. 396 (N.J. 1988), <<http://goo.gl/qwNCwU>>, [06.07.15].

⁴⁹¹ იხ. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2012 წლის 8 ივნისის სხდომის ოქმი №129, <<http://goo.gl/iOqoQN>>, [09.08.15].

საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებს.⁴⁹² კერძოდ, კანონპროექტით დაშვებული იყო მხოლოდ გესტაციური სუროგაცია (და არა გენეტიკური სუროგაცია, რა დროსაც სუროგატი დედა იმავდროულად არის კვერცხუჯრედის დონორი). კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ამ ნორმის შემოტანის ძირითადი არგუმენტი ის გარემოება იყო, რომ გენეტიკური სუროგაციის შემთხვევაში სუროგატული დედის მიერ დაბადებული ბავშვის უშვილო წყვილისთვის გადაცემაზე უარის თქმა უფრო მეტად არის მოსალოდნელი. გარდა ამისა, განმარტებით ბარათში აღინიშნა, რომ „გენეტიკური სუროგაციის შემთხვევაში სუროგატ დედას კანონმა არ უნდა წაართვას ბავშვის დატოვების უფლება.“⁴⁹³

საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია ხელოვნური განაყოფიერების მიზნით, გაყინვის მეთოდით კონსერვირებული⁴⁹⁴ გამეტების⁴⁹⁵ და ემბრიონის გამოყენება.⁴⁹⁶ კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით.⁴⁹⁷ აღნიშნულ საკითხზე 2007 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,⁴⁹⁸ რომელიც განაყოფიერებული კვერცხუჯრედების შენახვის ვადის გაგრძელების და იმპლანტაციისთვის მამის თანხმობის

⁴⁹² კანონპროექტი ითვალისწინებდა ექსტრაკორპორული განაყოფიერების გზით მიღებული ემბრიონების რიცხვის შეზღუდვას სამამდე და იმ შემთხვევაში თუ ექსტრაკორპორული განაყოფიერების გზით მიღებული ემბრიონი არ იქნებოდა საშვილოსნოში გადატანილი, მაშინ კანონმდებელი ნებას რთავდა, განსხორციელებულიყო ემბრიონის კრიოპრეზერვაცია და/ან დონაცია. ამავე კანონპროექტით გათვალისწინებული იყო როგორც კრიოპრეზერვაციის, ისე დონაციის პირობები. ექსტრაკორპორული განაყოფიერების გზით მიღებული ემბრიონების რიცხვის შეზღუდვის ინიციატივას მძაფრი რეაქცია მოჰყვა დარგის სპეციალისტების მხრიდან (მაგ., პალო ალტოს სამედიცინო ფონდის რეპროდუქციური ლაბორატორიების დირექტორის, *მარინა გვახარიას* შეფასებით, ეს იყო „ძალიან სერიოზული და პოტენციურად კატასტროფული შეზღუდვა იმ ვიტრო პროცედურის ეფექტურობის თვალსაზრისით“ (*გვახარია მ.*, ღია წერილი სუროგაციის კანონზე მომუშავე კომისიას, 5 დეკემბერი, 2014, ჟურნ. „ლიბერალი“, <<http://goo.gl/3oc3gb>>, [06.07.15]), ხოლო დონაციისა და სუროგატ დედათა კვლევის ცენტრის, „ჰუმან ჯორჯიას“ დირექტორის, *თამარ ხაჭაპურიძის* განმარტებით, „ეს ნიშნავს, რომ ორსულობის მიღების წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში წყვილს რეზერვში გაყინული ემბრიონები არ ექნება და იძულებული იქნება კვერცხუჯრედების მიღების ახალი მცდელობისათვის დამატებით 8 000 ლარი გადაიხადოს, რაც არც ქალის ორგანიზმისათვის არ არის სასარგებლო და არც მარტივი პროცედურა“ (*გოვაბა მ.*, ხელოვნურ ჩასახვაზე დაწესებულ აკრძალვებს სპეციალისტები აპროტესტებენ, „ნიუს.ჯი“, 13 ივნისი, 2012, <<http://goo.gl/zVwGt6>>, [10.08.15]).

⁴⁹³ განმარტებითი ბარათი 2012 წლის საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<http://goo.gl/h2QyF9>>, [06.07.15].

⁴⁹⁴ ე.წ. კრიოკონსერვაცია.

⁴⁹⁵ ე.ი. ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების (იხ. Oxford Concise Medical Dictionary, 2010, <<http://goo.gl/2npLtl>>, [09.08.15]).

⁴⁹⁶ იმ ვიტრო განაყოფიერების შედეგად პირველი ბავშვი, *ლუიზა ჯოი ბრაუნი (Louise Joy Brown)* ბრიტანეთში 1978 წელს დაიბადა (იხ. Profile: Louise Brown, “BBC News”, 24 July, 2003, <<http://goo.gl/5pPcOI>>, [09.08.15]), ხოლო აშშ-ში გაყინული ემბრიონის გამოყენებით პირველი ფეხმძიმობის ფაქტი 1983 წელს დაფიქსირდა (იხ. Human Embryo Cryopreservation, “Georgia Reproductive Specialists”, <<http://goo.gl/8LBtVF>>, [07.07.15]).

⁴⁹⁷ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 144-ე მუხლი.

⁴⁹⁸ *Evans v. The United Kingdom* [2007], ECHR, no. 6339/05, <<http://goo.gl/K2rRCU>>, [08.08.15].

აუცილებლობის საკითხს შეეხებოდა. 2000 წელს, როდესაც განმცხადებელმა და მისმა პარტნიორმა სამკურნალო დაწესებულებას მიმართეს, განმცხადებელს საკვერცხეების სიმსივნის-წინა მდგომარეობა დაუდგინდა, რის გამოც წყვილს იმ ვიტრო განაყოფიერების მკურნალობის ერთი კურსი შესთავაზეს, რაც საკვერცხეების ამოკვეთამდე უნდა ჩატარებულიყო. სამედიცინო კონსულტაციის დროს მათ განემარტა, რომ საჭირო იყო მკურნალობაზე თითოეულის წერილობით თანხმობა, ხოლო 1990 წლის ადამიანის ფერტილიზაციისა და ემბრიოლოგიის კანონის⁴⁹⁹ თანახმად, თითოეული უფლებამოსილი იყო, ემბრიონის განმცხადებლის საშვილოსნოში იმპლანტაციამდე უკან გამოეთხოვა განცხადებული თანხმობა. მკურნალობის შედეგად განხორციელდა ექვსი ემბრიონის შენახვა, რომელთა იმპლანტაცია დედის ორგანიზმში ორი წლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. 2002 წელს წყვილის ურთიერთობა შეწყდა და განმცხადებლის უკვე ყოფილმა პარტნიორმა, ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონის შესაბამისად, უკან გამოითხოვა თანხმობა. მან სამკურნალო დაწესებულებას შეატყობინა, რომ აღარ სურდა, განმცხადებელს ემბრიონებით ესარგებლა ან მათი შენახვა კვლავ გაგრძელებულიყო. განმცხადებელმა გაასაჩივრა ეროვნული კანონი, რომელიც ყოფილ პარტნიორს უფლებამოსილს ხდიდა გამოეხმო თანხმობა ემბრიონების შენახვა-გამოყენებაზე და ამით მოსარჩელეს გენეტიკური შვილის ყოლის შესაძლებლობას უკარგავდა. სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ განმცხადებლის და მისი ყოფილი პარტნიორის მიერ შექმნილ ემბრიონებს სიცოცხლის უფლება არ გააჩნდათ, ხოლო მოგვიანებით კი ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ უფლებათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს შეფასებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით („პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება“) დაცული „პირადი ცხოვრება“, როგორც ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინი, მოიცავს ადამიანის უფლებას, გადაწყვიტოს, გახდეს ან არ გახდეს მშობელი. თითოეული მხარისთვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებათა ბალანსის თვალსაზრისით, სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად განმცხადებლის მიმართ სასამართლოს თანაგრძნობისა, მართებული არ იქნება, მის სურვილს, გახდეს გენეტიკური მშობელი, უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე ყოფილი პარტნიორის გადაწყვეტილებას, არ იყოლიოს განმცხადებელთან საერთო, გენეტიკური შვილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე მეტად საინტერესოა ქართული სასამართლოს პრაქტიკა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 21 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღიარა მოსარჩელე ღ.გ-ს უფლება მისი კვერცხუჯრედით შექმნილ ემბრიონზე და მოიპოვა მისი განკარგვის უფლება.⁵⁰⁰

⁴⁹⁹Human Fertilisation and Embryology Act (1990).

⁵⁰⁰ განცხადებაში ვკითხულობთ: „წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებით ღ.გ-მ მიუთითა, რომ მოპასუხე იჩ-სთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 2010 წლიდან. ქორწინების განმავლობაში, ღ.გ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების შემდეგ, მოპასუხის ინიციატივით, წყვილმა მიმართა შესაბამის

მოკლე დასკვნა

1. კანონმდებელი იდენტური მნიშვნელობის მქონე ცნებებად წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობას და სამედიცინო მომსახურებას.⁵⁰¹ სამედიცინო მომსახურება, რომელიც თავის მხრივ ფართო მნიშვნელობის ცნებაა, მოიცავს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, ისევე როგორც მაგ., სამედიცინო ჩარევას და სამედიცინო მეთვალყურეობას.

2. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების და მისი შეფასების სირთულეს განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი: ა). თავად სამედიცინო მომსახურების ცნება არის ფართო, ითვალისწინებს სამედიცინო საქმიანობის მრავალ ასპექტს, ცნებათა და ტერმინთა მთელ წყებას, რომელთა საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს (მათ შორის, დაავადებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პაციენტის სამედიცინო მოვლა, პროთეზირება, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირება, პაციენტის სამედიცინო განათლება); ბ). სსკ არ იცნობს მომსახურების ხელშეკრულების ზოგად ცნებას (მომსახურების ხელშეკრულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმები კოდექსში არ არსებობს).

სამედიცინო დაწესებულებას და პაციენტს შორის დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება კომპლექსური ხასიათის იყოს, ითვალისწინებდეს მომსახურებას ადგილობრივ და საზღვარგარეთ არსებულ პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებაში, მოიცავდეს მაგ., ნარდობის ან ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტებს.

სამედიცინო დაწესებულებას ინ-ვიტრო განაყოფიერებისათვის, სუროგატი დედის მეშვეობით. შედეგად, მოხერხდა ორივე მშობლის ბიოლოგიური მასალით შექმნილიყო 1 ემბრიონი, რომელიც სუროგატი დედის ორსულობისათვის მოსამზადებელი პერიოდის გავლამდე, გაყინეს. ქორწინებაში ყოფნის განმავლობაში წყვილს შორის არსებული უთანხმოება გამწვავდა და მოპასუხე ი.ჩ-მ უარი თქვა საერთო ემბრიონის სუროგატის სხეულში გადატანაზე. მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა საერთო ემბრიონზე მისი უფლების აღიარებისა და სუროგატის სხეულში გადატანის, სუროგატთან ხელშეკრულების დადებისა და სუროგატისა და კლინიკის შერჩევის ი.ჩ-ს თანხმობის გარეშე განხორციელების უფლების მოპოვებისათვის. მოპასუხე, წარმოდგენილი შესაგებელით არ დაეთანხმა სარჩელს და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლომ განიხილა საქმეში წარმოდგენილი მასალები და მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობდა დავა 2 იდენტურ უფლებას შორის - გახდეს ან არ გახდეს მშობელი. თითოეული მათგანი თავისი მნიშვნელობიდან და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ადამიანის არჩევანის თავისუფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, არჩევანის გაკეთებისას უნდა შეფასდეს ის კონტექსტი რის გამოც ეს უფლებები უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. სასამართლომ მიუთითა, რომ ბუნებრივი ჩასახვის პირობებშიც, შესაძლოა ამ უფლებათა კოლიზიის საკითხი დადგეს, რა დროსაც კანონმდებლობა ემბრიონის ბედს დედის დისკრეციის სფეროში აქცევს. შესაბამისად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მამაკაცის პირადი ცხოვრების ასპექტი ქალისა თუ ემბრიონის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით გარკვეულწილად იზღუდება. ამასთან, მოსარჩელე ლ-გ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სადავო ემბრიონი წარმოადგენს მის ერთადერთ შანსს გახდეს დედა და იყოლიოს გენეტიკური შვილი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნები და აღიარა მისი უფლება გაყინულ ემბრიონზე, მისცა შესაძლებლობა მოპასუხე ი.ჩ-ს თანხმობის გარეშე განახორციელოს ემბრიონის სუროგატის სხეულში გადატანა, სუროგატთან ხელშეკრულების დადება, სუროგატისა და კლინიკის შერჩევა“ (გამოქვეყნებულია: <<http://goo.gl/jbyTZV>>, [18.09.15]).

⁵⁰¹ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ჩ“ მუხლი.

ამგვარად, საჭიროა სსკ-ში კანონმდებელმა განსაზღვროს მომსახურების ხელშეკრულების ცნება და დაადგინოს მისი მარეგულირებელი სპეციალური ნორმები, განსაზღვროს შერეული ხელშეკრულების ცნება და განავრცოს შერეულ ხელშეკრულებათა განმარტების 340-ე მუხლით დადგენილი წესი.

3. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე გავრცელდება სსკ-ის 129-ე („სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა“) და 130-ე („ხანდაზმულობის ვადის დაწყება“) მუხლებით დადგენილი წესი, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს დელიქტურ ზიანთან, ანუ სახეზეა ისეთი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ფაქტი, როგორც არის დაზარალებულის (პაციენტის) სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა (რომლებიც წარმოადგენენ აბსოლუტურ უფლებათა ობიექტს), სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე უნდა გავრცელდეს სსკ-ის არა 129-ე და 130-ე მუხლები, არამედ, სსკ-ის 1008-ე მუხლი, რომელიც „სპეციალური ნორმაა დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობისათვის“⁵⁰² (1008-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის სპეციალური წესი) და მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.“⁵⁰³

4. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსაზრება, რომლის თანახმად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 1008-ე მუხლი განიმარტოს ამავე კოდექსის მე-8 III მუხლთან ურთიერთკავშირში, სსკ-ის 1008-ე მუხლით დაზარალებულისთვის მინიჭებული უფლებით ბოროტად სარგებლობის გამორიცხვის მიზნით.⁵⁰⁴

5. საქართველოს კანონმდებლობა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში მეტად მწირია. შესაბამისად, რთულდება სსკ-ის 1007-ე მუხლის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. არსებობს რიგი საკითხებისა, რომელიც კანონმდებლის ყურადღების მიღმა რჩება და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს. მათგან უნდა გამოიყოს შემდეგი:

1. მიზანშეწონილია, კანონით განისაზღვროს, რა შემთხვევაშია დაუშვებელი ხელოვნური ჩასახვის ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., ხელოვნური ჩასახვის ტექნოლოგიების გამოყენება მხოლოდ სქესის შერჩევის მიზნით); 2. ხელოვნური ჩასახვის ტექნოლოგიის გამოყენებისას დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი გენეტიკური ნათესავების სპერმატოზოიდის და კვერცხუჯრედის შერწყმა; 3. კანონით უნდა განისაზღვროს გამეტების დონორის და სუროგატი დედის უფლებები; 4. დადგინდეს

⁵⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-254-939-03), <<https://goo.gl/XbOLLY>>, [04.05.16].

⁵⁰³ ჩახავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010, 158-159.

⁵⁰⁴ იხ. ჩახავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010, 158.

ემბრიონის შენახვის (განისაზღვროს კრიოპრეზერვაციის წესით შენახული ემბრიონის შენახვის ვადა) და გამოყენების, განკარგვის წესი; 5. დადგინდეს ექსტრაკორპორალური განაყოფიერების გზით მიღებული ემბრიონების რაოდენობა (მაქსიმალური ზღვარი) და მათი განადგურების ამკრძალავი წესი.⁵⁰⁵

⁵⁰⁵ აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული იყო 2012 წლის 6 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ წარდგენილი კანონპროექტით „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (იხ. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2012 წლის 8 ივნისის სხდომის ოქმი №129, <<http://goo.gl/iOqoQN>>, [09.08.15]).

**თავი IV. სამედიცინო მომსახურების გამწევის
მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მიზეზობრივი კავშირის დადგენა
მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და პაციენტისთვის მიყენებულ ზიანს
შორის**

სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის ანალიზის მიზნით საჭიროა, თანმიმდევრულად იქნეს განხილული დელიქტური ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა შესახებ მოძღვრების ისეთი საკითხები, როგორც არის ზიანის მიყენების მართლსაწინააღმდეგობა და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის.

პროფესორ *ვაჩეიშვილის* განმარტებით, ერთ ლოგიკურ მთლიანობას ქმნის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორც არის ბრალის, საზოგადოებრივი საშიშროების (რომელსაც სამართლის ზოგადი თეორიის კატეგორიად განიხილავდა და არ მიიჩნევდა მას მხოლოდ სისხლის სამართლის მეცნიერების კუთვნილებად⁵⁰⁶), მართლსაწინააღმდეგობის და იურიდიული პასუხისმგებლობის ცნებები; სამართალდარღვევა არის ძირითადი ცნება, ხოლო ბრალის, საზოგადოებრივი საშიშროების, მართლსაწინააღმდეგობის ნიშნები ერთი მთლიანი კომპლექსის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენენ.⁵⁰⁷ ავტორის სიტყვით, „მართლსაწინააღმდეგობა ლოგიკურად სამართლის დარღვევას გულისხმობს, ხოლო სამართლის დარღვევა სამართლის ყველა დარღვას ახასიათებს.“⁵⁰⁸ ამასთან, კონკრეტული ქმედება „შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული სამართლის თვალსაზრისით და არ იყოს ასეთი სისხლის სამართლისთვის“⁵⁰⁹ (სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს⁵¹⁰). პროფესორ *ტურავას* განმარტებით თუ „ქმედებას საკონსტიტუციო, საპროცესო, ადმინისტრაციული ან კერძო სამართალი მართლზომიერად აცხადებს, არ შეიძლება იგივე ქმედება სისხლის სამართლის თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგო იყოს.“⁵¹¹ ავტორის სიტყვით, „საკამათოა საკითხი იმის შესახებ, სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებსა და სისხლისსამართლებრივ გამართლებას აქვთ თუ არა იგივე მნიშვნელობა სამართლის სხვა დარგებში.“⁵¹² ამასთან, „ერთიანი მართლწესრიგის პრინციპიდან გამომდინარე...

⁵⁰⁶ აღსანიშნავია, რომ 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია მართლსაწინააღმდეგობის ცნება საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ნაცვლად (ანუ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება ჩანაცვლდა მართლსაწინააღმდეგობის ცნებით), რომელიც 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის ერთ-ერთ ნიშნად ითვლებოდა (იხ. *გამყრელიძე* *ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 86).

⁵⁰⁷ იხ. *გამყრელიძე* *ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 24.

⁵⁰⁸ *ვაჩეიშვილი* *აღ.*, სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №5, 1963, 20. ავტორი უთითებს *შნეიდერის* ნაშრომს: *Шнейдер М.А., Советское уголовное право, ч. общая, 1955, 127.*

⁵⁰⁹ *ვაჩეიშვილი* *აღ.*, სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №5, 1963, 22.

⁵¹⁰ იხ. *ჩიკვაშვილი* *შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387.

⁵¹¹ *ტურავა* *მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008, 193.

⁵¹² იქვე.

დაუშვებელია, სისხლისსამართლებრივად მართლსაწინააღმდეგო ქმედება მართლზომიერად ჩაითვალოს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში. ისე როგორც არ შეიძლება, სისხლის სამართლის სფეროში მართლსაწინააღმდეგოდ და არამართლზომიერად შეფასდეს ისეთი ქმედება, რომელიც სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის ნორმების თანახმად, გამონაკლისის სახით, წარმოადგენს ნებადართულ და შესაბამისად, მართლზომიერ ქმედებას.⁵¹³

1. მართლწინააღმდეგობა

სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა თუ სახეზეა მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანი.

ზოგადი განმარტებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არღვევს კულტურის ნორმებს⁵¹⁴ (კულტურის ნორმებში კი შესაძლებელია მოვიაზროთ როგორც პოზიტიური, ისე დაუწერელი სამართალი⁵¹⁵); ბრალის არსებობა გულისხმობს მართლწინააღმდეგობის არსებობას.⁵¹⁶

სსკ-ში კანონმდებელი მართლწინააღმდეგობის ცნებას არ განმარტავს, თუმცა, გვხვდება მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (სსკ-ის 120-ე მუხლი), მიზნის, საშუალების (სსკ-ის 88-ე მუხლი), პირობის (სსკ-ის 91-ე მუხლი), თავდასხმის (სსკ-ის 116-ე მუხლი), შემოსავლის (სსკ-ის 822-ე მუხლი) და სარგებლობის (სსკ-ის 27-ე IV მუხლი) ცნებები.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს“, ⁵¹⁷ ამასთან, „მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს, მაშინ როცა, არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში ზიანის მიმყენებლის მოქმედებით ირღვევა აბსოლუტური უფლებები.“⁵¹⁸ გარდა ამისა, ვხვდებით მოსაზრებას, რომლის თანახმად,

⁵¹³ *მადლაკელიძე ლ.*, მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 231, <<http://goo.gl/ndGi6m>>, [16.04.15].

⁵¹⁴ *ბურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008, 62.

⁵¹⁵ *იხ. მადლაკელიძე ლ.*, მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 232, <<http://goo.gl/ndGi6m>>, [16.04.15].

⁵¹⁶ *იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-33-406-05), <<http://goo.gl/vcF2Ym>>, [28.08.15].*

⁵¹⁷ *ზოდუა ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 364.

⁵¹⁸ იქვე. ერთ-ერთ საქმეზე (მოქალაქემ ტრავმა მიიღო შრომითი მოვალეობის შესრულების დროს. კერძოდ, მომეტებული საფრთხის შემცველი ქიმიკატის, კაუსტიკური სოდის ვაგონიდან ჩამოსხმისას მოიხსნა სპეციალური დამცავი სათვალე, რის გამოც თვალში კაუსტიკური სოდის წვეთი მოხვდა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-477-1110-03), <<http://goo.gl/inbYrp>>, [31.08.15]), პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნა სარჩოს ანაზღაურების თაობაზე არ დააკმაყოფილეს და „ამგვარი სამართლებრივი დასკვნის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სასამართლოების მიერ დამდგარი ზიანი განხილულ იქნა, როგორც რელატიური და არა აბსოლუტური უფლების დარღვევის შედეგი“ (*თოდუა მ., ვიდეშვილი პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 47. რელატიური

„აბსოლუტურ უფლებათა ხელყოფისას იგულისხმება, რომ ქცევა თავისთავად მართლსაწინააღმდეგოა, ⁵¹⁹ ხოლო სახელშეკრულებო ურთიერთობებში ქცევის მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს მოვალეობის დარღვევა. ამასთან, მართლწინააღმდეგობის პრეზუმფცია არ მოქმედებს და იგი უნდა ამტკიცოს მოსარჩელემ“ ⁵²⁰ (ამავე ნაშრომში გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, „ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო ქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის პრეზუმფცია არ მოქმედებს“⁵²¹).

წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია მსჯელობა, რომლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოა ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა⁵²²) თუ „პირი არღვევს სამართლის ნორმას ⁵²³ და მასთან, კონკრეტული

და ფარდობითი უფლებების შესახებ დამატებით იხ. Sir William Blackstone Differentiates Between “Absolute Rights” of Individuals (Natural Rights which Exist Prior to the State) and Social Rights (Contractual Rights which Evolve Later), 1753, The Portable Library of Liberty, 5 May, 2009, <<http://goo.gl/3ZHszP>>, [31.08.15]; ასევე, იხ. ჩანაყა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010, 9-11). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განმარტა, რომ მაშინ, როდესაც კანონი იმპერატიულად აწესებს მომეტებული საფრთხის წყაროთი გამოწვეული ზიანის დროს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას (გარდა დაუძლეველი ძალის მოქმედებით და იმ შემთხვევაში თუ დაზიანება გამოწვეულია დაზარალებულის განზრახვით), საზოგადოების ადმინისტრაციამ კანონის იმპერატიული დანაწესის საწინააღმდეგოდ გააუქმა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების გამო დანიშნული სარჩოს გაცემა და ამით „მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები კი არ შელახა, არამედ ვნება მიაყენა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.“ სასამართლომ ზიანი შეაფასა, როგორც აბსოლუტური უფლების დარღვევის შედეგი. გარდა ამისა, „თუ ადგილი აქვს პირის აბსოლუტური უფლების დარღვევას და სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 999-ე და 1000-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანი, მაშინ არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“ (თოდუა მ., ვილემში პ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 47).

⁵¹⁹ აქ ავტორი უთითებს, რომ „კანონით გათვალისწინებულია გამონაკლისი აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობისა და თვითდაზარების შემთხვევებში“ (გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 129, 529-ე სქოლიო).

⁵²⁰ იქვე, 129.

⁵²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-260-244-11), <<http://goo.gl/Hk7MUs>>, [28.08.15]; იხ. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 131. კერძო სამართლის ფარგლებში ექიმის ბრალეულობის პრეზუმფციის უარყოფას ვხვდებით სხვადასხვა გადაწყვეტილებებში და ნაშრომებში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15]; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15]; აგრეთვე: კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიაშვილი ნ., გვენტაძე ნ., აზაურაშვილი გ., წიგნი პაციენტებისთვის: ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), თბ., 2011, 118).

⁵²² უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართლსაწინააღმდეგო თუ პირი ვალდებული იყო ემოქმედა. მაგ., დაცემა უსაფრთხოების ნორმები სამშენებლო ობიექტზე.

⁵²³ მაგრამ სხვაგვარადაა საქმე სისხლის სამართლის შემთხვევაში: „ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა კაცმა აკრძალვა. დამნაშავე

პირის უფლებას. მაგ., მოქალაქის მიერ დაუდევრად დაგდებული ლითონის ობიექტით ზიანი მიადგა სხვა მოქალაქეს. შედეგად, დარღვეულ იქნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დამცავი სამართლის ნორმები და იმავდროულად, დაზარალებულის ჯანმრთელობის უფლება. კანონის ამოსავალია იმ ქმედების, რომელმაც ზიანის მიყენება გამოიწვია, მართლწინააღმდეგობის პრეზუმფცია, რაც გენერალური დელიქტის პრინციპიდან გამომდინარეობს. ამ პრინციპის თანახმად, პირადი და ქონებრივი ზიანის მიყენება განხილულ უნდა იქნეს, როგორც მართლწინააღმდეგო ქმედება თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“⁵²⁴ ავტორის სიტყვით, ამავე პრინციპიდან გამომდინარეობს ისიც, რომ დაზარალებულს არ ეკისრება ამტკიცოს ზიანის მიმყენებლის ქმედების მართლწინააღმდეგო ხასიათი, რამეთუ ეს თავისთავად იგულისხმება (ე.ი. პრეზუმირებულია).⁵²⁵ პროფესორი *ნიკვაშვილი* მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, შესაბამისად ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა შორის: „დაზარალებული, მიმართავს რა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობა.“⁵²⁶ ამ მსჯელობას ეთანხმება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა, რომელიც მიუთითებს: „ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს... ბრალის არსებობა გულისხმობს მართლწინააღმდეგობის არსებობას. რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს, იგი დადგენილია საქმის ფაქტობრივი გარემოებებით. ამასთან, მტკიცების ტვირთი მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობის თაობაზე, აწევს მოპასუხეს.“⁵²⁷

არსებითად, ყოველი ქმედება, რომელიც მართლწესრიგს არღვევს (მართლწესრიგი არის საზოგადოებრივი წესრიგის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა სოციალური ნორმების განხორციელების შედეგად; მართლწესრიგს არეგულირებს სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმები⁵²⁸), ზიანის მომტანია და მაშასადამე, არამართლზომიერია.⁵²⁹

ასრულებს (და არ არღვევს) სისხლის სამართლის კანონს“ (*გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 83-84).

⁵²⁴ *Суханов Е.А.*, Обязательства из Причинения Вреда, გამოცემაში: Гражданское Право, Т. II, Полутом 2 (Ред. *Суханов Е.А.*), М., 2000, 207, <<http://goo.gl/GBtSdv>>, [15.02.15].

⁵²⁵ იქვე.

⁵²⁶ *ნიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 120.

⁵²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-33-406-05), <<http://goo.gl/vcF2Ym>>, [28.08.15].

⁵²⁸ იხ. *ვაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალაძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ., ტყეშელიაძე გ., ხუროშვილი გ.*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბ., 2007, 53.

⁵²⁹ იხ. *Матвеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 36.

მართალია, კანონმდებელი უშუალოდ სსკ-ში მართლწინააღმდეგობის ცნების დეფინიციას არ იძლევა, მაგრამ პოლიციის შესახებ საქართველოს კანონში მართლწესრიგს განმარტავს, როგორც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ქცევის და ურთიერთობების სისტემას, რომელიც წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით და იმ ადატ-წესებით, ტრადიციებით და ზნეობრივი ნორმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.⁵³⁰

ზიანი არის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პირობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი წარმოადგენს აუცილებელ ნიშანს ყოველი სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისთვის. ამგვარად, თუ არ არის ზიანი, მაშინ არ არის სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევა; ეს უკანასკნელი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მის შედეგად გამოწვეული ზიანის ერთობლიობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევა ზიანის მომტანი შედეგის გარეშე. სწორედ ეს განასხვავებს სამოქალაქოსამართლებრივ დარღვევას სისხლისსამართლებრივი დარღვევისგან, რომელიც იცნობს მატერიალურ და ფორმალურ დანაშაულთა ცნებებს. გამონაკლისს ქმნის მხოლოდ სახელშეკრულებო ან სხვა ტიპის ვალდებულებები, რომელთა შემთხვევაშიც შეუსრულებლობის (ვალდებულების დარღვევის) შედეგი არ გამოისახება ზუსტად განსაზღვრული ქონებრივი ზიანის სახით; ამ შემთხვევაში გამოუსწორებელი მოვალის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საჯარიმო სანქციებით, მიუხედავად იმისა, სახეზეა თუ არა ე.წ. რეალური ზარალი.⁵³¹

პროფესორი *ზოიძე* მიუთითებს, რომ გერმანულ სამართალში ერთმანეთისგან განასხვავებენ *ქმედების უმართლობას* და *შედეგის უმართლობას*: უმართლოა თვით ქმედება, ვინაიდან იწვევს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, როგორც შედეგს; ქმედების უმართლობის შესახებ მოძღვრება კი უნდა განვიხილოთ შედეგისგან დამოუკიდებლად. კანონმა შეიძლება დაუშვას ან აკრძალოს მხოლოდ ქმედება და არა შედეგი ან მისი გამოწვევა: „შედეგის უმართლობის“ თეორია უფრო შეესაბამება სისხლის სამართალში გავრცელებულ მიზეზობრიობის თეორიას. სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობა და ბრალი იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ დანაშაული ყოველთვის ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა, მაშინ როცა სამოქალაქო სამართალი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც.“⁵³²

პროფესორი *კროპოლერი* მსჯელობს რა მართლწინააღმდეგობის საკითხზე, გსკ-ის 823-ე მუხლთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სადავოა თუ რას ეხება მართლწინააღმდეგობის შეფასება, დამდგარ შედეგს თუ ზიანის გამომწვევ ქმედებას. შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად, კანონით დაცული სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა განსაკუთრებულ დადგენას აღარ საჭიროებს, ხოლო ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად, „მართლწინააღმდეგობის შეფასება ეხება ზიანის

⁵³⁰ პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის (სსმ, ვებგვერდი, 28.10.2013) მე-2 „ბ“ მუხლი.

⁵³¹ იხ. *Мамеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970, 36-39.

⁵³² *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 365.

მიმყენებელ ქმედებას.⁵³³ მაგ., თუ მედლა პაციენტს უკეთებს სამკურნალო შრატს, რომელიც სინამდვილეში მომაკვდინებელი ინექციაა, მედლის ქმედება ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად, მართლზომიერია (ამ მოძღვრების მიხედვით, მოთხოვნის უფლების მქონეს ეკისრება მართლწინააღმდეგობის არსებობის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი; უნდა ამტკიცოს ბრალის ფარგლებში მედლის მიერ წინდახედულობის ნორმების დარღვევა), ხოლო შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად, მედლის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა (ზიანის მიმყენებელს შეუძლია ამტკიცოს გამამართლებელი საფუძვლის არსებობა).⁵³⁴ როდესაც პირი არღვევს სხვა პირის ინტერესების დაცვისკენ მიმართულ კანონს, მას აგრეთვე ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (გსკ, §823 II), რადროსაც მართლწინააღმდეგობა ვლინდება დამცავი კანონის (დამცავი კანონი შეიძლება იყოს ყველა ის ნორმა, რომელიც განსაზღვრულ ქმედებას აწესრიგებს ან კრძალავს და უშუალოდ მიმართულია ცალკეული პირებისკენ⁵³⁵) „ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში.“⁵³⁶ *კროპპოლერის* განმარტებით, გსკ-ის 823-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები დამოუკიდებელი, ცალ-ცალკე გამოსაკვლევი ქმედების შემადგენლობებია,⁵³⁷ რომელთაგან ერთი (გსკ, §823 I) „განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებით აბალანსებს“, ხოლო მეორე (გსკ, §823 II) „წარმოადგენს (დამცავი კანონით გათვალისწინებულ) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების სანქციას.“⁵³⁸

ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია, რომ ქმედება, რომლის განხორციელების შედეგად ზიანი დადგა, მართლსაწინააღმდეგო იყოს ანუ წარმოადგენდეს სამართლის დარღვევას. 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403-ე მუხლი ამ წესს უარყოფითი ფორმით გადმოსცემდა, პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა პირს, რომელიც უფლებამოსილი იყო ზიანი მიეყენებინა. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მართლზომიერად მიყენებული ზიანი შეიძლება ანაზღაურებულ იქნას მხოლოდ ისეთი გამონაკლისის სახით, რაც დაწესებულია კანონის სპეციალური დებულებით.“⁵³⁹ სსკ-ის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება პირის მიერ საკუთარ თავზე ან სხვა პირზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიების ფარგლებში განხორციელებული ქმედება, შესაბამისად, აუცილებელი მოგერიების შედეგად დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.⁵⁴⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლის მიერ დაუშვებლად არის ცნობილი *უფლების ბოროტად გამოყენება* და ამ კონტექსტში იხსენიებს მართლზომიერების ცნებას. კერძოდ, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია

⁵³³ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 639.

⁵³⁴ იქვე, 640.

⁵³⁵ იქვე, 642.

⁵³⁶ იქვე, 643.

⁵³⁷ იქვე, 626.

⁵³⁸ იქვე, 642.

⁵³⁹ *ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 410.

⁵⁴⁰ სსკ-ის 116-ე მუხლი.

უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღგეს სხვას.⁵⁴¹ ამგვარად, სსკ-ში საუბარია *მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა* (992-ე მუხლი) და *უფლების მართლზომიერ განხორციელებაზე* (115-ე მუხლი).⁵⁴²

როგორც აღინიშნა, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ყოველთვის წარმოადგენს სამართლის დარღვევას. უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც კანონი მოითხოვს განსაზღვრული ქმედების განხორციელებას.⁵⁴³

შედარებითსამართლებრივი კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფრანგული სამართლის დოქტრინა მართლწინააღმდეგობას და ბრალს შორის მკვეთრ ზღვარს არ ავლენს. ორივე ცნება ერთიანდება ბრალის⁵⁴⁴ ცნებაში. იმ შემთხვევაში თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის ან მისი ქმედების გამამართლებელ სხვა გარემოებებში, აგრეთვე თუ „სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხის ბოიკოტი ან გაფიცვა კანონიერია ან, რომ იგი მოქმედებდა „გონიერი, წინდახედული ადამიანის დარად“ (*“Homme Avisé”*)“, ზიანის გამომწვევი პირის პასუხისმგებლობა არ დადგება, რადგან მისი ქმედება არ არის ბრალეული. „ფრანგული სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა არ იცნობს დოგმატურ მოსაზრებებს მოცემულ სფეროში, აგრეთვე ცნობილ დისკუსიას გერმანელი იურისტებისა „მართლწინააღმდეგობის“ (*“Unrechtsbegriff”*) ცნების გარშემო.“⁵⁴⁵

პირს ზიანის მიყენების უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში აქვს: 1. პირი ასრულებს მოვალეობას; 2. პირი ახორციელებს უფლებას; 3. სახეზეა დაზარალებულის თანხმობა; 4. აუცილებელი მოგერიება; 5. უკიდურესი აუცილებლობა.

პირი ასრულებს მოვალეობას - ზიანის მიყენების უფლებამოსილებით აღჭურვილია პირი, რომელიც ზიანის მიყენების მომენტში მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს. მაგ., მეხანძრე ვალდებულია, შესაბამის ღონისძიებათა გატარების გზით ხანძარი ჩააქროს, თუნდაც ამ პროცესში ვინმეს კუთვნილი ქონება დაზიანდეს.

პირი ახორციელებს უფლებას - ზიანის მიყენების უფლებამოსილებით აღჭურვილია პირი, რომელიც კუთვნილ უფლებას ახორციელებს: „მოქმედებს მართლზომიერად და არ არღვევს ვისიმე უფლებას;“⁵⁴⁶ ამავედროულად, გასათვალისწინებელია, რომ „ყოველ უფლებას აქვს

⁵⁴¹სსკ-ის 115-ე მუხლი.

⁵⁴²ფრანგულ სამართალში არსებულ პრეცედენტთა ჯგუფზე, სადაც ზიანის მიმყენებლის ბრალი გამოიხატა სხვა პირისთვის ზიანის მიყენების მიზნით უფლების ბოროტად გამოყენებაში, იხ. ნაშრომი: *ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 311.

⁵⁴³იხ. *ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 411.

⁵⁴⁴ფრან. *“Faute”*.

⁵⁴⁵*ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 311.

⁵⁴⁶*ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 410.

თავისი საზღვარი, რომელიც შეიძლება კანონში არც კი იყოს პირდაპირ აღნიშნული.”⁵⁴⁷

დაზარალებულის თანხმობა - პირს აქვს ზიანის მიყენების უფლება-მოსილება, თუკი დაზარალებულის თანხმობით მოქმედებს ანუ დაზარალებულის თანხმობის არსებობის ფაქტი გამორიცხავს ზიანის მიყენების მართლწინააღმდეგობას იმ პირობით, რომ თავად ასეთი თანხმობა არ არის მართლსაწინააღმდეგო (დაზარალებულის თანხმობის მნიშვნელობის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავის მე-12 პარაგრაფი).

აუცილებელი მოგერიება - ზიანის მიყენების უფლებამოსილება აქვს მას, ვინც მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ამასთან, არ უნდა დაირღვეს აუცილებელი მოგერიების საზღვრები; „აუცილებელი მოგერიების ცნების არსებით ელემენტს წარმოადგენს იმ ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, რომელსაც იგერიებდა ის პირი, ვის მიერაც ზიანია მიყენებული.”⁵⁴⁸ სსკ-ის 116-ე მუხლი გსკ-ის 227-ე მუხლს⁵⁴⁹ იმეორებს იმ განსხვავებით, რომ 116-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება - „ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება” - გსკ-ში მოცემული არ არის.

უკიდურესი აუცილებლობა - ზიანის მიყენების უფლებამოსილება აქვს მას, ვინც მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში (სსკ-ის 117-ე მუხლი).

სამოქალაქო სამართალში უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით არის რიგი საკითხებისა, რომლებიც კანონით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის.

სსკ-ის თანახმად, პირის მიერ იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით (ცხადია, კანონმდებელი გულისხმობს საშუალებას, რომელიც ან საერთოდ არ გამოიწვევდა ან გამოიწვევდა, მაგრამ ნაკლებ ზიანს), უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, ვინც შექმნა ზიანის საფრთხე და რომლის თავიდან აცილების მიზნითაც განხორციელდა უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ქმედება. ეს უკანასკნელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუ იმ პირის მიერ მიყენებული ზიანი, რომელიც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა, აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია.⁵⁵⁰

კანონმდებლის მიერ დადგენილია, რომ პირი, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან (აგრეთვე, ზიანის უშუალო მიმყენებელი, რომელიც იმ მესამე პირის ინტერესებისთვის მოქმედებდა, რომელსაც საფრთხე

⁵⁴⁷ ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 410.

⁵⁴⁸ იქვე.

⁵⁴⁹ გსკ-ის 227-ე I მუხლის თანახმად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო. 227-ე II მუხლის თანახმად, აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვა პირებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), თბ., 2010).

⁵⁵⁰ სსკ-ის 117-ე I მუხლი.

ემუქრებოდა), მაგრამ მთლიანი და ნაწილობრივი გათავისუფლების საფუძვლებს დეტალურად არ განსაზღვრავს და მხოლოდ უთითებს, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება, ე.ი. გათავისუფლდეს თუ არა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან და თუ გათავისუფლდა, მთლიანად გათავისუფლდეს თუ ნაწილობრივ, მიიღება იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი.

როგორც აღინიშნა, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა გამოირიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას (უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში ზიანი მიყენებულია მართლზომიერად). ქმედება, რომელიც ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, აუცილებელ თავდაცვად არ ჩაითვლება; თუ მომგერიებელი ზიანს გამოიწვევს, ვალდებული იქნება ზიანი სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე აანაზღაუროს. ისმის კითხვა: უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა ათავისუფლებს თუ არა პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან („ვინმე ზიანის თავიდან აშორების ან მესამე პირისაგან აშორების მიზნით აყენებს სხვა პირს ნაკლებ ზიანს. დაზარალებულს უფლება არა აქვს წინ აღუდგეს ამას. მაგრამ რატომ უნდა იკისროს მან სხვა პირის იმ საფრთხისგან გადარჩენის ღირებულება, რომელიც მას ემუქრებოდა?“⁵⁵¹)?

იმ პირის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელმაც უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმოქმედა, ვერ დასაბუთდება სსკ-ის 992-ე მუხლით (რომელიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისთვის აწესებს), რადგან უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი მართლზომიერი ხასიათის არის. ვინაიდან მართლზომიერად მიყენებული ზიანის ანაზღაურების „საერთო წესად“ დადგენა დაუშვებელია, ის „განსაკუთრებულად უნდა იქნას კანონით დაწესებული.“⁵⁵² რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც საფრთხე უშუალოდ იმ ნივთისგან მომდინარეობს, რომელსაც პირმა ზიანი მიაყენა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს. იმ

⁵⁵¹ აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 413.

⁵⁵² იქვე. ვინაიდან 1923 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ შეიცავდა სპეციალურ ნორმას უკიდურეს მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, სასამართლოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, ზოგიერთ შემთხვევაში მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეეფარდებინა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 406-ე მუხლი („იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის მიმყენებელი, თანახმად 403-405 მუხლისა, არ არის ვალდებული ეს ზიანი აანაზღაუროს, სასამართლოს მიუხედავად ამისა შეუძლიან დააკისროს მას ზიანი აანაზღაუროს – მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ცვლილებებითა და დამატებით 1925 წ. ნოემბრის I-მდე), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1925, 72) და ზიანის მიმყენებლისთვის დაეკისრებინა ანაზღაურების ვალდებულება. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს მოხსენებაში (1926 წლის განმავლობაში რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიის მუშაობის შესახებ) 406-ე მუხლის შეფარდება გამოირიცხა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზიანი მიყენებული იყო სახელმწიფოს მიერ: „...სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგია, მცირე ყოყმანის შემდეგ სრულიად გარკვეულად დაადგა ამ თვალსაზრისს... 406 მუხლის შეფარდება სახელმწიფო ორგანოთა – მოპასუხეთა მიმართ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მთლიანად დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რამდენადაც სახელმწიფო ქონებრივად ყოველთვის უფრო ძლიერია...“ (აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 414; 440).

შემთხვევაში, თუ საფრთხე იმავე პირმა გამოიწვია, ვინც ზიანი მიაყენა ნივთს, ის პასუხს აგებს სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. მაგ., თუ პირმა გააღიზიანა ძაღლი, ხოლო შემდეგ, იცავდა რა თავს, მოკლა ის, მან ძაღლის მესაკუთრეს ზიანი უნდა აუნაზღაუროს.⁵⁵³

2. მიზეზობრივი კავშირი

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებას და დამდგარ შედეგს (ზიანს) შორის. ვინაიდან სამართლის მეცნიერებას არ შეუძლება *მიზეზობრივი კავშირის* სამოქალაქოსამართლებრივი ცნება, ცივილისტიკაში გამოიყენება მიზეზობრივი კავშირის ფილოსოფიური ცნება. როგორც ფილოსოფიური კატეგორია, ასახავს ისეთ ობიექტურ კავშირს ბუნებაში და საზოგადოებაში, სადაც ერთი მოვლენა წარმოგვიდგება, როგორც მიზეზი, ხოლო მეორე - როგორც ამ მიზეზის შედეგი. ასევე, ცივილისტიკაში გამოიყენება სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემუშავებული მეთოდები მიზეზობრივი კავშირის დასადგენად (განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ *თინათინ წერეთლის* სამეცნიერო კვლევები, რომლის სადისერტაციო ნაშრომი სწორედ მიზეზობრივი კავშირის შესწავლას ემსახურებოდა ⁵⁵⁴). ვინაიდან მიზეზობრივი კავშირის დადგენა მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, სამართლის მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის შესახებ მრავალრიცხოვანი თეორიები შეიმუშავა.⁵⁵⁵

პროფესორ *კროპოლერის* სიტყვით, მას შემდეგ რაც დადგინდება სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში უნდა შემოწმდეს, შეიძლება თუ არა, რომ ზიანის მიყენება „შეერაცხოს ზიანის მიმყენებელს, რომელიც მოქმედებდა შეგნებულად, ან სულ ცოტა, კონტროლირებადი ხერხით (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება).“⁵⁵⁶

2.1. მიზეზობრივი კავშირის შესახებ ადრეული კვლევები

თავდაპირველად მიზეზობრივი კავშირის საკითხი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით წამოიჭრა და იტალია იყო პირველი ქვეყანა, სადაც სწავლულთა მიერ შემუშავებულ იქნა შესაბამისი თეორია. მათი მიზანი იყო არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არამედ სამოქალაქო

⁵⁵³ აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 414.

⁵⁵⁴ იხ. *Церетели Т.В.*, Причинная Связь в Уголовном Праве (Автореферат Докторской Диссертации), М., 1949. მომდევნო, 1957 და 1963 წლებში ავტორმა ორი მონოგრაფია გამოსცა იგივე სათაურით.

⁵⁵⁵ მაგ., ფრანგულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის შესახებ იხ. *ცვაიგერტი კ. კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 312.

⁵⁵⁶ *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 636.

ზღვევინების წესის დადგენა.⁵⁵⁷ მიზეზობრივი კავშირის პირველი თეორია, რომლის ჩანასახს ჯერ კიდევ გლოსატორებთან ვხვდებით, შემდეგ საკითხებზე მსჯელობით იფარგლებოდა: 1. რამდენად მართებულია, პირს ბრალად შეერაცხოს სხეულის დაზიანების შედეგად დამდგარი სასიკვდილო შედეგი (მხედველობაში მიღება ის გარემოება თუ რამდენად იყო შესაძლებელი, ზიანის მიმყენებელს ამგვარი შედეგის დადგომა გაეთვალისწინებინა; სწორი დასკვნისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა დანაშაულის იარაღთან დაკავშირებული გარემოება. კერძოდ, ქმედება ჩადენილი იყო ე.წ. ნამდვილი იარაღით თუ ისეთი საშუალებით, რომელსაც არ მოიცავდა დანაშაულის იარაღის ცნება); 2. თუ ჭრილობა სასიკვდილო არ არის, ხოლო დაზარალებული ავადმყოფია, მისი სიკვდილი ბრალად არ შეერაცხება პირს, რომელმაც ჭრილობა მიაყენა და პასუხს აგებს მხოლოდ სხეულის დაზიანებისთვის; 3. თუ ჭრილობა სასიკვდილო არ არის, სასიკვდილო შედეგი კი თავად დაზარალებულის ქცევამ ან ექიმმა (მაგ., არასწორი მკურნალობით) განაპირობა, დამნაშავე პასუხს აგებს მხოლოდ ჭრილობის მიყენების გამო; 4. სხეულის დაზიანებას და სასიკვდილო შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სიკვდილი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში დადგა. კერძოდ, უმრავლესობა უთითებდა ორმოცდღიან, ზოგი დაახლოებით ერთწლიან, ოცდღიან და შვიდდღიან ვადაზეც კი;⁵⁵⁸ 5. მნიშვნელოვანია სიკვდილის გამომწვევე და განკურნებას დაქვემდებარებულ, აგრეთვე ისეთ დაზიანებებს შორის სხვაობა, რომელთა შედეგად სიკვდილი დადგა, მაგრამ შემთხვევით გარემოებათა გამო და არა იმიტომ, რომ ისინი სასიკვდილო იყო.⁵⁵⁹

სასიკვდილო, განკურნებად და სიკვდილის შემთხვევით გამომწვევე დაზიანებათა გამიჯვნის უსაფუძვლოდების შესახებ მსჯელობა მოცემულია პროფესორ ბონის⁵⁶⁰ ერთ-ერთ ნაშრომში.⁵⁶¹ ავტორის მტკიცებით, დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებები, რომლებიც სასიკვდილო შედეგის დადგომას ხელს უწყობს, მიზეზობრივ კავშირს არ სპობს. ამავე ავტორის გავლენით, რიგ კვლევებში ნეგატიურად შეფასდა სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი, რომელიც გულისხმობდა მიზეზობრივი კავშირის დადგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიღებული დაზიანება უკურნებელი იყო. მიუხედავად ამისა, სასამართლოში განუხრელად იცავდნენ შემდეგ პრინციპს: მიზეზობრივი კავშირის დასადგენად, სასიკვდილო შედეგის ბრალად შერაცხვისთვის, საჭირო იყო, კონკრეტული შემთხვევის და

⁵⁵⁷ იხ. *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14].

⁵⁵⁸ *Мейеро (Hugo von Meyer, 1837-1902)* აღნიშნავს, რომ კრიტიკული ვადის (ერთწლიანი ხანდაზმულობის) თეორია ინგლისში უკანასკნელ პერიოდამდე შენარჩუნებული იყო (იხ. *Meyer H.*, Grundzüge, 1877, 32. მითითებულია: *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, 4, 1-ლი სქოლიო, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14]).

⁵⁵⁹ *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, 4, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14]).

⁵⁶⁰ *Johannes Bohn* (1640 – 1718), მედიცინის დოქტორი.

⁵⁶¹ სამედიცინო-სამართლებრივი ტრაქტატი განზრახ და შემთხვევით მიყენებულ სასიკვდილო ჭრილობათა შორის სხვაობის შესახებ: *De Renunciatione Vulnerum Seu Vulnerum Lethalium Examen, Exponens Horum Formalitatem et Causas*, 1689 (იხ. <<http://goo.gl/vMZTCn>> [16.07.14]).

დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებათა გარდა, დაზიანება სიკვდილის გამომწვევი უშუალო მიზეზი ყოფილიყო.

პირის გარდაცვალება ზიანის მიმყენებელ პირს ბრალად არ შეეცხებოდა და მოსამართლე ორდინარულ სასჯელს ჩადენილი მკვლელობისთვის მას ვერ მიუსჯიდა თუ დაზარალებულის სიკვდილის გამომწვევი მიზეზი ზემოაღნიშნულ პირობებს არ აკმაყოფილებდა, სამედიცინო დახმარებით შეიძლებოდა ლეტალური შედეგის აცილება და სასიკვდილო შედეგი დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებათა ან ავადმყოფობის გამო დადგა. შესაბამისად, შენარჩუნებული იყო კრიტიკული ვადის თეორია.⁵⁶²

მიზეზობრივი კავშირის პრობლემური საკითხის შესწავლაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პროფესორ *შტიუბელის* ⁵⁶³ ნაშრომმა, სადაც ავტორმა მკაცრად გააკრიტიკა გაბატონებული სქოლასტიკური თეორიები და დამკვიდრებული პრაქტიკა. მიუთითებდა რა კონკრეტულად სიცოცხლის მოსპობის დანაშაულთან მიმართებაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სავალალო მდგომარეობაზე, მაგალითად მოჰყავდა ისეთი შემთხვევები, როდესაც პირმა მოწამლა მეორე პირი და ორდინარული სასჯელისგან იმ საფუძველით გათავისუფლდა, რომ ერთ-ერთ მსგავს შემთხვევაში დაზარალებული მკურნალობას დაექვემდებარა და მოწამვლას სიკვდილი არ გამოუწვევია. *შტიუბელის* აზრით მტკიცება იმისა, რომ ქმედების ჩამდენი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დამნაშავედ ჩავთვალოთ, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი გარდაუვალი იყო, „საფუძველი არ აქვს კანონში და საგანთა ბუნებას ეწინააღმდეგება.“ ⁵⁶⁴ პროფესორი დაუშვებლად მიიჩნევდა ფაქტს, რომ ქმედების შედეგი პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში ერაცებოდა ბრალად, თუ ეს ქმედება უწყვეტ კავშირში იყო მისსავე შედეგთან. მკვლელობის შემთხვევაში ეს პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ „მისი შემადგენლობისთვის მოითხოვება სიკვდილის გარდაუვლად გამომწვევი დაზიანება, ამასთან ამ უკანასკნელში იგულისხმება ისეთი დაზიანება, რომელიც არ იკურნება, რომლის შემთხვევაშიც სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელია.“ ⁵⁶⁵ ივარაუდება, რომ გარდაუვალი სიკვდილის გამომწვევი დაზიანების შემთხვევაში ვერც ბუნების მკურნავი ძალა, ვერც სამედიცინო ხელოვნება უზრუნველყოფს განკურნებას. *შტიუბელი* სისხლის სამართლის ფარგლებში მიზეზის ცნების ამგვარ გაგებას უსაფუძვლოდ თვლიდა და საკმარისად მიიჩნევდა ფაქტს, რომ სიკვდილი დადგა კონკრეტული სუბიექტის მიზეზით. მისი მტკიცებით, საკითხის ირგვლივ დამკვიდრებული სწავლება არა მარტო სამარცხვინო ლაქაა სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. პროფესორის მტკიცებით,

⁵⁶² იხ. *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, 5, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14].

⁵⁶³ *Christoph Karl Stübel* (1764 – 1828).

⁵⁶⁴ *Stübel Ch.K.*, Ueber den Thatbestand der Verbrechen, die Urheber derselben und die einem verdammenden Endurtheile erforderliche Gewissheit des Erstern, besonders in Rücksicht der Tödtung, nach gemeinen in Deutschland geltenden und chursächsischen Rechten, 1805, 85. მოითითებულია: *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, 6, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14].

⁵⁶⁵ *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, 7-8, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14].

მრავალრიცხოვან მკვლევლობათა შორის შეიძლება ვერ მოიძებნოს ისეთი შემთხვევა, სადაც უტყუარად დამტკიცდებოდა დაზიანების გარდაუვლად სასიკვდილო შედეგის გამომწვევი ხასიათი; და ეს იმის ფონზე, როდესაც ლაიფციგის სამედიცინო ფაკულტეტმა ამ თეორიასთან დაკავშირებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება, რომ გარდაუვლად სიკვდილის გამომწვევი დაზიანება არ არსებობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს თავს მოჰკვეთენ, დაჭრიან გულში, დაუზიანებენ ტვინს და მთავარ არტერიას იმგვარად, რომ დაზარალებულის სიკვდილი მომენტალურად დადგეს. მეცნიერებს პრაქტიკული გამოცდილება საკითხისადმი არამართებული მიდგომის შეცვლას კარნახობდა: მედიცინის მიღწევების კვლევად, ის დაზიანებები, რომლებიც წინათ გარდაუვლად სასიკვდილო შედეგის მომტანად ითვლებოდა, თანდათან მკურნალობას დაექვემდებარა და მაშასადამე, გარდაუვლად სასიკვდილო შედეგის მომტან დაზიანებათა რიცხვი მუდმივად უნდა შემცირებულიყო.⁵⁶⁶ ამგვარად, *შტიუბელმა* საფუძველი ჩაუყარა საკითხის ირგვლივ კრიტიკული კვლევის ჩატარებას (დაიწერა კრიმინალისტიკის და მედიკოსების კვლევები, რომელთა მიზანი მიზეზობრივი კავშირის ახლებური, უფრო ზუსტი გააზრება იყო), საკითხის პოზიტიურ ანალიზს. ავტორმა სცადა მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ცალკეულ მნიშვნელოვან ფაქტორთა განსაზღვრისთვის საჭირო წესების დადგენა. მოგვიანებით, მიზეზობრივი კავშირის შესახებ უმნიშვნელოვანესი კვლევა ჩატარდა პროფესორების, *ლუდენის*⁵⁶⁷ და *კრუგის*⁵⁶⁸ მიერ, რომლებიც აღარ კმაყოფილდებოდნენ წინამორბედი სქოლასტიკური თეორიების კრიტიკით; ყალიბდებოდა ახლებური მიდგომა: კანონმდებელი არ უნდა იძლეოდეს განსაზღვრებებს მიზეზობრივი კავშირის შესახებ, მათი შემუშავება მეცნიერების საქმეა.⁵⁶⁹

2.2. მიზეზობრივი კავშირის თეორიები

ზოვადი მიზეზობრივი კავშირის თეორიის თანახმად, მიზეზის ცნება ნებისმიერ წინარე ქმედებას გულისხმობს, რომლის გარეშე ნეგატიური შედეგი არ დადგებოდა. ყოველი მიზეზი, რომელიც დამდგარ შედეგთან რაიმე ფორმით არის დაკავშირებული, ამ შედეგის დადგომისთვის თანაბრად ხელშემწყობ მიზეზებად განიხილება.⁵⁷⁰ საინტერესოა, როგორ ასაბუთებენ ამ კონცეფციის მცდარობას: „იმ პირის სიკვდილის მიზეზი, რომელიც გაცივების შედეგად გარდაიცვალა, შეიძლება იყოს მკერავი, რომელმაც თხელი სამოსი შეკერა, მსახური, რომელმაც [მსხვერპლი] დაარწმუნა, რომ თბილი ამინდი იყო და მეეტლე, რომელმაც ეტლი მეტისმეტად ნელა ატარა ქალაქის ქუჩებში სუსხიან დღეს და ბოლოს,

⁵⁶⁶ *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, 7-8, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14].

⁵⁶⁷ *Luden, Heinrich* (1810 – 1880).

⁵⁶⁸ *Krug, August Otto* (1805 – 1867).

⁵⁶⁹ იხ. *Сергеевский Н.Д.*, О значении причинной связи в уголовном праве, Т. II, Ярославль, 1880, 13, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14].

⁵⁷⁰ იხ. *Гражданское Право: Актуальные Проблемы Теории и Практики* (Ред. *Белов В.А.*), М., 2007, 878. მოთითებულია: *Богданов Д.В.*, Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

თავადვე იყოს გარდაცვალების მიზეზი, რადგან ყინვაში თხელი ტანსაცმლით შეიმოსა.”⁵⁷¹

აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორიის (ლუნცი,⁵⁷² ნოვიცკი,⁵⁷³ ფლეიშიცი,⁵⁷⁴ ტარხოვი,⁵⁷⁵) თანახმად, საკითხი შეიძლება გადაწყდეს შედეგის გამომწვევი აუცილებელი მიზეზის და შედეგის გამომწვევი შემთხვევითი მიზეზის გამიჯვნით. ადამიანის ქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ცნობილ იქნეს კონკრეტული შედეგის გამომწვევ აუცილებელ მიზეზად, თუკი ამ ქმედების და შედეგის კავშირი წარმოადგენს აუცილებლობის გამოვლინებას, კანონზომიერებას და არ აქვს მოვლენათა შემთხვევითი კავშირის, მოვლენათა შემთხვევითი განვითარების ხასიათი.⁵⁷⁶

აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორიის წარმომადგენელთა სიტყვით, აუცილებელ მიზეზობრივ კავშირს აქვს იურიდიული მნიშვნელობა, მისი არსებობა იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას, ხოლო ქმედებას და შედეგს შორის არსებული შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს არ იძლევა.⁵⁷⁷ კონცეფციის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ რთულია აუცილებელ და შემთხვევით პირობათა გამიჯვნა.⁵⁷⁸

შესაძლებლობის და სინამდვილის თეორია (იოფე⁵⁷⁹) ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ყოველი გარემოება, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით გავლენას ახდენს ზიანის მოტანაზე შედეგის დადგომაზე, უნდა დაიყოს 1. კონკრეტული შესაძლებლობის შემქმნელ, 2. აბსტრაქტული შესაძლებლობის შემქმნელ და 3. შესაძლებლის სინამდვილედ შემქმნელ გარემოებებად. ჩადენილი სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის გარემოება, ქმნის რა მოცემული შედეგის დადგომის შესაძლებლობას, აქცევს მას სინამდვილედ, ანდა როდესაც ცალკეული გარემოება ქმნის კონკრეტულ შესაძლებლობას, რომელიც იქცევა სინამდვილედ უკვე სხვა გარემოებათა წყალობით. პირმა პასუხი არ უნდა აგოს მხოლოდ იმის

⁵⁷¹Сергеевский Н.Д., О значении причинной связи в уголовном праве, Т. II, Ярославль, 1880, 38. მოთხოვნები: Богданов Д.В., Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

⁵⁷²Лазарь Адольфович Лунц (1892 – 1979).

⁵⁷³Иван Борисович Новицкий (1880 – 1958).

⁵⁷⁴Екатерина Абрамовна Флейшиц (1888 – 1968).

⁵⁷⁵Виктор Алексеевич Тархов (1913 – 2010).

⁵⁷⁶იხ. Богданов Д.В., Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

⁵⁷⁷იხ. Новицкий И.Б., Лунц Л.А., Общее Учение об Обязательстве, М., 1950, 307-308. მოთხოვნები: Богданов Д.В., Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

⁵⁷⁸ადნინიშნული თეორიის კრიტიკა იხ. ნაშრომში: Гражданское Право: Актуальные Проблемы Теории и Практики (Ред. Белова В.А.), М., 2007, 880; სახელმძღვანელოში: Егоров Н.Д., Гражданско-правовая Ответственность, 1998, 659. მოთხოვნები: Богданов Д.В., Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

⁵⁷⁹Олимпиад Соломонович Иоффе (1920-2005).

გამო, რომ მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის დადგომის აბსტრაქტული შესაძლებლობა შეიქმნა.⁵⁸⁰

შესაძლებლობის და სინამდვილის თეორიის თანახმად, პირობათა ერთი ჯგუფი ქმნის ნეგატიური შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მეორე ჯგუფი კი – ამ შესაძლებლობას სინამდვილედ აქცევს (ე.ი. ზოგი პირობა რაიმეს შესაძლებელს ქმნის, ზოგი კი მას რეალობად, სინამდვილედ აქცევს). განიხილეთ *კონკრეტული* და *აბსტრაქტული* შესაძლებლობები (ანუ არსებობს *კონკრეტული შესაძლებლობა* და *აბსტრაქტული შესაძლებლობა*). *კონკრეტული შესაძლებლობა* სინამდვილედ გარდაიქმნება არსებულ ვითარებაში ობიექტურად განმეორებად პირობათა წყალობით, ხოლო *აბსტრაქტული შესაძლებლობა* სინამდვილედ გარდაიქმნება მოცემულ ვითარებაში ობიექტურად არაგანმეორებადი პირობების არსებობისას: „დამრღვევა პასუხი უნდა აგოს თუ მან შედეგის რეალურად დადგომა განაპირობა, ე.ი. განახორციელა ეს უკანასკნელი მისი ნიშანდობლივი თავისებურებებით ზიანის გამომწვევი არამართლზომიერი ქმედების ძალით, ე.ი. განახორციელა იმგვარი ქმედება, რომლის წყალობით შესაძლებლის რეალობად შემდგომი ქცევა დამოკიდებული ხდება გარემოებებზე, რომლებიც მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში თავისთავად, მის გარეშეც მეორდება. ამგვარად, თუ არც ერთია და არც მეორე, ეს ნიშნავს, რომ შეფასებას დაქვემდებარებული ქმედება შედეგთან მიმართებაში ისეთ დამოკიდებულებაშია, რომ გამოიწვია მხოლოდ აბსტრაქტული შესაძლებლობა, ამიტომ არასაკმარისია პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.“⁵⁸¹

პირდაპირი და *არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორია* ორ უმთავრეს დებულებას ეფუძნება: 1. მიზეზობრიობა არის მოვლენებს შორის ობიექტური კავშირი და ის პირის შეგნებაზე დამოკიდებული არ არის; 2. მიზეზს და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მოცემული, კონკრეტული შემთხვევისთვის. ⁵⁸² „მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინ არის ზარალის მიზეზი, როდესაც ის პირდაპირ (უშუალოდ) არის დაკავშირებული ამ ზარალთან. მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზარალს შორის არაპირდაპირი... კავშირი კი გულისხმობს, რომ ეს ქმედება მოქცეულია კონკრეტული შემთხვევის ფარგლებს გარეთ“ ანდა სულაც სცილდება „იურიდიულად მნიშვნელოვანი მიზეზობრივი კავშირის ფარგლებს.“ ⁵⁸³ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ქმედება იწვევს გარკვეულ შედეგებს სხვადასხვაგვარ ფაქტორთა გავლენით, რომელთა ნაწილი იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხზე გავლენას არ ახდენს, ნაწილი კი პირიქით, გავლენას ახდენს იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხზე, კავშირს ქმნის ქმედებას და დამდგარ შედეგს შორის. მაგ., მცირეწლოვანთა მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხს აგებენ მშობლები, რადგან თავად მცირეწლოვნები ქმედუუნაროები არიან. „მშობელთა არამართლზომიერი

⁵⁸⁰ იხ. *Иоффе О.С.*, Развитие Цивилистической Мысли в СССР; Избранные Труды по Гражданскому Праву, Т. II, М, 2000, 484. მოთხოვნილია: *Богданов Д.В.*, Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

⁵⁸¹ *Богданов Д.В.*, Отсутствие Причинно-следственной Связи как Основание для Исключения Ответственности, <<http://goo.gl/aeKY9a>>, [21.07.14].

⁵⁸² იქვე.

⁵⁸³ *Шевчук Д.А.*, Гражданское Право, М., 2009, <<http://goo.gl/wvMp7s>>, [22.07.14].

ქმედებას (არასათანადო მეთვალყურეობა ან აღზრდა) და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არსებობს, რომელიც მშობლებისთვის იურიდიული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისია.“⁵⁸⁴ ამგვარად, პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი სახეზეა მაშინ, როდესაც თანმიმდევრულად განვითარებულ მოვლენათა ჯაჭვში პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის არ არსებობს გარემოებები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად, ხოლო თუ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და დამდგარ ზიანს შორის არის ისეთი გარემოებები, რომლებსაც პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს მოქმედი კანონმდებლობა (სხვა პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დაუძლეველი ძალის ფაქტორი და ა.შ.), სახეზეა არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

კროპჰოლერის განმარტებით, პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში ზიანის შერაცხვის საკითხის გადაწყვეტისას „ამოსავალი წერტილია ის, რომ შესაბამისი მოქმედება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთისათვის დამდგარი ზიანის გამომწვევი აუცილებელი პირობა (ეკვივალენტური მიზეზობრივი კავშირი).“⁵⁸⁵ შესარაცხი მიზეზობრიობის დადგენისას საჭიროა ადეკვატური მიდგომა, „მხედველობაში არ მიიღება ისეთი პირობები, რომლებმაც მხოლოდ ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღმა არსებული მიზეზობრიობის განვითარების საფუძველზე გამოიწვია სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება.“⁵⁸⁶ გერმანული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ „მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს, თუ მოპასუხის მიერ მიღწეული მიზანი შედეგი იყო მისი მოქმედების. ეს მოქმედება „პასუხობდა საგანთა რეალურ მდგომარეობას, არა მხოლოდ განსაკუთრებულ და უჩვეულო გარემოებებს, რომლებსაც გონიერი ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში მხედველობაში არ მიიღებს.“⁵⁸⁷

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხარე ჯანმრთელობისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების მიერ არაკვალიფიციურად და არასწორად ჩატარებულმა სამედიცინო ქმედებებმა გამოიწვია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 992-ე, 1007-ე მუხლებით და განმარტა, რომ „ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის

⁵⁸⁴ იქვე.

⁵⁸⁵ *კროპჰოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 636.

⁵⁸⁶ იქვე, 637.

⁵⁸⁷ ამ პრინციპით გადაწყდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საკითხი იმ შემთხვევაშიც თუ მოგვიანებით, არასწორად ჩატარებული მეურნელობის შედეგად, თავს იჩენს სხეულის დაზიანების ფაქტი ან დაზარალებული გახდება იმ გრიპის ეპიდემიის მსხვერპლი, რომელიც გავრცელდა ჰოსპიტალში, სადაც ის სამკურნალოდ იყო მოთავსებული (იხ. *ცვაიკურტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 292).

მიყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამოორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.“⁵⁸⁸ აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობა არ არსებობდა, რითაც დაირღვა პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნა, პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ. სააპელაციო პალატის განმარტებით, თუნდაც სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებას არ დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რადგან ამგვარ ქმედებას და ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ანალოგიურად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ვერ დაეკისრება, ვინაიდან ამ ქმედებას და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს.⁵⁸⁹

ობიექტური შერაცხვის საკითხის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმოქმედობის შერაცხვის (ე.ი. პირს კანონის ან ხელშეკრულების და ა.შ. საფუძველზე აკისრია ზიანის აცილების ვალდებულება. აგრეთვე, უმოქმედობის შერაცხვის საკითხი შეიძლება დადგეს ისეთი პირის მიმართ, რომელიც, მაგ., საავადმყოფოში მეთვალყურეობაზე ვალდებული პირია და ეს ფუნქცია არასათანადოდ შეასრულა, ე.ი. ამ შემთხვევაშიც სახეზეა არასათანადოდ განხორციელებული მეთვალყურეობის ვალდებულება) და იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამოწვეულია ზიანი. *კროპოლერის* სიტყვით, ამგვარი ვალდებულებების ნაწილი „შეიძლება ასევე გაგებულ იქნეს, როგორც პირის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამოწვეულ ზიანზე.“⁵⁹⁰ ასეთ დროს პასუხისმგებლობის დაკისრებისას უნდა შეფასდეს ისეთი გარემოებები, როგორიც არის ნივთებიდან მომდინარე საფრთხისგან დაცვის ვალდებულება, ექსპლუატაციის წესების დაცვის და პროფესიული ხასიათის უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებიც დადგენილია ექიმებისთვის.⁵⁹¹

⁵⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-394-373-2012), <<http://goo.gl/kZTa3J>>, [23.08.14].

⁵⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15].

⁵⁹⁰ *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 638.

⁵⁹¹ იქვე, 639.

2.3. მიზეზობრივი კავშირი თანამედროვე ნაშრომებში

ავტორთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ზიანის, მართლწინააღმდეგობის, მიზეზობრივი კავშირის და ბრალის არსებობა⁵⁹² და იზიარებს მიზეზობრივ კავშირზე არსებულ მოსაზრებებს, რომლის თანახმად, პირის არამართლზომიერი ქმედება მიყენებული ზიანის მიზეზად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება თუ ქმედებას და ზიანს შორის არის არსებითი კავშირი; პასუხისმგებლობის დაკისრება განხორციელდება თუ მიყენებული ზიანი წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ქმედების პირდაპირ შედეგს და ამ შედეგის გარდაუვლად გამომწვევ მიზეზს (ე.ი. თუ ზიანი წარმოადგენს პირის მიერ განხორციელებული ქმედების არაპირდაპირ შედეგს და არის ამ შედეგის შემთხვევით გამომწვევი მიზეზი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არ განხორციელდება).⁵⁹³ მიზეზობრივი კავშირი განხილულია როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების,⁵⁹⁴ ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას⁵⁹⁵ და გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, „პრაქტიკასთან ყველაზე ახლო დგას პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორია“⁵⁹⁶.⁵⁹⁷ ამავე ნაშრომში ვკითხულობთ, რომ არამატერიალური ზიანისთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება განხორციელდება იმ შემთხვევაში თუ მართლსაწინააღმდეგო ფიზიკურმა ან ფსიქიკურმა ტანჯვამ უარყოფითი შედეგი გამოიწვია. ავტორი აღნიშნავს, რომ „გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენება არამატერიალური ზიანის ანაზღაურების პრეზუმფცია ანუ პიროვნების მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით ივარაუდება, რომ მას არაქონებრივი ზიანი მიადგა (ვიდრე ამის საწინააღმდეგო დამტკიცდება). აქედან გამონაკლისი შეიძლება შეეხოს ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ვინაიდან მას არ ძალუძს საკუთარი უფლებების შელახვისა და ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვის არარსებობის გაცნობიერება.“⁵⁹⁸

⁵⁹² მაგ., იხ. *ქონაშეილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 113, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15].

⁵⁹³ იხ. *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 140-141.

⁵⁹⁴ იქვე, 140.

⁵⁹⁵ იქვე, 146.

⁵⁹⁶ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, 68.

⁵⁹⁷ იხ. *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 148.

⁵⁹⁸ იქვე. ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომს: *ბარაბაძე ნ.*, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 69-71, სადაც ვკითხულობთ: „კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ნორმა მორალური ზიანის პრეზუმფციის შესახებ, სხვა სიტყვებით, პიროვნების მიმართ ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედების ჩადენისას უნდა მივიჩნიოთ, რომ მას მიადგა მორალური ზიანი. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სიტუაცია, როცა ზიანის მიმყენებელი დაამტკიცებს დაზარალებულის უუნარობას, გააცნობიეროს მისი უფლებების შელახვა და შესაბამისად, სამართალდარღვევის შედეგების არარსებობას, ფიზიკური თუ ზნეობრივი ტანჯვის სახით. ამას ადგილი შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, ფსიქიკურად დაავადებულ პირებთან დაკავშირებით“ (*ბარაბაძე ნ.*, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005, 69-70).

ავტორი არ უთითებს თუ რის საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ, რომ ფსიქიკურად დაავადებულ პირს არ ძალუძს, მაგ., ფიზიკური ტანჯვის არარსებობის გაცნობიერება. საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ტივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გათვითცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას“⁵⁹⁹ (იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავის მე-6 პარაგრაფი („არაქონებრივი ზიანი“). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს (ე.ი. პირებს ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში⁶⁰⁰) აქვს საკუთარი ფიზიკური და მენტალური ხელშეუხებლობის პატივისცემის თანაბარი უფლება.⁶⁰¹

მიზეზობრივი კავშირის შესახებ მსჯელობა მოცემულია მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ერთ-ერთ ნაშრომში, სადაც ავტორი უთითებს, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან... უშუალო ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდ დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.“⁶⁰² ავტორი უთითებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლო განმარტავს სსკ-ის 412-ე მუხლში მოცემულ ტერმინს „სავარაუდო“ („ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო...“): „412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის... ზიანის სავარაუდობა დგინდება გონიერი ადამიანის თვალსაზრისით...“⁶⁰³ ავტორი აგრეთვე უთითებს ერთ-ერთ ნაშრომს, სადაც გაანალიზებულია სსკ-ის 412-ე მუხლში მოცემული ლექსიკური ერთეულების - „გამომწვევი“ და

⁵⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-972-936 (3კ-08), <<http://goo.gl/47VXGM>>, [28.08.15].

⁶⁰⁰ გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 1-ლი მუხლი.

⁶⁰¹ გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-17 მუხლი.

⁶⁰² ძლიერიშვილი ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, №2, 2013, 35.

⁶⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №3კ/1184-01), <<http://goo.gl/YRsOIG>>, [28.08.15].

„უშუალო“ („...წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“) - შინაარსობრივი დატვირთვა: „სკ-ის 412-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის განმსაზღვრელ წესს. ძირითადად, ხდება მხოლოდ მოვალის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. გამოწვევა აქ გულისხმობს ე.წ. ბუნებრივ მიზეზ-შედეგობრიობას, კაუზალურობას (კაუზალურია ყველაფერი ის, რისი შეცვლითაც ასევე იცვლება გამოწვეული შედეგიც);“⁶⁰⁴ „უშუალო“ სკ-ის 412-ე მუხლის გაგებით, უნდა განიმარტოს ამ ცნების აზრისა და მიზნის გათვალისწინებით. ამ ნორმას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ აქ უნდა მოხდეს ზიანის ისეთი შედეგების განცალკევება, რომლებიც კაუზალურ კავშირში არიან ზიანის გამომწვევ მოვლენასთან (რადგან ეს შედეგები არ გვექნებოდა ამ მოვლენის გარეშე), მაგრამ მათი შეფასებისას ირკვევა, რომ ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებული ზიანის გამომწვევ მოვლენასთან.“⁶⁰⁵ ამავე ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორის, *ლუთრინგჰაუსის* მიერ მოგვიანებით გამოცემულ კვლევაში აღნიშნულია, რომ „ბრალეული მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად წარმოშობილი უნდა იყოს ზიანი (კაუზალური ზიანი). ამასთან დაკავშირებით წესები იგივეა, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი აბზაცი⁶⁰⁶). მაგრამ გასათვალისწინებელია მხოლოდ, რომ ე.წ. ეკვივალენტური კაუზალობა *conditio-sine-qua-non*-ფორმულის თვალსაზრისით არ არის საკმარისი (რომის სამართლიდან მომდინარე ამ ფორმულის მიხედვით სამართლებრივი ფიგურა „მიზეზი“ (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით მაშინ არის კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა). მაგრამ ამ ფორმულას პრაქტიკაში შეიძლება მოჰყვეს აუტანელი შედეგები, ვინაიდან ამ ფორმულით ყოველი მიზეზი კაუზალურია... აქედან გამომდინარე, ეკვივალენტურობის თეორია იზღუდება ცნებით შერაცხადობა (*Zurechenbarkeit*), შედეგად საუბარია ადეკვატურ კაუზალობაზე. ეს უკანასკნელი სახეზეა, როცა ხდომილება (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) ობიექტური თვალსაზრისით ზოგადად და არც თუ მთლად თავისებური, უჩვეულო და ობიექტურად გაუთვალისწინებელი გარემოებებიდან გამომდინარე საიმისოდ გამოდგება, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი (ზიანი).“⁶⁰⁷

აქვე მნიშვნელოვანია თუ როგორ წყდება მიზეზობრივი კავშირის და ექიმის ბრალეულობის საკითხი სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ, რა მიმართება არსებობს სამედიცინო შეცდომას და მიზეზობრივი კავშირის ატიპურ განვითარებას შორის. პირის მიერ განხორციელებული

⁶⁰⁴ ბიოლინგი პ., *ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 47.

⁶⁰⁵ ბიოლინგი პ., *ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 48.

⁶⁰⁶ სსკ-ის 394-ე I მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის.

⁶⁰⁷ *ლუთრინგჰაუსი პ.*, დელიქტური სამართლის პრობლემატიკა, გამოცემაში: *შნიტგერი პ.*, საკრედიტო სამართალი, *ლუთრინგჰაუსი პ.*, დელიქტური სამართალი, *შუშკე ე.*, სააღსრულებო სამართალი, *ტოლკმიტი ი.*, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბ., 2011, 19, <<http://goo.gl/P6c4wp>>, [15.02.15].

ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე II მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) კვალიფიკაციისთვის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას და დამდგარ ლეტალურ შედეგს შორის. ამავე კოდექსის მე-8 II მუხლის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა. „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს არა მარტო მაშინ, როცა სიკვდილი უშუალოდ ჯანმრთელობის დაზიანების გამო დადგა, არამედ მაშინაც, როცა ეს შედეგი არ გამოუწვევია მხოლოდ ამ დაზიანებას და მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში სხვა მიზეზიც ჩაერთო (ვთქვათ, მედიცინის მუშაკის უმოქმედობა)... ამ შემთხვევაში დამდგარ სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირშია არა მარტო ექიმის უმოქმედობა, არამედ იმ პირის მოქმედებაც, ვინც დაზარალებულს ჯანმრთელობა დაუზიანა - რომ არა ეს დაზიანება, პირი საავადმყოფოში არ მოხვდებოდა.“⁶⁰⁸ სხვა შემთხვევაში, მაგ., როდესაც პაციენტის სიკვდილის მიზეზი ხდება ექიმის ქმედება, რომელმაც დაჭრილს ინფიცირებული სისხლი გადაუსხა, ადგილი აქვს მიზეზობრივი კავშირის ატიპურ განვითარებას და დამდგარი შედეგი იმ პირს, რომელმაც სხეული დაუზიანა დაზარალებულს, ბრალად არ შეეცლება (მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა მას ეს შედეგი).⁶⁰⁹

მოკლე დასკვნა

1. დელიქტური სამართლის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების გამწვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს მოქმედებას ან უმოქმედობას, რომლის შედეგად ირღვევა სახელმწიფოში მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. სამედიცინო მომსახურების გამწვევის უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო ხასიათისაა იმ შემთხვევაში თუ კანონი ავალდებულებს მას განსაზღვრული მოქმედების განხორციელებას.

დელიქტური სამართლის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების გამწვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ირღვევა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დამცავი სამართლის ნორმები, დაზარალებულის ჯანმრთელობის აბსოლუტური უფლება.

სსკ-ის 1007-ე მუხლის ფარგლებში, არამართებული იქნება მტკიცება იმისა, რომ ზიანის მიმყენებლის მიმართ მართლწინააღმდეგობის პრეზუმფცია არ მოქმედებს და ის უნდა ამტკიცოს მოსარჩელემ. პირს, რომლის ჯანმრთელობასაც ზიანი მიადგა, არ ეკისრება ზიანის მიმყენებლის, კერძოდ, სამედიცინო მომსახურების გამწვევის ქმედების მართლწინააღმდეგობის მტკიცების ტვირთი, რადგან ეს იმთავითვე ივარაუდება (პრეზუმირებულია), ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

⁶⁰⁸ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი ვ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბ., 2011, 88.

⁶⁰⁹ იქვე, 89.

2. სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხს. მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით ცალსახად უნდა ითქვას, რომ დაზარალებულს (პაციენტს) ეკისრება როგორც ზიანის არსებობის, ისე მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი. ამასთან, სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში ზიანის შერაცხვის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, შესაბამისი ქმედება იყო თუ არა დაზარალებულისთვის (პაციენტისთვის) მიყენებული ზიანის გამომწვევი აუცილებელი პირობა (ეკვივალენტური მიზეზობრივი კავშირი).⁶¹⁰ შესარაცხი მიზეზობრიობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ „პირობები, რომლებმაც მხოლოდ ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღმა არსებული მიზეზობრიობის განვითარების საფუძველზე გამოიწვია სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება,⁶¹¹ მხედველობაში არ მიიღება. ამასთან, მიზეზობრივი კავშირი არსებობს თუკი სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას მიღებული შედეგი დადგა უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გამწვევის ქმედებით, რომელიც „პასუხობდა საგანთა რეალურ მდგომარეობას, არა მხოლოდ განსაკუთრებულ და უჩვეულო გარემოებებს, რომლებსაც გონიერი ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში მხედველობაში არ მიიღებს.“⁶¹²

3. ობიექტური შერაცხვის კატეგორია მნიშვნელოვანია როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებისთვის,⁶¹³ ისე ცივილისტიკისთვის. მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, შეიძლება პირს დამდგარი შედეგი ობიექტურად არ შეერაცხოს.⁶¹⁴ ობიექტური შერაცხვის საკითხის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმოქმედობის შერაცხვის (ე.ი. პირს კანონის ან ხელშეკრულების და ა.შ. საფუძველზე აკისრია ზიანის აცილების ვალდებულება. აგრეთვე, უმოქმედობის შერაცხვის საკითხი შეიძლება დადგეს ისეთი პირის მიმართ, რომელიც, მაგ., საავადმყოფოში მეთვალყურეობაზე ვალდებული პირია და ეს ფუნქცია არასათანადოდ შეასრულა, ე.ი. ამ შემთხვევაშიც სახეზეა არასათანადოდ განხორციელებული მეთვალყურეობის ვალდებულება) და იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამოწვეულია ზიანი.⁶¹⁵ ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას უნდა შეფასდეს ისეთი გარემოებები, როგორც არის ნივთებიდან მომდინარე საფრთხისგან

⁶¹⁰ იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 636.

⁶¹¹ იქვე, 637.

⁶¹² ამ პრინციპით გადაწყდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების საკითხი იმ შემთხვევაშიც თუ მოგვიანებით, არასწორად ჩატარებული მკურნალობის შედეგად, თავს იჩენს სხეულის დაზიანების ფაქტი ან დაზარალებული გახდება იმ გრიპის ეპიდემიის მსხვერპლი, რომელიც გავრცელდა ჰოსპიტალში, სადაც ის სამკურნალოდ იყო მოთავსებული (იხ. *ცვაიკერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 292).

⁶¹³ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008, 110.

⁶¹⁴ იქვე.

⁶¹⁵ იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 638.

დაცვის ვალდებულება, ექსპლუატაციის წესების დაცვის და პროფესიული ხასიათის უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებიც დადგენილია ექიმებისთვის.⁶¹⁶

⁶¹⁶იქვე, 639.

თავი V. პროფესიული შეცდომის და მცდარი სამედიცინო ქმედების ცნებები. სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალეულობის პრეზუმფცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ „პაციენტსა და ექიმს შორის წარმოშობილი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს.“⁶¹⁷ ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის მიზანია სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის ამომწურავი ანალიზი, საჭიროა, დეტალურად იქნეს განხილული პროფესიული შეცდომის და მცდარი სამედიცინო ქმედების ცნებები და აგრეთვე, დადგინდეს, სსკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიმართ მოქმედებს თუ არა ბრალეულობის პრეზუმფცია.

1. პროფესიული შეცდომა

2010 წლის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში საექიმო შეცდომების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინები იხმარება და საექიმო შეცდომაში ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა იგულისხმება, „რამაც განაპირობა პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. მნიშვნელოვანია ის, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული; წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.“⁶¹⁸ ანალოგიურად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2013 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა.“⁶¹⁹

საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში მოიხსენიება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის *პროფესიული შეცდომა*, მაგრამ კანონმდებელი უშუალოდ *პროფესიული შეცდომის* ცნებას არ განმარტავს (ე.ი. რა ჩაითვლება პროფესიულ შეცდომად და რა – არა, დაზუსტებული არ არის; ქმედებით შეიძლება გამოწვეულ იქნეს ზიანი,

⁶¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15]. კერძო სამართლის ფარგლებში ექიმის საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდის (პრეზუმფციის) არსებობა აგრეთვე უარყოფილია შემდეგ გადაწყვეტილებებში: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-260-244-11), <<http://goo.gl/Hk7MUs>>, [28.08.15]; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15].

⁶¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15].

⁶¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15].

მაგრამ რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს ის პროფესიულ შეცდომად?). ამავე კანონის 97-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი უფლებამოსილია, დააზღვიოს პროფესიული შეცდომა, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი მიადგება. ამასთან, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას ახორციელებს.⁶²⁰ უშუალოდ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის საკანონმდებლო დეფინიციის (უმაღლესი სამედიცინო განათლების და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგებზეც ის კანონმდებლობით დადგენილი წესით აგებს პასუხს⁶²¹) საფუძველზე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული შეცდომა შეიძლება განვმარტოთ, როგორც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში დაშვებული შეცდომა, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი მიადგება. მაგრამ ამ დეფინიციიდან მაინც გაურკვეველი რჩება ზუსტი კრიტერიუმი ქმედების პროფესიულ შეცდომად შესაფასებლად. რაც შეეხება „საექიმო შეცდომას“, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ ტერმინს. კონკრეტული ქმედება შეიძლება შეფასდეს ან არ შეფასდეს, როგორც მცდარი სამედიცინო ქმედება, რომელიც მოიხსენიება პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლში და განმარტებულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ო“ მუხლში.

2. მცდარი სამედიცინო ქმედება

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მცდარი სამედიცინო ქმედება განმარტებულია, როგორც ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისთვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა,⁶²² ხოლო ამავე კანონის 103-ე მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისთვის ან სიკვდილისთვის, ან პაციენტისთვის მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. ამგვარად, თუ კანონმდებელი მე-3 „ო“ მუხლში მოცემული, მცდარი სამედიცინო ქმედების განმარტებაში მიუთითებს მხოლოდ ექიმის მიერ მიყენებულ ზიანზე, 103-ე მუხლი ეხება მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის მიერ მიყენებულ ზიანს. ამავე კანონის 58-ე II მუხლით დადგენილია, რომ სამედიცინო დაწესებულებაში შეიძლება შეიქმნას ფონდი მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისათვის (ფონდი იქმნება სამედიცინო

⁶²⁰საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ვ“ მუხლი.

⁶²¹საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ბ“ მუხლი.

⁶²²ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ო“ მუხლი.

პერსონალის შენატანებისა და კანონმდებლობით ნებადართული სახსრებისგან).

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში გვხვდება როგორც *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი*, ისე *სამედიცინო პერსონალი*. ამჟამად კანონში მოცემულია მხოლოდ *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის* საკანონმდებლო დეფინიცია.

2010 წლის 17 დეკემბრის კანონით ⁶²³ განხორციელებულ ცვლილებამდე მე-3 „ც“ მუხლით *სამედიცინო პერსონალი* განმარტებული იყო, როგორც „სამედიცინო და არასამედიცინო განათლების მქონე პირები, რომლებიც ეწევიან პრაქტიკულ სამედიცინო საქმიანობას;“⁶²⁴ 103-ე მუხლში აგრეთვე მოცემული იყო *სამედიცინო პერსონალის ცნება* (როგორც აღინიშნა, ამჟამად ჩანაცვლებულია *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალით*), ხოლო 58-ე II მუხლში კვლავ დარჩა *სამედიცინო პერსონალის* ცნება. ამგვარად, განხორციელებული ცვლილების შედეგად, კანონის მე-3 „ც“ მუხლში წინათ არსებული *სამედიცინო პერსონალის* ცნება ჩანაცვლდა *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ცნებით*. ამჟამად *სამედიცინო პერსონალის* ცნება კანონში შენარჩუნებულია (ცალკეულ მუხლებში), მაგრამ დეფინიცია კი აღარ არის მოცემული.

ამრიგად, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის* ცნება აერთიანებს: 1. იმ სუბიექტებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის რეაბილიტაციასთან, პალიატიურ მზრუნველობასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან (მათ შორის არის ექიმი, ექთანი, ფარმაცევტი და სხვა პირები) და 2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებს,⁶²⁵ სამედიცინო და ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერებს.⁶²⁶

მიზანშეწონილია, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში განხორციელდეს იმგვარი ცვლილება, რომ ნათელი გახდეს თუ ვინ მიეკუთვნება *სამედიცინო პერსონალს* (მით უმეტეს, რომ ამავე კანონის 58-ე II მუხლი ითვალისწინებს ფონდის შექმნის შესაძლებლობას მცდარი სამედიცინო ქმედების გამო, სწორედ სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისთვის), *ვინ არის მედიცინის მუშაკი* (მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე, 83-ე, 104-ე მუხლებში) და *სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი* (მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლში).

⁶²³ საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სსმ, 76, 29.12.2010.

⁶²⁴ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე, სსმ, 15, 11.06.2001.

⁶²⁵ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი საქმდება ეპიდემიოლოგის, ჯანდაცვის მკვლევარის, კონსულტანტის ან სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე სახელმწიფო ან კერძო სექტორში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაზღვევო კომპანიებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, ჯანდაცვის დაწესებულებებში (იხ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა, <<http://goo.gl/OvBHYO>>, [11.11.15]).

⁶²⁶ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ც“ მუხლი.

ვინაიდან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ო“ მუხლში კანონმდებელი ზიანის მიყენების *უნებლიე* ხასიათზე მიუთითებს, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რას ნიშნავს *უნებლიე ქმედება*, რა შემთხვევაში გვაქვს საქმე *უნებლიე* ქმედებით გამოწვეულ ზიანთან ანუ *უნებლიედ* ჩატარებულ, პაციენტის მდგომარეობისთვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებებთან, რომელსაც საზიანო შედეგი მოჰყვა. სსკ-ის 992-ე მუხლში მოიხსენიება მართლსაწინააღმდეგო, განზრახი და გაუფრთხილებელი ქმედების ცნებები, 1007-ე მუხლში – ბრალის ცნება, ხოლო ლექსიკური ერთეული *უნებლიე* სსკ-ში საერთოდ არ გვხვდება. ამგვარად, შეიძლება საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც კანონმდებელი ერთი და იგივე მოვლენის აღსანიშნავად განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს იყენებს. *მასბაუშის* სიტყვით, „ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში მყოფ, მაგრამ სხვადასხვა კანონში გაბნეულ წესებში დიდი საფრთხე იმალება, რადგან ისინი სამართლის მომხმარებელს არასრულყოფილ სურათს სთავაზობენ.“⁶²⁷

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული ტერმინი *მცდარი სამედიცინო ქმედება* (რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა) უნდა გულისხმობდეს განუზრახველ⁶²⁸ ქმედებას (როგორც აღინიშნა, თუ ის განზრახ მოქმედებდა, მაშინ ქმედება აღარ ექცევა ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული *მცდარი სამედიცინო ქმედების* ფარგლებში). რაც შეეხება გაუფრთხილებლობას (პაციენტის ჯანმრთელობისთვის გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენებას), სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მისი ბრალად შერაცხვა განხორციელებული მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით იწვევა,⁶²⁹ ხოლო სსკ-ის 1007-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დაკისრებისთვის საკმარისია, დადგინდეს მსუბუქი გაუფრთხილებლობა (დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის VI თავი).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით „მცდარი სამედიცინო ქმედება არის ექიმის არასათანადო მოქმედება (უმოქმედობა) ბრალის გარეშე, რომლითაც ზიანი მიადგა პაციენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, ექიმს ჰქონდა სხვაგვარად რომ მოქცეულიყო.“⁶³⁰ საექიმო შეცდომა ნიშნავს

⁶²⁷ *მასბაუში მს.*, კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7 №2-3 (1), 2004, 270.

⁶²⁸ მხედველობაშია მისაღები შემდეგი მსჯელობა: „...განზრახული და განუზრახველი ქმედებები უნდა დავაყენოთ ერთმანეთის გვერდიგვერდ და არა განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც ეს ტრადიციულად ხდება“ (*გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 117).

⁶²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე III მუხლი.

⁶³⁰ ძნელი სათქმელია, აღნიშნული დეფინიციის ჩამოყალიბებისას ავტორი ითვალისწინებდა თუ არა სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოცემულ განსაზღვრებას, რომლის თანახმად, ბრალი არის „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ესე იგი უმართლობის ჩადენის „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა“ (*გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 6-7, <<http://goo.gl/wxoEyQ>>, [14.05.16]). როდესაც განსჯის საგანია საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა პირს „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა“, უნდა დადგინდეს,

იმას, რომ კონკრეტული ექიმისთვის მოცემულ სიტუაციაში საკუთარი ქმედების ან უმოქმედობის შედეგების გათვალისწინება ან თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა.⁶³¹ ამავდროულად ავტორი აღნიშნავს, რომ *მცდარ სამედიცინო ქმედებას* „ქართული კანონმდებლობა ოფიციალურად განმარტავს, რაც მისი სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევის მყარი საფუძველია,“⁶³² რაც შეეხება *საექიმო შეცდომას*, ის „საბჭოთა მედიცინაშიც გამოიყენებოდა, თუმცა ჩვენი აზრით, განსხვავებული დატვირთვით. მედიცინაში ხმარებული ტერმინი „საექიმო შეცდომა“ იურიდიული ცნება არ არის, სისხლის სამართლის კოდექსსა და კომენტარებში მსგავსი ტერმინი არ მოიძებნება. საექიმო შეცდომა ექიმის უნებლიე შეცდომაა, რომელიც გამოწვეულია არა სპეციალისტის გულგრილი, ზერელე ან დაუდევარი მოქმედებით, არამედ მედიცინის თანამედროვე განვითარების საფეხურზე გამოკვლევების მეთოდების არასრულყოფით.“⁶³³ ავტორს საექიმო შეცდომასთან დაკავშირებით შემოაქვს *კეთილსინდისიერი დაუდევრობის* ცნება (რომელსაც სამედიცინო მეცნიერების და მისი კვლევის მეთოდების არასრულყოფილებას, ასევე ექიმის არასაკმარის გამოცდილებას უკავშირებს⁶³⁴) და აღნიშნავს, რომ „კანონმდებლის მიერ ქმედების ამგვარი შეფასებით გამოირიცხება უხეში გაუფრთხილებლობისა და განზრახვის ნიშნები, არამედ სახეზეა სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული დაუდევრობა, რაც უშუალო კავშირშია ექიმის არასწორ მოქმედებასთან.“⁶³⁵ ნაშრომის ავტორის სიტყვით, „ბუნებრივია, როდესაც ვსაუბრობთ ექიმის შეცდომაზე, სუბიექტური მხარე იგულისხმება. თუ ზიანი მიყენებულია ბრალის გარეშე, როგორც წესი, სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე არ არსებობს, ე.ი. სამართალდარღვევის შემადგენლობა სახეზე არ არის. ასეთ შემთხვევაში პირი იურიდიული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. ხელშეკრულების თანახმად ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს სამართალდამრღვევი პირის ბრალისაგან დამოუკიდებლად (პასუხისმგებლობა რისკის დროს, ობიექტური პასუხისმგებლობა).“⁶³⁶

დასახელებული ნაშრომის მეოთხე თავის („პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად ვალდებულების წარმოშობის საფუძველი“) მე-4.5 ქვეთავში მეორდება *მცდარი სამედიცი-*

კონკრეტულ პირს მოცემულ ვითარებაში ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, „სხვაგვარად“ ანუ მართლზომიერად ემოქმედა: „თუ სუბიექტი შესაბამისი ქმედების განხორციელების მომენტში არ იყო ფსიქიკურად ავად და არც ფაქტობრივი თუ იურიდიული შეცდომის პირობებში იმყოფებოდა, ისევე, როგორც არ იყო წარმოდგენილი სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილი სხვა რომელიმე ბრალის გამომრიცხველი გარემოება“, არ შეიძლება სისხლისსამართლებრივად რელევანტური თვალსაზრისით, იმაში ეჭვის შეტანა, რომ პირი „ამ კონკრეტულ ვითარებაში ფლობდა საკუთარი ნების ნორმის მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობას“ (*კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 506, <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15]).

⁶³¹ *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 120.

⁶³² იქვე, 110.

⁶³³ იქვე, 114.

⁶³⁴ იქვე, 115.

⁶³⁵ იქვე.

⁶³⁶ იქვე, 115-116.

ნო ქმედების ავტორისეული განმარტება⁶³⁷ და აღნიშნულია, რომ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული *მცდარი სამედიცინო ქმედება* წარმოადგენს ბრალის გარეშე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.⁶³⁸ ამასთან, ვკითხულობთ, რომ „სამოქალაქო სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად მომეტებული საფრთხის წყაროს ინსტიტუტი განიხილება, რა დროსაც ბრალეულობის საკითხის გარკვევა აუცილებელი არ არის და საკმარისია მხოლოდ იმის დადგენა, რომ ზიანი მომეტებული საფრთხის წყაროდან არის მიყენებული.“⁶³⁹ კითხვაზე, შეიძლება თუ არა სამედიცინო საქმიანობა მომეტებული საფრთხის წყაროდ ჩაითვალოს, ავტორი შემდეგ პასუხს სცემს: „მედიცინის მეცნიერების განვითარების დონის გათვალისწინებით, ამ კატეგორიის დაგვებზე მომეტებული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ფართოდ გამოყენება მიზანშეუწონელია... განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ზოგიერთი სამედიცინო მომსახურებისა და სამკურნალო საშუალებების მომეტებული საფრთხის წყაროსთვის მიკუთვნების საკითხის ღრმა გამოკვლევა და დადებით შემთხვევაში მის საკანონმდებლო აქტებში ასახვა.“⁶⁴⁰

გაზიარებულ უნდა იქნეს აზრი იმის შესახებ, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ზოგიერთი სახის სამედიცინო მომსახურების და სამკურნალო საშუალებების მომეტებული საფრთხის წყაროსთვის მიკუთვნების საკითხის ღრმა კვლევა და კვლევის შედეგების საკანონმდებლო აქტებში ასახვა. რაც შეეხება მტკიცებას, რომ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული *მცდარი სამედიცინო ქმედება* წარმოადგენს ბრალის გარეშე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და მცდარი სამედიცინო ქმედება არის ექიმის არასათანადო მოქმედება (უმოქმედობა) ბრალის გარეშე, უარყოფილ უნდა იქნეს.

სსკ-ში არ არსებობს ნორმა, რომელიც მიუთითებს უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების გამწვევს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა თუ მაგ., სამედიცინო დაწესებულების კუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით პაციენტის ტრანსპორტირების დროს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება პაციენტის სიკვდილი, დასახიზრება ან ჯანმრთელობის მოშლა (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 999-ე I მუხლის, 408-ე I მუხლის 411-ე და 413-ე I მუხლის დანაწესებიდან⁶⁴¹). ასევე შეიძლება პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს სსკ-ის მე-1000 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში (იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავის მე-6 პარაგრაფი („სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოება. მაღალი

⁶³⁷ იქვე, 120.

⁶³⁸ იქვე, 199.

⁶³⁹ *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 201.

⁶⁴⁰ იქვე, 204.

⁶⁴¹ იხ. *ძლიერი შვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, №2, 2013, 30.

რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის კონტროლი“).

ექიმის უნებლიე ქმედებით გამოწვეული ზიანის ცნებაზე მსჯელობის ფარგლებში საჭიროა, განხილულ იქნეს *შემთხვევის* და *რისკის* ცნებები.

3. შემთხვევის და რისკის ცნებები

1998 წელს დაიბეჭდა სსკ-ის სარედაქციო კომისიის წევრის საყურადღებო მიმოხილვითი შინაარსის წერილი, სადაც ვკითხულობთ, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსი „ერთგული რჩება პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მიღებული პრინციპებისადმი (მხედველობაში გვაქვს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი), იმავდროულად, სამოქალაქო კოდექსი ვალდებულებით სამართალში ნორმალურად მიიჩნევს ზომიერი რისკის ფაქტორსაც.“⁶⁴²

მეცნიერთა უმრავლესობამ მართალია, დროთა განმავლობაში ერთსულოვნად უარყო ზიანის მიყენების პრინციპი და როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევაში უპირატესობა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს მიანიჭა, მაგრამ გარკვეულ სირთულეს სამოქალაქო დარღვევები ქმნის, რამდენადაც სამოქალაქო კანონმდებლობა ზოგიერთ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს ითვალისწინებს. ამის გამო, მეცნიერები, რომლებიც ნებისმიერი სახის იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლად ბრალის პრინციპს მიიჩნევენ, მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან, ვინაიდან ბრალის პრინციპი ვერ ეწყობა სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას აწესებს, მაგ., შემთხვევით მიყენებული ზიანისთვის. გამოითქვა აზრი, რომ ობიექტური პასუხისმგებლობის საფუძველია პირის მიერ განხორციელებულ ქმედებათა თანმსვლელობა, მათგან მოსალოდნელი რისკების მიღება.⁶⁴³ ამ შემთხვევაში პრობლემას თავად რისკის ცნების შინაარსი და მოცულობა ქმნის.⁶⁴⁴

შემთხვევის და *რისკის* ცნებები შესწავლილ იქნა პროფესორ *ოიგენზიხტის* მიერ, 1972 წელს გამოცემულ ნაშრომში.⁶⁴⁵ ავტორის სიტყვით, თუ სუბიექტის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის წინასწარი ვარაუდის შესაძლებლობა გამორიცხებულია (ე.ი. აშკარაა, რომ პირი ვერ ივარაუდებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას), დგება საკითხი სუბიექტის ბრალის გამორიცხვის შესახებ, რადგან რეალურად საქმე გვაქვს შემთხვევასთან, კაზუსთან. ზოგი ავტორი

⁶⁴² *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, 1998, 18.

⁶⁴³ რისკის შესახებ იხ. პროფესორ *მეიერის* (*Мейер Дмитрий Иванович*, 1819 – 1856) ნაშრომი პროფესორ *გოლმსტენის* (*Гольмстен Адольф Христианович*, 1848 – 1920) წინასიტყვაობით: *Мейер Д.И.*, Русское Гражданское Право, 1873, <<http://goo.gl/8NwUcC>>, [16.04.2013].

⁶⁴⁴ იხ. *Братусь С.Н.*, Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, 163, <<http://goo.gl/BWMH4>>, [11.04.15].

⁶⁴⁵ იხ. *Ойгензихт В.А.*, Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая), Душанбе, 1972, <<http://goo.gl/uZ2U2a>>, [22.12.14].

საერთოდ უარყოფდა სამოქალაქო სამართალში *შემთხვევით ქმედებათა* ცნებას, მიიჩნევდა რა, რომ *შემთხვევა* ხდება საერთოდ ნების არარსებობისას, ხოლო პირისგან მომდინარე ქმედება ყოველთვის მისივე ნებით ხორციელდება („ქმედება, თუნდაც განუზრახველი იმ შედეგის მიმართ, რომელიც დადგა, უცაბედად განხორციელებული, არ შეიძლება ცნობილ იქნას სრულიად შემთხვევითად, რამეთუ შემთხვევა ყოველთვის უნებლიეა, ხოლო პირის ქმედება ყოველთვის უკავშირდება ნებას“⁶⁴⁶). სხვა ავტორის მტკიცებით, ქმედება თავისი არსით ნების გამოხატულებაა, იურიდიული თვალსაზრისით მომწიფებული (პირის გონებაში ჩამოყალიბებული) და შეგნებული. ამიტომ იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველში ბრალი დევს, იქნება ის განზრახი თუ გაუფრთხილებელი. ამასთან, თუ ზიანის მიმყენებელს არ სურდა ზიანის მიყენება, არ შეეძლო და არ ევალდებოდა მოსალოდნელი საზიანო შედეგის გათვალისწინება, მაშინ ზიანის მიმყენებლის ბრალი სახეზე არ არის და საქმე *შემთხვევასთან* გვაქვს.⁶⁴⁷

პროფესორ *ლუნცის* სიტყვით, როდესაც ვაცხადებთ, რომ კოდექსის შესაბამისი მუხლი პასუხისმგებლობას *შემთხვევით* მიყენებული ზიანისთვის ითვალისწინებს, იგულისხმება, რომ პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ბრალის გარეშე მიყენებული ზიანისთვის, ე.ი. როდესაც შემთხვევაზე ვსაუბრობთ, იურიდიული შინაარსი ამ სიტყვისა განსხვავდება შემთხვევითობის ფილოსოფიური კატეგორიისგან (ფილოსოფიაში *შემთხვევა* გულისხმობს ორ მოვლენას შორის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირის არარსებობას, ხოლო სამოქალაქო სამართალში – მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებულ ზიანს, როდესაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ბრალის გარეშე⁶⁴⁸) და „სადაც მთავრდება ბრალი, იქ იწყება შემთხვევა.“⁶⁴⁹ შესაბამისად, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს: „მოვალე პასუხს არ აგებს შემთხვევისთვის.“⁶⁵⁰

რაც შეეხება *შემთხვევის* დეფინიციას სისხლის სამართლის ფარგლებში, პროფესორი *გამყრელიძე* განმარტავს, რომ საბჭოური პერიოდიდან დაწყებული გამოიყენება გაუფრთხილებლობის და შემთხვევის⁶⁵¹ ტერმინები. მათგან ერთი წარმოადგენს მიუტევებელ შეცდომას, მეორე კი – მისატყვებელს.⁶⁵²

პროფესორ *ოიგენზიხტის* მტკიცებით, ბრალეული *რისკის* შემთხვევაში საქმე გვაქვს ბრალის სრულიად დამოუკიდებელ სახესთან,

⁶⁴⁶ *Победоносцев К.П.*, Курс Гражданского Права. Часть Третья: Договоры и Обязательства, М., 2003, <<http://goo.gl/9ycipZ>>, [03.04.15] (1896 წლის გამოცემის მიხედვით).

⁶⁴⁷ იხ. *Шершеневич Г.Ф.*, Учебник Русского Гражданского Права, М., 1995, <<http://goo.gl/ZcMrTo>>, [03.04.15] (1907 წლის გამოცემის მიხედვით). ავტორი განაგრძობს: შუშის ჭურჭლით მოვაჭრემ გასაყიდი საქონელი სავაჭრო ფარდულის გასასვლელში დააწყო. იურიდიული თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს, სახურავიდან ჩამოვარდნილი ქვა დააზიანებს ჭურჭელს თუ შემთხვევითი გამვლელი, რომელსაც ტროტუარზე ფეხი დაუცურდა.

⁶⁴⁸ იხ. *Флейшиц Е.А.* Обязательства из Причинения Вреда и из Неосновательного Обогащения, М., 1951, <<http://goo.gl/C7Q0vP>>, [08.09.16].

⁶⁴⁹ *Новицкий И.Б., Лунц Л.А.*, Общее Учение об Обязательстве, М., 1950, 306, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15].

⁶⁵⁰ იქვე, 354.

⁶⁵¹ ლათ. „Casus“.

⁶⁵² იხ. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 111.

რომელიც წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგების *ალტერნატიული დაშვების* სახით (ე.ი. პირმა დაუშვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად როგორც დადებითი (სასურველი) ისე უარყოფითი (არასასურველი) შედეგების დადგომის შესაძლებლობა). ავტორის განმარტებით, „რისკი (periculum) შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სუბიექტური კატეგორია, რომელიც არსებობს ბრალის პარალელურად, მაგრამ შეიძლება იარსებოს ბრალთან ერთდროულად, როგორც სუბიექტთა ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ საკუთარ ქმედებათა ან სხვა პირთა ქმედებების შედეგთან, აგრეთვე, ობიექტურ-შემთხვევით ანდა შემთხვევით-შეუძლებელ ქმედებათა (მოვლენათა) შედეგთან, რაც გამოიხატება უარყოფითი, მათ შორის, აუნაზღაურებელი ქონებრივი შედეგების შეგნებულ დაშვებაში.“⁶⁵³ სამართლებრივ და ყოფით ტერმინოლოგიაში *რისკთან* ერთად გამოიყენება *გარისკვის* ცნება. *გარისკვა* ნიშნავს პირის ისეთ ქმედებას, როდესაც ის უშვებს მასზე მართლზომიერი ანდა ობიექტურ-შემთხვევითი ანდა ობიექტურ-შეუძლებელი ქმედებების ან მოვლენების არასახარბიელო შედეგების გადასვლას. აქედან მომდინარეობს სამოქალაქო სამართალში არსებული ტერმინი *რისკის კისრება*⁶⁵⁴, ე.ი. *გარისკვა*. მაგ., ნიუთის დაღუპვისას, ჩვეულებრივ, რისკავს მესაკუთრე (საქმე გვაქვს მესაკუთრის რისკთან). პროფესორი თავად ტერმინს, „რისკის კისრება“, არამართებულად მიიჩნევს, რადგან ფსიქიკური დამოკიდებულების კისრება შეუძლებლად მიაჩნია. *რისკი* გარკვეულწილად ნიშნავს საშიშროებასაც და არასახარბიელო შედეგების საფრთხესაც, მაგრამ *საშიშროება* და *საფრთხე* ობიექტური კატეგორიებია (მაგ., მესხარიდის გარეშე აშენებული სახლი ხანძარსაშიშია თავისთავად, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ უქმნის რისკს ვინმეს, როდესაც მას შეიძენენ ან მასში შესახლდებიან; ამ შემთხვევაში, შეიძენმა უნდა დაუშვას და გააცნობიეროს უარყოფითი შედეგების დადგომის, ხანძრის გაჩენის მოსალოდნელი საფრთხე); საფრთხე არ არის რისკი, ის თავისთავად არსებობს და გულისხმობს საშიშროებას იმისა, რომ დადგეს ზიანის მომტანი შედეგები. ამგვარად, „საფრთხე და საშიშროება იგივეობრივი ცნებებია, რომლებიც უნდა განისაზღვროს, როგორც შესაძლებლობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ალბათობა არასახარბიელო შედეგების (მაგნე შედეგის) დადგომისა, ამ შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევისა.“⁶⁵⁵ ამგვარად, *ალბათობისა* და *შესაძლებლობის* ცნებების *რისკთან* გაიგივების ყოველი მცდელობა ისევე არამართებულია, როგორც *საშიშროების* და *საფრთხის* რისკთან გაიგივება.⁶⁵⁶

საინტერესოა, როგორ არის გაგებული *რისკი* ისეთ დოკუმენტში, როგორიც არის სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული

⁶⁵³ *Oйгензихт В.А.*, Проблема риска в гражданском праве (часть общая), Душанбе, 1972, 77, <<http://goo.gl/uZ2U2a>>, [22.12.14].

⁶⁵⁴ რისკის კისრებაზე საუბარი სსკ-ის 584-ე I მუხლში, რომლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებით და იკისრებს ვალდებულებას, იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე დააბრუნოს უკან, მაშინ მას ეკისრება შემთხვევით დაღუპვისა და გაფუჭების რისკი.

⁶⁵⁵ *Oйгензихт В.А.*, Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая), Душанбе, 1972, 77, <<http://goo.gl/uZ2U2a>>, [22.12.14].

⁶⁵⁶ იქვე, 77-78.

უსაფრთხოების მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტი.⁶⁵⁷ რეგლამენტით დადგენილია, რომ სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული დაცვისა და უსაფრთხოების სისტემას საფუძვლად უდევს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ნორმირების, დასაბუთების და ოპტიმიზაციის პრინციპები.⁶⁵⁸ სამედიცინო რენტგენოლოგიური პროცედურების ჩატარების დასაბუთება ხდება პაციენტის ჯანმრთელობისათვის დიაგნოსტიკური სარგებლისა და დასხივების შედეგად შესაძლო ზიანის შეფასებისა და ალტერნატიული მეთოდების გამოყენების გათვალისწინების გზით.⁶⁵⁹ ამასთან, დასაბუთებისა და დაცვის ოპტიმიზაციის პრინციპები გათვალისწინებული უნდა იქნეს ინტერვენციული გამოკვლევების ჩატარების დროს, ვინაიდან დასხივების შედეგად სტოქასტიკური ეფექტის რისკის გარდა, ასევე არსებობს კანის დეტერმინირებული ეფექტების წარმოქმნის რისკიც.⁶⁶⁰ ამგვარად, რენტგენოლოგიური პროცედურის ჩატარებისას უნდა მოხდეს დიაგნოსტიკური სარგებლის, დასხივების პროცედურისთვის დამახასიათებელი, თანმხლები საფრთხის (საფრთხე, ე.ი. მაგნე შედეგის დადგომის ალბათობა; საფრთხე თავისთავად არსებობს, ობიექტური კატეგორიაა) და იმ რისკის (საფრთხე და რისკი არ არის იგივეობრივი ცნებები) ურთიერთშეწონვა, რაც ახლავს დასხივებას. ზემოხსენებული რეგლამენტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულება სამედიცინო რენტგენოლოგიური პროცედურების ჩატარების დროს პერსონალის, პაციენტისა და მოსახლეობის რადიაციული დაცვის ოპტიმიზაციის პრინციპი განახორციელოს დასხივების დოზების რაც შეიძლება დაბალ, მისაღწევ დონეზე დაყვანით, დიაგნოსტიკური ინფორმაციისა და თერაპიული ეფექტის ხარისხის შემცირების გარეშე, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. ოპტიმიზაცია უნდა მოიცავდეს დიაგნოსტიკისა და თერაპიის ყველაზე ეფექტური ტექნოლოგიების და თანამედროვე დანადგარების შერჩევას, ასევე ხარისხის, რადიაციული დაცვის და დოზების შეფასების უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტას.⁶⁶¹ რენტგენოლოგიური კაბინეტის დანადგარების ექსპლუატაციაზე და რადიაციული

⁶⁵⁷ იხ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“ (სსმ, ვებგვერდი, 14.07.2016).

⁶⁵⁸ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“, მე-4 I მუხლი.

⁶⁵⁹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“, მე-4 I „ბ“ მუხლი.

⁶⁶⁰ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“, მე-4 I „გ“ მუხლი.

⁶⁶¹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“, მე-4 I „დ“ მუხლი.

უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი.⁶⁶²

4. შეცდომის სისხლისსამართლებრივი ცნება

ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს განზრახვის და გაუფრთხილებლობის (უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის) ცნებებს, ხოლო კერძო სამართლის ფარგლებში მეცნიერები მიუთითებენ, რომ „ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული“⁶⁶³ მაშინ მნიშვნელოვანია თუ როგორ განიმარტება *შეცდომა* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და როგორ წყდება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეცდომის შემთხვევაში: ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვებელია.⁶⁶⁴ შეცდომა მისატყვებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას.⁶⁶⁵ როცა შეცდომა მისატყვებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.⁶⁶⁶ პროფესორ

⁶⁶² საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №317 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“, მე-5 IV მუხლი.

⁶⁶³ *ძლიერი შვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ. „ადვოკატი“*, №2, 2013, 36. ნაშრომებში მითითებულია განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე, როგორც ბრალის ფორმებზე: „ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. არც ძველად და არც დღეს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბრალის თითოეული ფორმის შინაარსს. ამ შემთხვევაში, შესაძლებლობა გვეძლევა ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით“ (*ჩიკვა შვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 386); აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალში „ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შემდეგ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აღარ წარმოგვიდგება ბრალის ფორმებად, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული“ (*გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 88). დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის VI თავის მე-4 პარაგრაფი („განზრახვა და გაუფრთხილებლობა“).

⁶⁶⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე I მუხლი.

⁶⁶⁵ სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე II მუხლი.

⁶⁶⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე III მუხლი. მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე I მუხლის თანახმად (რომლითაც გათვალისწინებულია საფრთხის შემქმნელი დელიქტი), სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. აღნიშნული შემადგენლობა განზრახვას გულისხმობს (იხ. *ლეკვეი შვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 151). ე. ი. სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მაგ., ექიმი მოქმედებდა განზრახ (სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლით უნდა დადგეს იმ სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი, ავინც

გამყრელიძის განმარტებით, „იმ შემთხვევაში, როცა ვლადიკონობით შეცდომაზე სისხლის სამართალში, ყოველთვის განუზრახველი ქმედება უნდა ვიგულისხმოდ. ეს არის შემთხვევა, როცა შედეგი მოქმედის განუზრახვით არ არის გამოწვეული. შეცდომა კი ორგვარია: მისატყვებელი და მიუტყვებელი. სწორედ მიუტყვებელი შეცდომა გახლავთ გაუფრთხილებლობა. შეცდომა აქ ორი სახის შეიძლება იყოს. პირველი სახის შეცდომა ფაქტობრივია... როცა მოქმედს სწორად აქვს წარმოდგენილი თავისი ქცევის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ ვერ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელიც მის ქცევას შეცდომით მოსდევს, როცა ეს შედეგი განუზრახველად გამოწვეული“⁶⁶⁷ (აქ ავტორს მაგალითად ისეთი შემთხვევა მოჰყავს, როდესაც მონადირე შეცდომით ბუნქებში ჩამალულ ადამიანს კლავს, რომელიც ცხოველი ეგონა⁶⁶⁸). რაც შეეხება აკრძალვაში შეცდომას, ეს ისეთი შემთხვევაა, რა დროსაც „განუზრახველად, ესე იგი შეცდომით, არა მარტო შედეგია გამოწვეული, არამედ თვით ეს შედეგი მოქმედის განუზრახველი, გაუცნობიერებელი ქცევის ნაყოფს წარმოადგენს. მაგალითად, ექიმი შეცდომით ავადმყოფს, წამლის ნაცვლად, საწამლავს აძლევს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვება. ამ შემთხვევაში მარტო ქცევა კი არ არის გაუცნობიერებელი, არამედ მოქმედი ვერც თავისი ქცევის მართლწინააღმდეგობას ვერ აცნობიერებს. მან არ იცის, რომ ავადმყოფს საწამლავს აძლევს, რითაც არღვევს აკრძალვას.“⁶⁶⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არც გაუფრთხილებლობის („კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგისაგან“⁶⁷⁰) და არც შეცდომის ცნებას განმარტავს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შეცდომა გამორიცხავს განუზრახვას. შეცდომა არ აბათილებს მართლწინააღმდეგობას, მაგრამ აქარწყლებს განუზრახვას.“⁶⁷¹

წინდახედულობის სპეციალური ნორმების დარღვევით შექმნა სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხე ანდა შეყარა ინფექციური დაავადება“ (*ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი ვ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 151). რაც შეეხება სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე II მუხლით გათვალისწინებული შედეგიანი დელიქტი), ის შეიძლება განხორციელდეს როგორც განუზრახ, ისე გაუფრთხილებლობით (*ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი ვ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, 151).

⁶⁶⁷ *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 121.

⁶⁶⁸ იქვე, 120.

⁶⁶⁹ *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 121. ასევე, იხ. *მაღლაკელიძე ლ.*, სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009, 89-108, <<https://goo.gl/Sx4dXH>>, [15.02.15].

⁶⁷⁰ *ძლიერიშვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ. „ადვოკატი“*, №2, 2013, 37.

⁶⁷¹ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 382.

5. ბრალეულობის პრეზუმფცია. მკურნალობის უარყოფითი შედეგი, როგორც პასუხისმგებლობის საფუძველი

მნიშვნელოვანია განისაზღვროს, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა სსკ-ის 1007-ე მუხლს და სსსკ-ით დადგენილ წესს შორის, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს⁶⁷² („მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრება მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის“⁶⁷³).

ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით, სსსკ-ის 102-ე I მუხლის ნორმა არის შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატულება და „საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის არსებული წინააღმდეგობა, როგორც წესი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება.“⁶⁷⁴ აქვე მაგალითად მოყვანილია ერთ-ერთი გადაწყვეტილება,⁶⁷⁵ სადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთი მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობის თაობაზე, აწევს მოპასუხეს; სსსკ-ის 102-ე I მუხლის თანახმად, „მოპასუხემ სასამართლოს არ წარუდგინა საკმარისი მტკიცებულებები შესაგებელში მითითებული გარემოებების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ინიციატივით... დანიშნული სასამართლო-სამედინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ოპერაციები ჩატარებულია არასწორად – ტექნიკური წუნით. მოპასუხე მხარემ კი სასამართლოს არ წარუდგინა ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა მის ბრალეულობას.“⁶⁷⁶. ავტორების სიტყვით, „სასამართლომ ამ შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა არა საპროცესო, არამედ მატერიალური სამართლის ნორმას“⁶⁷⁷ (კერძოდ, სსკ-ის 1007-ე მუხლს).

უნდა ითქვას, რომ სსსკ-ის 102-ე I მუხლით დადგენილ წესს სსკ-ის 1007-ე მუხლი არ ეწინააღმდეგება, არამედ მიუთითებს, განსაზღვრავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. სსსკ-ის 102-ე მუხლის კომენტარში აღნიშნულია, რომ „ხშირად, მითითებას იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, განსაზღვრავს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები“⁶⁷⁸ ე.ი. საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს შორის არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა და არც ამ არარსებული წინააღმდეგობის რომელიმე ნორმის სასარგებლოდ გადაწყვეტის საჭიროება არსებობს. ამ

⁶⁷²სსსკ-ის 102-ე I მუხლი.

⁶⁷³ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, 196.

⁶⁷⁴ *თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვადლებულებითი სამართალი, თბ., 2006, 49.

⁶⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-33-406-05), <<http://goo.gl/vcF2Ym>>, [28.08.15].

⁶⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-33-406-05), <<http://goo.gl/vcF2Ym>>, [28.08.15].

⁶⁷⁷ *თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვადლებულებითი სამართალი, თბ., 2006, 49.

⁶⁷⁸ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, 196.

მოსაზრებას ეთანხმება შემდეგი მსჯელობაც: „კანონისმიერ პრეზუმფციებს ორი ფუნქცია აქვთ: საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი: პირველი გამოიხატება იმაში, რომ ეს პრეზუმფციები ცალკეულ შემთხვევაში ცვლიან სსკ-ის 102-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცების წესს და მტკიცების ტვირთს აკისრებენ მეორე მხარეს, რაც ამ უკანასკნელისათვის დაკავშირებულია რისკთან, რომ მან შეიძლება წააგოს პროცესი, თუ მტკიცებულება არ იქნა მიღებული. მატერიალურ-სამართლებრივი ფუნქცია კი მდგომარეობს იმაში, რომ ნორმის აღწერილობითი ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი კონკრეტულ პროცესთან მიმართებაში და კონკრეტულ მხარეთა შორის მაშინაც მოცემულად ჩაითვლება, როცა ობიექტურად ვერ მოხერხდა ამ გარემოების დადგენა.“⁶⁷⁹

ზემოხსენებულ საქმეში (საქმე №ას-33-406-05) ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით და სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციის კომისიური დასკვნით. მოპასუხემ მსგავს ვითარებაში შეიძლება მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ პირს მკურნალობა ჩაუტარდა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ⁶⁸⁰ შესაბამისად (რომელიც მოიცავს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) საფუძველზე შემუშავებულ კლინიკური მდგომარეობის მართვის მკაფიოდ

⁶⁷⁹ ბილინივი პ., ლუტრინგაუხი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 68-69.

⁶⁸⁰ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტს (პროტოკოლს) შესაბამისი აქტით ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „კ“ მუხლი). მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) ფორმა, საკითხები რომლებიც უნდა შევიდეს გაიდლაინში. მათ შორის არის მკურნალობის სქემა, „პრეპარატის ჯგუფის დონეზე, თუმცა სასურველია სპეციფიკური ჩვენებების - ფორმების/გართულებების, ძირითადი პრეპარატების დოზირების და ხანგრძლივობის მიხედვით; აქვე უნდა იქნეს მითითებული ძირითადი გვერდითი მოვლენები და მკურნალობის შეზღუდვები” (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანების (კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, სსმ, №42, 30.03.2006, <<https://goo.gl/q6tLVg>>, [28.08.15]) №1 დანართი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) ფორმა, მე-7 პუნქტი). პროტოკოლი შედგება კონკრეტული, სავალდებულო საკითხებისგან, რომელთა შორის არის მკურნალობა (პირველი ალტერნატივა, მეორე ალტერნატივა, განსაკუთრებული შემთხვევა (მაგ., გართულების მკურნალობა). პროტოკოლში მიეთითება გაიდლაინი, რომელსაც ის ეყრდნობა (იქვე, №1 დანართი, დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ფორმა, მე-5 და მე-7 პუნქტები). საქართველოში კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციების (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დანერგვის ერთ-ერთი მიზანი იყო ექიმებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანების №1 დანართის თანახმად, ე.წ. გაიდლაინის მოკლე ვერსიაში დასაშვებია არ შევიდეს ისეთი საკითხი, როგორც არის ეთიკურ-სამართლებრივი რეკომენდაციები (იქვე, №1 დანართი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) ფორმა, მე-9 პუნქტი).

განსახდვრულ ეტაპებს და მოქმედებათა თანმიმდევრობას⁶⁸¹ (პროტოკოლის შესაბამისად მკურნალობის ჩატარება შეიძლება დადასტურდეს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით) და მცდარი სამედიცინო ქმედებით გამოწვეულ ზიანს ადგილი არ ჰქონია. ამგვარად, „ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ ექიმის ქმედება მიზნად ისახავს პაციენტის გამოჯანმრთელებას, ექიმი მხოლოდ უარყოფით შედეგზე პასუხს არ აგებს. თუ ექიმი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ის არ არღვევს არც ერთ ვალდებულებას და ბრალი არ მიუძღვის. ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებელი, როდესაც ზიანი, რომელიც პაციენტს მიაღება, გამომდინარეობს მკურნალობის დროს დაშვებული ბრალეული შეცდომიდან. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა. ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა. ამასთან, ექიმის მიერ რაიმე საკითხის ინდივიდუალური არცოდნა ან პროფესიული სისუსტე გამამართლებელ გარემოებებს არ წარმოადგენს. ექიმის სავალდებულო გულისხმიერების დარღვევაა ისიც, როდესაც ექიმი არღვევს თავის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულებას და აქედან გამომდინარე, სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე ცოდნა აღარ გააჩნია.“⁶⁸² აღნიშნულისგან განსხვავებით, ერთ-ერთ ნაშრომში ვხვდებით მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოსდა „სამედიცინო შეცდომა არაა გულგრილობის შედეგი. იგი არის ან დაბნეულობის ან არასათანადო პროფესიონალიზმის შედეგი, ამიტომ სამედიცინო შეცდომისათვის ექიმი როგორც წესი, სს წესით პასუხს არ აგებს.“⁶⁸³ აქ გაუგებარია, როგორ ესმით არასათანადო პროფესიონალიზმის შედეგად დაშვებული შეცდომა ავტორებს და ასეთ შემთხვევაში რატომ არ აგებს ექიმი პასუხს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „მოპასუხეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ არსებობს ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით; მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამასთან, ზიანის მიყენებისას არსებობს ბრალეულობის პრეზუმფცია – ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი

⁶⁸¹ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „კ“ მუხლი.

⁶⁸²საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15].

⁶⁸³ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბ., 2011, 89.

ბრალის არარსებობის ფაქტს.“⁶⁸⁴ ასევე, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ „დელიქტური ვალდებულებებისათვის დამახასიათებელია ბრალეულობის პრეზუმფცია, რაც, ნიშნავს იმას, რომ სანამ პირი არ დაადასტურებს თავის ქმედებაში ბრალის არარსებობას (რომელზედაც უთითებს კრედიტორი), იგი ითვლება ბრალეულად, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ბრალის არარსებობის დადასტურების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნა.“⁶⁸⁵

როდესაც კანონმდებელი მატერიალური სამართლის ნორმით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს ადგენს, როგორც ეს სსკ-ის 1007-ე მუხლშია მოცემული („ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“), არამართებულია მტკიცება იმისა, თითქოსდა კერძო სამართლის ფარგლებში, ექიმის საქმიანობის მიმართ ბრალეულობის პრეზუმფცია არ მოქმედებს. პროფესორ *ლილუაშვილის* განმარტებით, „სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული პრეზუმფციის (ვარაუდის) საპროცესო მნიშვნელობა მთლიანად ამოიწურება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებით. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილება მატერიალური სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებიდან გამომდინარე სარჩელებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ რეგულირდება კანონით, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელი ფაქტები განეკუთვნება სარჩელის საფუძველში შემავალ ფაქტებს, რომლებიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს და რომელი ფაქტები განეკუთვნება შესაგებლის საფუძველს, რომლებიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს.“⁶⁸⁶

სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალეულობის პრეზუმფციაზე მიუთითებს შემდეგი მსჯელობა: „პაციენტის სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გამოირიცხოს სამედიცინო მომსახურების გამწვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის პრეზუმფცია მოქმედებს და შესაბამისად მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგი არ არის. დაზარალებულ მხარეს მედიცინის მუშაკის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი არ აკისრია.“⁶⁸⁷ პროფესორ *ჩიკვაშვილის* განმარტებით, „სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს... ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს.“⁶⁸⁸ მაგრამ ვხვდებით

⁶⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-33-406-05), <<http://goo.gl/vcF2Ym>>, [28.08.15].

⁶⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1363-1588-05), <<http://goo.gl/qAJ5Yx>>, [04.09.15].

⁶⁸⁶ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, 196.

⁶⁸⁷ *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 190.

⁶⁸⁸ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387. ეს მოსაზრება გაზიარებულია ნაშრომში: *ქონაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც

საწინააღმდეგო მოსაზრებასაც: ⁶⁸⁹ „სახელშეკრულებო ზიანის გადახდევინებისას კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს მხოლოდ ხელშეკრულების არსებობა. მოვალის საქმეა დაამტკიცოს, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოწვეულია გარეშე გარემოებებით, რომელთა შეცვლა მოვალეს არ შეეძლო. როგორც ამბობენ, მოვალე ითვლება ბრალეულად. დელიქტური ვალდებულებების დროს, პირიქით, დაზარალებული (კრედიტორი) ვალდებულია დაასაბუთოს მოპასუხის ბრალი. ეს განსხვავება სუსტდება იმით, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სფეროშიც, როდესაც საქმე ეხება განსაზღვრული გვაროვნული სახის საშუალებებს, კრედიტორს ზოგჯერ უხდება მტკიცება, რომ მოვალე არ მოქმედებდა როგორც კარგი მეურნე, ხოლო მეორე მხრივ, დელიქტური პასუხისმგებლობისათვის კანონით დადგენილია მრავალგვარი პრეზუმფცია.“ ⁶⁹⁰ აღნიშნული მსჯელობა გაზიარებულია ზოგიერთ ნაშრომში: „სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო მოთხოვნათა თანაფარდობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პირველ შემთხვევაში მოვალეა (ექიმი) ვალდებული ამტკიცოს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გარე ფაქტორების შედეგია და ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომაში, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულების შემთხვევაში, დაზარალებულს (პაციენტს) ეკისრება მოპასუხის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი.“ ⁶⁹¹ ასევე, უახლეს სახელმძღვანელოში (ქვეთავში, სადაც მოცემულია მსჯელობა მოთხოვნისა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის შესახებ) ვკითხულობთ, რომ „სახელშეკრულებო მოთხოვნის დროს მოვალემ უნდა ამტკიცოს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია გარე ფაქტორებით და ბრალი მას ამ ზიანის დადგომაში არ მიუძღვის. რაც შეეხება არასახელშეკრულებო მოთხოვნას, აქ დაზარალებულს ეკისრება მოპასუხის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი.“ ⁶⁹² ამის შემდეგ, მსჯელობს რა სსკ-ის 1007-ე მუხლის ირგვლივ („§ 22. სამედიცინო დაწესებულების სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზიანისთვის“), მიზეზობრივი კავშირის საკითხის განხილვისას მიუთითებს, რომ „ექიმი პასუხს აგებს მხოლოდ მცდარი სამედიცინო მოქმედების გამო და მისი საქმიანობის მიმართ არ

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 84, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15].

⁶⁸⁹ მაგ., იხ. *კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გვენეტაძე ნ., აზაურაშვილი ვ., წიგნი პაციენტებისთვის: ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი)*, თბ., 2011, 117-118 (ნაშრომში აღნიშნულია, რომ „სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას მიყენებული ზიანის მოთხოვნა შეიძლება დელიქტური ნორმებით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა“; „ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს“).

⁶⁹⁰ *დუნდუა მ.*, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 56.

⁶⁹¹ *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 133.

⁶⁹² იხ. *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, 34. აქვე ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომს: *დუნდუა მ.*, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 56.

მოქმედებს ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია)“⁶⁹³ და უკვე ამის შემდეგ, მომდევნო ქვეთავში, („4. ბრალი და მტკიცების ტვირთი“) ვკითხულობთ, რომ „სსკ-ის 1007-ე მუხლში მითითებული შემთხვევების არსებობისას არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას.“⁶⁹⁴ გარდა ამისა, ავტორთა ერთი ჯგუფი ჯერ მიუთითებს, რომ სსკ „მოვალის არაბრალეულობის პრეზუმფციულობის პრინციპს ამკვიდრებს“ და აქვე აღნიშნავს, რომ „დაზარალებული კი არ ამტკიცებს პირის ბრალეულობას, არამედ პირიქით, მოვალეს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომაში.“⁶⁹⁵ აქ უნდა ითქვას, რომ თუ „დაზარალებული კი არ ამტკიცებს პირის ბრალეულობას, არამედ პირიქით, მოვალეს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომაში“, მაშინ ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი ამკვიდრებს არა „მოვალის არაბრალეულობის პრეზუმფციულობის პრინციპს“, არამედ მოვალის ბრალეულობის პრეზუმფციას. წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია მსჯელობა, რომლის თანახმად, „დელიქტური ვალდებულებებისათვის დამახასიათებელია ბრალეულობის პრეზუმფცია, რაც, ნიშნავს იმას, რომ სანამ პირი არ დაადასტურებს თავის ქმედებაში ბრალის არარსებობას (რომელზედაც უთითებს კრედიტორი), იგი ითვლება ბრალეულად.“⁶⁹⁶

ჰერმანი აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 102-ე I მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი გარემოება, მაგრამ „კანონი ასევე ითვალისწინებს სსსკ-ის 102-ე მუხლის გამონაკლის შემთხვევებს. ეს მუხლებია: სსკ-ის 394-ე მუხლის I-ლი ნაწილი, 995-ე, 996-ე და 997-ე მუხლები. ამ ნორმების მიხედვით, მოპასუხეს ევალება თავისი არაბრალეულობის დამტკიცება, მაშინ, როცა სხვა შემთხვევებში, სსსკ-ის 102-ე მუხლის ძირითადი პრინციპის თანახმად, მოსარჩელეს დაეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, რადგან ბრალეულობა მოთხოვნის არსებობის ერთ-ერთი კანონისმიერი წინაპირობაა.“⁶⁹⁷ ამგვარად, ავტორი „სსსკ-ის 102-ე მუხლის გამონაკლის შემთხვევებს“ ხედავს მითითებულ, კერძოდ, სსკ-ის 394-ე I მუხლში, 995-ე, 996-ე და 997-ე მუხლებში, ხოლო 1007-ე მუხლი მისი ყურადღების მიღმა რჩება.

წინამდებარე ნაშრომისთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონეა იმ კავშირის ჩვენება, რაც არსებობს სსკ-ის 997-ე და 1007-ე მუხლებს შორის. საკითხში უკეთ გასარკვევად საჭიროა იურიდიული პირის ბრალის შინაარსთან დაკავშირებული მცირე ისტორიული მიმოხილვა.

მეცნიერული აზრი იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს იურიდიული პირი, დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა,⁶⁹⁸ რასაც ერთვოდა საკმაოდ

⁶⁹³ იქვე, 361.

⁶⁹⁴ იქვე, 362.

⁶⁹⁵ *თოდუა მ., ვიდეო მ., ვალდებულებითი სამართალი*, თბ., 2006, 48.

⁶⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1363-1588-05), <<http://goo.gl/qAJ5Yx>>, [04.09.15].

⁶⁹⁷ *ჰერმანი თ.*, მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი), თბ., 2016, 8.

⁶⁹⁸ დაწვრილებით იხ. მაგ., *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 116; *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав, М., 1913; *Братусь С.Н.*, Юридические Лица в Советском Гражданском Праве (Понятие, Виды, Государственные Юридические Лица), М., 1947, <<http://goo.gl/bNY8n9>>, [11.04.15]; *მარტენი რ.*, პირი და სამართლის სუბიექტი, კრებულში: რ.შენგელია-70, თბ., 2012; აგრეთვე, *Blackstone W.*, Commentaries on the Laws of England, Oxford, 1765, 455, <<https://goo.gl/f5HE72>>, [20.11.16].

ხანგრძლივი სამეცნიერო დებატები⁶⁹⁹ იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისთვის.⁷⁰⁰ კითხვები ეხებოდა იურიდიული პირის (მაგ., სამედიცინო დაწესებულების (ჰოსპიტლის), ღარიბთა თავშესაფრების, უნივერსიტეტების, საეპისკოპოსოების და სხვა საეკლესიო ინსტიტუტების, ბანკების⁷⁰¹), მათ შორის, კორპორაციების⁷⁰² დელიქტუარობას, ანუ მათ უნარს, განეხორციელებინათ სამართალდარღვევა. ერთ-ერთი ავტორის სიტყვით, „გაბატონებულია თეორია, რომელიც საკითხს უარყოფითად წყვეტს: იურიდიულ პირებს არ ძალუძთ სამართალდარღვევის ჩადენა, რადგან მათ უნდა იმოქმედონ კანონით განსაზღვრულ სფეროში, შესაბამისად, მათი ორგანოების ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონიერ უფლებამოსილებებს, სადაც სამართალდარღვევის უფლებამოსილება არ მოიაზრება. ამიტომ, როდესაც იურიდიული პირის ორგანოები რაიმე სამართალდარღვევას ხდებიან, ამაში დამნაშავეა არა იურიდიული პირი, როგორც ასეთი, არამედ ინდივიდები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც იურიდიული პირის ორგანოები.“⁷⁰³ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უსაფუძვლოდ ითვლებოდა იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევის ჩადენის უფლება არც ფიზიკურ პირებს გააჩნიათ და იურიდიული პირის მსგავსად, ვერც მათთვის მოხდება ასეთი შინაარსის უფლებამოსილების მინიჭება. შესაბამისად, გაცილებით მართებული ჩანდა იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც *გირკეს* მსგავსად, კატეგორიულად მოითხოვდნენ იურიდიული პირების დელიქტუარობის აღიარებას: „თუ მართლწესრიგი იურიდიულ პირს სამოქმედოდ განუსაზღვრავს ამა თუ იმ სფეროს, დაუსახავს არსებობის მიზანს, შესაბამისად, მას საშუალება ეძლევა, რომ ამავე მიზანს უკანონო გზითაც მიაღწიოს. იურიდიულ პირზე ან ინდივიდზე ვაღიარებულა დაკისრება, მათი დარღვევის შესაძლებლობის გარეშე, შეუძლებელია ისევე, როგორც უფლებათა მინიჭება ყოველთვის უკავშირდება ამ უფლებით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობას.“⁷⁰⁴

პროფესორი *ჯორბენაძე* აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრა მწვავე დავის საგანი იყო საბჭოთა ცივილისტურ მეცნიერებაში. ამასთან, იურიდიული პირის ბრალის ცნება ვერ თავსდება ბრალის ტრადიციული, ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებში, რომელიც სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი.⁷⁰⁵ აქვე

⁶⁹⁹ საკითხი მწვავე პოლემიკის საგანი იყო საბჭოთა ცივილისტურ მეცნიერებაში (იხ. *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 13).

⁷⁰⁰ იხ. მაგ., *Пугинский Б.И.*, Применение Принципа Вины при Регулировании Хозяйственной Деятельности, <<Советское Государство и Право>>, № 10, 1979; *Ойгензихт В.А.*, Воля и Волеизъявление, Душанбе, 1983<<http://goo.gl/jUoEvX>>, [04.04.15]; *Братусь С.Н.*, Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, 164, <<http://goo.gl/WzOZ12>> [11.04.15].

⁷⁰¹ იხ. *Regelsberger*, Pandekten, 291. მოთითებულია: *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав, М., 1913, 12.

⁷⁰² კორპორაციების შესახებ იხ. *დერნბურგი ჰ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 425-427.

⁷⁰³ *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав, М., 1913, 108.

⁷⁰⁴ *Gierke*, Genossenschaftstheorie, 756. მოთითებულია: *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав, М., 1913, 109.

⁷⁰⁵ *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 13.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული შესწავლის საგანი იყო სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი⁷⁰⁶ (1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე სასამართლოები დელიქტური პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდნენ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, ვიდრე სსსრ უმაღლესი სასამართლოს 1943 წლის 10 ივნისის დადგენილების მიღებამდე⁷⁰⁷). მაგ., რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საავადმყოფო პასუხს არ აგებდა ამავე საავადმყოფოში მომუშავე ექიმის არასწორი მკურნალობით მიყენებული ზიანისთვის. სასამართლომ ხსენებული 407-ე მუხლი შეუფარდა ისეთი ზიანის მიყენების შემთხვევასაც კი, რაც სამკურნალო პროცედურით იყო გამოწვეული.⁷⁰⁸

იურიდიულ პირთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას ზოგიერთ ავტორს დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ფიზიკური პირების უფლებების და მოვალეობების მარეგულირებელი ნორმები მექანიკურად გავრცელებულიყო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.⁷⁰⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხი ამგვარად დაისვა: „ან განვსაზღვროთ იურიდიული პირის ბრალის სპეციფიკური ცნება, ანდა ამ ცნებისგან მთლიანად უარი ვთქვათ, როცა საქმე გვაქვს იურიდიულ პირთა სამკურნალო სახელშეკრულებო ურთიერთობის

⁷⁰⁶ იხ. მაგ., *Варшавский К.М.*, Обязательства, Возникающие Вследствие Причинения Другому Вреда, М., 1929; *Шварц Х.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, М., 1939; *Флейшиц Е.А.*, Ответственность Государственных Органов за Имущественный Вред, Причиняемый Должностными Лицами, М., 1948; *Гомберг Б.И.*, Гражданская Ответственность без Вины в Отношениях Внедоговорных по Гражданскому Кодексу, <<Право и Жизнь>>, №1, 1927; *Магазинер Я.М.*, Ответственность Госучреждений за Причиненный Вред (ст. 407 и 403 Гр. Код.), <<Вестник советской юстиции>>, №23, 1926.

⁷⁰⁷ იხ. *Михайленко О.В.*, Имущественная Ответственность за Вред, Причиненный Осуществлением Власти (Теоретические Аспекты и Проблемы ее Реализации на Практике), М., 2007, 49-50, მე-2 სქოლიო, <<https://goo.gl/MfWepw>>, [17.06.15].

⁷⁰⁸ იხ. ჟურნ. <<Советская Юстиция>>, №9, 1937, 52 (საავადმყოფოში უგონოდ მიყვანილმა მოქალაქემ, რომლის მკურნალობის მიზნით გამოყენებულ იქნა სათბურები (ექიმის დანიშნულებით), სხეულის დამწვრობა მიიღო და გამოსაჯანმრთელებლად ექვსთვიანი მკურნალობა დასჭირდა. პაციენტმა სარჩელი აღძრა სამკურნალო დაწესებულების წინააღმდეგ. პირველი ინსტანციის სასამართლომ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი დააკმაყოფილა, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვეტილება შეცვალა და მიუთითა, რომ სასამართლომ ნაცვლად 407-ე მუხლისა (სადაც აღნიშნული იყო, რომ დაწესებულება პასუხს აგებს თანამდებობის პირის არასწორი სამსახურებრივი მოქმედებით მიყენებული მავნებლობისათვის მხოლოდ კანონით ცალკე აღნიშნულ შემთხვევაში თუ ამასთანავე, თანამდებობის პირის ქმედების მცდარობას ცნობს სათანადო სასამართლო ან აღმინისტრაციული ორგანო), არასწორად გამოიყენა კოდექსის 403-ე მუხლი. სასამართლოს განმარტებით, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან კანონში არ არსებობდა მითითება საავადმყოფოს თანამშრომლებზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ. ამგვარად, მოქალაქეს ზიანის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა).

⁷⁰⁹ იხ. *Анисимов Е.В.*, Проблемы Укрепления Плановой и Договорной Дисциплины в Практике Госарбитража и Связи с Юридической Наукой, <<Советское Государство и Право>>, 1985, №4, 33. მითითებულია: *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 13.

მოწესრიგებასთან.“⁷¹⁰ საბოლოო ჯამში შეიქმნა საფრთხე იმისა, რომ საერთოდ უარყოფილიყო იურიდიული პირი, როგორც ინსტიტუტი. მაგ., შორი ფაქტობრივად უარყოფდა იურიდიული პირის ბრალის მნიშვნელობას; მისთვის ცნობილი იყო, რომ ორგანიზაციათა ბრალის კრიტერიუმების შემუშავების მცდელობა, რომელიც განსხვავებული იქნებოდა ფიზიკური პირის ბრალისგან, წარუმატებლად დასრულდა, რადგან ფიზიკური პირის ბრალი ორგანიზაციებზე მექანიკურად გადაჰქონდათ.⁷¹¹ პროფესორ *ჯორბენაძის* სიტყვით, *შორის* მიერ წარმოებულ კვლევაში „სამწუხარო ის არის, რომ ავტორი ადვილად ელევა ბრალის პრინციპს... ეს არის თავისებური სამართლებრივი ნიჰილიზმი. ბრალი ძველმოდური იდეა როდია, რომელიც ადვილად შეიძლება უარჰყო. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ლიტერატურაში ბრალი მიაჩნდათ ბურჟუაზიულ ცნებად და მის დაძლევას ზარზემით ხვდებოდნენ. ეს განვლილი ეტაპია და კვლავ აღარ უნდა განმეორდეს, ვინაიდან იურიდიული პირის ბრალის უარყოფიდან თვით იურიდიული პირის უარყოფამდე სულ ერთი ნაბიჯია... იურიდიული პირის ბრალის პრინციპისაგან ხელის აღება დააყენებდა საკითხსაც არის თუ არა იურიდიული პირი საერთოდ საჭირო, ვინაიდან დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის აქტიური როლი იმაში ვლინდება, რომ იგი როგორც წესი ბრალის პრინციპით არის განსაზღვრული.“⁷¹² საბოლოო ჯამში, პროფესორი *ჯორბენაძე* აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას არ იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს იურიდიული პირის მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობასთან, თუმცა „დელიქტურ ვალდებულებებში მაინც ყველაზე მკვეთრად ჩანს, რომ კონკრეტული პირის ბრალი იმავდროულად იურიდიული პირის ბრალიცაა.“⁷¹³ მნიშვნელოვანია შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის ზუსტი განსაზღვრა, ვინ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ პირთან შრომით (სამსახურებრივ) კავშირში მყოფად და კონკრეტული ქმედება ნამდვილად შედიოდა თუ არა ზიანის მიმყენებლის შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობაში, ადგილი ჰქონდა თუ არა სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებას ან ისეთ ქმედებას, რომელსაც „არაფერი აქვს საერთო პირის შრომითი (სამსახურებრივი) კომპეტენციის განხორციელებასთან.“⁷¹⁴

სსკ-ის 997-ე მუხლი ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, პირი

⁷¹⁰ *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 13.

⁷¹¹ იხ. *Шор Л.М.*, Совершенствование Договорно-правовых Отношений в Сфере Материально-технического Снабжения, <<Советское государство и право>>, №3, 1973, 50. მითითებულია: *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 14.

⁷¹² აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის უფლებამოსილების „აბსტრაქტული განსაზღვრა, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ცალკეულ მოქალაქეთა უფლებაუნარიანობისაგან... სწორედ ამ ცნების ისტორიული და ლოგიკური ცხოველუნარიანობის დამადასტურებელია“ (*ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 15).

⁷¹³ *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985, 20.

⁷¹⁴ იქვე, 21.

ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ გსკ-ის და ასევე, სსკ-ის წინამორბედი კოდექსების (1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის და 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის) მსგავსად, სსკ-ში სამედიცინო დაწესებულების დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმა (სსკ-ის 1007-ე მუხლი) არ იქნებოდა მოცემული, მაშინ სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი სსკ-ის 992-ე და 997-ე მუხლების შესაბამისად გადაწყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ში მოცემულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ 997-ე მუხლი, კანონმდებლის გადაწყვეტილებით ცალკე გამოიყო სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევები და საკითხი სპეციალური ნორმით მოწესრიგდა.

ვინაიდან სსკ-ის 997-ე მუხლში კანონმდებელი იყენებს ტერმინს *პირი*, იგულისხმება, რომ აქ უნდა მოვიხილოთ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირები⁷¹⁵).

სსკ-ში კანონმდებელი მუშაკის ცნებას არ განმარტავს. 997-ე მუხლში მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მუშაკი გულისხმობს პირს, რომელიც სამუშაოს მიმცემთან (დამსაქმებელთან) იმყოფება შრომით (სამსახურებრივ) ურთიერთობაში.

სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების პირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი.⁷¹⁶

პროფესორ *ჩიკვაშვილის* სიტყვით, „მუშაკად“ მიიჩნევა არა მხოლოდ ის პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე, არამედ ისიც, რომელიც ასრულებს სამუშაოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით.“⁷¹⁷ ამასთან, ვინაიდან „იურიდიული პირის საქმიანობა წარმოადგენს მისი წევრების საქმიანობას, მისი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ წევრის (მუშაკის) მოქმედებაში არის სამოქალაქო სამართალდარღვევის ყველა ელემენტი, რაც აუცილებელია დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის: მიზეზობრივი კავშირი, მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი.“⁷¹⁸

სსკ-ის 1007-ე მუხლს გსკ-ში ანალოგი არ მოეპოვება, მაგრამ შეიცავს სსკ-ის 997-ე მუხლის ანალოგს, კერძოდ, 831-ე მუხლს („დავალების შემსრულებლის პასუხისმგებლობა“). *კროპოლერის*

⁷¹⁵ იხ. *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.*, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(37), 2013, 16.

⁷¹⁶ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 381.

⁷¹⁷ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 401.

⁷¹⁸ იქვე, 402.

განმარტებით, 831-ე მუხლში მოცემული ნორმა ადგენს მარწმუნებლის მიერ საკუთარი ბრალეულობით ვალდებულების დარღვევას, კერძოდ, დავალების შემსრულებლის უყურადღებო შერჩევას ან მისი საქმიანობის არაჯეროვან კონტროლს. ამასთან, პასუხისმგებლობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ „მარწმუნებლის ბრალი დავალების შემსრულებლის შერჩევისას და მისი მიზეზობრივი კავშირი ზიანის დადგომასთან ივარაუდება.“⁷¹⁹ აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „მარწმუნებლის სავარაუდო ბრალეულობის გამო... პასუხისმგებლობა დამხმარე პირის ბრალეულობაზე, როგორც წესი, დამოკიდებული არ არის; ამდენად, იგი, ჩვეულებრივ, არ საჭიროებს მტკიცებას. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ნორმის დაცვის მიზანზე მითითებით გამორიცხავს შემთხვევებს, რომლებშიც დამხმარე პირმა ისე იმოქმედა, როგორც იმოქმედებდა ნებისმიერი გულმოდგინედ შერჩეული და გაკონტროლებული პირი.“⁷²⁰

როგორც სსკ 997-ე მუხლით, ისე 1007-ე მუხლით დადგენილია პირის (სამუშაოს მიმცემის, დამსაქმებლის) თუ სამედიცინო დაწესებულების ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. გსკ-ის 831-ე მუხლისგან განსხვავებით, დაეკისრება თუ არა პირს (სამუშაოს მიმცემს, დამსაქმებელს) პასუხისმგებლობა 997-ე მუხლის ძალით, ეს ცალსახად დამოკიდებულია მუშაკის ბრალეულობაზე (ნორმის მეორე წინადადება) ანუ გსკ-ის 831-ე მუხლისგან განსხვავებით, სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუშაკის ბრალს აქვს გადაამწყვეტი მნიშვნელობა სამუშაოს მიმცემის (დამსაქმებლის) პასუხისმგებლობისთვის.

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, როგორც 997-ე, ისე 1007-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში როგორც წესი, სამუშაოს მიმცემი (დამსაქმებელი) თუ სამედიცინო დაწესებულება არის მოპასუხე მხარე.⁷²¹ ამ დროს „ზიანის უშუალო მიმყენებლის“ (მუშაკის თუ სამედიცინო პერსონალის, მაგ., ექიმის) განზრახვა ან გაუფრთხილებლობა დგინდება დავაზე სამართალწარმოების განხორციელების შედეგად.

მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ თუ რა პრინციპული მნიშვნელობის სხვაობა არსებობს სსკ-ის 997-ე და გსკ-ის 831-ე მუხლებს შორის. 831-ე მუხლით დადგენილია პასუხისმგებლობა მარწმუნებლის საკუთარი ბრალისთვის, რაც გამოიხატება დავალების შემსრულებლის უყურადღებო შერჩევაში ან მისი საქმიანობის არაჯეროვან კონტროლში. ამასთან, მარწმუნებელს შეუძლია პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მტკიცება (იხ. გსკ-ის 831-ე მუხლში მოცემული ნორმის

⁷¹⁹ კროპოლევი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 653.

⁷²⁰ იქვე, 653-654.

⁷²¹ პროფესორ ჩიკვაშვილის მტკიცებით, „დავის წარმოშობის შემთხვევაში, მოპასუხედ მოცემულ შემთხვევაში, გამოვა პასუხისმგებელი პირი, ხოლო ზიანის უშუალო მიმყენებელი – მუშაკი ჩართული იქნება საქმეში, როგორც მესამე პირი“ (ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 402). ავტორის სიტყვით, „997-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაზარალებული უფლებამოსილი არაა უშუალოდ მუშაკისადმი წარადგინოს მოთხოვნა მის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე“ (იქვე, 402-403).

მეორე წინადადება). *კროპოლერის* სიტყვით, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემდეგი ორი გზა არსებობს: 1. წარდგენილ იქნეს მტკიცებულება იმისა, რომ მარწმუნებელს ვალდებულება არ დაურღვევია (მაგ., ისეთი ფაქტების მოყვანით, რაც დამხმარე პირის გულმოდგინედ შერჩევასა და კონტროლზე მიუთითებს) და 2. მარწმუნებლის მიერ გაბათილდეს ე.წ. პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის არსებობის პრეზუმფცია. ამით მარწმუნებელი აჩვენებს, რომ დავალების შემსრულებლის გულმოდგინედ შერჩევის და ა. შ. შემთხვევაშიც კი ზიანი მაინც დადგებოდა, „მაგ., იმ მტკიცებულებით, რომ გულმოდგინედ შერჩეული დამხმარე პირიც ანალოგიურად იმოქმედებდა.“⁷²²

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გსკ-ის 831-ე მუხლში მოცემული ნორმა იმავე კოდექსის 278-ე მუხლისგან („მოვალის პასუხისმგებლობა მესამე პირის ქმედებაზე“) განსხვავებით (გსკ-ის 278-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში „დამხმარე პირების ქმედება განიხილება თავად მოვალის ქმედებად“⁷²³), არ წარმოშობს მარწმუნებლის ვალდებულებას სხვა პირის ბრალეულობისთვის; ნორმა ადგენს მარწმუნებლის მიერ საკუთარი ბრალეულობით ვალდებულების დარღვევას.⁷²⁴ აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 396-ე მუხლი („მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის“) წარმოადგენს გსკ-ის 278-ე მუხლის ანალოგს. 396-ე მუხლში მოცემული ნორმა „ე.წ. დამხმარე ნორმაა, რომლის მეშვეობითაც ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ერთი წინაპირობის (მოვალის საკუთარი ბრალეული მოქმედება) ჩანაცვლება სხვის ბრალეულ მოქმედებაზე პასუხისგებით.“⁷²⁵

831-ე მუხლისგან განსხვავებით, სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემი (დამსაქმებელი) პასუხს აგებს თავისი და არა სხვისი ბრალისთვის. მუშაკის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც თავად სამუშაოს მიმცემის (დამსაქმებლის) ქმედება.⁷²⁶

წინამდებარე ნაშრომში წარმოებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 997-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემის (დამსაქმებლის) და მასთან ერთად, მუშაკის მიმართ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია. ამ მოსაზრების მართებულობაზე მიუთითებს პროფესორების, *ლუტრინგაუსისა* და *ბილინგის* მსჯელობაც, სადაც აღნიშნულია, რომ სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით „ა“ (მარწმუნებელი) პასუხს აგებს სხვა პირის ბრალეულობაზე, კერძოდ კი – „ც“-ს (მუშა, რომლის უყურადღებობის გამო გადმოყირავდა საღებავიანი ჭურჭელი და დააზიანა გამვლელი „დ“-ს ტანსაცმელი) ბრალეულ მოქმედებაზე და „997-ე მუხლის მე-2 წინადადების მიხედვით, სწორედ აღნიშნული ბრალეულობა ივარაუდება.“⁷²⁷ ავტორთა სიტყვით,

⁷²² *კროპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 654.

⁷²³ იქვე, 157.

⁷²⁴ იქვე.

⁷²⁵ *ბილინგი პ., ლუტრინგაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 60.

⁷²⁶ *ხიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 401.

⁷²⁷ *ბილინგი პ., ლუტრინგაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 60.

„ა“-ს პასუხისმგებლობის განხილვისას, განმსაზღვრელია „ც“-ს ბრალეული მოქმედება და „არა იმის გარკვევა, იმოქმედა თუ არა ბრალეულად მარწმუნებელმაც, განსაკუთრებით კი, მისი მუშაკების შერჩევისა და ზედამხედველობისას!“⁷²⁸

სსკ-ის 997-ე მუხლის მეორე წინადადება და 1007-ე მუხლის მეორე წინადადება ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია. კერძოდ, როგორც მუშაკის (997-ე მუხლი), ისე სამედიცინო დაწესებულების პერსონალის (მაგ., ექიმის) ბრალი ივარაუდება (მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფციას), ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

სსკ-ის 997-ე და 1007-ე მუხლის ფარგლებში დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს ზიანის და მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ხოლო მოპასუხე (ზიანის მიმყენებელი) უფლებამოსილია, ამტკიცოს მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობა.

6. დოქტრინა *Res Ipsa Loquitur*. გაუფრთხილებლობის ცნება

იმ შემთხვევაში თუ მხარე, რომელსაც მტკიცების ტვირთი აწევს, მისთვის ხელსაყრელ გარემოებებს ვერ დაამტკიცებს, შესაძლოა საქმის განხილვა არასასურველი შედეგით დასრულდეს: „ეს ის შემთხვევებია, როცა მხარე ან საერთოდ არ წარადგენს მტკიცებულებას, ან წარდგენილი მტკიცებულებით ვერ მოახერხებს მოსამართლის დარწმუნებას“. ⁷²⁹ ამასთან, „ფაქტების მითითების ტვირთი და ამ ფაქტების მტკიცების ტვირთი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს.“ ⁷³⁰ საკითხის შედარებითსამართლებრივი კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა ანგლო-ამერიკულ დელიქტურ სამართალში გავრცელებული დოქტრინა *Res Ipsa Loquitur*^{731 732}.

როგორც აღინიშნა, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მტკიცებით, „საექიმო შეცდომისთვის ექიმს არ ეკისრება სისხლის სამართლის ან დისციპლინური პასუხისმგებლობა.“⁷³³ აქვე ციტირებულია *პიროგოვის* ⁷³⁴ მოსაზრება („წესად ვაქციე, კათედრაზე ჩემი პირველი ასვლისას არაფერი დავუმალო ჩემს მოწაფეებს; ვალიარო... დაშვებული

⁷²⁸ იქვე, 61. ავტორთა სიტყვით, „თუ ეს ბრალეულობაც წარმოადგენს განსჯის საგანს, რადგან „ა“-მ დაიქირავა თავისი ნაცნობი ლოთი, რომლისგანაც სავსებით მოსალოდნელი იყო საღებავის ხარაზოდან გადმოღვრა, მაშინ განხილვა სსკ-ის 997-ე მუხლის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საკუთარ ბრალეულობაზე“

⁷²⁹ *კერმანი თ.*, მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი), თბ., 2016, 10.

⁷³⁰ *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, 197.

⁷³¹ ლათ. „საგანი თავის თავზე საუბრობს“ (იხ. Wex Legal Dictionary (Cornell Law School, The Legal Information Institute), <<https://goo.gl/KI2dVA>>, [03.09.16].

⁷³² იხ. *Prosser W.L.*, Res Ipsa Loquitur in California, “California Law Review”, Vol. 37, Issue 2, June, 1949, <<https://goo.gl/KSS3We>>, [15.07.16]; ასევე, *Johnson M.R.*, Rolling the “Barrel” a Little Further: Allowing Res Ipsa Loquitur To Assist in Proving Strict Liability in Tort Manufacturing Defects, “William & Mary Law Review”, Vol. 38, Issue 3, 1197-1198; 1997, <<http://goo.gl/XULZbh>>, [15.07.16]; *Carpenter C.E.*, The Doctrine of Res Ipsa Loquitur, “University of Chicago Law Review”, Vol. 1, Issue 4, 1934, <<https://goo.gl/06eDar>>, [15.07.16].

⁷³³ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების სტატია: *შავია მ., ღვამიჩავა რ., ბაქრაძე ი.*, ეთიკა ონკოლოგიაში, *ქურნ.* „თანამედროვე მედიცინა“, №16, მაისი-ივნისი, 2010, <<http://goo.gl/12QbKe>>, [15.02.14].

⁷³⁴ *Никола́й Ива́нович Пирого́в*, 1810 – 1881; რუსი ქირურგი, პროფესორი.

შეცდომა, იქნება ეს დიაგნოზის დასმის თუ დაავადების მკურნალობისას“⁷³⁵) და აღნიშნულია: „ვალიართ შეცდომები კოლეგებთან და არა ავადმყოფებთან და ნათესაებებთან, მით უმეტეს, იურისტებთან. არ შეიძლება მედიცინის კორპორაციულობის დაუსრულებლად ნგრევა.“⁷³⁶

ზოგადად, *დოქტრინა Res Ipsa Loquitur* ეფექტურ საშუალებად განიხილება სწორედ ე.წ. „კორპორაციული სოლიდარობის“⁷³⁷ მოვლენის წინააღმდეგ (მრავალი ექიმი მხარს უჭერს თავის კოლეგას, თუნდაც იცოდეს, რომ ჩადენილია დანაშაული).⁷³⁸

Res Ipsa Loquitur წარმოადგენს მტკიცებულებითი სამართლის (და არა მატერიალური სამართლის⁷³⁹) ნორმას⁷⁴⁰ პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის საქმეებზე⁷⁴¹ და გულისხმობს, რომ ზიანის მომტანი ქმედება განხორციელებულია მოპასუხე მხარის (სამედიცინო მომსახურების გამწვევი სუბიექტის) გაუფრთხილებლობით,⁷⁴² ანუ საქმე გვაქვს ბრალეულობის ე.წ. სადავო პრეზუმფციასთან,⁷⁴³ რა დროსაც ბრალეულობა ივარაუდება, ვიდრე მოპასუხე მხარე საწინააღმდეგოს დაამტკიცებს.⁷⁴⁴ როდესაც პირის ჯანმრთელობას ადგება ზიანი და არ არსებობს ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ პირდაპირი მტკიცებულება, *Res Ipsa Loquitur* პრინციპი გულისხმობს, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის საკმარისია არაპირდაპირი მტკიცებულების არსებობა.⁷⁴⁵

⁷³⁵ *Пурогов Н. И.*, Вопросы Жизни. Дневник Старого Врача (ხელნაწერი თარიღდება 1881 წლით), <<https://goo.gl/W8qtdj>>, [05.08.16]. მითითებულია: *შავდია მ., ღვაშიჩავა რ., ბაქრაძე ი.*, ეთიკა ონკოლოგიაში, ჟურნ. „თანამედროვე მედიცინა“, №16, მაისი-ივნისი, 2010.

⁷³⁶ *შავდია მ., ღვაშიჩავა რ., ბაქრაძე ი.*, ეთიკა ონკოლოგიაში, ჟურნ. „თანამედროვე მედიცინა“, №16, მაისი-ივნისი, 2010.

⁷³⁷ ინგ. „Corporate Solidarity“.

⁷³⁸ იხ. *Fishman P.*, „Res Ipsa Loquitur“ in Medical Negligence Legal Practice, April 1, 2016, <<http://goo.gl/uykdJf>>, [01.08.16].

⁷³⁹ იხ. გადაწყვეტილებები: *Benedict v. Eppley Hotel Co.*, 161 Neb. 280, 283, 73 N.W.2d 228, 230, (1955); *Security Ins. Co. v. Omaha Coca-Cola Bottling Co.*, 157 Neb. 923, 925, 62 N.W.2d 127, 129 (1954). მითითებულია: *Johnson S.C.*, Res Ipsa Loquitur: Pleading Acts of Negligence: Nuclear Corp. of America v. Lang, 338 F. Supp. 914 (D. Neb. 1972), „Nebraska Law Review“, Vol. 52, №3, 1973, 406, <<https://goo.gl/SFf9aE>>, [01.08.16]; აგრეთვე, იხ. *Harper F.V.*, Book Review: Res Ipsa Loquitur: Presumptions and Burdens of Proof, „Virginia Law Review“, Vol. 32, 1945, 211, <<https://goo.gl/Sr76G5>>, [30.08.16].

⁷⁴⁰ ინგ. „Rule of Evidence“; იხ. *Sharma B.R.*, Medical Negligence: an Overview of the Opinions and the Controversies, „Anil Aggrawal's Internet Journal of Forensic Medicine and Toxicology“, Vol. 8, №2, July-December, 2007, <<http://goo.gl/hQNUds>>, [01.08.16].

⁷⁴¹ ინგ. „Personal Injury Law.“

⁷⁴² სიფრთხილის დაცვის მოვალეობის (ინგ. „Duty of Care“) შესახებ იხ. *დონაჰიუ სტივენსონის წინააღმდეგ (Donoghue v Stevenson, AC 562, (1932)*, <<http://goo.gl/cDY0TV>>, [31.08.16]; აგრეთვე: *Bryden D., Storey I.*, Duty of Care and Medical Negligence, „Oxford Journals“, Medicine & Health BJA, CEACCP, Vol. 11, Issue 4, 124-127, <<http://goo.gl/UtneQK>>, [31.08.16].

⁷⁴³ ინგ. „Rebuttable Presumption.“

⁷⁴⁴ იხ. Thomson Reuters Business, Res Ipsa Loquitur, <<http://goo.gl/BChznU>>, [01.08.16].

⁷⁴⁵ იხ. *Prosser W.L.*, Res Ipsa Loquitur in California, „California Law Review“, Vol. 37, Issue 2, June, 1949, 191, <<https://goo.gl/KSS3We>>, [15.07.16]; California Civil Jury Instructions, Special Doctrines: Res Ipsa Loquitur, New September 2003; Revised June 2011, December 2011, <<https://goo.gl/ZrCHHc>>, [08.08.16]; აგრეთვე იხ. *McBratney W.H.*, Res Ipsa Loquitur, „Washington University Law Review“, Issue 4, 1952, <<https://goo.gl/306WJQ>>, [15.07.16]; *Konig A.H.*, Tort Law – Res Ipsa Loquitur in Medical Malpractice Actions: *Mireles v. Broderick*, „New Mexico Law Review“, Vol. 23, 1993, <<https://goo.gl/r0F0Yu>>, [10.08.16]; *Grady M.F.*, Res Ipsa Loquitur and Compliance Error, „University of Pennsylvania Law Review“, Vol. 142, №3, 889, <<https://goo.gl/Q89Me2>>, [10.08.16].

სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ პაციენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე ე.წ. *Res ipsa loquitur* პრინციპის მიზანია, დაზარალებულს (პაციენტს) გაუმარტივოს საქმის წარმოება, რამდენადაც მტკიცება იმისა, რომ ზიანი მიყენებულია სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალით, მეტად რთულია.⁷⁴⁶ აღნიშნული პრინციპის უკეთ გასაგებად, როგორც წესი, მაგალითად მოჰყავთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ქირურგიული ოპერაციის დროს, პაციენტის ორგანიზმში რჩება სამედიცინო ინსტრუმენტი (სამედიცინო დანიშნულების რაიმე საგანი, მაგ., ტამპონი. იხ. გადაწყვეტილება საქმეზე *მაონი ოსბორნის წინააღმდეგ*⁷⁴⁷).⁷⁴⁸

დოქტრინა Res ipsa loquitur ითვალისწინებს რამდენიმე პირობას. კერძოდ, 1. საქმე უნდა ეხებოდეს ისეთი ხასიათის ინციდენტს, რომელსაც ჩვეულებრივ, ადგილი არ ექნებოდა, რომ არა ამა თუ იმ სუბიექტის მიერ გამოვლენილი გაუფრთხილებლობა; 2. ინციდენტი გამოწვეული უნდა იყოს ისეთი საშუალებით, რომელიც იმყოფებოდა მოპასუხის კონტროლქვეშ⁷⁴⁹ და 3. დაზიანება გამოწვეული უნდა იყოს მოსარჩელის რაიმე სახის თვითნებური ქმედებისგან დამოუკიდებლად.⁷⁵⁰

ზოგადად მოქმედებს წესი, რომლის თანახმად, გაუფრთხილებლობა არ ივარაუდება (არ მოქმედებს გაუფრთხილებლობის პრეზუმფცია), „გაუფრთხილებლობა ყოველთვის არის ფაქტი, რომელიც უნდა დამტკიცდეს და არასოდეს ხდება მისი პრეზუმირება“⁷⁵¹ (დელიქტურ სამართალში გაუფრთხილებლობის მტკიცების ტვირთი აწევს მას, ვინც ამტკიცებს, რომ ზიანი მიადგა⁷⁵²), მაგრამ *დოქტრინა Res ipsa loquitur* წარმოადგენს გამონაკლისს ზემოხსენებული ზოგადი წესიდან.⁷⁵³

⁷⁴⁶ იხ. *Goguen D.*, When a Doctor's Negligence "Speaks for Itself", <<http://goo.gl/GJVRfD>>, [01.08.16]; *Fishman P.*, "Res Ipsa Loquitur" in Medical Negligence Legal Practice, April 1, 2016, <<http://goo.gl/uykdJf>>, [01.08.16]; *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002, 426.

⁷⁴⁷ პაციენტი გარდაიცვალა აბდომინალური ოპერაციის შემდეგ, მოკლე დროში. გვამის გამოკვლევით დადგინდა, რომ სხეულში ჩატოვებული იყო სამედიცინო ტამპონი (იხ. *Burden of Proof, Mahon v Osborne* [1939], 1 All ER 535, CA <<https://goo.gl/IvjqlI>>, [01.08.16].

⁷⁴⁸ იქვე. აგრეთვე, იხ. *Harland J.H.*, Res Ipsa Loquitur in Malpractice Cases in Canada, "Cleveland State Law Review", 302-303; 1961, <<http://goo.gl/wXTgMx>>, [14.07.16]; *Patel B.*, Medical Negligence and Res Ipsa Loquitur in South Africa, "South African Journal of Bioethics and Law", Vol. 1, №2, December 2008, <<http://goo.gl/HF0i62>>, [14.07.16]; *Tobin P.C.*, 25 Doctrines of Law You Should Know, 2007, 3; *Anderson J.*, What to Do if a Surgical Instrument is Left Inside of You, May 13th, 2013, <<http://goo.gl/CkJDeo>>, [12.07.16].

⁷⁴⁹ იხ. *Raber v. Tumin* [1951], 36 Cal.2d 654, <<http://goo.gl/RfXmi0>>, [01.08.16]; *Steenon M.K.*, A Comparative Analysis of Minnesota Products Liability Law and the Restatement (Third) of Torts: Products Liability, "William Mitchell Law Review", 1998, 34-46, <<https://goo.gl/ELqctL>>, [13.08.16]; *Heckel F.E., Harper F.V.*, Effect of Doctrine of Res Ipsa Loquitur, "Illinois Law Review", 1928, 725, <<https://goo.gl/7A7GZ9>>, [16.08.16].

⁷⁵⁰ იხ. *Fricke G.L.*, The Use of Expert Evidence in Res Ipsa Loquitur Cases, "Villanova Law Review", Vol. 5, Issue 1, 1959, 59, <<https://goo.gl/ilnWHx>>, [03.08.16]; *Raber v. Tumin* [1951], 36 Cal.2d 654, <<http://goo.gl/RfXmi0>>, [01.08.16].

⁷⁵¹ Negligence - Res Ipsa Loquitur - Burden of Proof (Comment on Recent Judicial Decisions), "Washington University Law Review", Vol. 13, Issue 2, 157, <<https://goo.gl/e0B5js>>, [19.08.16].

⁷⁵² იხ. *Heckel F.E., Harper F.V.*, Effect of Doctrine of Res Ipsa Loquitur, "Illinois Law Review", 1928, 724, <<https://goo.gl/7A7GZ9>>, [16.08.16].

⁷⁵³ იხ. *Finger D.L., Finger L.J.*, The Delaware Trial Handbook (Online Edition), <<https://goo.gl/b5iX9v>>, [10.08.16]; აგრეთვე იხ. *Carver v. El-Sabawi*, 107 P.3d 1283 (2005), <<https://goo.gl/F3cjiM>>, [19.08.16].

რაც შეეხება გაუფრთხილებლობის ცნებას, გაუფრთხილებლობით ჩადენილ დელიქტზე მსჯელობისას იგულისხმება, რომ მხარეს შეეძლო გათვალისწინებინა მოსალოდნელი ზიანი, ალბათობის მაღალი ხარისხით. გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მხარე მოქმედებით ან უმოქმედობით ქმნის ზიანის მიყენების არაკეთილგონივრულ რისკს. ერთი შეხედვით, როგორც გაუფრთხილებლობა, ისე განზრახვა ასახავს დელინკენტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ განხორციელებულ ქმედებათა მოსალოდნელი შედეგებისადმი, მაგრამ ამგვარი მიდგომის შემთხვევაში, დამრღვევთა წრეში აღმოჩნდებოდნენ მხოლოდ დაუდევარი⁷⁵⁴ ან უყურადღებო⁷⁵⁵ პირები. *ბარნემი* აღნიშნავს, ამ შემთხვევაში პრეზუმირებულია ის ფაქტი, რომ როგორც წესი, საზოგადოების ყოველმა წევრმა იცის, მისი რომელი მოქმედება თუ უმოქმედობა ქმნის ზიანის მიყენების არაკონივრულ რისკს.⁷⁵⁶ შესაბამისად, დელიქტური სამართლის ნორმების კრებულის 282-ე პარაგრაფით გაუფრთხილებლობა განისაზღვრება, როგორც ქმედება, რომელიც არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზრუნვის სტანდარტს, რომლის მიზანია „სხვა პირთა დაცვა ზიანის მიყენების არაკონივრული რისკისგან“⁷⁵⁷ (დელინკენტის სუბიექტურ დამოკიდებულებას მის მიერ განხორციელებული ქმედებისადმი რაიმე სამართლებრივად მნიშვნელოვანი დატვირთვა არ აქვს). ამგვარად, გაუფრთხილებლობა გულისხმობს ზრუნვის ვალდებულების დარღვევას.⁷⁵⁸

მოკლე დასკვნა

1. საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში მოხსენიებული *პროფესიული შეცდომის* საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს. *დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი* არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას ახორციელებს.⁷⁵⁹ ამავე კანონის 97-ე მუხლის თანახმად, *დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი* უფლებამოსილია, დაახლვიოს *პროფესიული შეცდომა*, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი მიადგება. *დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის* საკანონმდებლო დეფინიციის (უმაღლესი სამედიცინო განათლების და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგებზეც ის კანონმდებლობით დადგენილი წესით აგებს პასუხს⁷⁶⁰) საფუძველზე *პროფესიული შეცდომა* შეიძლება განვმარტოთ, როგორც *დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის* მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში დაშვებული შეცდომა, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან

⁷⁵⁴ ინგ. “Careless”.

⁷⁵⁵ ინგ. “Inattentive”.

⁷⁵⁶ იხ. *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002, 424.

⁷⁵⁷ Restatement (Second) of Torts, §282, American Law Institute 1965. მოითხოვება: *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002, 424.

⁷⁵⁸ იხ. *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002, 424.

⁷⁵⁹ საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ვ“ მუხლი.

⁷⁶⁰ საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ბ“ მუხლი.

არაქონებრივი ზიანი მიადგა. ცხადია, აღნიშნული განმარტება საკმარისი არ არის კონკრეტული ქმედების პროფესიულ შეცდომად კვალიფიკაციისთვის, ვინაიდან უშუალოდ *შეცდომის* ცნება, ის კრიტერიუმები, რაც საშუალებას მოგვცემს, ზედმიწევნით ზუსტად გავმიჯნოთ მცდარი და უშეცდომო ქმედება, კვლავ დასადგენი რჩება.

სსკ შეცდომის ცნებას არ განმარტავს, ისევე, როგორც არ განმარტავს განზრახვის, უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებებს. თუ სამართლის მეცნიერები მიუთითებენ, რომ ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შინაარსს, უნდა ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით, ⁷⁶¹ მაშინ კერძო სამართლის ფარგლებში ქმედების შეცდომად კვალიფიკაციისას (და ასევე, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული მცდარი სამედიცინო ქმედების შესახებ მსჯელობისას) მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მიუტყვებელი და მისატყვებელი (რომელიც პირს ბრალად არ შეერაცხება) შეცდომის ცნებები, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლშია მოცემული და პროფესორ *გამყრელიძის* განმარტება, რომლის თანახმად, „იმ შემთხვევაში, როცა ვლაპარაკობთ შეცდომაზე სისხლის სამართალში, ყოველთვის განუზრახველი ქმედება უნდა ვიგულისხმოთ. ეს არის შემთხვევა, როცა შედეგი მოქმედის განზრახვით არ არის გამოწვეული. შეცდომა კი ორგვარია: მისატყვებელი და მიუტყვებელი. სწორედ მიუტყვებელი შეცდომა გახლავთ გაუფრთხილებლობა.“ ⁷⁶² ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, სსკ-ის ზოგად ნაწილში ჩამოყალიბდეს შეცდომის ერთიანი ცნება იმგვარად, რომ არ დაირღვეს „ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი.“⁷⁶³

სწორედ ერთიანი მართლწესრიგის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია სამედიცინო მომსახურების გამწვევის სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგოდ შეფასებული ქმედება (მიუტყვებელი შეცდომა, გაუფრთხილებლობა) მართლზომიერად შეფასდეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში ⁷⁶⁴ (ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით (შეიძლება დადგეს სამედიცინო მომსახურების გამწვევის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს)⁷⁶⁵; იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ განხორციელებულ ქმედებას ადმინისტრაციული ან სამოქალაქო

⁷⁶¹ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 386.

⁷⁶² *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 121.

⁷⁶³ *მადლაკელიძე ლ.*, მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 231, <<http://goo.gl/ndGi6m>>, [16.04.15].

⁷⁶⁴ იქვე.

⁷⁶⁵ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387.

სამართალი მართლზომიერად აცხადებს, ის სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მართლსაწინააღმდეგოდ ვერ შეფასდება⁷⁶⁶).

2. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული ტერმინი *მცდარი სამედიცინო ქმედება* (რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა) უდავოდ გულისხმობს განუზრახველ ქმედებას (თუ პირი განზრახ მოქმედებდა, მაშინ ქმედება აღარ ექცევა ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული *მცდარი სამედიცინო ქმედების* ფარგლებში). რაც შეეხება გაუფრთხილებლობას (გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენებას), სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მისი ბრალად შერაცხვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება,⁷⁶⁷ ხოლო სსკ-ის 1007-ე მუხლის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულების დაკისრებისთვის საკმარისია, დადგინდეს მსუბუქი გაუფრთხილებლობა.

მიზანშეწონილია, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლიდან ამოღებულ იქნეს ლექსიკური ერთეული „უნებლიედ“ და ჩანაცვლდეს შესაბამისი ტერმინით (მაგ., ტერმინით „არაგანზრახ“ ან „განუზრახველად“).

3. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში გვხვდება როგორც *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი*, ისე *სამედიცინო პერსონალი*. ამჟამად კანონში მოცემულია მხოლოდ *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის* საკანონმდებლო დეფინიცია. მიზანშეწონილია, კანონის მე-3 მუხლში განხორციელდეს იმგვარი ცვლილება, რომ ნათელი გახდეს თუ ვინ მიეკუთვნება *სამედიცინო პერსონალს*, ვინ არის *მედიცინის მუშაკი* და *სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი*. ცვლილების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ამავე კანონის მე-3 „ო“ მუხლში *ექიმი* ჩანაცვლდეს შესაბამისი, მაგ., *სამედიცინო პერსონალის* ცნებით. ამგვარი ცვლილების აუცილებლობას ადასტურებს ამავე კანონის 58-ე II მუხლი, რომელიც ფონდის შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს „მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისთვის“, რომელიც იქმნება არა მარტო ექიმის, არამედ სამედიცინო პერსონალის შენატანებისგან (და კანონმდებლობით ნებადართული სახსრებისგან). ცვლილება შესაბამისად უნდა აისახოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლში მოცემული ნორმის შინაარსზე (ამჟამინდელი რედაქციით, „მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ექიმი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით“).

4. გაზიარებულ უნდა იქნეს აზრი იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვანია ზოგიერთი სახის სამედიცინო მომსახურების და სამკურნალო საშუალებების მომეტებული საფრთხის წყაროსთვის მიკუთვნების საკითხის კვლევა და კვლევის შედეგების საკანონმდებლო აქტებში ასახვა.⁷⁶⁸

⁷⁶⁶ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008, 193.

⁷⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე III მუხლი.

⁷⁶⁸ იხ. *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 204.

5. უარყოფილ უნდა იქნეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომლის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით „მცდარი სამედიცინო ქმედება არის ექიმის არასათანადო მოქმედება (უმოქმედობა) ბრალის გარეშე, რომლითაც ზიანი მიადგა პაციენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, ექიმს ჰქონდა სხვაგვარად რომ მოქცეულიყო“⁷⁶⁹ და მოსაზრება, რომლის თანახმად, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული *მცდარი სამედიცინო ქმედება* წარმოადგენს ბრალის გარეშე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.⁷⁷⁰

6. წინამდებარე კვლევით გამოიკვეთა ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხთან მიმართებით არსებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, როგორც არის ბრალეულობის პრეზუმფცია სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე. სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის საფუძველს, რომ კერძო სამართლის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების გამწვევის (ექიმის, ექთნის, სამედიცინო დაწესებულების და ა.შ.) მიმართ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია (მოპასუხის ბრალი ივარაუდება, ვიდრე მის მიერ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო), რომლის საპროცესო მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების (სასამართლო შესაბამისად განსაზღვრავს ფაქტებს, რომლებიც მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს და ფაქტებს, რომლებიც მოპასუხემ უნდა ამტკიცოს⁷⁷¹) საკითხს, ხოლო სსკ-ის 102-ე I მუხლით დადგენილ წესს და სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას შორის არ არსებობს რაიმე სახის წინააღმდეგობა.

წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია მსჯელობა, რომლის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი და ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, ვიდრე არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს.⁷⁷² აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, რომ სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ბოლო წინადადება („ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“) განთავსდეს სსკ-ის 992-ე მუხლში (სადაც მოცემულია ზიანის მიყენების შედეგად დელიქტური ვალდებულების წარმოქმნის ზოგადი წესი) და ჩამოყალიბდეს მაგ., შემდეგი რედაქციით: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.“

⁷⁶⁹ იქვე, 120.

⁷⁷⁰ იქვე, 199.

⁷⁷¹ იხ. *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, 196.

⁷⁷² იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387.

საკითხი საჭიროებს შემდგომ საფუძვლიან კვლევას არა მარტო სსკ-ის 1007-ე მუხლის, არამედ მთლიანად კერძო სამართლის ფარგლებში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

თავი VI. სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალი. განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები

სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის ანალიზის მიზნით საჭიროა, ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა შესახებ მოძღვრებისთვის ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტის კვლევა, როგორც არის ბრალი; ამასთან, მნიშვნელოვანია, დადგინდეს *განზრახვისა* და *გაუფრთხილებლობის* ცნებათა შინაარსი (სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სსკ-ის 1007-ე მუხლიდან „თავისთავად გამომდინარეობს დებულება იმის თაობაზე, რომ სამედიცინო დაწესებულების მუშაკის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი და ის ეკისრება სამედიცინო დაწესებულებას“⁷⁷³).

სამოქალაქო სამართალდარღვევის ცნება, ზოგადი განმარტებით, მოქმედი სამოქალაქო სამართლის, მისი ნორმების დარღვევას გულისხმობს. როგორც აღინიშნა, მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთება სავალდებულო ნიშნები, რომელთა ერთობლიობა სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას ქმნის. ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს სუბიექტური და ობიექტური. სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს მიეკუთვნება მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის.⁷⁷⁴ რაც შეეხება სამართალდამრღვევის ბრალს, ის სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს მიეკუთვნება. საკმარისია დასახელებული ნიშნებიდან ერთის არარსებობა მაინც და პასუხისმგებლობის საკითხიც არ დადგება. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დომინირების მიუხედავად, საერთო წესიდან გამონაკლისს ქმნის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები.⁷⁷⁵

სამართლის თეორიის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში პროფესორი *ვაჩეიშვილი* პირველ ყოვლისა, ბრალის ცნებას ასახელებს, რომელიც მართალია, თავისი ბუნებით და შინაარსით სამართლის ზოგად თეორიას მიეკუთვნება, მაგრამ სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში არ გვხვდება,⁷⁷⁶ რაც ხარვეზს ქმნის და ე.წ. *გამაერთიანებელი ელემენტების მნიშვნელობის აღქმას* ართულებს: „როცა ლაპარაკობენ ბრალზე, ჩვეულებრივ სისხლის სამართალს გულისხმობენ, თითქოს ეს სპეციალური დარგი

⁷⁷³ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 428.

⁷⁷⁴ იხ. *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 23, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15]. იქვე ავტორი აღნიშნავს: „როდესაც ვსაუბრობთ სამოქალაქო სამართალდარღვევაზე, ვგულისხმობთ არა მხოლოდ დელიქტებს... არამედ აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულებათა სხვადასხვაგვარ დარღვევებს“ (1-ლი სქოლიო).

⁷⁷⁵ იქვე, 117.

⁷⁷⁶ მაგ., ერთ-ერთ სახელმძღვანელოში (იხ. *Ильин И.А.*, Теория Права и Государства, 1915), *კერძოდ*, მე-8 თავში განხილულია მართლშეგნება და მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ბრალი.

წარმოადგენდეს ბრალის ცნების გამოყენების ბუნებრივ სფეროს,“⁷⁷⁷ ამგვარი დამოკიდებულებით იზღუდება ბრალის ცნების მოცულობა, რომელსაც სამართლის სხვა დარგებშიც ვხვდებით, აღიარებულია არა მარტო სამოქალაქო სამართლის, არამედ ადმინისტრაციული და შრომის სამართლის ერთ-ერთ ძირითად და სახელმძღვანელო ცნებად, რადგან სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს.⁷⁷⁸ *ვაჩიშვილის* სიტყვით, ბრალის ცნება ერთიანია სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგებისთვის, თითოეული ითვალისწინებს *განზრახვას* და *გაუფრთხილებლობას*, როგორც ბრალის ფორმებს, თუმცა, მათგან სამოქალაქო სამართალს გარკვეული თავისებურება ახასიათებს: „მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთოდ აღიარებს პრინციპს, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელმაც ბრალეულად მიაყენა ზარალი, სამოქალაქო სამართალი ზოგჯერ გვერდს უხვევს ამ პრინციპს და დასაშვებად ცნობს პასუხისმგებლობას მაშინაც კი, როცა პირს არ მიუძღვის ბრალი მიყენებულ ზარალში.“⁷⁷⁹ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანი (ნაშრომში პროფესორი განსხვავებულ ტერმინს, „მომეტებული საშიშროების წყაროს“ იყენებს, როგორც არის ის მოცემული 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში), მაგრამ ეს „განსაკუთრებული შემთხვევებია“ და „სამოქალაქო სამართალში მტკიცედ არის მიღებული პრინციპი, რომლის თანახმად პასუხისმგებლობის საფუძველს შეადგენს ბრალი.“⁷⁸⁰ აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, მართლაც მტკიცედ იყო თუ არა აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობის საფუძველს შეადგენს ბრალი. პრობლემის უკეთ გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თუ რა ეტაპები განვლო მეცნიერულმა აზრმა საკითხის ირგვლივ საკმაოდ მწვავე კამათის პროცესში, როგორ განხორციელდა შესაბამისი

⁷⁷⁷ *ვაჩიშვილი ალ.*, სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №5, 1963, 17.

⁷⁷⁸ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსულ ცივილისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენებოდა *ზიანის ანაზღაურების ვალდებულებების* და *ზიანის სანაცვლო გასამრჯელოს* ცნებები (მაგ., იხ. *Любавский А.*, Вознаграждение за Вред и Убытки как Последствия Гражданского Правонарушения, 1873; *Гусаковский П.Н.*, Вознаграждение за Вред, Причиненный Недозволенными Дѣяніями, <<Журнал Министерства Юстиции>>, №8, №9, 1912; *Варшавский К.М.*, Обязательства, Возникающие Вследствие Причинения Вреда Другому Лицу, М., 1929). ეს ტენდენცია შენარჩუნდა 1922 წლის საბჭოთა სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდშიც, მაგრამ 30-იანი წლებიდან უკვე თანდათანობით დამკვიდრდა არასახელმწიფოებო ზიანის მიყენების გამო ქონებრივი *პასუხისმგებლობის* ცნება. ზოგი ავტორის მტკიცებით მართებული იქნებოდა, გვესაუბრა არა სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, არამედ ზიანის ანაზღაურების ან ჯარიმის გადახდის ვალდებულებაზე, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ ზიანთან, რომელიც დაუძლეველი ძალის მოქმედებით წარმოიქმნა ან მიყენებულია მართლზომიერი ქმედებით (უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარი უნდა იყოს არა ზიანის მიმყენებლის სამოქალაქო სამართლებრივ, დელიქტურ *პასუხისმგებლობაზე*, არამედ ზიანის ანაზღაურების ან ჯარიმის გადახდის სამოქალაქო სამართლებრივ *ვალდებულებაზე* თუკი საქმე ეხება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს და არა გენერალურ დელიქტს (იხ. *Матвеев Г. К.*, Основания Гражданско-правовой Ответственности, М., 1970, 7).

⁷⁷⁹ *ვაჩიშვილი ალ.*, სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №5, 1963, 18.

⁷⁸⁰ იქვე.

ცოდნის კონსტრუირება და საბოლოო ჯამში, როგორც აისახა დისკურსის შედეგები კანონმდებლობაზე. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის ძიება საბოლოო ჯამში საშუალებას მოგვცემს ავსნათ სსკ-ის 992-ე მუხლში მოცემული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის (უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის) ცნებათა შინაარსი და პასუხი გავცეთ წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ 1007-ე მუხლთან მიმართებაში არსებულ კითხვას, თუ რა შემთხვევაში წარმოიქმნება სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

1. ზიანის მიყენების ანუ ობიექტური თეორია (ზიანის მიყენების პრინციპი)

ხანგრძლივი დროის მანძილზე სამართლის მეცნიერებაში სადავო იყო, აუცილებელია თუ არა ბრალის ელემენტი დელიქტური ვალდებულების წარმოქმნისთვის. ცივილისტურმა მეცნიერებამ ბრალის პრინციპისა და ზიანის მიყენების პრინციპის ურთიერთდაპირისპირების ხანგრძლივი პერიოდი განვლო, რასაც შედეგად სხვადასხვაგვარი კონცეფციების და თეორიების ჩამოყალიბება მოჰყვა.⁷⁸¹ მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ვალდებულების წარმოქმნისთვის საკმარისია ზიანის მიყენების ობიექტური ფაქტის არსებობა (ზიანის მიყენების თეორია ანუ ობიექტური თეორია)⁷⁸², ხოლო მეორე ჯგუფის მტკიცებით, გარდა ზიანის მიყენების ობიექტური ფაქტის არსებობისა, ვალდებულების წარმოქმნისთვის აუცილებელია ბრალის (როგორც სუბიექტური მომენტის) არსებობა (ბრალის თეორია, ანუ სუბიექტური თეორია. ამ თეორიის ფარგლებში წარმოიქმნა სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად განსხვავებული თეორიები).⁷⁸³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომის სამართალში ბრალის ცნება საკმაოდ ადრე გაჩნდა⁷⁸⁴ და შესაბამისად,

⁷⁸¹ იხ. *Михайленко О.*, Имущественная Ответственность за Вред, Причиненный Осуществлением Публичной Власти: Теоретические Аспекты и Проблемы ее Реализации на Практике, 2007, 76, <<https://goo.gl/kwFpch>>, [08.09.15].

⁷⁸² მათ შორის იყო, მაგ., *გოიხბარგი* (იხ. *Гойхбарг А.Г.*, Хозяйственное Право РСФСР, 1923), *იბლოჩკოვი* (იხ. *Яблочков Т.М.*, Влияние Вины Потерпевшего на Размер Возмещаемых Ему Убытков, Т. I, 1910); *გოდემე* (იხ. *Годэмэ Е.*, Общая Теория Обязательств, М., 1948); აგრეთვე იხ. *მალიცკის* რედაქტორობით გამოცემული საბჭოთა რესპუბლიკების კოდექსი კომენტარებით: *Гражданский Кодекс Советских Республик. Текст и Практический Комментарий* (Ред. *Малицкий А.Л.*), Харьков, 1927.

⁷⁸³ მათ შორის, მაგ., *ვარშავსკი* (იხ. *Варшавский К.М.*, Обязательства, Возникающие Вследствие Причинения Другому Вреда, М., 1929), *შვარცი* (იხ. *Шварц Х.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, М., 1939), *კრასავჩიკოვი* (იხ. *Красавчиков О.А.*, Возмещение Вреда, Причиненного Источником Повышенной Опасности, М., 1966), *ანტიმოხოვი* (იხ. *Антимонов Б.С.*, Гражданская Ответственность за Вред, Причиненный Источником Повышенной Опасности. М., 1952), *ოიგენზიხტი* (იხ. *Ойгензихт В.А.*, Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая), Душанбе, 1972), *ბრატუსი* (იხ. *Братусь С.Н.*, Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976), *კოპილოვი* (იხ. *Копылов В.А.*, Риск в Предпринимательской Деятельности: Автореферат Диссертации, Волгоград, 1996).

⁷⁸⁴ როგორც წესი, ზიანის მიყენების პრინციპის ყველაზე ერთგული დამცველებიც კი არ უარყოფენ რომის სამართალში ბრალის პრინციპის გაბატონების ფაქტს (ისტორიულად, ზიანის მიყენების ფაქტი, როგორც ზიანის მიყენების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულების საფუძველი, წინ უსწრებდა ბრალის პრინციპს; ბრალის

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორიაში „ბრალს ხშირად უწოდებენ „რომაულ საწყისს“, რომელსაც უპირისპირდება ზიანის მიყენების თეორია, როგორც „გერმანული საწყისი.“⁷⁸⁵

ზიანის მიყენების თეორიის მიმდევრები ზიანის მიმყენებელს აკისრებენ რა დელიქტის შედეგად ან ხელშეკრულების შეუსრულებლობით დამდგარი შედეგების გამო პასუხისმგებლობას (მათთვის საკმარისია თავისთავად ზიანის მიყენების ფაქტი და აღარ ინტერესდებიან ზიანის გამომწვევი სუბიექტური მიზეზებით), მნიშვნელობას ანიჭებენ მხოლოდ ობიექტური მიზეზობრივი კავშირის არსებობას მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და დამდგარ ზიანს შორის. მათი მტკიცებით, თუ კავშირი არსებობს, მაშინ ზიანის გამომწვევ მიზეზთა შემდგომი კვლევა უნდა შეწყდეს, დადგინდეს მიყენებული ზიანის მოცულობა და კონტრაქტს ან დელინკვენტს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან, ზიანის მიყენების თეორიის მომხრეთა მიერ მიზეზობრივ კავშირს აბსოლუტური მნიშვნელობა არ ენიჭება, „ის ვრცელდება დაუძლეველი ძალის ზღვრამდე, ე.ი. ვრცელდება მხოლოდ კაზუსზე.“⁷⁸⁶ მაგ., *ვოდეშეს* მტკიცებით, ბრალის, როგორც პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის სავალდებულო ელემენტის შესახებ სწავლება სხვა არაფერია თუ არა სამოქალაქოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობათა, ზიანის ანაზღაურებისა და სასჯელის ერთმანეთში არევა; სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად საკმარისია მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენა.⁷⁸⁷

ზიანის მიყენების თეორიის აპოლოგეტად წოდებული *გირკე*⁷⁸⁸ (აკრიტიკებდა რა გსკ-ის პროექტს, „ზიანის მიყენების საწყისს – როგორც „ნაციონალურ გერმანულ“ საწყისს – უპირისპირებდა ბრალის საწყისს – როგორც ისეთს, რომელიც უცხოა გერმანული სამართლისათვის და რომელიც მხოლოდ რომაული სამართლის ზეგავლენით განმტკიცდა მასში“⁷⁸⁹), ზიანის მიყენების თეორიას შემდეგი არგუმენტებით იცავდა: 1. ის გერმანელი ერის სულს შეესაბამება; 2. ზიანის მიყენების პრინციპი სამართლიანია, სოციალურია, მაშინ როცა ბრალის პრინციპი ეგოისტური და ინდივიდუალურია; 3. თუ ზიანის მიმყენებელი დამნაშავე არ არის, დაზარალებული მით უმეტეს

ცნების წარმოშობა პროგრესული მოფლენა იყო, რამდენადაც „პასუხისმგებლობის პრიმიტიულ-უხეშ ფორმებზე ხელის აღებას მოასწავებდა“ (*აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 415). რომში არსებობდა ბრალის გარეშე სპეციალური პასუხისმგებლობის შემთხვევებიც და ეს ფაქტი ზიანის მიყენების პრინციპის მომხრეებს თანამედროვე სამართალში ბრალის პრინციპის მეორესხარისხოვნობის მტკიცებულებად სურდათ გამოყენებინათ (იხ. *Шварц X.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, М., 1939, 8, 1-ლი სქოლიო).

⁷⁸⁵ *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946, 415.

⁷⁸⁶ *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 23, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15].

⁷⁸⁷ იხ. *Годэмэ Е.*, Общая Теория Обязательств, М., 1948, 320. მითითებულია: *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 103, მე-2 სქოლიო, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15].

⁷⁸⁸ *Gierke, Otto Friedrich von*, 1841 – 1921.

⁷⁸⁹ *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 415.

უდანაშაულოა.⁷⁹⁰ მისი აზრით, თუკი ზიანის ანაზღაურების საკითხის რეგულირება ერთიანად ბრალის პრინციპსა და დელიქტზე აგებული, ასეთი არასწორი მიდგომა სამოქალაქო სამართლის სოციალური ამოცანის მივიწყებით შეიძლება აიხსნას.⁷⁹¹ მაგრამ იმ შემთხვევაში თუ სამოქალაქო სამართლის სოციალურ ამოცანას მხედველობაში მივიღებთ, მხარს ვერ აუქცევთ ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების გერმანულ პრინციპს. „თუნდაც ზიანის მიმყენებელს ბრალი არ მიუძღოდეს, დაზარალებული ხომ კიდევ უფრო უდანაშაულოა.“⁷⁹²

ათწლეულების მანძილზე მრავალგზის დაისვა კითხვა, შეიძლება თუ არა ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი დაეფუძნოს ზიანის მიყენების პრინციპს, ანუ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გამოწვევის შემთხვევები საერთო წესად იქცეს და მაშინ როგორ მოგვარდება საკითხის ეთიკური მხარე? ამ მიმართულებით კვლევის წარმოებისთვის დიდი ძალისხმევა გასწია მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა. რისკის იდეის⁷⁹³ მიმდევართა⁷⁹⁴ რწმენით, ყოველი პირი, რომელიც მოქმედებს, არის ამ ქმედების თანმდევი რისკის მატარებელი. ამ დროს გაუგებარი რჩება ერთი საკითხი: თუ მოქმედებს ზიანის მიმყენებელი, თავის მხრივ მოქმედებს დაზარალებულიც. ეს უკანასკნელი რატომ არ ატარებს თავისი ქმედების თანმდევ რისკს? ქუჩაში მოძრაობისას პირი შეუძლოდ შეიქმნა, გონება დაკარგა და ჩაამტვრია მალაზიის შუშა. ტყეში

⁷⁹⁰ იხ. *Gierke*, *Der Entwurf eines bürgerlichen Gesetzbuches und das Deutsche Recht*, 1889. მითითებულია: *Шварц Х.*, *Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда*, М., 1939, 8, მე-2 სქოლიო.

⁷⁹¹ *Gierke O.*, *Die sociale Aufgabe des Privatrechts*, 1889, 33. მითითებულია: *Покровский И.А.*, *Основные Проблемы Гражданского Права*, Петроград, 1917, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14].

⁷⁹² *Покровский И.А.*, *Основные Проблемы Гражданского Права*, Петроград, 1917, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14]. ზოგი ავტორის შეფასებით, საკითხის უკეთ შესწავლის შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ ზიანის მიყენების პრინციპის ჭკუშმართად ნაციონალურ ხასიათზე მითითება უბრალოდ ნაციონალისტური ჰიპოტეზაა, სინამდვილეში სამართლის ისტორია გვიჩვენებს, რომ ზიანის მიყენების პრინციპი დამახასიათებელია არა მხოლოდ ძველი გერმანიისთვის, არამედ სხვა ერებიც, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, იცნობდნენ სამოქალაქო სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ პრინციპს (იხ. *Шварц Х.*, *Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда*, М., 1939, 8, მე-2 სქოლიო). მაგ., ერთ-ერთ ნაშრომში თორმეტი ტაბულის კანონების შესახებ ვკითხულობთ: „არც ის გარემოება წარმოადგენს მხოლოდ თორმეტი ტაბულის თავისებურებას, რომ ამა თუ იმ ქმედების დელიქტური ხასიათი განპირობებულია მისი მატერიალური, გარეგნული შედეგებით და არა „დელინკენტის სუბიექტური განწყობით. არც პასუხისმგებლობის წარმოქმნა, არც მისი ზომა არის დამოკიდებული სამართალდამრღვევის ბრალის არსებობაზე. სულ ერთია სურდა თუ არა პირს, რომელმაც ზიანი მიაყენა, ასეთი შედეგი, გაითვალისწინა თუ არა მან მოსალოდნელი სამართალდარღვევა. სასჯელის დამნაშავის ბრალის ხარისხთან გათანაზომიერება არ ხდება. ის ერთი და იგივეა ერთგვაროვანი შემთხვევებისთვის, ამასთან, ერთგვაროვნება განისაზღვრება მხოლოდ გარეგნული ნიშნებით“ (*Leist, Graeco-Italische Rechtsgeschichte*, 286; *Brunnenmeister, Das Tödtungsverbrechen*, 130; *Pernice, Labeo*, II, 239. მითითებულია: *Гусаковъ А.*, *Деликты и Договоры, как Источники Обязательств в Системе Цивильного Права Древнего Рима*, М., 1896, 120-121, 1-ლი სქოლიო, <<http://goo.gl/1Quq1T>>, [15.12.14]. ამავე ავტორს იმოწმებს *Шварц Х.*, *Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда*, М., 1939, 8, მე-3 სქოლიო).

⁷⁹³ ფრან. *“Idée du Risque”*; *უნგერის (Joseph Unger (1828 – 1913) – “Handeln auf eigene Gefahr”* (იხ. *Покровский И.А.*, *Основные Проблемы Гражданского Права*, Петроград, 1917, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14]).

⁷⁹⁴ ე.წ. სუბიექტური რისკის თეორიამ განვითარება ჰპოვა, მაგ., *ოიგენზობტის* და *ბრატუხის* ნაშრომებში.

სანადიროდ მყოფმა პირმა (სადაც ნადირობა ნებადართული იყო), შემთხვევით დაჭრა ადამიანი. რა საფუძველით უნდა დავაკისროთ მათ პასუხისმგებლობა? რამდენად მართებული იქნება განუცხადოთ: მართალია, დამნაშავე არ ხარ, მაგრამ დაზარალებული უფრო უდანაშაულოა? თუ ქუჩაში მოძრავი მოქალაქე მის ქმედებასთან დაკავშირებული რისკის, ხოლო მონადირე ნადირობისას მოსალოდნელი რისკის მატარებელია, რატომ არ არის ასეთივე რისკის მატარებელი მაღაზიის მეპატრონე, რომელმაც შუშა დაამონტაჟა ან მონადირის მსხვერპლი, რომელიც ტყეში სეირნობდა და შემთხვევით დაიჭრა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი არც რისკის იდეის და არც ე.წ. აქტიური ინტერესის პრინციპის ⁷⁹⁵ მიმდევრებს (მერკელი) აქვთ. მეცნიერთა ერთი ნაწილი (პროფესორი მაქს ფონ რუმელინი ⁷⁹⁶) ცდილობდა დაყრდნობოდა მომეტებული საფრთხის იდეას. ⁷⁹⁷ კერძოდ, ვინც თავისი საქმიანობით გარშემომყოფთათვის ნორმაზე მეტად ზრდის საფრთხეს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის გამო. ზოგადი შეფასებით, ეს იდეა შეიძლება ვარგისია განსაკუთრებული შემთხვევებისთვის (რკინიგზა, ავტომობილები და სხვა), მაგრამ არ გამოდგება ზიანის მიყენების პრინციპის უპირატესობის დასამტკიცებლად; შეუძლებელია ვისაუბროთ გარშემომყოფთათვის საფრთხის გაზრდაზე იმ პირის მიერ, რომელიც სასეირნოდ მიემართება. ⁷⁹⁸ რაც შეეხება სამოქალაქო და სისხლის სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესახებ პროფესორ ადლერის ნაშრომში მოყვანილ მაგალითებს (შემთხვევით გამვლელს ხვდება მონადირის ნასროლი ისარი, მოქალაქის კუთვნილ ჭაში ღამით ვარდება გამვლელი ⁷⁹⁹), მათ უშუალო კავშირი სისხლის სამართალთან აქვთ, თუმცა ყურადღებას იპყრობენ თუკი თვალს მივადევნებთ ზოგადად იურიდიული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის განვითარებას. ისტორიული განვითარების იმ ეტაპზე (ანუ გვაროვნული წყობილების პერიოდში), რომელსაც ადლერი განიხილავს, უმნიშვნელო სხვაობა არსებობდა სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის (მეტად სუსტი იყო სამართალდარღვევათა დიფერენციაცია სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ დარღვევებად). აგრეთვე უარყოფითად ფასდებოდა გორდონის მსჯელობა, რომლის მტკიცებით, „ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება იმისთვის, ვინც გონება დაკარგა და სხვისი ნივთი გატეხა ისეთივე უსამართლოა,

⁷⁹⁵ რომლის თანახმად, ვინც აქტიურად მოქმედებს თავისი ინტერესის ფარგლებში, პასუხისმგებელია ამ საქმიანობის შედეგად დამდგარი ნებისმიერი შედეგისთვის (იხ. *Покровский И.А.*, Основные Проблемы Гражданского Права, Петроград, 1917, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14]).

⁷⁹⁶ *Max Rümelin* (1861 – 1931). იხ. *Rümelin M.*, *Schadensersatz ohne Verschulden*, 1910, 74. მითითებულია: *Покровский И.А.*, Основные Проблемы Гражданского Права, Петроград, 1917, 319-ე სქოლიო, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14].

⁷⁹⁷ გერ. „*Gefährdungsprinzip*“.

⁷⁹⁸ იხ. *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, Петроград, 1917, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14].

⁷⁹⁹ იხ. *Адлер К.*, Ответственность без Вины в Гражданском и Уголовном Праве, 1913. მითითებულია: *Шварц Х.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, М., 1939, 10.

როგორც ექიმთან მეურნალობის საფასურის გადახდის ვალდებულების დაკისრება იმ პირისთვის, რომელიც კბილის ტკივილით იტანჯება.⁸⁰⁰

*იერინგს*⁸⁰¹ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებზე საერთო დელიქტური პასუხისმგებლობის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით: საგალალო შედეგებს მივიღებთ თუ შესაძლებელი იქნება დელიქტური სარჩელის წარდგენა როგორც ტყუილის (ლათ. *“Dolus”*) ისე უხეში გაუფრთხილებლობის (ლათ. *“Culpa Lata”*) შემთხვევაში: „ერთი გაუფრთხილებელი შენიშვნა, გამეორებული ჭორი, მცდარი შეტყობინება, ცუდი რჩევა, მოუფიქრებელი გადაწყვეტილება, ცუდი მოსამსახურისთვის ყოფილი პატრონების მიერ გაცემული რეკომენდაცია, პასუხი გამვლელის კითხვაზე მისამართის ან დროის შესახებ... ყველაფერი ეს უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. ზიანის მიმყენებლის ქმედებათა კეთილსინდისიერი ბუნების შემთხვევაშიც კი, თუ თაღლითობის (*actio de dolo*) შესახებ სარჩელის მოქმედების სფერო ამგვარად გაფართოვდება ეს გახდება ნამდვილი უბედურება ადამიანთა შორის ურთიერთობების და საქმიანი მოღვაწეობისთვის.“⁸⁰² *იერინგის* პოზიციის უკეთ გასაგებად *დერნბურგის* განმარტება უნდა მოვიშველიოთ: ბრალი ვიწრო მნიშვნელობით (ლათ. *“Culpa”*, ბრალეულობა; დანაშაული; გაუფრთხილებლობა) ორი ხარისხისაა: უხეში ბრალი (ლათ. *“Culpa Lata”*, ე.ი. საქმე გვაქვს უხეშ გაუფრთხილებლობასთან) და მსუბუქი ბრალი (ლათ. *“Culpa Levis”*, ე.ი. საქმე გვაქვს მსუბუქ გაუფრთხილებლობასთან). როგორ უნდა გავიგოთ *დერნბურგის* შემდეგი სიტყვები: „მასშტაბი *Culpa Levis* განმარტებისათვის აბსტრაქტულია“?⁸⁰³ ამ შემთხვევაში თავად *დერნბურგის* გაგებას გვიადვილებს შემდეგი განმარტება იმისა თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს აბსტრაქტულობა: *“Culpa Levis”*, მსუბუქი ბრალი, სახელდებული უბრალოდ როგორც *“Culpa”*, სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ გამოუვლენია ის მზრუნველობა, რაც ნიშანდობლივია კეთილი პატრონისთვის, ოჯახზე მზრუნველი უფროსისთვის; რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს სანიმუშო, მზრუნველი და მუყაითი მეურნის ტიპი, რომელიც ერთგვარი საზომი გახდა ვალდებული პირის იმ მზრუნველობის შეფასებისთვის, რომლის გამოვლენაც მოეთხოვება ვალდებულების შესრულებისას და ამასთან დაკავშირებით მისი ბრალის გამო პასუხისმგებლობის ხარისხის შეფასებისთვის („რამდენადაც მსუბუქი ბრალის შემთხვევაში ივარაუდება ამ იურისტების მიერ დადგენილი საზომის დარღვევა, ბრალის ამ სახეს შედეგად *Culpa (Levis) in Abstracto* ეწოდა, ე.ი. ბრალი აბსტრაქტული (განყენებული) საზომით“⁸⁰⁴).⁸⁰⁵

⁸⁰⁰ *Гордон А.О.*, Принцип Ответственности Железных Дорог за Ущерб, Причиненный при Эксплуатации, Харьков, 1887, 11.

⁸⁰¹ *Rudolf von Jhering* (1818 – 1892).

⁸⁰² *ცვაიგერტი კ., კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 288.

⁸⁰³ *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 217.

⁸⁰⁴ *Краснокутский В.А., Новицкий И.Б., Перетерский И.С., Розенталь И.С., Флейшиш Е.А.*, Римское Частное Право, М., 2010, 390, <<http://goo.gl/DJryFv>>, [3.01.14].

“*Dolus*“-*ს* (ლათ. “*Dolus Malus*”, ბოროტი განზრახვა) ჰქონდა ვიწრო და ფართო მნიშვნელობა: ერთ შემთხვევაში აღნიშნავდა თაღლითობას (ე.ი. მოტყუების საშუალებით უფლების განზრახ დარღვევა), მეორე, ფართო მნიშვნელობით კი – ბოროტი განზრახვით უფლების დარღვევას, რაც მოტყუებით ან სხვა ნებისმიერი უკანონო ქმედებით ხორციელდებოდა. რაც შეეხება უხეშ ბრალს (ლათ. “*Culpa Lata*”), ის თავისი მოვალეობისადმი პიროვნების გულგრილ დამოკიდებულებას გულისხმობს. “*Culpa Lata*“-*ს* ცნებაში რომაელები გულისხმობდნენ სხვისი უფლების ისეთ შეგნებულ დარღვევასაც, რომელსაც „ფესვი აქვს გადგმული არა ბოროტ განზრახვაში, არამედ ნების სისუსტეში“⁸⁰⁶ (აქ *დერნბურგი ულპიანუსს*⁸⁰⁷ ციტირებს: „უხეში ბრალი“ არის უკიდურესი დაუდევრობა, ე.ი. ვერ გაგება იმისა, რაც ყველასთვის თვალსაჩინოა.“⁸⁰⁸ ამასთან, „*Culpa Lata* საზოგადოდ უთანასწორდება *Dolus*-ს“⁸⁰⁹ (*დერნბურგი ეწინააღმდეგება ბინდინგის*⁸¹⁰ მოსაზრებას, რომ „*Culpa Lata* მოითხოვს სამართლის საწინააღმდეგო განზრახვას და არასოდეს გაუფრთხილებლობა არ არის“⁸¹¹). რაც შეეხება მსუბუქ ბრალს (ლათ. “*Culpa Levis*”), აქ ისმის კითხვა: შეეძლო მოცემულ შემთხვევაში, გამოცდილ და თავისი საქმის მცოდნე ადამიანს უფლების დარღვევის აცილება? პასუხისმგებლობა დაეკისრება ისეთ პირს, რომელიც „ხელს ჰკიდებს ისეთ საქმეს, რომელიც მოითხოვს საგნის სპეციალურ ცოდნას, მაგალ., ექიმობას“, ის ტექნიკური შეცდომისთვისაც პასუხისმგებელია, „რადგანაც კეთილსინდისიერი ადამიანი ხელს ჰკიდებს მხოლოდ იმას, რაც მან ნამდვილად იცის და შეუძლია. რასაკვირველია, ეს არ ეკუთვნის იმ შემთხვევებს, როცა უკიდურესი საჭიროება დაუყოვნებლივ

⁸⁰⁵ ერთ-ერთ ნაშრომში განხილულია ბრალის ოთხი ფორმა, რომლებიც დაიყვანება ბრალის ორ ძირითად სახემდე, როგორც არის განზრახი (ლათ. “*Dolus*”) და გაუფრთხილებელი (ლათ. “*Culpa*”) ბრალი. მათ შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ განზრახი ბრალის შემთხვევაში „ქმედება თავისთავად კანონსაწინააღმდეგოა“, გაუფრთხილებელი ბრალის შემთხვევაში კი „არა ქმედება, არამედ ამ ქმედების შედეგები არის კანონსაწინააღმდეგო“. გაუფრთხილებელი ბრალის შესახებ მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს: „რაც შეეხება დაუდევრობის წინანდელ დაყოფას (*Culpa Lata, Levis, Levissima*) სამოქალაქო სამართლის ანალოგიურად... მას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება“ (იხ. 158-ე და 168-ე პარაგრაფები ნაშრომში: *Будзинский С., Начала Уголовного Права, Варшава, 1870*, <<http://goo.gl/PdVAuk>>, [09.03.14]). აქვე უნდა განიმარტოს თუ რას წარმოადგენს “*Culpa Levissima*” (იხ. “*Slightest Fault*”, იხ. *Jansen N., Extracontractual Liability for Fault, the Development and Making of Legal Doctrine, 2014, 7*, <<http://goo.gl/XuZnQy>>, [09.03.15]). *იანსენი* აღნიშნავს, რომ ინგლისში, მე-19 საუკუნის შუა ხანებში, რომაული ტრიქოტომია (ლათ. “*Culpa Levis*”, “*Culpa Lata*”, “*Culpa Levissima*”) გამოჩნდა ზოგიერთ გადაწყვეტილებაში, მაგრამ ისინი მალევე კვლავ უარყოფილ იქნა (იხ. *Jansen N., Extracontractual Liability for Fault, The Development and Making of Legal Doctrine, 2014, 7, 38-ე* სქოლიო, <<http://goo.gl/W4AJI7>>, [09.03.15]). აგრეთვე იხ. 125-ე პარაგრაფი ნაშრომში: *Римское Частное Право (Ред. Новицкий И.Б., Перетерский И.О.), М., 2000*, <<http://goo.gl/SzQ6lC>>, [09.03.15].

⁸⁰⁶ *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 217.

⁸⁰⁷ *Gnaeus Domitius Annius Ulpianus* (დაახ. 170 – 228).

⁸⁰⁸ ლათ. “*Lata Culpa*” Est *Nimia Neglegentia, Id Est Non Intellegere Quod Omnes Intellegunt.*” (იხ. *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 216, მე-5 სქოლიო).

⁸⁰⁹ *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 215-216.

⁸¹⁰ *Karl Binding* (1841– 1920).

⁸¹¹ *დერნბურგი პ.*, პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928, 216, მე-6 სქოლიო.

დახმარებას მოითხოვს.“⁸¹² *დერნბურგი* ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ „უახლესი სისტემატიკა განარჩევს მხოლოდ განზრახვას და გაუფრთხილებლობას“ და გსკ არ განმარტავს უხეშ გაუფრთხილებლობას.“⁸¹³

2. ბრალის თეორია ანუ სუბიექტური თეორია (ბრალის პრინციპი)

როგორც აღინიშნა, ბრალის თეორიის, ანუ სუბიექტური თეორიის მიმდევართა მტკიცებით, გარდა ზიანის მიყენების ობიექტური ფაქტის არსებობისა, ვალდებულების წარმოქმნისთვის აუცილებელია ბრალის (როგორც სუბიექტური მომენტის) არსებობა. სუბიექტური თეორიის ფარგლებში წარმოიქმნა სხვადასხვა თეორიები. მაგ., *მატვევის* და *იოფეს* (აგრეთვე, *მ.მ. აგარკოვის*, *ე.ა. ფლეიშიცის*) ნაშრომებში განვითარდა ე.წ. სტიმულირების თეორია, რომელიც აღიარებს ბრალის პრინციპს (ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობა დგება ზოგადი წესით, ბრალის საფუძველზე), მაგრამ ამაგდროულად უშვებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამგვარი მიდგომის მიზანია სიფხიზლის და განსაკუთრებული სიფრთხილის სტიმულირება.⁸¹⁴ *მატვევი* უფრო შორს მიდის კვლევის პროცესში და ავითარებს ე.წ. *ბრალისა და სპეციალური იურიდიული ფაქტების თეორიას* (იგივე *ბრალის და კანონის თეორიას*). მისი მტკიცებით, პასუხისმგებლობის საკითხი ყოველთვის დგება სამართალდარღვევის (ზიანის ბრალეულად მიყენების) შედეგად, ხოლო რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ სხვა ურთიერთობებს, რომელთაც შედეგად ზიანის ანაზღაურება მოჰყვება და რომელსაც კანონმდებელი *პასუხისმგებლობას* უწოდებს (პასუხისმგებლობა ზიანის მიყენების გამო), უნდა მოიხსენიებოდეს, როგორც ზიანის ანაზღაურების *ვალდებულება* ან ჯარიმის გადახდის *ვალდებულება*.⁸¹⁵

პროფესორ *გორდონის* მტკიცებით, დაზარალებულმა, რომელიც არაფერშია დამნაშავე, არ უნდა იტვირთოს მიყენებული ზიანი მთელი სიმძიმით მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. „პიროვნებას ფეხი დაუცურდა, დაეცა და გატეხა ჩემი ძვირფასი ნივთი. დაეუშვათ, დაეცა იმის გამო, რომ თავბრუ დაესხა, შეტევა მისცა... ის არ არის დამნაშავე ჩემთვის ზიანის მიყენებაში. არ შეიძლება რაიმეში დავადანაშაულოთ, ბრალს ვერ დავდებთ. სახეზეა უბედური შემთხვევა. მაგრამ ეს შედაგათს არ მაძლევს... ვერ ვხედავ საფუძველს, რატომ უნდა გადამხდეს სხვის თავს მომხდარი უბედური შემთხვევის მატერიალური შედეგი მე და არა თავად მას?“⁸¹⁶ აღნიშნული მსჯელობა უარყოფითად შეფასდა, როგორც მეცნიერული ნონსენსი („შეიძლება განვასხვავოთ ბრალეულობის ხარისხი, მაგრამ ბუნებაში არ არსებობს არაბრალეულობის ხარისხი: ერთი მხარის არაბრალეულობის შეპირისპირება მეორე მხარის არაბრალეულობასთან – აზრს

⁸¹² იქვე, 217.

⁸¹³ იქვე, 216, მე-7 სქოლიო.

⁸¹⁴ იხ. *Серебровский В.И.*, Обязательства, Возникающие из Причинения Вреда, М., 1950, 521.

⁸¹⁵ იხ. *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955.

⁸¹⁶ *Гордон А.О.*, Принцип Ответственности Железных Дорог за Ущерб, Причиненный при Эксплуатации, Харьков, 1887, 40-41. მითითებულია: *Шварц Х.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, М., 1939, 9.

მოკლებული საქმეა⁸¹⁷) და არამართებული დამოკიდებულება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისადმი.⁸¹⁸

როდესაც ზიანის მიყენების პრინციპის მომხრეები ბრალის პრინციპის უსაფუძვლობას ამტკიცებდნენ, ხშირად მაგალითად მოჰყავდათ ისეთი შემთხვევები, სადაც ზიანის შემთხვევით მიმყენებლად გვევლინებოდა მდიდარი, ხოლო დაზარალებულად – ღარიბი პიროვნება. მათი სიტყვით, უსამართლოა, რომ მდიდარი, რომელმაც ნადირობისას შემთხვევით დაჭრა გლეხი, გვერდზე გადგეს და გაემიჯნოს იმ შედეგს, რაც მისმა ქმედებამ გამოიწვია. ამასთან, პირი არ უნდა იყოს დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის მოწყალებაზე, მის კეთილ ნებაზე, აღმოუჩინოს ან არ აღმოუჩინოს დახმარება დაზარალებულს, ამ უკანასკნელს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კანონით უნდა ჰქონდეს მინიჭებული. სწორედ აქ წამოიჭრება სამართლიანობის საკითხი (ზიანის მიყენების პრინციპის აპოლოგეტები მუდმივად სამართლიანობაზე აპელირებდნენ): თუ დაწესდება პასუხისმგებლობა ზიანის მიყენების საფუძველზე, ამ ზოგადი წესის სიმძიმე დააწვება არა მხოლოდ შეძლებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ პირებს. საკმარისია მოყვანილ მაგალითში მონაწილეთა როლები გავცვალოთ და ზიანის მიყენების პრინციპის დაკანონების შემთხვევაში მოსალოდნელ მძიმე შედეგებს თვალნათლივ დავინახავთ: თუკი დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრებოდა კანონის ძალით, „გლეხი, რომელიც არ მოქმედებდა ბრალეულად, კაბალურ ვალში ჩაგარდებოდა მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.“⁸¹⁹

ზოგიერთი ავტორი პარალელს ავლებდა და ბრალის და ზიანის მიყენების პრინციპებს შორის დაპირისპირებას ხელშეკრულების დადებისას გარეგნულად გამოხატულ, განცხადებულ ნებას და შინაგან, განუცხადებელ ნებას შორის არსებულ სხვაობას აღარებდა, რომ თითქოსდა ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ევოლუციურ გზასთან – ზიანის მიყენების ფაქტიდან ან ხელშეკრულების დადებისას ნების გამოხატვიდან – შინაგანი ნების ელემენტამდე. მართალია, ბრალის პრინციპის და ზიანის მიყენების პრინციპის მომხრეთა შორის კამათი ერთბაშად არ დასრულებულა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ დაპირისპირების სიმწვავემ იკლო. თუკი რომელიმე პრინციპის აქტიური დამცველი პოზიციას არ თმობდა, „იურისპრუდენცია შორს იდგა ორივე უკიდურესობისგან“⁸²⁰ და ამ უკიდურესობათა შორის რაიმე შუალედური ზღვარი, იურიდიული გადაწყვეტა საკითხისა, რომელიც დავას აღარ გამოიწვევდა, ჯერაც არ არსებობდა.

1976 წელს გამოცემულ ნაშრომში პროფესორი *ბრატუსი* აღნიშნავს, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე გამოცემული ნაშრომების ავტორთა უმრავლესობა ბრალს განიხილავს, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელ ელემენტს. ის ფაქტი, რომ კანონი უშვებს ობიექტური პასუხისმგებლობის (ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის) შემთხვევებს, განსაკუთრებით, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელთა

⁸¹⁷ *Шварц Х.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, М., 1939, 9.

⁸¹⁸ იხ. *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 98, მე-2 სქოლიო.

⁸¹⁹ იხ. *Покровский И. А.*, Основные Проблемы Гражданского Права, Петроград, 1917,

<<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14].

⁸²⁰ იქვე.

შემთხვევაში (ამ წყაროდან მომდინარე საფრთხის გამო), სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება და „მომეტბული საფრთხის წყაროს მფლობელთა პასუხისმგებლობა არის ის სასინჯი ქვა, რომელზეც გამოიცდება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნებისმიერი თეორია.“⁸²¹

ზიანის მიყენების პრინციპი ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს ერთიანად მევაღეს აკისრებს (ხელშეკრულების დადებით მან მთლიანად იკისრა ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი; გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე გვაქვს დაუძლეველ ძალასთან). პირობა, რომლის ძალითაც „შემთხვევითი“ შეუსრულებლობის (კაზუსი) შედეგები ერთიანად მევაღეს გადახდება, მომგებიანია კრედიტორისთვის, რადგან მევაღეს არ შეუძლია პასუხისმგებლობა აიცილოს ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამომწვევ იმ „სუბიექტურ მომენტებზე“ მითითებით, რომლებმაც ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახადეს. ზიანის მიყენების პრინციპის მომხრეთა აზრით, დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხიც ამავე პრინციპით ეწყობა. კერძოდ, დელინკვენტი პასუხს აგებს არა მხოლოდ ბრალეული, არამედ შემთხვევით მიყენებული ზიანის გამოც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე გვაქვს დაუძლეველი ძალის ფაქტორთან. ბრალის პრინციპის მომხრეები სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად, გარდა ობიექტური გარემოებებისა, სამართალდამრღვევის ბრალს მიიჩნევენ. ხელშეკრულების დარღვევით ან დელიქტით ზიანის მიყენების ფაქტი საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის თუ დამტკიცდება, რომ ზიანი დადგა მისი მიმყენებლის ნების და შეგნების საწინააღმდეგოდ, ანუ ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აანაზღაუროს არა ყოველგვარი ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც მისი ბრალეული ქმედების შედეგად დადგა. ზიანის მიმყენებლის მხოლოდ „ბრალეული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება ცნობილ იქნეს მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკმარის საფუძვლად.“⁸²²

3. ბრალის ცნება

თანამედროვე სამართლის მეცნიერებას *ბრალის* საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ მოეპოვება. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, „არაფრთ არის ნაკარნახევი, რომ ვესწრაფოდეთ ბრალის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ცნებას,“⁸²³ მაგრამ ამავდროულად, საკანონმდებლო დონეზე მისი დეფინიციის არარსებობა ნიშნავს „დავიყვანოთ ცალკეულ მოსამართლეთა სუბიექტურ შეხედულებებამდე იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბრალი.“⁸²⁴ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბრალი უნდა განვიხილოთ როგორც ანთროპოლოგიური და არა როგორც

⁸²¹Красавчиков О.А., Возмещение Вреда, Причиненного Источником Повышенной Опасности. М., 1966, 164, მე-2 სკოლიო. მითითებულია: Братусь С.Н., Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, 164, <<http://goo.gl/WzOZ12>>, [11.04.15].

⁸²² Матвеев Г. К., Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 98-99, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15].

⁸²³ კუტალია ლ., ბრალი - თანდაყოლილი იდეა თუ თეორიული აზროვნების ნაყოფი? აღმანახი, №12, 1999, <<http://tinyurl.com/lwadyds>> [29.01.15]. აგრეთვე, კუტალია ლ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 9, <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁸²⁴ კუტალია ლ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 575, <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

ეთიკური, რელიგიური ან იურიდიული პრობლემა.⁸²⁵ ნორმატივიზმის წარმომადგენელთა მიერ შედგენილი განსაზღვრებები კი (მაგ., *ვოლფის* მტკიცებით, ბრალი არის „ვალდებულების შეუსრულებლობის შეფასება“⁸²⁶) თავისი არსით ფუნქციონალური განსაზღვრებებია, „რომელიც უშუალო წარმოდგენას არ გვიქმნის იმაზე, თუ რა არის საკუთრივ ბრალი“.⁸²⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიზმისა და ნორმატივიზმის კომბინირებით⁸²⁸ „სისხლის სამართლის ქართულმა სკოლამ ბრალის განვითარების სრულიად ორიგინალური, პრინციპულად ახლებური ტენდენცია დასახა“⁸²⁹ (პროფესორ *წერეთლის* მიერ შემოთავაზებული განსაზღვრებით, „ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედობასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას საზოგადოების მხრივ“⁸³⁰).

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „ბრალი ეწოდება სუბიექტის განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობას, რომლითაც გამოწვეულია მის მიერ ჩადენილი მართლწინააღმდეგი მოქმედება. ამრიგად, ბრალეულ მოქმედებას წარმოადგენს მართლწინააღმდეგი მოქმედება, ჩადენილი განზრახ თუ გაუფრთხილებლობით.“⁸³¹ მოგვიანებით, *ოიგენზიხტმა* ბრალი განმარტა, როგორც სუბიექტის მიზანმიმართული ქცევა (გამოხატული მოქმედებით ან უმოქმედობით), რომლის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი პირს შეგნებული აქვს, წინასწარ ვარაუდობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, უშვებს ამ შედეგს და წინასწარ ვარაუდობს ამ შედეგების დადგომას.⁸³²

რაც შეეხება თანამედროვე ქართულენოვან ნაშრომებს, ავტორები მიუთითებენ, რომ ქართულმა სამოქალაქო სამართალმა უარყო ბრალის საბჭოური კონცეფცია, რომელიც ფაქტობრივად უგულვებელყოფდა ობიექტური მასშტაბის როლს: „მოქმედი თეორიით, რომელიც ძალზე ეხმიანება ბრალის გერმანულ კონცეფციებს, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებებიანობის მოთხოვნის დაცვა.“⁸³³ თანამედროვე ცივილისტურ სამეცნიერო

⁸²⁵ იხ. *Nass G.*, *Wandlungen des Schuldbegriffs im Laufe des Rechtsdenkens*, Berlin, 1963, S. 21. მიუთითებულია: *კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 9. <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁸²⁶ *Wolf E. A.*, *Strafrechtliche Schuldlehre*, Teil I, Mannheim, Berlin, Leipzig, 1928, S. 126. მიუთითებულია: *კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 4. <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁸²⁷ *კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 4. <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁸²⁸ იქვე.

⁸²⁹ იქვე, 5.

⁸³⁰ *წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ.*, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, 58-60. მიუთითებულია: *კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 4. <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁸³¹ *აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 414. აქვე განმარტებულია *განზრახვის, გაუფრთხილებლობის და შემთხვევითი ზიანის* (განზრახვის და გაუფრთხილებლობის გარეშე მიყენებული ზიანის) ცნებები.

⁸³² იხ. *Oйгензихт В.А.*, *Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая)*, Душанбе, 1972, 61. <<http://goo.gl/uZ2U2a>> [22.12.14].

⁸³³ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 370-371.

ლიტერატურაში გათვალისწინებულია „ობიექტური მასშტაბის როლი“, მაგრამ, როგორც შესავალში აღინიშნა, კვლავ ვხვდებით მითითებას განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე, როგორც ბრალის ფორმებზე და ამგვარად, ერთი შეხედვით, თითქოს ყურადღების მიღმა რჩება სისხლის სამართლის მეცნიერთა მითითება, რომლის თანახმად, „ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შემდეგ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აღარ წარმოგვიდგება ბრალის ფორმებად, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული.“⁸³⁴

რაც შეეხება უშუალოდ ბრალის კერძოსამართლებრივ ცნებას, გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმად, „ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებით და სურვილით ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინების ან წინდახედულობის დაუცველად.“⁸³⁵ აშკარაა, რომ მოცემული განმარტებაც ერთგვარ ფუნქციონალურ განსაზღვრებას წარმოადგენს და ვერ ხსნის თუ რა არის საკუთრივ ბრალი. სამეცნიერო ლიტერატურაში ბრალის ამგვარი განმარტება ფაქტობრივად გაზიარებულია, აღნიშნულია, რომ „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალი უნდა განვიხილოთ არა როგორც სუბიექტური, ფსიქიკური განწყობა მისი მოქმედების მიმართ, არამედ როგორც პაციენტისათვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაძლო ობიექტური ზომების მიუღებლობა“⁸³⁶ და ჩამოყალიბებულია შემდეგი მოსაზრება: „სამედიცინო მომსახურების გამწვევის ქმედება ბრალეულია, თუ მას ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მაგრამ სათანადო მზრუნველობის, ყურადღებისა და წინდახედულობის დაუცველობით პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ობიექტურად შესაძლო ზომები არ მიიღო.“⁸³⁷

რაც შეეხება სისხლის სამართლის მეცნიერთა მოსაზრებებს, ბრალის მათ მიერ შემუშავებული ცნებები ერთმანეთისგან განსხვავდება. ერთი მხრივ, ბრალი განიშარტება, როგორც „მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება“,⁸³⁸ მეორე მხრივ

⁸³⁴ *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 88.

⁸³⁵ *ქონაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 113, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15].

⁸³⁶ *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 188.

⁸³⁷ *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 196.

⁸³⁸ *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 32, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15]. ამავე ავტორის მიერ ბრალი განისაზღვრა, როგორც „ნორმატიულად დადგენილი ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების სუბიექტური მიზეზი, რომელიც ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია“ (*ნაჭყებია გ.*, სისხლის

კი, როგორც უკვე აღინიშნა,⁸³⁹ ბრალი განიმარტება, როგორც „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ესე იგი უმართლობის ჩამდენის „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა“. ⁸⁴⁰ გარდა ამისა, ვხვდებით განსაზღვრებას, რომლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნებისმიერად ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზეზი.“⁸⁴¹

სსკ-ის მსგავსად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში კანონმდებელი ბრალის ცნებას არ განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის 1382-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის წარდგენის პირობაა ზიანის ბრალეული ქმედების შედეგად მიყენების ფაქტი. ზოგი ავტორი აღარებს რა არაგანზრახ ზიანისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პირობებს (მათ შორის, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, აშშ-ის დელიქტურ სამართალში), მიდის დასკვნამდე, რომ არაგანზრახ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის პირობების განსაზღვრისას „ყველა მართლწესრიგი ერთსულოვნად იყენებს დამრღვევის ქმედებათა მიმართ წინდახედულობის ჩვეულებრივი ხარისხის დამცავი „გონიერი ადამიანის“ (*“Reasonable Man of Ordinary Prudence”*), „წინდახედული ადამიანის“ (*“Homme Avisé”*) ან „პიროვნებათშორისი ურთიერთობისთვის აუცილებელი წინდახედულობის მქონე ადამიანის“ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 276) კრიტერიუმს.“⁸⁴²

4. განზრახვა და გაუფრთხილებლობა

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ბრალი განიხილებოდა, როგორც წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტების კომპლექსი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ⁸⁴³ შესაბამისად, განზრახვა განიმარტებოდა, როგორც სუბიექტის მიერ იმ შედეგის გათვალისწინება, რომელიც „მართლსაწინააღმდეგოდ ხდის მის მოქმედებას

სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 362. მითითებულია: *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 6, <<http://goo.gl/wxoEyQ>>, [14.05.16]). აღნიშნული განსაზღვრება კრიტიკის საგნად იქცა: „რას ნიშნავს ეს უპასუხისმგებლობა. კერძოდ, რას ემყარება ის და ვინ ადგენს ამ უპასუხისმგებლობას, დასახელებული ნაშრომიდან ნათლად არ ჩანს“ (*გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 6, <<http://goo.gl/wxoEyQ>>, [14.05.16]).

⁸³⁹ იხ. წინამდებარე ნაშრომის 614-ე სქოლიო.

⁸⁴⁰ *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, 6-7, <<http://goo.gl/wxoEyQ>>, [14.05.16]. ავტორის სიტყვით, „უმართლობის ჩამდენი მაშინ მოქმედებს ბრალეულად, როცა მას შეეძლო არ ჩაედინა ეს უმართლობა და მან ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა. სწორედ ეს შესაძლებლობა არის სასამართლოს მხრივ უმართლობის ჩამდენის გაკიცხვის საფუძველი. ეს დებულება პირდაპირ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან.“

⁸⁴¹ *კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 575, <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁸⁴² *ცვაიგერტი კ. კოტცი პ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000, 311.

⁸⁴³ იხ. *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 7.

(უმოქმედობას).“⁸⁴⁴ ამასთან, პირდაპირ განზრახვად ფასდებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც სუბიექტი ითვალისწინებდა და მიზნად ისახავდა კონკრეტული შედეგის მიღწევას, ხოლო არაპირდაპირ (ევენტუალურ) განზრახვად მიიჩნეოდა ისეთი განზრახვა, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებდა და უშვებდა კონკრეტული შედეგის დადგომას, თუმცა, უშუალოდ ასეთი მიზანს არ ისახავდა.⁸⁴⁵ რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, ითვლებოდა, რომ „გაუფრთხილებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სუბიექტი არ იჩენს ისეთ წინდახედულობას, რომელიც მას მოეთხოვება. გაუფრთხილებლობას ადგილი აქვს, ჯერ ერთი, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი არ ითვალისწინებდა თავისი ქმედების შედეგებს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ისინი, მეორეც, მაშინ, როდესაც იგი ითვალისწინებდა თავისი საქციელის შედეგებს, მაგრამ მოუფიქრებლად იმედოვნებდა ამ შედეგების აცდენას.“⁸⁴⁶

პროფესორ *ოიგენზიხტის* მტკიცებით, გაუფრთხილებლობა საერთოდ გამორიცხავს შედეგების ცოდნის ვარაუდს, არაპირდაპირი განზრახვა გულისხმობს უარყოფითი შედეგის დადგომის ვარაუდს, ამ შედეგთან გულგრილ დამოკიდებულებას, რა დროსაც პირი შეიძლება უშვებდეს დადებითი შედეგის დადგომასაც კი⁸⁴⁷ (ზოგიერთი ავტორის განმარტებით, თავად ტერმინი *ევენტუალური*⁸⁴⁸ გულისხმობს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შედეგის დაშვებას, რა დროსაც პირს უარყოფითი შედეგის დადგომის სურვილი არ ამოძრავებს⁸⁴⁹).

სსკ-ში კანონმდებლის მიერ მოიხსენიება *ბრალის* (მაგ., 1007-ე მუხლის თანახმად, ზიანის მიყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის), *განზრახვისა* და *გაუფრთხილებლობის* (მაგ., 395-ე I მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს), *განზრახვისა* და *უხეში გაუფრთხილებლობის* (392-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო), *ბოროტი განზრახვის*⁸⁵⁰ (მოცემულია 527-ე მუხლში⁸⁵¹) და *შემთხვევითობის*

⁸⁴⁴ ავარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 414.

⁸⁴⁵ იქვე.

⁸⁴⁶ იქვე, 415.

⁸⁴⁷ იხ. *Oйгензихт В.А.*, Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая), Душанбе, 1972, 75, <<http://goo.gl/uZ2U2a>>, [22.12.14].

⁸⁴⁸ ლათ. „Eventus“, შემთხვევითი.

⁸⁴⁹ იხ. *Трайнин А.Н.*, Общее Учение о Составе Преступления, М., 1957, 200, 201. *ძიითიებულია:* *Oйгензихт В.А.*, Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая), Душанбе, 1972, 76, <<http://goo.gl/uZ2U2a>>, [22.12.14].

⁸⁵⁰ პროფესორ *ზოდოს* განმარტებით, „სამოქალაქო კოდექსი ზოგჯერ ბოროტი განზრახვის ტერმინსაც იყენებს (527-ე მუხლი), რაც ჩვეულებრივი განზრახვისაგან იმით განსხვავდება, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი და მოტივი თითქმის ერთმანეთში იგიველება“ (*ზოდო ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 384). პროფესორ *გამყრელიძის* განმარტებით „განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ის შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც, კეთილიც და ბოროტიც (*Dolus Malus*)“ (*გამყრელიძე.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება,

ცნებები (402-ე მუხლის თანახმად, მოგალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლება დადგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც). სსკ-ის დელიქტურ ვალდებულებათა შესახებ მესამე კარის პირველ თავში („ზოგადი დებულებანი“) უხეში გაუფრთხილებლობა მოიხსენიება მხოლოდ 1005-ე მუხლში („სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის“⁸⁵²).

კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსში არ განმარტავს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ცნებებს მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია განზრახი დანაშაულის, პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედების (მე-9 მუხლი), გაუფრთხილებლობითი დანაშაულის, თვითმედოვნებით და დაუდევრობით განხორციელებული ქმედების (მე-10 მუხლი) ცნებები. აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსაზღვრულია, რა შემთხვევაში ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ (მე-11 მუხლი) და რა შემთხვევაში – გაუფრთხილებლობით ჩადენილად (მე-12 მუხლი).

ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იგივე ქმედება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესაბამისად შეფასდეს, როგორც გაუფრთხილებლობა, სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით კი – როგორც მსუბუქი გაუფრთხილებლობა? ხომ არ გამოიწვევს ეს „ერთიანი მართლწესრიგის პრინციპის“ დარღვევას?⁸⁵³

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, სადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსი

თბ., 2008, 89). მაგრამ ამ მიმართულებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული აზრი: „ჩვენ ვეთანხმებით ო. გამყრელიძეს, რომ გაუფრთხილებლობის წმინდა ფსიქოლოგიური ანალოგი არ არსებობს, მაგრამ სადავოა მისი დასკვნა, რომ განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორიაა... უფრო უპრიანია იმის მტკიცება, რომ ევენტუალური განზრახვის წმინდა ფსიქოლოგიური ანალოგი არ არსებობს. უფრო მეტიც, წმინდა ფსიქოლოგიურად არც პირდაპირი განზრახვის ანალოგი არსებობს...“ (ნაჭყებია ვ., დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 29, <<http://goo.gl/T3P1yg>>, [15.02.15]).

⁸⁵¹ სსკ-ის 527-ე მუხლის თანახმად, „თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.“ მჩუქებლის ბოროტ განზრახვაზე საუბარია, მაგ., გსკ-ის 524-ე I მუხლში („თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით მალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი“). გსკ-ის 123-ე II მუხლის („თუ მოტყუება ჩადენილ იქნა მესამე პირის მიერ, მაშინ ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთებულიყო მეორე მხარის მიმართ, შეიძლება გახდეს საცილო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა მოტყუების შესახებ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე“) კომენტარში კროპოლერი განმარტავს, რომ ბოროტი განზრახვა ითხოვს მოტყუების ნებას, თუმცა, თადლითობისგან განსხვავებით, იგი არ საჭიროებს ზიანის მიყენების განზრახვას. პირობითი განზრახვა საკმარისია“ (კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 48).

⁸⁵² 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, სსმ, ვებგვერდი, 11.11.2015.

⁸⁵³ იხ. მადლაკელიძე ლ., მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 231, <<http://goo.gl/ndGi6m>>, [16.04.15].

არ ითვალისწინებს უხეში გაუფრთხილებლობის ნორმატიულ განმარტებას, რაც თითოეული შემთხვევის შეფასების საგანს წარმოადგენს. უხეში გაუფრთხილებლობა მოიცავს იმ მითითებების დარღვევას ან უგულვებელყოფას, რომელიც სავალდებულოდ უნდა იცოდეს მსგავსი შინაარსის ოპერაციის განმახორციელებელმა ნებისმიერმა პირმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის სუბიექტური დამოკიდებულების დადგენა უნდა მოხდეს საგზაო მოძრაობის პროცესის სუბიექტის კონკრეტული მოქმედებების დადგენით და ამ მოქმედებით დამდგარი შედეგების მიმართ მისი დამოკიდებულებით. პირის მიერ უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს, მომეტებული საფრთხის შემცველი სატრანსპორტო საშუალების მართვასთან, აღიქმება უხეში გაუფრთხილებლობად, რადგან საგზაო მოძრაობისას, კანონით დადგენილი უსაფრთხო მანევრირება, გარემო პირობების გათვალისწინებით ადეკვატური სიჩქარისა თუ მოძრაობისას შესაბამისი წინდახედულობის გამოჩენა მძღოლის მხრიდან წარმოადგენს სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს. ამ პირობების დაცვა მძღოლის ვალდებულებას წარმოადგენს და მისი დარღვევა შესაბამისი სამართლებრივი გამომწვევი წინაპირობაა.“ ამგვარად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ვ. ნ.-ს არგუმენტი იმის შესახებ, რომ დაბა შორაპანთან მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევა არ იყო გამოწვეული მისი ბრალეული ქმედებით. სასამართლომ განმარტა, რომ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე მიღებული აქტის არსებობა, იმთავითვე მოიცავდა ქმედების მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ხასიათს, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.“ სასამართლომ ვ. ნ.-ს ქმედება შეაფასა, როგორც უხეში გაუფრთხილებლობა (გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „მოსარჩელის მიერ მკვეთრი დამუხრუჭება გამოიწვია მცდარმა წარმოდგენამ, რომ საპირისპირო გზაზე მიმავალი ავტომანქანა გადმოსული იყო მის სავალ ზოლში“). საქმეზე განსხვავებულად იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ: „დათვალიერების სქემით დგინდება, რომ ავტომანქანის მისაბმელი გადავიდა მოძრაობის საწინააღმდეგო ზოლში და შეესაჯა მოძრავე ავტომანქანას. იმ პირობებში, როდესაც დადგინდა, რომ მოსარჩელის მხრიდან განზრახვას ადგილი არ ჰქონია, გონივრული ახსნა უნდა მოეძებნოს მოსარჩელის მოქმედებებს, რაც გამოიხატა მსვლელობისას მოძრაობის შენეებასა და საჭის მკვეთრად მარჯვნივ აღებაში... მოსარჩელის განმარტებით, საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ფარების შუქმა მოჭრა თვალი და მას შეექმნა წარმოდგენა, რომ შემხვედრი ავტომანქანა გადასული იყო მის სავალ ნაწილში. პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შემთხვევა მოხდა ღამის საათებში, რა დროსაც ცუდი მხედველობაა. დათვალიერების სქემის შესაბამისად,

ავტომანქანის მოძრაობის ტრაექტორიის მიხედვით დგინდება, რომ საწინააღმდეგო ზოლში მოძრავი ავტომანქანა მიუხელოვდა გზის გამყოფ ზოლს. შესაძლოა მოსარჩელეს შეექმნა მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ავტომანქანა გადასული იყო მის სამოძრაო ზოლში, თუმცა ამგვარი წარმოდგენა არ იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან მოძრაობდა ღამის საათებში და შემხვედრი ავტომანქანა მოკლე მანძილით მიუახლოვდა გზის გამყოფ ზოლს. ვ. ნ.-ს მოქმედებამ, საჭის მკვეთრად მარჯვნივ ადებამ, გამოიწვია მისაბმელის მოცურება, რაც არ უნდა შეფასდეს უხეშ გაუფრთხილებლობად.“ საბოლოო ჯამში, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული არ ყოფილა მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობით.“⁸⁵⁴

კერძო სამართალში გაუფრთხილებლობა ჩვეულებრივ წარმოდგენილია უხეშ ან მსუბუქი გაუფრთხილებლობის სახით.⁸⁵⁵ ისმის კითხვა, რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს ამგვარ დაყოფას და რა გავლენა აქვს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე? დაუშვებელია კერძო სამართალში სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული თვითმედროვნების და დაუდევრობის ცნებების⁸⁵⁶ გადმოტანა,⁸⁵⁷ ხოლო რაც შეეხება პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას, ავტორთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამგვარ დაყოფას არ აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა,⁸⁵⁸ მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.⁸⁵⁹ ავტორთა ერთი ჯგუფის მტკიცებით, „ბრალის ფორმასა და ხარისხს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის ბრალმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას. მხედველობაში მიიღება დაზარალებულის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ასეთ შემთხვევაში საკითხი შერეული ბრალის წესებით უნდა გადაწყდეს“⁸⁶⁰ (იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავის მე-11 პარაგრაფი („დაზარალებულის ბრალის მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას“); „სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ბრალის ფორმაზეა დამოკიდებული პასუხისმგებლობის შინაარსი, ბრალის ფორმებს შორის განსხვავებას იშვიათად აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია სამართალდამრღვევის ბრალის ნებისმიერი ფორმის არსებობა. მხოლოდ გამონაკლისის სახით არსებობს ბრალის ფორმის მიხედვით პასუხისმგებლობის დაწესება ან მისი ზომის

⁸⁵⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2ბ/1882-14), <<http://goo.gl/RfR8oM>>, [21.04.15].

⁸⁵⁵ იხ. *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 237, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15].

⁸⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი.

⁸⁵⁷ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 388.

⁸⁵⁸ იხ. *ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 383; *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 194.

⁸⁵⁹ იხ. *ძლიერიშვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, №2, 2013, 37.

⁸⁶⁰ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387-388.

განსაზღვრა.“⁸⁶¹ რაც შეეხება სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლებს, მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად იმისა, უხეში გაუფრთხილებლობით არის ზიანი მიყენებული თუ მსუბუქი გაუფრთხილებლობით.

ბრალის ხარისხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 1950 წელს გამოცემულ ნაშრომში⁸⁶² ლუნცი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმად, მატერიალური პასუხისმგებლობის მოცულობის გათანაზომიერებას ბრალის ხარისხთან შეიძლება პოზიტიური გავლენა ჰქონდეს ხელშეკრულების მხარეებზე⁸⁶³ და უპირატესობას ცალსახად ანიჭებს ბრალის ფორმის მიუხედავად პასუხისმგებლობის სრული მოცულობით დაკისრებას.⁸⁶⁴ ამავე თვალსაზრისს ეთანხმებოდა პროფესორი იოფე 1951 წელს გამოცემულ ნაშრომში.⁸⁶⁵

მეცნიერ-იურისტები სამოქალაქო სამართალში ბრალის ფორმებს განსაზღვრავდნენ 1924 წლის სსრ კავშირის და მოძმე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებში⁸⁶⁶ მოცემული ნორმების, კერძოდ, მე-2 ნაწილის („ზოგადი დებულებანი“) მე-6 მუხლის საფუძველზე⁸⁶⁷ (ამ მუხლის თანახმად, სასამართლო-აღმზრდელობითი ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიებები ტარდება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ა) მოქმედებდნენ რა განზრახ, ითვალისწინებდნენ თავიანთ ქმედებათა მოსალოდნელი შედეგების საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, სურდათ ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდნენ ამ შედეგების დადგომას, ან ბ) მოქმედებდნენ რა გაუფრთხილებლად, ვერ გაითვალისწინეს თავიანთ ქმედებათა მოსალოდნელი შედეგები, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინათ ისინი ან დაუფიქრებლად იმედოვნებდნენ ამგვარი შედეგების აცილებას). ცივილისტების უმრავლესობა ბრალეულობის ფორმალურ-ლოგიკური ხასიათის განსაზღვრებას სჯერდებოდა და საბოლოო ჯამში, მას არასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის დაწესებული პასუხისმგებლობის შემთხვევებზე თანაბრად ავრცელებდა.

⁸⁶¹ *ქონაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 91, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15]. განსხვავებული აზრი იხ. *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 193.

⁸⁶² *Новицкий И.Б., Луц Л.А.*, *Общее Учение об Обязательстве*, М., 1950, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15].

⁸⁶³ იხ. *Матвеев Г. М.*, К вопросу о Вине как Основании Договорной Ответственности, “Юридический Сборник Киевского Государственного Университета”, №2, 128-129. მითითებულია: *Новицкий И.Б., Луц Л.А.*, *Общее Учение об Обязательстве*, М., 1950, 375, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15].

⁸⁶⁴ *Новицкий И.Б., Луц Л.А.*, *Общее Учение об Обязательстве*, М., 1950, 375, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15].

⁸⁶⁵ იხ. *Иоффе О.С.*, Значение Вины в Советском Гражданском Праве, “Ученые Записки Ленинградского Университета”, № 129, 1951, 125-150. მითითებულია: *Новицкий И.Б., Луц Л.А.*, *Общее Учение об Обязательстве*, М., 1950, 237, მე-2 სქოლიო, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15].

⁸⁶⁶ იხ. Основные Начала Уголовного Законодательства Союза ССР и Союзных Республик 1924 года, <<http://goo.gl/9FAysf>>, [15.04.15].

⁸⁶⁷ იხ. *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 247, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15].

კერძო სამართლის ფარგლებში როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის განმარტება საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული; ამასთან, ავტორთა უმრავლესობა ხელმძღვანელობდა რა სისხლის სამართლის დოქტრინაში დამკვიდრებული ბრალის ფსიქოლოგიური თეორიით (რომელიც თანამედროვე დოქტრინამ უარყო), როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის განმარტებისთვის, ადამიანის მოქმედების წარმართველი მოტივის და მიზნის გასარკვევად, მეცნიერ-ფსიქოლოგთა ნაშრომებში მოცემულ მექანიზმს აღწერდა დარგის შესაბამისი ტერმინოლოგიით, რომელსაც თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო იურისპრუდენციასთან.⁸⁶⁸

პროფესორ *ლუნცის* მტკიცებით, უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის გასამიჯნად შეუძლებელია დადგენილ იქნეს მყარი ნიშნები, „ამ საკითხს პრაქტიკა წყვეტს, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებათა გათვალისწინებით.“⁸⁶⁹ *ლუნცის* პოზიცია მართებულად ვერ ჩაითვლება, თუნდაც იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო კოდექსი რიგ შემთხვევებში პასუხისმგებლობას მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობისთვის ითვალისწინებს და საკანონმდებლო დონეზე უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის გამიჯვნას უდავოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.⁸⁷⁰ მაგ., 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 118-ე მუხლში საუბარია კრედიტორის განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე,⁸⁷¹ 403-ე მუხლში დაზარალებულის განზრახვასა და უხეშ გაუფრთხილებლობაზე, ხოლო 404-ე მუხლში კანონმდებელი საუბრობს დაზარალებულის განზრახვასა და უხეშ დაუდევრობაზე. *ლუნცის* განმარტებით, კანონმდებელი უხეშ გაუფრთხილებლობას და უხეშ დაუდევრობას არ ასხვავებს და ეს ტერმინები მის მიერ სინონიმებად არის გამოყენებული⁸⁷² (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკური ერთეული *დაუდევრობა* სსკ-ის მხოლოდ ერთ, 79-ე მუხლში გვხვდება და ამ შემთხვევაშიც კანონმდებელი მას *გაუფრთხილებლობის* მნიშვნელობით იყენებს).

ციპელიუსის განმარტებით, სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში *გაუფრთხილებლობის* ცნების განსხვავებული გაგება სისხლისსამართლებრივი ნორმების და ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განსხვავებული რეგულირების საგნიდან გამომდინარეობს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის

⁸⁶⁸ განსაკუთრებით აქტიურად ციტირებდნენ *რუბინშტეინის* (*Рубинштейн С.Л.*, Основы Общей Психологии, М., 1946), *ტებლოვის* (*Теплов Б. М.*, Психология, М., 1953) და ა.შ. ნაშრომებს.

⁸⁶⁹ *Новицкий И.Б.*, *Луныц Л.А.*, Общее Учение об Обязательстве, М., 1950, 335, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15].

⁸⁷⁰ იხ. *Мамвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, 296, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15].

⁸⁷¹ 118-ე მუხლის თანახმად, „მოვალე, რამდენადაც კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან შეუსრულებლობისათვის, უკეთუ დაამტკიცებს, რომ შესრულება შეუძლებელი იყო ისეთი გარემოების გამო, რომლის აცდენაც მას არ ძალუძდა, ან და კრედიტორის განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის გამო.“

⁸⁷² იხ. *Новицкий И.Б.*, *Луныц Л.А.*, Общее Учение об Обязательстве, М., 1950, 335, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15]; *ავარკოვი მ.მ.*, *ბრატუხი ს.ნ.*, *გენკინი დ.მ.*, *სერებროვსკი ვ.ი.*, *შკუნდინი ზ.ი.*, სამოქალაქო სამართალი, ტ. II, თბ., 1946, 442.

კოდექსის 124-ე მუხლით⁸⁷³ განსაზღვრულია ის მოცემულობა, რომელიც საფუძვლად ედება ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების გამო დამნაშავე სუბიექტის დასჯას, ხოლო სსკ-ის 992-ე მუხლი დელიქტური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არეგულირებს. ამგვარად, გაუფრთხილებლობის ინტერპრეტაცია განსხვავებულად უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის კოდექსის დასახელებული მუხლის და სსკ-ის 992-ე მუხლის შემთხვევაში. ავტორის სიტყვით, „ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისთვის საკმარისია,⁸⁷⁴ რომ პირი არღვევს სამოქალაქო ურთიერთობისთვის დამახასიათებელ აუცილებელი წინდახედულობის ნორმას (ობიექტური გაუფრთხილებლობის ცნება). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის კი, აუცილებელია, რომ პირს აქვს ინდივიდუალური შესაძლებლობა, დაიცვას აუცილებელი წინდახედულობის ნორმა („სუბიექტური გაუფრთხილებლობის ცნება“).“⁸⁷⁵

პროფესორ ზოიძის მითითებით, „განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით“⁸⁷⁶ და აღნიშნავს: „ამდენად, განზრახვა ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი, სხვა სიტყვებით: შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით.“⁸⁷⁷ ავტორის სიტყვით, მოცემული განმარტებიდან ჩანს, რომ განზრახვის ცნებისათვის საჭიროა ორი, კერძოდ, ინტელექტუალური (კოგნიტიური⁸⁷⁸) ელემენტი, რომელიც სამართალდამრღვევის (რომელიც უნდა აცნობიერებდეს თავისი მოქმედების ხასიათს და შედეგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ ის მოკლებულია ამგვარ უნარს, სამართალდამრღვევის ქმედება ვერ შეფასდება, როგორც განზრახი) ცნობიერების მდგომარეობის შეფასებაა და ნებელობითი (ვოლუნტატიური⁸⁷⁹), რომელიც „გულისხმობს სამართალდარღვევის შემადგენლობის განხორციელების სურვილს. განზრახვა სწორედ

⁸⁷³ აღნიშნული მუხლი ეხება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით.

⁸⁷⁴ მაგრამ ეს საკმარისობა, რომელზეც ციპელიუხი მიუთითებს, შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში თუ გავითვალისწინებთ სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ მოსალოდნელ ცვლილებებს („...გერმანულ და ქართულ ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ ამერიკული და ფრანგული კანონმდებლობის და დოგმატიკის მსგავსად, ევენტუალური განზრახვა გატანილ იქნას განზრახვის ცნებიდან და ჩამოყალიბდეს ახალი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვას და თვითიმედოვნებას“ (იხ. ციტიცილი თ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), 2014, 95-96, <<https://goo.gl/59EAqc>>, [14.09.16]) (იხ. წინამდებარე თავის მე-5 პარაგრაფი).

⁸⁷⁵ ციპელიუხი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009, 14-15.

⁸⁷⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 382 (ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომს: Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I. Allgemeiner Teil, 14, Auflage, S. 280).

⁸⁷⁷ იქვე (ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომებს: Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, 8. Auflage, Berlin-New-York, 1992, S. 312; Münch-Komm-Hanau, §276, Rn.49-50. Schellhammer Zivilrecht nach Anspruchs Grundlagen, S.627).

⁸⁷⁸ კოგნიტიური - ლათ. “Cognitio”, შემეცნება, ცოდნა.

⁸⁷⁹ ლათ. “Voluntas”, ნება, სურვილი.

მაშინაა, როდესაც სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა.⁸⁸⁰

პროფესორ *კროპპოლერის* განმარტებით, „განზრახვა არის უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილი. არაპირდაპირი განზრახვა ყოველთვის საკმარისია. განზრახვა უნდა მოიცავდეს უფლებისა და ვალდებულების დამრღვევ გარემოებებს. მაშასადამე, როდესაც მოვალეს უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნის ელემენტი არ გააჩნია, მაშინ იგი, სამოქალაქო სამართალში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, განზრახვის გარეშე მოქმედებს.“⁸⁸¹

რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, პროფესორ *ზოდის* მითითებით, „თუ განზრახვის ვითარებაში ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებთანობას.“⁸⁸² ამასთან, „გაუფრთხილებლობის ცნება არაა დამოკიდებული ყურადღებთანობის იმ ხარისხზე, რომელიც შეიძლება გამოიჩინოს ინდივიდუალურად ბრალეულმა პირმა. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში განისაზღვრება მოთხოვნის ობიექტური მასშტაბებით.“⁸⁸³ ავტორის სიტყვით, საპატიოდ ვერ ჩაითვლება ახალბედა მძღოლის გამოცდილებაში არსებული ნაკლი, რადგან „მასაც ისეთივე ყურადღებთანობა მოეთხოვება, როგორც ყველა დანარჩენ მძღოლს. ასევე ვერ ჩაითვლება საპატიოდ ძლიერი განცდები ექიმისა, რომელიც ოპერაციას აკეთებს. ამდენად, ის, ვინც რაიმე საქმიანობას მისდევს, ვალდებულია, იგი შეასრულოს იმგვარი ყურადღებთანობით, რაც ამ საქმიანობის შემსრულებელს მოეთხოვება... ცხადია, განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან ექიმისა და მედლის ყურადღებთანობა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს გაუფრთხილებლობისადმი წაყენებული ყურადღებთანობის ძირითად მასშტაბს, რასაც სამოქალაქო ბრუნვა უყენებს მის მონაწილეებს.“⁸⁸⁴

რაც შეეხება უხეშ და მსუბუქ (მარტივ/უბრალო) გაუფრთხილებლობას,⁸⁸⁵ პროფესორ *ზოდის* მითითებით, „უხეში გაუფრთხილებლობით

⁸⁸⁰ *ზოდე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 382-383.

⁸⁸¹ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 154.

⁸⁸² *ზოდე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 382 (ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომს: Dieter Medicus. Schuldrecht, Allgemeiner Teil, 8. Auflage, S. 149).

⁸⁸³ იქვე (ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომებს: Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, 8. Auflage, Berlin-New-York, 1992, S. 312; Münch-Komm-Hanau, §276, Rn.49-50. Schellhammer Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen, S.627).

⁸⁸⁴ იქვე, 385.

⁸⁸⁵ ზოგიერთ ქართულენოვან ნაშრომში გვხვდება *მარტივი (უბრალო)* გაუფრთხილებლობის ცნება (მაგ., *ზოდე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 385-386; *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე ვ., რობაქიძე ი., სვანაძე ვ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის), თბ., 2014, 78; *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 143). წინამდებარე ნაშრომში უპირატესობა ენიჭება ტერმინს *მსუბუქი* გაუფრთხილებლობა, როგორც ეს მოცემულია *კროპპოლერის* სასწავლო კომენტარის ქართულენოვან

მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით,⁸⁸⁶ ხოლო მარტივი გაუფრთხილებლობით კი მოქმედებს ის, ვინც „აუცილებელი ყურადღებებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით,⁸⁸⁷ ამგვარად, „უხემ და მარტივ გაუფრთხილებლობას შორის განსხვავება აუცილებელი ყურადღებებიანობის დარღვევის ხასიათშია.“⁸⁸⁸

სსკ-ისგან განსხვავებით, რომელშიც გაუფრთხილებლობის დეფინიცია მოცემული არ არის, გსკ-ის 276-ე II მუხლში მოცემულია შემდეგი განმარტება: „გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულობას.“ პროფესორ *კროპპოლერი* განმარტებით, სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი წინდახედულობა ეფუძნება ობიექტურ მასშტაბს (ფასდება ობიექტური მასშტაბით); „საქმე ეხება არა კონკრეტული რომელიმე მოვალის შესრულების შესაძლებლობას, არამედ მისი სამოქალაქო ბრუნვის წრიდან ან ასაკობრივი ჯგუფიდან საშუალოდ აღებული პირისადმი სავალდებულო წინდახედულობას (მაგ. წინდახედულობის გამოჩენა მძღოლის, მკურნალი ექიმის ან მეწარმის მიერ...). ამგვარი მკაცრი მასშტაბი გამართლებულია სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოებითა და სიმარტივით, რასაც სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.“⁸⁸⁹ ამასთან, მნიშვნელოვანია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა, რამდენადაც ზოგჯერ, ხელშეკრულებით გამოირიცხება პასუხისმგებლობა მარტივი გაუფრთხილებლობისთვის (გსკ-ის 276-ე III მუხლის თანახმად, მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს განზრახვისათვის პასუხისმგებლობისაგან): „არაპირდაპირ განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნების) განსხვავება რთულია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში მოვალე შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს (BGHZ, 7, 313) მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში, აუცილებელია (როგორც ყოველთვის) დადგინდეს პირის შინაგანი დამოკიდებულება უფლების ან ვალდებულების დარღვევასთან, რაც გულისხმობს, რომ არაპირდაპირი განზრახვა სახეზეა, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას „დასაშვებად მიიჩნევს“.⁸⁹⁰ მსჯელობს რა პასუხისმგებლობის განსხვავებულ მასშტაბზე, *კროპპოლერი* აღნიშნავს, რომ კანონით ან გარიგებით შეიძლება განისაზღვროს „უფრო მკაცრი“ ან „მსუბუქი პასუხისმგებლობის“ მასშტაბი. ზოგჯერ მოვალე მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში კანონის ძალით თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა, როდესაც „განსაკუთრებით მძიმეა

თარგმანში (იხ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 183, 184 და სხვა), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ნაშრომში გვხვდება *მარტივი* გაუფრთხილებლობაც (იქვე, 117, 154, 630).

⁸⁸⁶ *ხოიფ* ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 385-386 (ავტორი უთითებს შემდეგ ნაშრომს: Wolfgang Fikentscher, Schuldrecht, 8. Auflage, Berlin-New-York, 1992, 314).

⁸⁸⁷ იქვე, 386.

⁸⁸⁸ იქვე.

⁸⁸⁹ *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 154.

⁸⁹⁰ იქვე.

აუცილებელი წინდახედულობის ნორმის დარღვევა.“⁸⁹¹ ავტორის სიტყვით, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულებით, აუცილებელი წინდახედულობის ნორმის დარღვევა განსაკუთრებით მძიმეა მაშინ, როდესაც პირის მიერ იგნორირებულია ისეთი გარემოებები, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ყველასთვის ნათელი უნდა იყოს (ასეთად ჩაითვლება მაგ., დასაშვები სიჩქარის ზღვარის 100%-ით გადაჭარბება, ნისლიან ამინდში, ძალზე შეზღუდული ხილვადობის პირობებში გადასწრება).⁸⁹²

წინამდებარე ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია თუ როგორ არის გაგებული აუცილებელი წინდახედულობის ნორმა 2015 წლის ერთ-ერთ განაჩენში, სადაც ვკითხულობთ: „სასამართლო განხილვის ეტაპზე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდება გ. მ-შვილისა და ი. დ-შვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება. კერძოდ, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გ. მ-შვილისა და ი. დ-შვილის მიმართ წარდგენილი - ბრალდება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა თავის არსიდან გამომდინარე მიეკუთვნება რა გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიას, ასეთი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნა თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. ვინაიდან, უშუალოდ დადგენილებაში პირთა ბრალდების შესახებ, არ არის საუბარი კონკრეტულად რომელი ქმედებით - თვითიმედოვნებითა თუ დაუდევრობით დადგა შედეგი - პაციენტი ც. თ-ძის სიკვდილი, რაც გახდა საფუძველი ბრალდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა, საჭიროა მოვახდინოთ მათი დიფერენციაცია. აღნიშნულთან მიმართებით, კი საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა“, ხოლო დაუდევრობას კი აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა „პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ“. თუნდაც აღნიშნული მუხლის ზოგადი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქმედება, რომლის განხორციელებაც შეიძლება ბრალად შეერაცხოს პირს, უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინდახედულობის ნორმებს.“ ამის შემდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ „სასამართლო განხილვის ეტაპზე, დაიკითხა რა ექსპერტი კ. ა-შვილი, რომლის მიერ გაცემული დასკვნის თანახმადაც, ბრალდებულებმა ვერ შეძლეს დროულად აღმოეჩინათ დაზიანებული სისხლძარღვი და დროულად არ განახორციელეს მისი კომპრესია და ტანპონადა, მიუთითა, რომ „აღნიშნული ვალდებულება გააჩნდათ ოპერაციის მწარმოებელ ექიმებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ვალდებულებას, კონკრეტულად რაიმე დოკუმენტი არ აწესებს“. მითითებული გარემოებანი კი ცხადყოფს, რომ ბრალდების აპელირება

⁸⁹¹ კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 155.

⁸⁹² იქვე.

ამ მიმართებით, არ შეესაბამება არც წარდგენილი ბრალდების არსს, ვინაიდან, გამოირიცხა როგორც თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით ქმედების (რეალურად კი უმოქმედობის) ჩადენის ფაქტი, ასევე მითითებული ქმედების განხორციელებისას წინდახედულობის ნორმის არსებობა, რომლის შესაბამისადაც, უნდა განხორციელებულიყო გარკვეული ქმედება.⁸⁹³

ზემოაღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში აღნიშნულია: „პალატა ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციას, რომ ი. დ-შვილს ოპერაციის წარმოებისას არ დაურღვევია წინდახედულობის რაიმე ისეთი ნორმა, რაც უშუალოდ იქნებოდა წერილობით სადმე ასახული. პალატას მიაჩნია, რომ წინდახედულობის ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც წარმოადგენს უმართლობის მთავარ კომპონენტს და დგინდება იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც განსაზღვრულ სოციალურ ურთიერთობებში მყოფ წინდახედულ, გაწონასწორებულ და გონიერ ადამიანებს იმ ანალოგიურ სიტუაციაში წაეყენებათ, რომელშიც დამნაშავე იმყოფება. წინდახედულობის ნორმა არ შეიძლება მხოლოდ დაწერილი ფორმით არსებობდეს. იგი ასევე შეიძლება იყოს დაუწერელი და წარმოადგენს ქცევის იმ წესს, რომლის შესრულების ვალდებულება ამათუიმ ვითარებიდან წარმოიშობა. აღნიშნული წესები შეიძლება წარმოიშვას სპეციალური სამართლებრივი დებულებებიდან, როგორცაა: მოძრაობის უსაფრთხოების, სამეურნეო, პოლიციური და სხვა. ასევე შეიძლება მომდინარეობდეს სოციალური თანაცხოვრების წესებისა და ჩვეულებებიდან, ანუ იმ ნორმებიდან, რომლებიც მოქმედებს პირის სოციალური წრის წარმომადგენლებისათვის ან იმ საქმიანობის ნაწილია, რომელსაც პირი ასრულებს, მაგალითად: სპორტი, ნადირობა, მკურნალობა და ა.შ. წინდახედულობის ვალდებულება ნიშნავს, რომ პირი მოვალეა, კონკრეტული ურთიერთობიდან წარმოშობილი საფრთხე, რომელიც ემუქრება სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს, შეიცნოს და მასთან მიმართებაში სწორად იმოქმედოს. ამასთან, გაატაროს საკმარისი უსაფრთხოების ღონისძიებები ან სახიფათო მოქმედების შესრულებაზე უარი თქვას. პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ი. დ-შვილმა არ დაიცვა ყველა ის წინდახედულობის ნორმა, რომელიც მას ოპერაციის მიმდინარებისას წარმოეშვა.“⁸⁹⁴

სსკ-ის 2001 წელს გამოცემულ კომენტარში პროფესორი ჩიკვაშვილი განმარტავს, რომ „სწორედ ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზ-

⁸⁹³ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აგვისტოს განაჩენი (საქმე №1/66-14წ.).

⁸⁹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განაჩენი (საქმე №1/ბ-916-15). უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც სანიმუშო, ერთი მხრივ, დასაბუთების თვალსაზრისით და მეორე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების მხრივ (იხ. *Mchedlidze N., Application of the Standards of the European Convention on Human Rights by the Common Courts of Georgia (Joint Programme between the European Union and the Council of Europe “Application of the European Convention on Human Rights and harmonisation of national legislation and judicial practice in line with European Standards in Georgia”)*, Tbilisi, January, 2017, 20-21, <<https://goo.gl/Cnsxwh>>, [06.06.17]).

ღერავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას“; ⁸⁹⁵ პროფესორ *ზოიძის* სიტყვით, „გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში.“ ⁸⁹⁶ აქ გასათვალისწინებელია, რომ „პრინციპულად სადავოა თვით ბრალის ცნება, მისი შინაარსის პრობლემა. ბუნებრივია, სადავო ხდება ბრალის ფორმის პრობლემაც; მეორეც, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიჩნეული;“ ⁸⁹⁷ „ბრალის ნორმატივისტულ მოდელში განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც წესი, ბრალის ფორმებად კი არ მიიჩნევენ, არამედ ბრალის ელემენტებად.“ ⁸⁹⁸ როგორც წინამდებარე კვლევის შესავალში აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ „ფსიქოლოგიური მოძღვრების ნორმატივისტულით შეცვლის შედეგად განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის სახეებიდან ბრალის ელემენტებად გარდაისახა“ ⁸⁹⁹ და „შესაბამისად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ნორმატიულ მოძღვრებაში განსაზღვრავენ ბრალის არა ფორმას, არამედ შინაარსს“, ⁹⁰⁰ ბოლო პერიოდში შესრულებულ ზოგიერთ კერძოსამართლებრივ სამეცნიერო ნაშრომში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ტრადიციულად მოიხსენიება ბრალის ფორმებად.⁹⁰¹ ზოგჯერ მითითებულია, რომ „უხეში გაუფრთხილებლობა“ და „მარტივი გაუფრთხილებლობა“ წარმოადგენენ გაუფრთხილებლობის ფორმებს ⁹⁰² (პროფესორ *ნაჭყებიას* სიტყვით, „განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიჩნეული, თუმცა ამ თეორიაში ბრალის ფორმა და სახე მკვეთრად გამიჯნული არაა და ამიტომ მათი აღრევა ხშირია“ ⁹⁰³). გარდა ამისა, მართალია, აღინიშნება, რომ „სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული განზრახვის კატეგორია სისხლის სამართალში აღიარებული ანალოგი

⁸⁹⁵ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 386.

⁸⁹⁶ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 383-384.

⁸⁹⁷ *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 26, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15].

⁸⁹⁸ იქვე, 31 (ავტორი განზრახვას და გაუფრთხილებლობას აგრეთვე მოიხსენიებს, როგორც „ბრალის სისტემურ ელემენტებს“).

⁸⁹⁹ *კუტალია ლ.*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 554, <<http://goo.gl/uZeFXw>> [15.02.15].

⁹⁰⁰ იქვე. ავტორი აღნიშნავს: „ფრანკის, ბაუმანის და სხვა ნორმატივისტთა აზრით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა იმის გამო ვერ იწოდება ბრალის სახეებად, რომ ბრალის ცნება, მათივე მტკიცებით, არც განზრახვაში ვლინდება სრულყოფილად და არც გაუფრთხილებლობაში“.

⁹⁰¹ მაგ., *გელაშვილი ი.*, ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 130; *ძლიერიშვილი ზ.*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ. „ადვოკატი“, №2, 2013, 37; *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 190.

⁹⁰² იხ. *ჩიკვაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 150, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15].

⁹⁰³ *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 27, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15].

კონცეფციის იდენტურია“,⁹⁰⁴ მაგრამ მაინც ყურადღების მიღმა რჩება სისხლის სამართლის მეცნიერთა მითითება, რომლის თანახმად, „ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შემდეგ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აღარ წარმოგვიდგება ბრალის ფორმებად, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული“⁹⁰⁵ და კვლავინდებურად გრძელდება მსჯელობა განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე, როგორც ბრალის ფორმებზე („ბრალის ფორმები, კანონმდებლობით განმტკიცებულ ცალკეულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის განსაკუთრებულ იურიდიულ მნიშვნელობას იძენს“⁹⁰⁶). ზოგიერთ ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ „თანამედროვე პოზიტიური სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ბრალის ცნებას, მას განსაზღვრავს დოქტრინა, რომელიც უარყოფს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას,“⁹⁰⁷ მაგრამ კვლავინდებურად უთითებს, რომ „სამოქალაქო სამართალში ბრალის ფორმებია განზრახვა და გაუფრთხილებლობა.“⁹⁰⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ავტორის ყურადღებას იპყრობს მოსაზრება, რომლის თანახმად, „ბრალეულობა თავისი არსით უკავშირდება ტერმინს „უპასუხისმგებლობა“⁹⁰⁹ და რომ „ბრალის გამოვლენის ფორმებია განზრახვა და გაუფრთხილებლობა“.⁹¹⁰

პროფესორ ნაჭყებიას განმარტებით, „ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, თავისებურად ვლინდება სისხლის სამართალშიც. კერძოდ, განზრახვა სრულიადაც არაა მოწყვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ იგი ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე არ

⁹⁰⁴ ჩიბაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმეცნიერებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 149, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15].

⁹⁰⁵ გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 88.

⁹⁰⁶ ჩიბაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმეცნიერებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 152, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15].

⁹⁰⁷ ჭიხაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 88, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15].

⁹⁰⁸ იქვე, 89.

⁹⁰⁹ ნაჭყებია გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001. მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 142.

⁹¹⁰ უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982. მითითებულია: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 142. პროფესორ უგრეხელიძის ნაშრომში აღნიშნულია, რომ „დიდი ხნის მანძილზე ბრალი საბჭოურ ლიტერატურაში განიხილებოდა როგორც წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტების კომპლექსი განზრახვის და გაუფრთხილებლობის ფორმით. ბრალის ასეთი გაგება დღემდე არ არის აღმოფხვრილი მთლიანად... ამჟამად გაბატონებულად შეიძლება ჩაითვალოს აზრი, რომ ბრალი წმინდა ფსიქოლოგიური ცნება კი არ არის, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია“ და „ამოსავალია დებულება, რომ მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა გარედან კი არ შეიტანება ვინმეს მიერ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში, არამედ პირიქით, ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსიდან გამოიტანება შესაბამისი დასკვნა. ამით ბრალის საბჭოური თეორია პრინციპულად ემიჯნება ბრალის იდეალისტურ ნორმატივისტულ თეორიას“ (უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში (სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი), თბ., 1982, 9-10).

დაიყვანება. ჯერ ერთი, განზრახვის შემთხვევაში ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება დავას არ იწვევს. მეორეც, განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორია აღარაა იმიტომ, რომ სუბიექტი ამ ვითარებაში შეგნებულად უარყოფს სახელმწიფოს წინაშე პოზიტიურ პასუხისმგებლობას. კერძოდ, პირდაპირი განზრახვა სუბიექტის უპასუხისმგებლობის უკიდურესად მაღალი ხარისხია, მაშინ, როდესაც ევენტუალური განზრახვისას სუბიექტი გულგრილად ანუ უპასუხისმგებლოდ ეკიდება მართლწინააღმდეგო შედეგების დადგომის შესაძლებლობას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვა ბრალის, ვითარცა უპასუხისმგებლობის სინონიმის, გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა;⁹¹¹ „სუბიექტი უპასუხისმგებლოა გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც, ოღონდ ამ მიმართებით სუბიექტი შეგნებულად კი არ უარყოფს სახელმწიფოს წინაშე პოზიტიურ პასუხისმგებლობას, არამედ, როგორც უკვე ითქვა, უგულვებელყოფს მას.“⁹¹² საბოლოო ჯამში, ავტორი მიუთითებს, რომ „განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის, როგორც სუბიექტის უპასუხისმგებლობის, გამოვლენის ფორმებია და არა ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების ფორმები, რადგან ბრალი სრულადაც არ არის ფსიქოლოგიური კატეგორია.“⁹¹³

მართალია, რთულია სამოქალაქო სამართალში განონმდებლის მიერ ზუსტად განისაზღვროს უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის განმასხვავებელი ნიშნები, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია, რამდენადაც პრაქტიკულად ხშირად იქმნება უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების და მსუბუქი გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების გამიჯვნის საჭიროება. გარდა ამისა, ზედმიწევნით უნდა დაიხვეწოს სასამართლო გადაწყვეტილებებში ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ისეთი ცნებების ირგვლივ მსჯელობის და განმარტებების კეთების წესი, რომლებმაც ათწლეულების მანძილზე ვერ პოვა გადაწყვეტა სამეცნიერო ნაშრომებში.

5. “Recklessness”-ის და უხეში გაუფრთხილებლობის ცნებათა მიმართება

ევროპული სახელმეკრულებო სამართლის კომისიის⁹¹⁴ მიერ 1995-2002 წლებში შემუშავებული ევროპული სახელმეკრულებო სამართლის პრინციპებში მოიხსენიება განზრახვისა (ინგ. “Intention”) და უხეში გაუფრთხილებლობის (ინგ. “Gross Negligence”) ცნებები, ხოლო 1:301-ე III მუხლის ქართულენოვან თარგმანში („ცნება „განზრახვა“ გულისხმობს

⁹¹¹ ნაჭყებია გ., დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 32, <<http://goo.gl/T3P1yg>>, [15.02.15].

⁹¹² იქვე, 33.

⁹¹³ იქვე.

⁹¹⁴ ე.წ. ლანდოს კომისია. 1982 წლიდან კომისიის თავმჯდომარე იყო დანიელი პროფესორი ლანდო (Ole Lando) და აერთიანებდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენელ ოცდაორ მემბერს. აღნიშნული კომისიის საქმიანობა ევროპული სამოქალაქო კოდექსის სამეცნიერო ჯგუფმა (ინგ. Study Group on a European Civil Code) განაგრძო, პროფესორ ბარობ (Prof. Dr. Dr. h.c. mult. Christian von Bar, იხ. <<http://sgecc.net/>>) ხელმძღვანელობით.

გაუფრთხილებლობასაც⁹¹⁵) დექსიკური ერთეული “*Recklessly*” ნათარგმნი უნდა იყოს არა როგორც *გაუფრთხილებლობა*, არამედ *უხეში გაუფრთხილებლობა*.⁹¹⁶

ბარნეში აღნიშნავს, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის (ინგ. “*Liability Without Fault*”) საკითხი დგება მაშინ, როდესაც კანონი ადგენს პასუხისმგებლობას იმგვარად, რომ არ ითხოვს განზრახვის (ინგ. “*Intent*”), გაუფრთხილებლობის (ინგ. “*Negligence*”), უხეში გაუფრთხილებლობის (ინგ. “*Recklessness*”) ან სხვაგვარი გადაცდომის⁹¹⁷ დადასტურებას. მოპასუხეს, რომელსაც ამ სახის პასუხისმგებლობა ეკისრება, საშუალება ჰქონდა, უსაფრთხოების ზომები მიეღო და მოსარჩელისთვის ზიანი აეცილებინა.⁹¹⁸

სამეცნიერო წრეებში გამოითქვა მოსაზრება, რომ საერთო სამართალში არსებული “*Recklessness*” წარმოადგენს ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის არსებულ, გარდამავალ ფორმას და მისი შესატყვისი ქართული ტერმინი იქნებოდა *გულგრილობა* (აგრეთვე, შემოთავაზებულ იქნა *უგუნურება* ან სიტყვის პირდაპირი გადმოტანა ინგლისური ენიდან და *რეკლესნესის* დამკვიდრება⁹¹⁹).⁹²⁰

⁹¹⁵ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თბ., 2014, 22, <<http://goo.gl/E9ra9Q>>, [26.04.15]

⁹¹⁶ იხ. განმარტება სიტყვისა “*Recklessness*” გამოცემაში: *ქლიბი პ.*, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2002, 456.

⁹¹⁷ რა იგულისხმება ამ სხვაგვარ გადაცდომაში? ავტორი აღნიშნავს, აშშ-ში დელიქტური სამართალი, პირველ ყოვლისა, ყალიბდება და ვითარდება ცალკეული შტატების დონეზე, რაც სამართლის ამ დარგის ნორმებს შორის გარკვეულ სხვაობას განაპირობებს. ქვეყნის მასშტაბით სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლები საერთო სამართალს ემყარება და მეტწილად მსგავსია ყველა შტატში, მაგრამ დელიქტებს საერთო, გამაერთიანებელი პრინციპი არ გააჩნია (იხ. *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002, 419; მაგ., ლუიზიანის სამოქალაქო კოდექსის (“Louisiana Civil Code”) და დელიქტური სამართლის შესახებ იხ. *Palmer V.V.*, The Fate of the General Clause in Cross-Cultural Setting: the Experience of Louisiana, *EJCL*, Vol. 5, May, 2001, <<https://goo.gl/rdzSWL>>, [15.10.16]). მაგ., ლუიზიანის შტატის კანონთა კრებულის (*Louisiana Revised Statutes*) მე-9 კარის (*Civil Code-Ancillaries*) ერთ-ერთ მუხლში ერთდროულად მოიხსენიება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც წარმოადგენს დანაშაულებრივ (ინგ. “*Criminal*”), თაღლითურ (ინგ. “*Fraudulent*”), ბოროტგანზრახულ (ინგ. “*Malicious*”), განზრახ (ინგ. “*Intentional*”), წინასწარგანზრახულ (ინგ. “*Willful*”), შეურაცხმყოფელ (ინგ. “*Outrageous*”), უხეშად გაუფრთხილებელ (ინგ. “*Reckless*”), ან უხეშ (ინგ. “*Flagrant*”) არამართლზომიერ ქცევას (La. R.S. მუხლი 9:2798.1(C)(2), <<https://goo.gl/eaDPPa>>, [08.10.16]) (იხ. *Byrd E.H.*, Reflections on Willful, Wanton, Reckless, and Gross Negligence, “Louisiana Law Review”, Vol. 48, №6, July, 1988, 1386-1387, 1404, <<https://goo.gl/HIW2R1>>, [08.10.16]). 1962 წლის მოდელურ სისხლის სამართლის კოდექსში (American Law Institute’s Model Penal Code (Promulgated in 1962), გათვალისწინებულია მიზანი (მიზანდასახული ქმედება), ცოდნა (გაცნობიერება, შეგნებული ქმედება), უგუნურება/წინდაუხედაობა (უხეში გაუფრთხილებლობა), გაუფრთხილებლობა (გულგრილობა, დაუდევრობა) (“*Purpose, knowledge, recklessness, and negligence*”) (იხ. *Robinson P.H.*, *Dubber M.D.*, An Introduction to the Model Penal Code, March 12, 1999, 12, <<https://goo.gl/Wlcf2r>>, [09.10.16]. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *Simons K.W.*, Dimensions of Negligence in Criminal and Tort Law, “Theoretical Inquiries in Law”, Vol. 3, №2, July, 2002, 43-44, <<https://goo.gl/7dbXyq>>, [14.10.16]; *Fletcher G.P.*, The Fault of Not Knowing “Theoretical Inquiries in Law”, Vol. 3, №2, July, 2002, 278-282, <<https://goo.gl/RBw3rr>>, [14.10.16].

⁹¹⁸ იხ. *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002, 431.

⁹¹⁹ იხ. ამ მოსაზრების ავტორის სტატია: *წიქარიშვილი პ.*, ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ-ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, ჟურნ.

“*Recklessness*”, იგივე “*Dolus Eventualis*” წარმოადგენს დელიქტურ სამართალში არსებული უხეში გაუფრთხილებლობის ცნების სისხლისსამართლებრივ ეკვივალენტს.⁹²¹ ავტორთა ერთი ჯგუფი აღნიშნავს, რომ რთულია გარკვევა იმისა, პრაქტიკაში როგორ ხდება “*Recklessness*”-ის და უხეში გაუფრთხილებლობის გამიჯვნა;⁹²² “*Recklessness*” უფრო სისხლის სამართლის ცნებაა,⁹²³ მაშინ როდესაც უხეში გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართლის (სახელშეკრულებო სამართლისა და დელიქტური სამართლის) კონტექსტში გამოიყენება.⁹²⁴

აქვე საინტერესოა სამხრეთ აფრიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს⁹²⁵ ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც ვკითხულობთ, რომ რომა-ული ცნება “*Culpa lata*” მოიცავდა როგორც უკიდურეს დაუდევრობას / თვითიმედოვნებას (ინგ. “*Extreme Negligence*”), ისე მოვლენას, რომელსაც დღესდღეობით ვუწოდებთ უხეშ გაუფრთხილებლობას (ინგ. “*Recklessness*”) ვიწრო გაგებით ან არაპირდაპირ/ირიბ განზრახვას (ლათ. “*Dolus Eventualis*”).⁹²⁶ კროპოლერის განმარტებით, “*Dolus Eventualis*” სახეზეა, როდესაც „ზიანის მიმყენებელმა

„მართლმსაჯულება“, №3, 2008, 39, <<https://goo.gl/bd2zZD>>, [14.09.16]. ავტორი “*Recklessness*”-ს თარგმნის, როგორც *უგუნურებას, უდარდებლობას*. ის განიხილავს „სამართლებრივი სისტემების იმ ჯგუფს, რომლებიც ევენტუალურ განზრახვას ბრალის ცალკე ფორმად გამოყოფენ კლასიკურ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის. ბრალის ეს ფორმა რომელსაც “*Recklessness*” (უგუნურება, უდარდებობა) ეწოდება მიღებულია ძირითადად საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში (აშშ-ში, ინგლისში).“

⁹²⁰ იხ. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრის ოქმი, 15-17 მარტი, 2013, <<https://goo.gl/zCUfUc>>, [14.08.16].

⁹²¹ იხ. Duhaime's Law Dictionary, <<https://goo.gl/WESwq0>>, [14.08.16]; იხ. Byrd E.H., Reflections on Willful, Wanton, Reckless, and Gross Negligence, “Louisiana Law Review”, Vol. 48, №6, July, 1988, 1395, <<https://goo.gl/HIW2RI>>, [08.10.16].

⁹²² ზოგიერთი იურისდიქციის ფარგლებში „უხეში გაუფრთხილებლობა“ სინონიმია “*Recklessness*”-ისთვის, ზოგიერთ შტატში კი ასე არ არის (იხ. Byrd E.H., Reflections on Willful, Wanton, Reckless, and Gross Negligence, “Louisiana Law Review”, Vol. 48, №6, July, 1988, 1394, 62-ე სქოლიო, <<https://goo.gl/HIW2RI>>, [08.10.16]). ცალკეულ შემთხვევებში უხეში გაუფრთხილებლობა უთანასწორდება ე.წ. უკანასკნელი შანსის დოქტრინას (თუ ზიანის მიყენება დაზარალებულის ქმედებამ გამოიწვია, თავის მხრივ, ზიანის მიმყენებელს უკანასკნელ მომენტში საშუალება ჰქონდა, თავიდან აეცილებინა ზიანი. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. მაგ., James F., Last Clear Chance: A Transitional Doctrine, “Faculty Scholarship Series”, Yale, 1938, 705-723, <<https://goo.gl/CkelTT>>, [08.10.16], მაშინ, როცა “*Recklessness*” გაცილებით შეუწინარებელი ქმედებაა (იხ. Byrd E.H., Reflections on Willful, Wanton, Reckless, and Gross Negligence, “Louisiana Law Review”, Vol. 48, №6, July, 1988, 1394, 63-ე სქოლიო, <<https://goo.gl/HIW2RI>>, [08.10.16]).

⁹²³ მაგ., იხ. “*Recklessness*”-ის განმარტება 1962 წლის მოდელურ სისხლის სამართლის კოდექსში (American Law Institute’s Model Penal Code (Promulgated in 1962), მუხლი 2.02 (C) (“General Requirements of Culpability”), <<https://goo.gl/NMYcGi>>, [09.09.16].

⁹²⁴ იხ. Markesinis B.S., Unberath H., The German Law of Torts: A Comparative Treatise, 2002, 84; აგრეთვე, იხ. Hautamaki E.W., The Element of Mens Rea in Recklessness and “Criminal Negligence”, “Duke Bar Journal”, №1, Vol. 2, December, 1951, 64, <<https://goo.gl/rB3X0B>>, [14.08.16].

⁹²⁵ South Africa Supreme Court of Appeal.

⁹²⁶ იხ. Transnet Ltd t/a Portnet v MV “Stella Tingas” and Another, (378/01) [2002] ZASCA 145; [2003] 1 All SA 286 (SCA) (27 November 2002), <<http://goo.gl/1pZjBK>>, [3.01.14]

იცის ზიანის დადგომის შესაძლებლობის შესახებ და მაინც ახორციელებს მოქმედებას.⁹²⁷

“Recklessness”-ის და უხეში გაუფრთხილებლობის ცნებათა მიმართების დადგენა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც უცხოენოვან ლიტერატურაში, სადაც ყურადღება გამახვილებულია საკითხზე თუ რა შემთხვევაში დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სამედიცინო შეცდომისთვის (ინგ. “Medical Malpractice”), აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის სისტემის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა (ინგ. “Health Care Professionals”) სისხლისსამართლებრივი დევნა სასურველია, განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი ქმედება განხორციელებულია უხეში გაუფრთხილებლობით (ინგ. “Recklessness”), ეს უკანასკნელი კი გულისხმობს უხეშ გადახრას სამედიცინო სტანდარტებიდან.⁹²⁸ ფილკინის განმარტებით, დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამედიცინო სტანდარტიდან გაცილებით მნიშვნელოვან გადახრას, ვიდრე ორდინარული სამოქალაქო სამართლებრივი გაუფრთხილებლობისას.⁹²⁹

ზემოაღნიშნული მსჯელობის ფონზე მეტად საინტერესოა თუ როგორ აფასებს ქართული სასამართლო ექიმ-ანესთეზიოლოგის ქმედებას, რომლის არასრულწლოვანი პაციენტიც გარდაიცვალა: „დ.მ-ი მუშაობდა რა ქარელის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ-ანესთეზიოლოგად, გადაუდებელი აუცილებლობის გამო აპენდიციტის ოპერაციის მომზადებისას მცირეწლოვან ავადმყოფ თ. ხ-ს გაუტკივარების მეთოდად აურჩია ენდოტრაქეალური ნარკოზი, ისე რომ ავადმყოფის ისტორიაში არ მიუთითა აღნიშნული მეთოდის აუცილებლობა. დაუდევრობით არ ჩაატარა გამოკვლევები მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა იძლეოდა ოპერაციის სრუყოფილად მომზადების საშუალებას. მან გამოიკვლია მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზი და არ განსაზღვრა სისხლის ჯგუფი, შარდის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციები, ელექტრო კარდიოგრამა, გულ-მკერდის რენტგენოგრაფია, არ ჩაუდგა ნაზოგასტრალური ზონდი და არ შეადგინა სანარკოზე რუკა, რათა შემდგომ შესაძლებელი ყოფილიყო ნარკოზის მიმდინარეობის შეფასება, არ მიუთითა, თუ რომელ ცდაზე მოხერხდა საინტუბაციო მილის დაფიქსირება და შემდგომში არ აკონტროლა ასეთი ფიქსაცია, რამაც გამოიწვია არტერიული წნევის დაწვეა და გულის გაჩერება. არ მიუთითა არტერიული წნევის ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სავარაუდო მიზეზი, გულის გაჩერების სახე, დრო და ხანგრძლივობა. მისი გაუფრთხილებელი მოქმედებით განვითარდა ფილტვების მწვავე შეშუპება და ჰიპოქსია, რაც გამოწვეულია სუნთქვის პარამეტრის და უანგბადის კონცენტრაციის წინასწარი შერჩევით და სასუნთქი გზების გამტარებლობის დარღვევით. დ.მ-მა ასევე დაუდევრობით არ გამოიკვლია ორგანიზმის ჰიპერმგრძნობელობა ნარკოზის კომპონენტების მიმართ.

⁹²⁷ კოპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 650). აგრეთვე იხ. CACI, “Recklessness” Explained, New September, 2003, <<https://goo.gl/3W0231>>,[08.08.16]; CACI, “Gross Negligence” Explained, New April, 2008, <<https://goo.gl/XkoiuO>>,[08.08.16].

⁹²⁸ იხ. Barcus H.A., Shen E., When Does Medical Negligence Become Criminal? “Washington and Lee University Law Journal”, Vol. 47, №6, June, 2005, <<https://goo.gl/Tx8qVi>>, [07.09.16].

⁹²⁹ იხ. Filkins J.A., Criminalization of Medical Negligence, in “Legal Medicine” (Textbook), Philadelphia, 2007, 508, <<https://goo.gl/jcPkhG>>, [09.09.16].

გულის გაჩერების შემდეგ ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებები განხორციელდა არასრულყოფილად, არაკვალიფიციურად, რაც გამოიხატა იმაში, რომ არასწორად გაუკეთა ადრენალინის ინექცია გულის კუნთში, არ გადაუსხა ნატრიუმის ბიკარბონატი, მაშინ, როდესაც გულის კუნთის ფიბრილაციის შემთხვევაში საჭირო იყო გაკეთებულიყო დეფიბრილაცია და არ უნდა გაეკეთებინა კოფეინი და კორდიამინი. ზემოთ აღნიშნული მოქმედებების შეუსრულებლობამ და არასრულყოფილმა შესრულებამ... გამოიწვია მცირეფლოვან თ.ხ-ის სიკვდილი.“⁹³⁰ ამგვარად, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ექიმ-ანესთეზიოლოგს, რომელიც მოქმედებდა დაუდევრობით, მსჯავრი დაედო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე I მუხლი).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ევენტუალური განზრახვის შედარებითსამართლებრივი ანალიზი მნიშვნელოვანია ბრალის, როგორც სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტის, მისი ფორმების სრულყოფილად შესწავლა-გააზრებისთვის, რამდენადაც „ევენტუალური განზრახვა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ზღვარზე იმყოფება და მისი სწორი გააზრება მნიშვნელოვანია დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“⁹³¹

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გერმანელ მეცნიერთა ნაწილი ავითარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად, „შეგნებული გაუფრთხილებლობა“ არის არაპირდაპირი განზრახვა“ (*ცილინსკი*)⁹³² და „განზრახვის ცნება უნდა შეიზღუდოს და ევენტუალური განზრახვა განზრახვის ფორმებიდან გამოირიცხოს“ (*ზაუერი*).⁹³³ რაც შეეხება ქართული ავტორების პოზიციას (უნდა განხორციელდეს თუ არა ქართულ სისხლის სამართალში ევენტუალური განზრახვის კატეგორიის უარყოფა, შემოტანილ იქნას ახალი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც თავის

⁹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მაისის განჩინება (საქმე №825-აპ), <<https://goo.gl/FodksR>>, [27.08.16].

⁹³¹ იხ. *წიქარიშვილი კ.*, ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ-ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, *ჟურნ. „მართლმსაჯულება“*, №3, 2008, 40, <<https://goo.gl/bd2zZD>>, [14.09.16]. აგრეთვე იხ. *პრადელი ჯ.*, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999, 189-190, 194, 196, 197 (1-ლი სქოლიო); არაპირდაპირი განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის მსგავსების შესახებ იხ. სადისერტაციო ნაშრომი: *მაღლაკელიძე ლ.*, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 59-70, <<https://goo.gl/aEHnrk>>, [11.10.16]. ავტორი აღნიშნავს: „ცნობილია, რომ არაპირდაპირი განზრახვა, მისი ცალკეული ელემენტების შინაარსიდან გამომდინარე, ხშირად ძალიან ემსგავსება შეგნებულ გაუფრთხილებლობას... ისმის კითხვა: რომელი ნიშნის – ინტელექტუალურის თუ ნებელობითის – საფუძველზე უნდა მოხდეს არაპირდაპირი განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნა... გასარკვევია, საერთოდ არის თუ არა მოცემული ნებელობის ელემენტი გაუფრთხილებლობითი დელიქტების ჩადენის დროს, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, ინტელექტუალურ ასპექტებში ისინი ფაქტობრივად თითქმის იდენტურია“ (იქვე, 59).

⁹³² იხ. *Zielinski D.*, Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973, S. 168 (მითითებულია: *ციქარიშვილი თ.*, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4(43), 2014, 106, <<https://goo.gl/59EAqc>>, [14.09.16]).

⁹³³ იხ. *Sauer D.*, Die Fahrlässigkeitsdogmatik der Strafrechtslehre und der Strafrechtsprechung, Hamburg, 2003, S. 246 (მითითებულია: *ციქარიშვილი თ.*, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4(43), 2014, 106, <<https://goo.gl/59EAqc>>, [14.09.16]).

თავში გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვას და თვითიმედოვნებას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს *დანაშაულებრივი გულგრილობა*⁹³⁴), ერთ-ერთი ავტორის აზრით, „აღნიშნული წინადადება მართლაც საყურადღებოა, მაგრამ იგი მოითხოვს შემდგომ სამეცნიერო დისკუსიას.“⁹³⁵

მოკლე დასკვნა

ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შედეგად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის *ფორმებად* აღარ განიხილება (როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში იყო მიღებული).⁹³⁶ აღნიშნული საკითხი საჭიროებს კერძო სამართლის ფარგლებში შემდგომ დეტალურ კვლევას, რომლის მიზანიც იქნება საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება.

მცდარია მოსაზრება, რომლის თანახმად, სსკ-ის 1007-ე მუხლიდან „თავისთავად გამომდინარეობს დებულება იმის თაობაზე, რომ სამედიცინო დაწესებულების მუშაკის მიერ განზრახ ან უხეშო გაუფრთხილებლობით პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი და ის ეკისრება სამედიცინო დაწესებულებას.“⁹³⁷

სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად საკმარისია დადასტურდეს ზიანის მიმყენებლის თუნდაც მსუბუქი გაუფრთხილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმად, კერძო სამართალში პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად დაყოფას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს (რადგან მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს), ამასთან, სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლების შემთხვევაში მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად იმისა, უხეშო გაუფრთხილებლობით არის ზიანი მიყენებული თუ მსუბუქი გაუფრთხილებლობით, წინამდებარე ნაშრომში, წარმოებული კვლევის შედეგად, რეკომენდებულია, სსკ-ის ზოგად ნაწილში განისაზღვროს ამავე კოდექსის 992-ე მუხლში მოცემული განზრახვის და გაუფრთხილებლობის ცნებები (რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ „განზრახვა არის უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილი,“⁹³⁸ ხოლო რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, სასურველია, კანონმდებელმა იხელმძღვანელოს გსკ-ში მოცემული განმარტებით, რომლის თანახმად, „გაუფრთხილებლობით მოქმედებს

⁹³⁴ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 288-289 (მითითებულია: *ცქიტიშვილი თ.*, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4(43), 2014, 107, <<https://goo.gl/59EAqc>>, [14.09.16]).

⁹³⁵ იხ. *ცქიტიშვილი თ.*, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4(43), 2014, 106-107, <<https://goo.gl/59EAqc>>, [14.09.16]

⁹³⁶ იხ. *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 88.

⁹³⁷ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 428.

⁹³⁸ *კროპილერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 154.

პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულობას⁹³⁹), გაიმიჯნოს უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებები (თითოეული ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე, დადგინდეს ზოგადი კრიტერიუმები, რომლითაც უფლებამოსილ სუბიექტს საშუალება მიეცემა, სამართლებრივად შეაფასოს სუბიექტის ქცევა, როგორც უხეში ან მსუბუქი გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედება). ამასთან, ცნებები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გამარტივდეს არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის და უხეში გაუფრთხილებლობის გამიჯვნა (მხედველობაშია მისაღები, რომ უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებელი წინდახედულობის ნორმის მიმე დარღვევას გულისხმობს, ხოლო მსუბუქი გაუფრთხილებლობა სახეზეა, როდესაც „პირი არღვევს სამოქალაქო ურთიერთობისთვის დამახასიათებელ აუცილებელი წინდახედულობის ნორმას“⁹⁴⁰ მსუბუქი ფორმით).

⁹³⁹გსკ-ის 276-ე II მუხლი.

⁹⁴⁰ციკელიუხი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009, 14-15.

დასკვნა

ნაშრომში წარმოებული კვლევის შედეგად გამოვლინდა სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ისეთი სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს. კვლევის შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნა:

1. სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება ე.წ. გენერალური დელიქტის არარსებობისას).

სამედიცინო დაწესებულების სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ფიზიკური პირის (პაციენტის) სამოქალაქო უფლების დარღვევა.⁹⁴¹

2. თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმად, „ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.“⁹⁴² აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია უფლების შექმნა,⁹⁴³ დარღვევა, მოსპობა,⁹⁴⁴ მაგრამ არა დამცირება (შეიძლება საქმე გვქონდეს მაგ., დამამცირებელ მოპყრობასთან, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ღირსების შელახვას⁹⁴⁵, შეურაცხყოფას, დაკინებას⁹⁴⁶) ან განადგურება (მაგ., შეიძლება განადგურდეს ნივთი და ამით დარღვეულ იქნეს საკუთრების უფლება ამ ნივთზე). რაც შეეხება კეთილდღეობას, ის შეიძლება შენარჩუნდეს,⁹⁴⁷ მოიშალოს ან ხარისხობრივად შემცირდეს, მიღწეულ ან მოპოვებულ იქნეს, როგორც შედეგი (არსებობს პირადი კეთილდღეობის, სოციალური კეთილდღეობის ცნებები; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში ჯანმრთელობა განმარტებულია, როგორც სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა). უფლებისა და კეთილდღეობის ცნებათა

⁹⁴¹ სამოქალაქო უფლების შესახებ კვლევა იხ. გამოცემაში: *პეპანაშვილი ნ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი პირველი), თბ., 2015, 21-80.

⁹⁴² *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001, 378; *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998, 16.

⁹⁴³ მაგ., სსკ-ის 24-ე I მუხლის თანახმად, იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს.

⁹⁴⁴ მაგ., სსკ-ის 1186-ე მუხლი ითვალისწინებს მეუღლისგან სარჩოს მიღების უფლების მოსპობას; უფლების მოსპობა იგივეა, რაც უფლების დაკარგვა.

⁹⁴⁵ იხ. *გოცირიძე ე.*, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვაგვარი არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა, გამოცემაში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 113.

⁹⁴⁶ ქეგელ, ტ. III, თბ., 1953, 564.

⁹⁴⁷ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 25-ე I მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მომსახურების და აუცილებელი სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც საჭიროა თავად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

მიმართების თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ პირველ ყოვლისა, სწორედ დაცული უფლება გულისხმობს კეთილდღეობას,⁹⁴⁸ უფლებათა დარღვევა კი მოასწავებს კეთილდღეობის მოშლას. რაც შეეხება მოსაზრებას, რომლის თანახმად „ზიანის არარსებობა გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას...“ ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული უნდა იყოს⁹⁴⁹ და განმარტებას, რომლის თანახმად, „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებადი ზიანი. ასეთია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი,⁹⁵⁰ უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება *სამართლებრივად დაცული სიკეთე* (არ არსებობს დაცული ზიანი); ე.ი. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაში განხორციელდება თუ ზიანი მიყენებულია სამართლებრივად დაცული სიკეთისთვის და ეს ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანია.

3. სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი გულისხმობს ადამიანის სხეულის ანატომიური მთლიანობის, ორგანიზმის ბუნებრივი, ფიზიოლოგიური ან/და ფსიქიკური პროცესების დარღვევას.

მიზანშეწონილია, სსკ-ის ზოგად ნაწილში ზიანის ცნება განისაზღვროს მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში, ნათლად ჩამოყალიბდეს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ცნებები.

სსკ-ში არსებული *არაქონებრივი (მორალური) ზიანი* და *მორალური ზიანი* (მაგ., სსკ-ის მე-18 VI მუხლში ერთდროულად გვხვდება როგორც *არაქონებრივი (მორალური) ზიანი*, ისე *მორალური ზიანი*) უმჯობესი იქნება, შეიცვალოს ერთიანი, *არაქონებრივი ზიანის* ტერმინით, რომელიც მოცემულია სსკ-ის 413-ე მუხლის სათაურში (ცნებათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ სსკ-ის 1519-ე მუხლის ძალით, შესაბამისი შინაარსით უნდა ჩამოყალიბდეს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 103-ე მუხლი, რომელიც *მორალური ზიანის* ანაზღაურების ვალდებულებაზე მიუთითებს). კვლევის ამ ეტაპზე გაზიარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, როდესაც ვმსჯელობთ ტერმინზე „მორალური ზიანი“, ამ დროს „იურისპრუდენციისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია პრობლემის სამართლებრივი საფარველი. ამ გაგებით უმჯობესია მორალური ზიანის ნაცვლად ვიხელმძღვანელოთ ტერმინით „არაქონებრივი ზიანი“.⁹⁵¹ ამასთან, დასახელებული ტერმინი ინსტიტუტის შინაარსს უკეთ ასახავს, რამდენადაც „ასეთი ზიანის მთავარი მახასიათებელი არის მისი არაქონებრივი ხასიათი.“⁹⁵²

არაქონებრივი ზიანის ცნების ჩამოყალიბებისას სასურველია, მხედველობაში იქნეს მიღებული განმარტება, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანი შეიძლება „შედგება მოჰყვეს როგორც ქონებრივი,

⁹⁴⁸ მაგ., „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. ეს თავისთავად გულისხმობს დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას და განხორციელებას“ (*ქართული ბ.*, ქორწინება და ოჯახი, გამოცემაში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 449).

⁹⁴⁹ *თოდუა მ., ვილემსი პ.*, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 41.

⁹⁵⁰ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, 366.

⁹⁵¹ *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 147; ასევე, *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016, 231.

⁹⁵² *დოდონაძე ლ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, *ჟურნ. „თეუსუ“*, №2 (10), 2010, 142.

ასევე სულიერი სიკეთის ხელყოფას, შეიძლება დადგეს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის, ასევე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში მიყენებული ვნების შედეგად.⁹⁵³ ასევე, მოსაზრებები, რომელთა თანახმად, არაქონებრივი ზიანი არის „ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად“⁹⁵⁴ და „ფსიქიკური (ფსიქოლოგიური) ტანჯვა ან სხეულის დაზიანება, რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი უარყოფითი (ფსიქიკური) შედეგი ან ორივე ერთდროულად.“⁹⁵⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *ფსიქიკა* და *ფსიქოლოგია* არ არის იდენტური ცნებები; არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის, ფსიქიკური აშლილობის და ა.შ. ცნებები და არა ფსიქოლოგიური აშლილობის ან ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის; თვით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში მოიხსენიება ფსიქიკური და არა ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

არაქონებრივ ზიანად უნდა ჩაითვალოს *ფსიქიკური ან/და ისეთი ფიზიკური ტრავმა, რომელმაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია პირის ფსიქიკაზე და განაპირობა პირის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მოშლა.*

4. პირის ჯანმრთელობისთვის სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ზიანის მიყენების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვა ან შეზღუდვა დაუშვებელია, რადგან საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობის აბსოლუტურ უფლებას.

5. სსკ-ის 1007-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პირის *ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი* ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ამავე კოდექსის 408-ე II მუხლში და 413-ე II მუხლში კი საუბარია *სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების* შემთხვევებზე. მიზანშეწონილია, *სხეულის დაზიანების* და *ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების* ცნებები ჩანაცვლდეს *ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების* ერთიანი ცნებით. სხეულის დაზიანება სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევას⁹⁵⁶ გულისხმობს; რიგ შემთხვევებში შეიძლება სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევის გარეშეც საქმე გვექონდეს ჯანმრთელობის დაზიანებასთან. *ჯანმრთელობის დაზიანება* მოიცავს როგორც ადამიანის სხეულის, ისე ფსიქიკისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევებს.

6. მიზანშეწონილია, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არარსებობის პირობებში, სსკ-ში კანონმდებელმა მიუთითოს ახლო ნათესავის (ახლობლის) გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე. კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს პირთა წრე, რომელსაც მიენიჭება პირის გარდაცვალებით

⁹⁵³ ნინიძე თ., მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, მარტი-აპრილი, 1978, 54.

⁹⁵⁴ დოღონაძე ლ., არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება, ჟურნ. „თეუსუ“, №2 (10), 2010, 142.

⁹⁵⁵ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, 147.

⁹⁵⁶ გამყრელიძე ო., ტყეშელიძე გ., სურგულაძე ლ., ტურავა მ., ებრაღიძე თ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), თბ., 2002, <<http://bit.ly/2dTYpcg>>, [16.10.16].

მათთვის მიყენებული არაკონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

7. მიზანშეწონილია, სსკ-ის 1006-ე მუხლით გათვალისწინებულ იქნეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირისთვის, რომელიც გარდაცვლილის სიცოცხლეში უკვე ჩასახული იყო. შესაბამისად, სსკ-ის 1006-ე I მუხლი შეიძლება ჩამოყალიბდეს მაგ., შემდეგი შინაარსით: „დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც წარმოიშობა, როდესაც მესამე პირი ზიანის მიყენების მომენტში ჩასახული იყო და დაიბადა დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ“ (შეად. გსკ-ის 844-ე II მუხლი).

ამავდროულად, საკითხი საჭიროებს შემდგომ საფუძვლიან კვლევას და შესაძლოა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, უმჯობესი იყოს სსკ-ის ზოგად ნაწილში გაკეთდეს ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს, რომ დაბადების ფაქტი განსაზღვრავს პირის სამართალსუბიექტობას (დაბადების შემთხვევაში პირი ხდება სამართლის სუბიექტი; დაბადებულად ჩაითვლება დედის ორგანიზმიდან სრულად გამოცალკეებული ნაყოფი), მაგრამ ჩანასახი უკვე დაბადებულად უნდა ჩაითვალოს მისთვის სასიკეთო მიზნებისთვის (წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომლის თანახმად, საკითხისადმი იმგვარი მიდგომა, რაც ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლშია მოცემული, იმდენად მოქნილი და ზუსტია, რომ „ზედმეტი ხდება ცალკეული ვითარებისა და მათთან დაკავშირებული შედეგების დეტალური მოწესრიგება. ზედმეტია ჩანასახის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის კონსტრუქციის ჩამოყალიბებაც“⁹⁵⁷).

8. სსკ-ში სამედიცინო დაწესებულების ცნება განმარტებული არ არის, შესაბამისად გაურკვეველია თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე მიუთითებს კანონმდებელი სსკ-ის 1007-ე მუხლში. ამგვარად, აღნიშნული ნორმა ყველა ფორმის სამედიცინო დაწესებულებაზე უნდა გავრცელდეს, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო ტიპის დაწესებულებები.

9. სამედიცინო მოწყობილობების უსაფრთხოების საკითხი და თავად სამედიცინო მოწყობილობის ცნება საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც უკავშირდება პაციენტისთვის მიყენებული ზიანის წყაროს იდენტიფიცირებას.

სამედიცინო მოწყობილობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რისკის მართვის მთელი პროცესი (რაც მოიცავს სრული ამორტიზაციის დროს), დაწყებული მისი გამოგონებიდან, ვიდრე მის უსაფრთხო უტილიზაციამდე/განადგურებამდე. სამედიცინო მოწყობილობების ოპტიმალური უსაფრთხოება და ხარისხი დამოკიდებულია ყველა იმ სუბიექტის ეფექტურ თანამშრომლობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან ამ მოწყობილობათა შექმნის და სრული ამორტიზაციის პროცესში.

⁹⁵⁷ *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 105.

10. კანონმდებელი იდენტური მნიშვნელობის მქონე ცნებებად წარმოადგენს *სამედიცინო საქმიანობას* და *სამედიცინო მომსახურებას*.⁹⁵⁸ *სამედიცინო მომსახურება*, რომელიც თავის მხრივ ფართო მნიშვნელობის ცნებაა, მოიცავს *გადაუღებელ სამედიცინო დახმარებას*, ისევე როგორც *მაგ., სამედიცინო ჩარევას* და *სამედიცინო მეთვალყურეობას*.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სსკ-ის 1007-ე მუხლის ტექსტი საჭიროებს დახვეწას. მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად გამოირიცხოს ნორმის ინდივიდუალური, არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობა. ამ მიზნით, მართებული იქნება თუ სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ლექსიკური ერთეული *მკურნალობა*, რომლის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს, ჩანაცვლება შესაბამისი, მაგალითად, *სამედიცინო მომსახურების* ცნებით და ამოღებული იქნება ფრჩხილებში მოთავსებული წინადადება (*„ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.“*) ან მისი შინაარსი უფრო ნათლად ჩამოყალიბდება, რადგან მუხლის ტექსტში არსებული *„და სხვ.“* ზრდის განსხვავებული ინტერპრეტაციების ალბათობას. ამგვარი ჩანაცვლება მართებული იქნება იმ შემთხვევაში თუ ნათლად გამოიკვეთება, რომ სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მუხლი არეგულირებს მთელი იმ პერიოდის მანძილზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რა პერიოდშიც პირი ატარებს პაციენტის სტატუსს.

11. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების და მისი შეფასების სირთულეს განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი: ა). თავად სამედიცინო მომსახურების ცნება არის ფართო, ითვალისწინებს სამედიცინო საქმიანობის მრავალ ასპექტს, ცნებათა და ტერმინთა მთელ წყებას, რომელთა საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს (მათ შორის, დაავადებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პაციენტის სამედიცინო მოვლა, პროთეზირება, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირება, პაციენტის სამედიცინო განათლება); ბ). სსკ არ იცნობს მომსახურების ხელშეკრულების ზოგად ცნებას (მომსახურების ხელშეკრულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმები კოდექსში არ არსებობს).

სამედიცინო დაწესებულებას და პაციენტს შორის დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება კომპლექსური ხასიათის იყოს, ითვალისწინებდეს მომსახურებას ადგილობრივ და საზღვარგარეთ არსებულ პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებაში, მოიცავდეს მაგ., ნარდობის ან ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტებს. ამგვარად, საჭიროა სსკ-ში კანონმდებელმა განსაზღვროს მომსახურების ხელშეკრულების ცნება და დაადგინოს მისი მარეგულირებელი სპეციალური ნორმები, განსაზღვროს შერეული ხელშეკრულების ცნება და განავრცოს შერეულ ხელშეკრულებათა განმარტების 340-ე მუხლით დადგენილი წესი.

12. სსკ-ის 1007-ე მუხლის ფარგლებში, არამართებული იქნება მტკიცება იმისა, რომ ზიანის მიმყენებლის მიმართ მართლწინააღმდეგობის პრეზუმფცია არ მოქმედებს და ის უნდა ამტკიცოს მოსარჩელემ. პირს, რომლის ჯანმრთელობასაც ზიანი მიადგა, არ ეკისრება ზიანის მიმყენებლის, კერძოდ, სამედიცინო მომსახურების

⁹⁵⁸ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ჩ“ მუხლი.

გამწვევის ქმედების მართლწინააღმდეგობის მტკიცების ტვირთი, რადგან ეს იმთავითვე ივარაუდება (პრეზუმირებულია), ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

13. სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხს. მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით ცალსახად უნდა ითქვას, რომ დაზარალებულს (პაციენტს) ეკისრება როგორც ზიანის არსებობის, ისე მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი. ამასთან, სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის ფარგლებში ზიანის შერაცხვის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, შესაბამისი ქმედება იყო თუ არა დაზარალებულისთვის (პაციენტისთვის) მიყენებული ზიანის გამომწვევი აუცილებელი პირობა (ეკვივალენტური მიზეზობრივი კავშირი).⁹⁵⁹ შესარაცხი მიზეზობრიობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ „პირობები, რომლებმაც მხოლოდ ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღმა არსებული მიზეზობრიობის განვითარების საფუძველზე გამოიწვია სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება,⁹⁶⁰ მხედველობაში არ მიიღება.

14. საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში მოხსენიებული პროფესიული შეცდომის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას ახორციელებს.⁹⁶¹ ამავე კანონის 97-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი უფლებამოსილია, დააზღვიოს პროფესიული შეცდომა, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი მიადგება. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის საკანონმდებლო დეფინიციის (უმაღლესი სამედიცინო განათლების და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგებზეც ის კანონმდებლობით დადგენილი წესით აგებს პასუხს⁹⁶²) საფუძველზე პროფესიული შეცდომა შეიძლება განმარტოთ, როგორც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში დაშვებული შეცდომა, რომლის შედეგად პაციენტს ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი მიადგა. ცხადია, აღნიშნული განმარტება საკმარისი არ არის კონკრეტული ქმედების პროფესიულ შეცდომად კვალიფიკაციისთვის, ვინაიდან უშუალოდ შეცდომის ცნება, ის კრიტერიუმები, რაც საშუალებას მოგვცემს, ზედმიწევნით ზუსტად გავმიჯნოთ მცდარი და უშეცდომო ქმედება, კვლავ დასადგენი რჩება.

სსკ შეცდომის ცნებას არ განმარტავს, ისევე, როგორც არ განმარტავს განზრახვის, უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებებს. თუ სამართლის მეცნიერები მიუთითებენ, რომ ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს განზრახვისა და

⁹⁵⁹ იხ. კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 636.

⁹⁶⁰ იქვე, 637.

⁹⁶¹ საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ვ“ მუხლი.

⁹⁶² საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 „ბ“ მუხლი.

გაუფრთხილებლობის შინაარსს, უნდა ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით, ⁹⁶³ მაშინ კერძო სამართლის ფარგლებში ქმედების შეცდომად კვალიფიკაციისას (და ასევე, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული მცდარი სამედიცინო ქმედების შესახებ მსჯელობისას) მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მიუტყვებელი და მისატყვებელი (ეს უკანასკნელი პირს ბრალად არ შეეზღვევა) შეცდომის ცნებები, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლშია მოცემული და პროფესორ *გამყრელიძის* განმარტება, რომლის თანახმად, „იმ შემთხვევაში, როცა ვლასპარაკობთ შეცდომაზე სისხლის სამართალში, ყოველთვის განუზრახველი ქმედება უნდა ვიგულისხმოთ. ეს არის შემთხვევა, როცა შედეგი მოქმედის განზრახვით არ არის გამოწვეული. შეცდომა კი ორგვარია: მისატყვებელი და მიუტყვებელი. სწორედ მიუტყვებელი შეცდომა გახლავთ გაუფრთხილებლობა.“ ⁹⁶⁴ ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, სსკ-ის ზოგად ნაწილში ჩამოყალიბდეს შეცდომის ერთიანი ცნება იმგვარად, რომ არ დაირღვეს „ერთიანი მართლწესრიგის პრინციპი.“ ⁹⁶⁵

სწორედ ერთიანი მართლწესრიგის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია სამედიცინო მომსახურების გამწვევის სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მართლსაწინააღმდეგოდ შეფასებული ქმედება (მიუტყვებელი შეცდომა, გაუფრთხილებლობა) მართლზომიერად შეფასდეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალში ⁹⁶⁶ (ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგოდ, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით (შეიძლება დადგეს სამედიცინო მომსახურების გამწვევის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს); ⁹⁶⁷ იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ განხორციელებულ ქმედებას ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალი მართლზომიერად აცხადებს, ის სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მართლსაწინააღმდეგოდ ვერ შეფასდება ⁹⁶⁸).

15. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული ტერმინი *მცდარი სამედიცინო ქმედება* (რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა) უნდა გულისხმობდეს განუზრახველ ქმედებას (თუ პირი განზრახ მოქმედებდა, მაშინ ქმედება აღარ მოექცევა ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული *მცდარი სამედიცინო ქმედების* ფარგლებში). რაც შეეხება გაუფრთხილებლობას (პაციენტის ჯანმრთელობისთვის გაუფრთხილებლობით ზიანის

⁹⁶³ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 386.

⁹⁶⁴ *გამყრელიძე ო.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 121.

⁹⁶⁵ *მადლაკელიძე ლ.*, მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახვი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 231, <<http://goo.gl/ndGi6m>>, [16.04.15].

⁹⁶⁶ იქვე.

⁹⁶⁷ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387.

⁹⁶⁸ იხ. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008, 193.

მიყენებას), სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მისი ბრალად შერაცხვა განხორციელებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება,⁹⁶⁹ ხოლო სსკ-ის 1007-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დაკისრებისთვის საკმარისია, დადგინდეს მსუბუქი გაუფრთხილებლობა.

შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში ლექსიკური ერთეული „უნებლიედ“ ჩანაცვლდეს შესაბამისი ტერმინით (მაგ., ტერმინით „არაგანზრახ“ ან „განუზრახველად“).

16. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში გვხვდება როგორც *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი*, ისე *სამედიცინო პერსონალი*. ამჟამად კანონში მოცემულია მხოლოდ *ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის* საკანონმდებლო დეფინიცია. მიზანშეწონილია, კანონის მე-3 მუხლში განხორციელდეს იმგვარი ცვლილება, რომ ნათელი გახდეს თუ ვინ მიეკუთვნება *სამედიცინო პერსონალს*, ვინ არის *მედიცინის მუშაკი* და *სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი*. ცვლილების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ამავე კანონის მე-3 „ო“ მუხლში *ექიმი* ჩანაცვლდეს შესაბამისი, მაგ., *სამედიცინო პერსონალის* ცნებით. ამგვარი ცვლილების აუცილებლობას ადასტურებს ამავე კანონის 58-ე II მუხლი, რომელიც ფონდის შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს „მცდარი სამედიცინო ქმედების გამო სამედიცინო პერსონალის მიმართ საჩივრის აღძვრის შემთხვევისთვის“, რომელიც იქმნება არა მარტო ექიმის, არამედ სამედიცინო პერსონალის შენატანებისგან (და კანონმდებლობით ნებადართული სახსრებისგან). ცვლილება შესაბამისად უნდა აისახოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლში მოცემული ნორმის შინაარსზე (ამჟამინდელი რედაქციით, „მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ექიმი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით“).

17. გაზიარებულ უნდა იქნეს აზრი იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვანია ზოგიერთი სახის სამედიცინო მომსახურების და სამკურნალო საშუალებების მომეტებული საფრთხის წყაროსთვის მიკუთვნების საკითხის კვლევა და კვლევის შედეგების საკანონმდებლო აქტებში ასახვა.⁹⁷⁰

18. უარყოფილ უნდა იქნეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით „მცდარი სამედიცინო ქმედება არის ექიმის არასათანადო მოქმედება (უმოქმედობა) ბრალის გარეშე, რომლითაც ზიანი მიადგა პაციენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, ექიმს ჰქონდა სხვაგვარად რომ მოქცეულიყო“⁹⁷¹ და მოსაზრება, რომლის თანახმად, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით

⁹⁶⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე III მუხლი.

⁹⁷⁰ იხ. *კვანტალიანი ნ.*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014, 204.

⁹⁷¹ იქვე, 120.

გათვალისწინებული *მცდარი სამედიცინო ქმედება* წარმოადგენს ბრალის გარეშე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.⁹⁷²

19. წინამდებარე კვლევით გამოიკვეთა ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხთან მიმართებით არსებული არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, როგორც არის ბრალეულობის პრეზუმფცია სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე. სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ნორმის ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის საფუძველს, რომ კერძო სამართლის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების გამწვევის (ექიმის, ექთნის, სამედიცინო დაწესებულების და ა.შ.) მიმართ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია (მოპასუხის ბრალი ივარაუდება, ვიდრე მის მიერ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო), რომლის საპროცესო მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების (სასამართლო შესაბამისად განსაზღვრავს ფაქტებს, რომლებიც მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს და ფაქტებს, რომლებიც მოპასუხემ უნდა ამტკიცოს⁹⁷³) საკითხს, ხოლო სსსკ-ის 102-ე I მუხლით დადგენილ წესს და სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას შორის არ არსებობს რაიმე სახის წინააღმდეგობა.

წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია მსჯელობა, რომლის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი და ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, ვიდრე არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს.⁹⁷⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, რომ სსკ-ის 1007-ე მუხლში მოცემული ბოლო წინადადება („ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“) განთავსდეს სსკ-ის 992-ე მუხლში (სადაც მოცემულია ზიანის მიყენების შედეგად დელიქტური ვალდებულების წარმოქმნის ზოგადი წესი) და ჩამოყალიბდეს მაგ., შემდეგი რედაქციით: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. *თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული*, ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.“

ბრალეულობის პრეზუმფციის საკითხი საჭიროებს შემდგომ საფუძვლიან კვლევას არა მარტო სსკ-ის 1007-ე მუხლის, არამედ მთლიანად კერძო სამართლის ფარგლებში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

20. მცდარია მოსაზრება, რომლის თანახმად, სსკ-ის 1007-ე მუხლიდან „თავისთავად გამომდინარეობს დებულება იმის თაობაზე, რომ სამედიცინო დაწესებულების მუშაკის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის

⁹⁷² იქვე, 199.

⁹⁷³ *ლილეაშვილი თ., ხრუსტალი ვ.*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, 196.

⁹⁷⁴ იხ. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, 387.

შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი და ის ეკისრება სამედიცინო დაწესებულებას.⁹⁷⁵

როგორც აღინიშნა, სსკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დასაკისრებლად საკმარისია დადასტურდეს ზიანის მიმყენებლის თუნდაც მსუბუქი გაუფრთხილებლობა.

წინამდებარე ნაშრომში, წარმოებული კვლევის შედეგად, რეკომენდებულია, სსკ-ის ზოგად ნაწილში განისაზღვროს ამავე კოდექსის 992-ე მუხლში მოცემული განზრახვის და გაუფრთხილებლობის ცნებები (რადროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ „განზრახვა არის უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილი“⁹⁷⁶ ხოლო რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, სასურველია, კანონმდებელმა იხელმძღვანელოს გსკ-ში მოცემული განმარტებით, რომლის თანახმად, „გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულობას“⁹⁷⁷), გაიმიჯნოს უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებები (თითოეული ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე, დადგინდეს ზოგადი კრიტერიუმები, რომლითაც უფლებამოსილ სუბიექტს საშუალება მიეცემა, სამართლებრივად შეაფასოს სუბიექტის ქცევა, როგორც უხეში ან მსუბუქი გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედება). ამასთან, ცნებები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გამარტივდეს არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის და უხეში გაუფრთხილებლობის გამიჯვნა (მხედველობაშია მისაღები, რომ უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებელი წინდახედულობის ნორმის მიმე დარღვევას გულისხმობს, ხოლო მსუბუქი გაუფრთხილებლობა სახეზეა, როდესაც „პირი არღვევს სამოქალაქო ურთიერთობისთვის დამახასიათებელ აუცილებელი წინდახედულობის ნორმას“⁹⁷⁸ მსუბუქი ფორმით).

21. ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შედეგად, განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის *ფორმებად* აღარ განიხილება (როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაში იყო მიღებული).⁹⁷⁹ აღნიშნული საკითხი საჭიროებს კერძო სამართლის ფარგლებში შემდგომ დეტალურ კვლევას, რომლის მიზანიც იქნება საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება.

⁹⁷⁵ იქვე, 428.

⁹⁷⁶ *კროპტოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014, 154.

⁹⁷⁷ გსკ-ის 276-ე II მუხლი.

⁹⁷⁸ *ციპელიუსი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009, 14-15.

⁹⁷⁹ იხ. *გამყრელიძე ლ.*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, 88.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995);
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950);
3. კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);
4. კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (1966);
5. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (1984);
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (2006);
7. კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (1997);
8. ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ (1998);
9. ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ (2002);
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997);
11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997);
12. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984);
13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999);
14. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010);
15. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ (2001);
16. საქართველოს კანონი აივ ინფექცია/შიდსის შესახებ (2009);
17. საქართველოს კანონი ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ (2015);
18. საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ (2001);
19. საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007);
20. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997);
21. საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ (2000);
22. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (2000);
23. საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (2006);
24. საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (1997);
25. საქართველოს კანონი სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ (1995);
26. საქართველოს კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ (2015);
27. საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ (2012);

28. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (2011);
29. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014);
30. საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005);
31. საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012);
32. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2007);
33. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004);
34. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, საქართველოს სსრ კანონთა წიგნი, ტ. 2, თბ., 1982;
35. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი (ცვლილებითა და დამატებით 1925 წ. ნოემბრის 1-მდე), ტფილისი, 1925.

სასამართლოს გადაწყვეტილებები

36. *პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ* [2009], ECHR, no. 9870/07, <<http://goo.gl/QPHfOS>>, [20.08.15];
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1296-1223-2012); <<http://goo.gl/96AAIV>>, [17.02.16];
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1559-1462-2012), <<http://goo.gl/qPi7BA>>, [28.08.15];
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-381-370(კ-13), <<http://goo.gl/Euf6YL>>, [22.12.15];
40. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება (№2/1/536) საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა ვაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/luSKDN>>, [16.08.15];
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-260-244-2014), <<https://goo.gl/rwOZJd>>, [13.05.17];
42. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2ბ/1882-14), <<http://goo.gl/RfR8oM>>, [21.04.15];
43. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება (№2/4/532, 533) საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/Z4EjtC>>, [21.07.16];
44. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება (№2/5/556) საქმეზე *საქართველოს*

მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,
 <<https://goo.gl/P3UGUX>>, [16.08.15];

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-378-367(კ-13), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15];
46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1163-1092-2012), <<http://goo.gl/GGvUfa>>, [28.08.15];
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1156-1176-2011), <<http://goo.gl/t8OLWx>>, [01.01.16];
48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-663-624-2011), <<http://goo.gl/SgeCsx>>, [28.08.15];
49. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2ბ/4238-11), <<http://goo.gl/ZytrH0>>, [07.05.16];
50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-394-373-2012), <<http://goo.gl/kZTa3J>>, [23.08.14];
51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-937-880-2012), <<http://goo.gl/Z3rZnw>>, [06.05.16];
52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1700-1656(გ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17];
53. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1102-2010), <<http://goo.gl/8W0pJP>>, [04.09.15];
54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1009-946-2010), <<http://goo.gl/jBRkiw>>, [04.09.15];
55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1471-1433(კ-10), <<https://goo.gl/QMMC7R>>, [24.05.17];
56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-1522-1483(კ-10), <<https://goo.gl/TA5KBy>>, [25.05.17];
57. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/6831-10), <<http://goo.gl/xz3zHa>>, [04.09.15];
58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-260-244-11), <<http://goo.gl/Hk7MUs>>, [28.08.15];
59. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2ბ/2774-11), <<http://goo.gl/rJJ06b>>, [31.12.15];

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-233-224(გ-10), <<https://goo.gl/atVAwy>>, [25.05.17];
61. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-280-265-2010), <<http://goo.gl/M6k4CG>>, [04.09.15];
62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1268-1526-09), <<http://goo.gl/XhEK1T>>, [28.08.15];
63. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-714-669-2010), <<http://goo.gl/g2E7IU>>, [04.09.15];
64. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-591-555-2010), <<http://goo.gl/3GIRDF>>, [21.04.15];
65. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-868-817-2010), <<http://goo.gl/qREZgR>>, [31.12.15];
66. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება (№1/1/493) საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, <<https://goo.gl/d0TdD4>>, [16.08.15];
67. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-972-936 (3კ-08), <<http://goo.gl/47VXGM>>, [28.08.15];
68. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განჩინება (საქმე №ბს-1521-1478 (2კ-08), <<http://goo.gl/G0ooFG>>, [01.01.16];
69. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №1091-აპ), <<http://goo.gl/t07KGW>>, [04.09.15];
70. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-860-822(კ-07), <<https://goo.gl/LldRFd>>, [22.05.17];
71. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-327-309 (2კ-07), <<http://goo.gl/Gpx9qv>>, [31.12.15];
72. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება (საქმე №2/3/441) *საქართველოში თამბაქოს კონტროლის ხარხო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, <<http://goo.gl/0tjRv5>>, [13.06.15];
73. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მაისის განჩინება (საქმე №825-აპ), <<https://goo.gl/FodksR>>, [27.08.16];

74. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №825-აპ), <<http://goo.gl/c3zGvx>>, [02.09.15];
75. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-296-624-07), <<http://goo.gl/JSRWIG>>, [27.08.15];
76. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-442-721-05), <<http://goo.gl/ERozxZ>>, [28.08.15];
77. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1363-1588-05), <<http://goo.gl/qAJ5Yx>>, [04.09.15];
78. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1333-1562-05), <<http://goo.gl/ERozxZ>>, [28.08.15];
79. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №ას-33-406-05), <<http://goo.gl/vcF2Ym>>, [28.08.15];
80. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-237-182-კ-05), <<http://goo.gl/6j5A4N>>, [22.12.15];
81. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-434-25 (3კ-05), <<http://goo.gl/wZ2X4W>>, [28.08.15];
82. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-874-1146-05), <<http://goo.gl/jXlgVu>>, [04.09.15];
83. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-205-172-კ-04, <<http://goo.gl/9X8UII>>, [28.08.15];
84. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №3გ-ად-297-კ-02), <<http://goo.gl/PfJv8B>>, [28.08.15];
85. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-477-1110-03), <<http://goo.gl/inbYrp>>, [31.08.15];
86. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-254-939-03), <<https://goo.gl/XbOLlY>>, [04.05.16].

ლიტერატურა

87. აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. II, 1946;

88. ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილი ა., ჯავაშვილი ვ., კიკნაძე ნ., მეიშვილი ზ., მირზიკაშვილი ნ., ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბ., 2011, <<http://goo.gl/eIOyBX>>, [06.06.15];

89. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999;

90. ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ., „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005;

91. ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე ზ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე დ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), თბ., 2013;

92. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012;

93. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2016;

94. ბიოლინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი, 2009;

95. ბონარი ჟ., სადაზღვევო სამართლის საწყისები, თბ., 2003;

96. გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალიძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი ვ., ნაჭყებია ვ., ტყემელიაძე ვ., ხუროშვილი ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბ., 2007;

97. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008;

98. გავოშიძე თ., პათოფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2015;

99. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012;

100. გვახარია მ., ღია წერილი სუროგაციის კანონზე მომუშავე კომისიას, ჟურნ. „ლიბერალი“, 5 დეკემბერი, 2014, <<http://goo.gl/3oc3gb>>, [06.07.15];

101. გოგავა მ., ხელოვნურ ჩასახვაზე დაწესებულ აკრძალვებს სპეციალისტები აპროტესტებენ, „ნიუსჯი“, 13 ივნისი, 2012, <<http://goo.gl/zVwGt6>>, [10.08.15];

102. გოგვაძე მ., საბედისწერო განსაცდელი: ზედოზირება, 17 აპრილი, 2013, <<https://goo.gl/djV307>>, [25.08.15];

103. გურული ზ., ღინძობიდან ლენჩობამდე, გაზ. „24 საათი“, 2 მაისი, 2014, <<http://goo.gl/Ew28Hl>>, [21.08.15];

104. დერნბურგი პ., პანდექტები, ტ. I, ტფილისი, 1928;

105. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15];

106. ვაჩიშვილი ალ., სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №5, 1963;
107. ვერულავა თ., თორთლაძე ი., რენტგენო-რადიოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემები საქართველოში, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, №2, 2015, <<http://goo.gl/aYaCzV>>, [19.09.15];
108. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011;
109. ზოიძე ბ., ავტომობილების მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985
110. თოდუა მ., ვილემსი კ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006;
111. იაიჩკოვი კ.კ., ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი, თბ., 1947;
112. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009;
113. კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014;
114. კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გვენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ., წიგნი პაციენტებისთვის: ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა (გზამკვლევი), თბ., 2011;
115. კნიპერი რ., საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისათვის, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, 1998;
116. კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი), თბ., 2014;
117. კუტალია ლ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, <<http://goo.gl/iKEME>>, [15.02.15];
118. კუტალია ლ., ბრალი - თანდაყოლილი იდეა თუ თეორიული აზროვნების ნაყოფი? ჟურნ. „ალმანახი“, 1999, №12, <<http://tinyurl.com/lwadyds>>, [29.01.15];
119. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011;
120. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი გ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004;
121. მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა; ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 2014, <<http://goo.gl/gpjLUB>>, [17.12.15];
122. მარტენი რ., პირი და სამართლის სუბიექტი, კრებული: რ.შენგელია-70, თბ., 2012;
123. მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2012, <<https://goo.gl/aEHnrk>>, [11.10.16];
124. მალლაკელიძე ლ., სამართლებრივი შეცდომისა და მართლწინააღმდეგობის ეტაპზე დაშვებული შეცდომის

- ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009, 89-108, <<https://goo.gl/Sx4dXH>>, [15.02.15];
125. *მაღლაკელიძე ლ.*, მართლწინააღმდეგობის შეგნების მნიშვნელობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დელიქტების დროს, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, <<http://goo.gl/ndGi6m>>, [16.04.15];
 126. *მასბაუმი მ.ს.*, კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7 №2-3 (1), 2004;
 127. *ნაჭყებია გ.*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, <<http://goo.gl/T3P1yg>>, [15.02.15];
 128. *ნინიძე თ.*, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, მარტი-აპრილი, 1978;
 129. *პელევრინო მ.*, სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? საიუბილეო კრებული: სერგო ჯორბენაძე - 70, თბ., 1996;
 130. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ., 2002;
 131. *საგანელი ბ.*, სამართლის ზოგადი თეორია (სამართლის საფუძვლები და მეთოდები), თბ., 2005;
 132. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001;
 133. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001;
 134. *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.*, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(37), 2013;
 135. *ტაკაშვილი ს.*, დელიქტური ვალდებულებების საკანონმდებლო მოწესრიგება ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში, 2014, <<http://goo.gl/Sdz2mY>>, [28.01.16];
 136. *ტობეხი ბ.*, ჯანმრთელობის უფლება, კრებულში: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები (რედ. *ვიდე ა., კრაუზე კ. როსას ა.*), თბ., 2006;
 137. ტრანსგენდერი ადამიანების სქესის აღიარების სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო მაგალითები, თბ., 2012, <<https://goo.gl/utrG6k>>, [25.07.15];
 138. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2008;
 139. *ტურავა პ., წკეპლაძე ნ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010;
 140. *ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა), თბ., 2013, <<https://goo.gl/3yEXw0>>, [17.06.15];
 141. *უგრეხელიძე მ.*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982;
 142. *ფინისი ჯ.*, აბორტის დადებითი და უარყოფითი მხარეები: პასუხი ჯუდით თომსონს, გამოცემაში: სამართლის ფილოსოფია (რედ. *დვორკინი რ.მ.*), თბ., 2010;

143. *ქოჩაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, <<http://goo.gl/aHljoe>>, [15.02.15];
144. *შავდია მ., ღვამიჩავა რ., ბაქრაძე ი.*, ეთიკა ონკოლოგიაში, ჟურნ. „თანამედროვე მედიცინა“, №16, 2010, მაისი-ივნისი, <<http://goo.gl/12QbKe>>, [15.02.14];
145. *შენგელია ლ., სოფრომაძე ზ.*, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ჟურნ. „ქართული პოლიტიკა (საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პოლიტიკა)“, №3, 2015, <<http://goo.gl/1BMS7s>>, [25.08.15];
146. *შნიტგერი ჰ.*, საკრედიტო სამართალი, *ლუთრინგჰაუსი პ.*, დელიქტური სამართალი, *შუშკე ე.*, საადსრულებო სამართალი, *ტოლკმიტი ი.*, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბ., 2011, <<http://goo.gl/P6c4wp>>, [15.02.15];
147. *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998;
148. *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, თბ., 2001;
149. *ჩიტაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, <<http://goo.gl/TwUUiY>>, [15.02.15];
150. *ჩხაიძე ს.*, ზიანის ცნება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში (მოკლე ანალიზი), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 2014;
151. *ციბელიუხი რ.*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ., 2009;
152. *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2000;
153. *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელშეკრულებო სამართალი (სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის), თბ., 2014;
154. *წულუკიანი თ.*, სიცოცხლის უფლება: ძირითადი პრინციპები და გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრთა უფლებები სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტის მიხედვით, ჟურნ. „სოლიდარობა“, №2(35), 2010;
155. *ჭელიძე ლ.*, სიცოცხლის უფლება ფეტიუსისთვის, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, თბ., 2002;
156. *ჯორბენაძე ს.*, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, ივლისი-აგვისტო, 1985;
157. *პერმანი თ.*, მტკიცებულებითი სამართალი (კონსპექტი), თბ., 2016;
158. Additional Protocol to the Convention on Human Rights and Biomedicine, Concerning Biomedical Research (2001);
159. Additional Protocol to the Convention on Human Rights and Biomedicine Concerning Genetic Testing for Health Purposes (2008),

160. Charter of Fundamental Rights of the European Union (2000/C 364/01), Official Journal of the European Communities (18.12.2000), <<http://goo.gl/KqBm3>>, [05.07.15];
161. Constitution of the World Health Organization, 1946, <<http://goo.gl/fHMKRv>>, [12.06.15];
162. Council of Europe Convention against Trafficking in Human Organs (Santiago de Compostela, 2015);
163. Directive 2005/36/EC of the European Parliament and of the Council of 7 September 2005 on the Recognition of Professional Qualifications, <<http://goo.gl/5Uadcl>>, [02.06.15];
164. Directive 98/79/EC of the European Parliament and of the Council of 27 October 1998 on In Vitro Diagnostic Medical Devices, <<http://goo.gl/ixPxUZ>>, [12.07.15];
165. Directive 93/42/EEC of 14 June 1993 Concerning Medical Devices, <<http://goo.gl/oq9SWl>>, [12.07.15];
166. Directive of 20 June 1990 on the Approximation of the Laws of the Member States Relating to Active Implantable Medical Devices (90/385 /EEC), <<http://goo.gl/Tbe7Pb>>, [12.07.15];
167. Directive 75/362/EEC of 16 June 1975 Concerning the Mutual Recognition of Diplomas, Certificates and Other Evidence of Formal Qualifications in Medicine, Including Measures to Facilitate the Effective Exercise of the Right of Establishment and Freedom to Provide Services, <<http://goo.gl/vXBuhe>>, [04.06.15];
168. Draft Code of Medical Ethics (A/RES/36/61, 25 November 1981), <<http://goo.gl/biL9M1>>, [24.04.15];
169. Dutch Civil Code, <<http://goo.gl/atb1g7>>, [07.06.16];
170. European Charter of Patients' Rights Basis Document, Rome, November, 2002, <<http://goo.gl/0ztgMo>>, [20.08.15];
171. European Social Charter, adopted in 1961 and revised in 1996, <<http://goo.gl/1dlzG5>>, [12.06.15];
172. European Charter of Patients's Rights, 2002, <<http://goo.gl/lIKI5H>>, [12.06.15];
173. French Civil Code, <<http://goo.gl/TT0KWx>> , [27.08.15];
174. German Civil Code, <<http://goo.gl/tpx8wC>>, [18.10.16];
175. Human Fertilisation and Embryology Act (1990); Patient Protection and Affordable Care Act (PPACA), <<http://goo.gl/XAfucp>>, [06.06.15];
176. International Covenant on Civil and Political Rights (1966);
177. International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (1966);
178. Parliamentary Assembly, Resolution N°1728 (2010) on Discrimination on the Basis of Sexual Orientation and Gender Identity, <<http://goo.gl/XW3g2L>>, [14.08.15];
179. Principles of Medical Ethics Relevant to the Role of Health Personnel, Particularly Physicians, in the Protection of Prisoners and Detainees Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Adopted by General Assembly Resolution 37/194 of 18 December 1982, <<http://goo.gl/R7zawm>>, [20.08.15];
180. Universal Declaration of Human Rights, 1948, <<http://goo.gl/6s6Qc6>>, [12.05.15];
181. *Evans v. The United Kingdom* [2007], ECHR, no. 6339/05 <<http://goo.gl/K2rRCU>> [08.08.15];

182. *Christine Goodwin v. the United Kingdom* [2002], ECHR, no. 28957/95, <<http://goo.gl/xAngMR>>, [14.08.15];
183. *Mouvement Raëlien Suisse v. Switzerland* [2012], ECHR, no.16354/06 <<http://goo.gl/KIJWJK>> [06.07.15];
184. *Vo v. France*, [2004], ECHR, no. 53924/00 <<http://goo.gl/sZfCG2>> [05.07.15];
185. Case C-246/80 *C. Broekmeulen v Huisarts Registratie Commissie* [1981] ECR 02311 <<http://goo.gl/yBkj0L>> [04.06.15].
186. *In re Baby M*, 537 A.2d 1227, 109 N.J. 396 (N.J. 1988) <<http://goo.gl/qwNCwU>> [06.07.15];
187. *Transnet Ltd t/a Portnet v MV “Stella Tingas” and Another*, (378/01) [2002] ZASCA 145; [2003] 1 All SA 286 (SCA) (27 November 2002), <<http://goo.gl/1pZjBK>>, [3.01.14];
188. Case C-246/80 *C. Broekmeulen v Huisarts Registratie Commissie* [1981] ECR 02311, <<http://goo.gl/yBkj0L>>, [04.06.15];
189. *Donoghue v Stevenson*, AC 562, (1932), <<http://goo.gl/cDY0TV>>, [31.08.16];
190. *Jensen v. Archbishop Bergan Mercy Hosp.*, 236 Neb.1, (1990), <<https://goo.gl/HGDZ4O>>, [17.08.16];
191. *LaRoche v. United States*, 730 F.2d 538, 539 (1984), <<https://goo.gl/A7uWgE>>, [17.08.16];
192. *Cox v. Lesko* 263 Kan. 805, (1998), <<https://goo.gl/Kd6wbI>>, [17.08.16];
193. *In re Baby M*, 537 A.2d 1227, 109 N.J. 396 (N.J. 1988), <<http://goo.gl/qwNCwU>>, [06.07.15];
194. *Carter v. Canada*, 2015 SCC 5, (2015), <<https://goo.gl/j05WpI>>, [19.09.16].
195. *Ackerman L.J.*, The Doctrine of Avoidable Consequences in Disability Insurance, “University of Newark Law Review”, Vol. IV, №1, 1938, <<https://goo.gl/bvKF1T>>, [19.09.16];
196. *Albert G.*, Forced Sterilization and Romani Women’s Resistance in Central Europe, “Population and Development Program”, No.71, Summer, 2011, <<http://goo.gl/oEo1RA>>, [12.08.15];
197. *Anderson Ryan T.*, Always Care, Never Kill: How Physician-Assisted Suicide Endangers the Weak, Corrupts Medicine, Compromises the Family, and Violates Human Dignity and Equality, 2015, <<https://goo.gl/AHe6kn>>, [19.09.16];
198. *Antelava N.*, Forced Sterilization of Women in Uzbekistan, December 2013, <<https://goo.gl/hfZzUW>>, [12.08.15];
199. *Behrendt A.*, Listening to African Voices (Female Genital Mutilation/Cutting Among Immigrants in Hamburg: Knowledge, Attitudes and Practice), February, 2011, <<http://goo.gl/A36qMw>>, [15.08.15];
200. *Benavides D., Coles L., Dulaney G., Rath V., Yager C.*, The Evolving Role of Marketing in Biotechnology, 2005, <<http://goo.gl/hlv4F1>>, [15.09.16];
201. Blood Donations from Men Who Have Sex with Other Men Questions and Answers, U.S. Food and Drug Administration, <<http://goo.gl/VrwLHq>>, [17.08.15];
202. *Bogdanich W.*, Radiation Offers New Cures, and Ways to Do Harm, “The New York Times”, January 23, 2010, <<http://goo.gl/Ih99SH>>, [19.08.15];
203. Brain Stimulation Therapies, “National Institute of Mental Health”, <<http://goo.gl/qQRdQU>>, [12.08.15];
204. *Burnham W.*, Introduction to the Law and Legal System of the United States, Saint Paul, 2002;

205. *Byrd E.H.*, Reflections on Willful, Wanton, Reckless, and Gross Negligence, “Louisiana Law Review”, Vol. 48, #6, July, 1988, 1386-1387, 1404, <<https://goo.gl/HIW2Rl>>, [08.10.16].
206. CACI, “Recklessness” Explained, New September, 2003, <<https://goo.gl/3W023l>>, [08.08.16];
207. CACI, “Gross Negligence” Explained, New April, 2008, <<https://goo.gl/XkoiuO>>, [08.08.16];
208. *Coquillette D.R.*, Comparative Studies in Continental and Anglo-American Legal History: Civilian Writers of Doctors' Commons, London: Three Centuries of Juristic Innovation in Comparative, Commercial and International Law, band III, Berlin, <<https://goo.gl/gXIy7n>>, [11.08.15];
209. *Crabbe*, Legislative Drafting, I, 1994, <<https://goo.gl/MkBGAv>>, [05.09.15];
210. Central Asian Experts: Natalia Antelava Sucked BBC into a Dubious Deal, November 21, 2014, <<https://goo.gl/kACXiN>>, [12.08.15];
211. Da Vinci Robotic Surgery Lawsuits, The Peterson Firm, <<http://goo.gl/g6oSh0>>, [02.09.15];
212. Declaration on the Promotion of Patients' Rights in Europe, The European Consultation on the Rights of Patients, Amsterdam, 28-30 March, 1994, <<http://goo.gl/CGa6h3>>, [25.07.2015];
213. *DeVol C.R., Bedroussian A., Yeo B.*, The Global Biomedical Industry: Preserving U.S. Leadership, September, 2011, <<https://goo.gl/PEO3VE>>, [17.07.15];
214. *Donnelly L.*, NHS Negligence Claims Rise by 20 Per Cent in Just One Year, “The Telegraph”, 2 June, 2013, <<http://goo.gl/k6w5z6>>, [24.08.15];
215. *Dunning M.*, Medical Malpractice Rates Expected to Rise as Healthcare Providers Keep Consolidating, October 11, 2012, “Modern Healthcare”, <<http://goo.gl/ias9rx>>, [24.08.15];
216. Euthanasia in Nazi Germany - The T4 Programme, <<http://goo.gl/lZhfDz>>, [13.08.15];
217. Ending Female Genital Mutilation/Cutting: Lessons From a Decade of Progress: Population Reference Bureau, 2014, <<http://goo.gl/uaRPB6>>, [15.08.15];
218. Eliminating Female Genital Mutilation (An Interagency Statement), OHCHR, UNAIDS, UNDP, UNECA, UNESCO, UNFPA, UNHCR, UNICEF, UNIFEM, WHO, 2008, <<http://goo.gl/iRgkr8>>, [15.08.15];
219. FDA Commissioner Margaret A. Hamburg's Statement on FDA's Blood Donor Deferral Policy for Men Who Have Sex with Men, December 23, 2014, <<http://goo.gl/2AXcpH>>, [17.08.15];
220. Female Genital Mutilation Risk and Safeguarding (Guidance for Professionals), March, 2015, Department of Health, <<https://goo.gl/xQsBlz>>, [15.08.15];
221. Female Genital Mutilation/Cutting: United States Government's Response, July 21, 2014, <<https://goo.gl/XZX2bz>>, [15.08.15];
222. *Fletcher G.P.*, The Fault of Not Knowing “Theoretical Inquiries in Law”, Vol. 3, №2, July, 2002, 278-282, <<https://goo.gl/RBw3rr>>, [14.10.16];
223. *Fleeter T.B.*, Worldwide Trends in Medical Liability, AAOS, <<http://goo.gl/xn4iXm>>, [24.08.15];
224. Female Sterilization, the Facts, U.S. Department of Health and Human Services, <<http://goo.gl/gvyft4>>, [10.08.15];
225. *Fishman P.*, “Res Ipsa Loquitur” in Medical Negligence Legal Practice, April 1, 2016, <<http://goo.gl/uykdJf>>, [01.08.16];

226. *Foot P.*, The Problem of Abortion and the Doctrine of the Double Effect, “Oxford Review”, №5, 1967, <<http://goo.gl/pRLWVk>>, [25.07.15];
227. *Gallagher R.*, Physician-Assisted Suicide and Euthanasia: Introduction, 2015, <<https://goo.gl/lbypVi>>, [19.09.16];
228. German/Nazi Eugenics, “American Eugenics Movement”, 2000, <<http://goo.gl/NkXnZX>>, [12.08.15];
229. *Gerzmava O.*, *Tegetashvili A.*, Main Trends of Developing Medical Tourism in Georgia, “European Scientific Journal”, 2015, Special Edition, Vol. 2, <<https://goo.gl/AJ0XH3>>, [15.09.16];
230. *Grotius H.*, On the Law of War and Peace: Three books, <<http://goo.gl/GOHKYK>>, [11.07.15];
231. *Grossen J.M.*, *Guillod O.*, Medical Malpractice Law: American Influence in Europe? “Boston College International and Comparative Law Review”, Vol. 6, Issue 1, 1983, <<http://goo.gl/EVNo4O>>, [25.08.15];
232. *Galton F.*, Hereditary Genius: an Inquiry into its Laws and Consequences, 2000, <<http://goo.gl/1YWH7W>>, [11.08.15];
233. *Hashiloni-Dolev Y.*, *Weiner N.*, New Reproductive Technologies, Genetic Counselling and the Standing of the Fetus: Views from Germany and Israel, *Sociology of Health & Illness*, Vol. 30, №7, 2008, <<http://goo.gl/pIIITva>>, [11.08.15];
234. *Hautamaki E.W.*, The Element of Mens Rea in Recklessness and "Criminal Negligence", “Duke Bar Journal”, №1, Vol. 2, December, 1951, <<https://goo.gl/rB3X0B>>, [14.08.16];
235. Human Embryo Cryopreservation, “Georgia Reproductive Specialists”, <<http://goo.gl/8LBtVF>>, [07.07.15];
236. Human Rights Watch, Sterilization of Women and Girls with Disabilities, A Briefing Paper, November 10, 2011, <<https://goo.gl/bBHgKU>>, [12.08.15];
237. Important Patient Safety Information, Da Vinci Surgery, <<http://goo.gl/x6uA7N>>, [02.09.15];
238. Introduction to the Holocaust, United States Holocaust Memorial Museum, “Holocaust Encyclopedia”, <<http://goo.gl/rQTPPE>>, [12.08.15];
239. IVF Cycle Details - In Vitro Process, USC Fertility, <<https://goo.gl/vxEjx7>>, [16.09.16];
240. IVF - In Vitro Fertilization, State of Israel, Ministry of Health, <<https://goo.gl/3JI8pv>>, [16.09.16];
241. *Jansen N.*, Extracontractual Liability for Fault, The Development and Making of Legal Doctrine, 2014, <<http://goo.gl/W4AJI7>>, [09.03.15];
242. *Kanniyakonil S.*, Living Organ Donation and Transplantation: a Medical, Legal, and Moral Theological Appraisal, 2005, <<http://goo.gl/geCUOe>>, [15.02.15];
243. *Kingisepp M.*, Scope of Claim for Consequential Damage in Delict Law, “Juridica International”, VIII, 2003, <<http://goo.gl/AMALvf>>, [07.06.16];
244. *Lahe J.*, The Concept of General Duties of Care in the Law of Delict, “Juridica International”, IX, 2004, <<http://goo.gl/GzKIb5>>, [01.06.16];
245. *Löffler A.*, *Stern S.*, The Future of the Biomedical Industry in the Era of Globalization, 2006, <<http://goo.gl/z9kNC2>>, [15.09.16];
246. Laparoscopy, WebMD Medical Reference from Healthwise, <<http://goo.gl/0cId7a>>, [02.09.15];

247. *Lunt N., Smith R., Exworthy M., Green S.T., Horsfall D., Mannion R.*, Medical Tourism: Treatments, Markets and Health System Implications: A scoping review, Paris, 2011, <<https://goo.gl/NDkPBg>>, [15.09.16];
248. *Mcdaniel C.H.*, Malpractice Suits Increasing Cost of Medical Care in U.S., “The Nevada Daily Mail”, May 6, 1969, 7, <<https://goo.gl/RxpCbo>>, [19.08.15];
249. Male Sterilization, the Facts, U.S. Department of Health and Human Services, <<http://goo.gl/aaA759>>, [10.08.15];
250. *Markesinis B.S., Unberath H.*, The German Law of Torts: A Comparative Treatise, 2002;
251. *Mirmaksumova A.*, FGM Uncovered in Georgia, IWPR, 2016, <<https://goo.gl/HSSSp0>>, [10.10.16];
252. Medical Malpractice Cases on the Rise in Germany, “Deutsche Welle”, 17.06.2013, <24.08.15>, [<http://goo.gl/HZcDVz>];
253. Medical Device Regulations (Global Overview And Guiding Principles), WHO, Geneva, 2003, <<http://goo.gl/w1SKET>>, [05.10.15];
254. Medical Malpractice Statistics, “Galfand Berger, LLP”, <<http://goo.gl/J496cc>>, [24.08.15];
255. *Mehta S.*, Commercializing Successful Biomedical Technologies (Basic Principles for the Development of Drugs, Diagnostics, and Devices), 2008, <<http://goo.gl/EdOVtQ>>, [17.08.15];
256. *Mchedlidze N.*, Application of the Standards of the European Convention on Human Rights by the Common Courts of Georgia (Joint Programme between the European Union and the Council of Europe “Application of the European Convention on Human Rights and harmonisation of national legislation and judicial practice in line with European Standards in Georgia”), Tbilisi, January, 2017, <<https://goo.gl/Cnsxwh>>, [06.06.17];
257. Oxford Concise Medical Dictionary, 2010, <<http://goo.gl/2npLtL>>, [09.08.15];
258. *Palmer V.V.*, The Fate of the General Clause in Cross-Cultural Setting: the Experience of Louisiana, EJCL, Vol. 5, May, 2001, <<https://goo.gl/rdzSWL>>, [15.10.16];
259. *Pierre P.*, The Role of Insurance in Compensation for Medical Injuries since the Kouchner Act, “Drexel Law Review”, Vol. 4, 2011, <<http://goo.gl/URGRKM>>, [21.05.15];
260. Policy Issues in Insurance, Medical Malpractice Prevention, Insurance and Coverage Options, №11, OECD, 2006, <<https://goo.gl/1Ggp3q>>, [21.05.15];
261. *Roy A.*, Yes, Health Care is a Right – An Individual Right, “Forbes”, 2013 (28 March), <<http://goo.gl/rnyOw>>, [17.06.15];
262. Revised Recommendations for Reducing the Risk of Human Immunodeficiency Virus Transmission by Blood and Blood Products (Draft Guidance for Industry), May, 2015, 10, <<http://goo.gl/xNna2W>>, [17.08.15];
263. *Simons K.W.*, Dimensions of Negligence in Criminal and Tort Law, “Theoretical Inquiries in Law”, Vol. 3, №2, July, 2002, <<https://goo.gl/7dbXyq>>, [14.10.16];
264. *Shannon TA.*, Ethical Issues Involved with In Vitro fertilization, “AORN journal”, September, 1990, №52(3), <<http://goo.gl/6p0NYX>>, [06.07.15];
265. *Sherbahn R.*, Ovarian Stimulation IVF Protocols Medications and Drugs for In Vitro Fertilization, <<https://goo.gl/F7YZSn>>, [16.09.16];
266. *Stoyanova G.*, Forced Sterilization of Romani Women – a Persisting Human Rights Violation, February 7, 2013, “Romedia Website”, <<https://goo.gl/T3G3Ct>>, [11.08.15];

267. Sir William Blackstone Differentiates Between “Absolute Rights” of Individuals (Natural Rights which Exist Prior to the State) and Social Rights (Contractual Rights which Evolve Later), 1753, The Portable Library of Liberty, 5 May, 2009, <<http://goo.gl/3ZHszP>>, [31.08.15];
268. The Digest of Justinian, London, Vol. I, 1904, <<https://goo.gl/dARocO>>, [25.09.16];
269. The Right to Health, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, WHO, 2008, <<http://goo.gl/c6NieX>>, [17.06.15];
270. *Tolbert N., Dunford T.*, Recovering Property Damages Under California Law, 2002, <<https://goo.gl/qUgDD9>>, [11.07.16];
271. *Thouvenin D.*, French Medical Malpractice Compensation Since the Act of March 4, 2002: Liability Rules Combined with Indemnification Rules and Correlated with Several Kinds of Proceedings, “Drexel Law Review”, Vol. 4, 2011, <<http://goo.gl/YlvCBf>>, [21.05.15];
272. Third General Report on the CPT's Activities Covering the Period 1 January to 31 December 1992, <<http://goo.gl/PSBGzc>>, [22.08.15];
273. UN Human Rights Council, Promotion and Protection of All Human Rights, Civil, Political, Economic, Social and Cultural Rights, Including the Right to Development: Report of the Special Rapporteur on Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Juan E. Méndez, 1 February 2013, <<http://goo.gl/sSf8xR>>, [12.08.15];
274. UN Subcommittee on Prevention of Torture, Report on the Visit of the Subcommittee on Prevention of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment to the Republic of Paraguay, 2010, <<http://goo.gl/Kg8pIK>>, [20.08.15];
275. *Watson A.*, Law Out of Context, Athens, 2000, <<http://goo.gl/zHgbJC>>, [09.03.15];
276. *Watson H.T.*, Federal Health Care Law May Reduce or Eliminate Future Medical Expense Tort Damages, “Medical Malpractice”, Vol. 28, №12, September, 2011, <<https://goo.gl/BGPBwZ>>, [19.09.16];
277. *Wheeler M.*, A Constitutional Right to Health Care, 2013, <<http://goo.gl/jVpYDR>>, [17.06.15];
278. *Willsher K.*, French Doctors Stand Trial Over Cancer Radiation Scandal, “The Guardian”, 24 September, 2012, <<https://goo.gl/MYFXlm>>, [21.09.15].
279. World Health Organization, Female Genital Mutilation, Fact Sheet №241, February, 2014, <<http://goo.gl/W0zhJz>>, [14.08.15];
280. *Yehuda A.*, Comparative Negligence and Mitigation of Damages: Two Sister-Doctrines in Search of Reunion, 2012, <<https://goo.gl/zKwIDO>>, [18.09.16];
281. Yogyakarta Principles (Principles on the Application of International Human Rights Law in Relation to Sexual Orientation and Gender Identity, March, 2007, <<http://goo.gl/2PVwfl>>, [14.08.15];
282. *Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное Право, Книга Первая (Общие Положения), 2000, <<http://goo.gl/2bdoYg>>, [21.03.14];
283. *Братусь С.Н.*, Юридическая Ответственность и Законность (Очерк Теории), М., 1976, <<http://goo.gl/WzOZ12>>, [11.04.15];
284. *Варшавский К.М.*, Обязательства, Возникающие Вследствие Причинения Другому Вреда, М., 1929;

285. *Гордон А.О.*, Принцип Ответственности Железных Дорог за Ущерб, Причиненный при Эксплуатации, Харьков, 1887;
286. *Гомберг Б.И.*, Гражданская Ответственность без Вины в Отношениях Внедоговорных по Гражданскому Кодексу, <<Право и жизнь>>, №1, 1927;
287. Гражданское Право: Учебник., Т. 1 (ред. *Суханов Е.А.*), М., 1993;
288. Гражданское Право: Учебник, Ч. 1, (Ред. *Толстой Ю.К., Сергеева А.П.*), М., 1996;
289. *Гусаковский П.Н.*, Вознаграждение за Вред, Причиненный Недозволенными Дѣяніями, <<Журнал Министерства Юстиции>>, №8, №9, 1912;
290. *Груздев В.В.*, Человек и право: Исторические, Общетеоретические и Цивилистические Очерки, Кострома, 2010, <<https://goo.gl/F9WpTI>>, [23.12.16];
291. *Дернбург Г.*, Обязательственное Право, М., 1911;
292. *Добровинская А.В.*, Убытки в Гражданском Праве, 2016, <<http://goo.gl/UFHwnF>>, [07.06.16];
293. *Матвеев Г. К.*, Вина в Советском Гражданском Праве, Киев, 1955, <<http://goo.gl/qDZrQF>>, [11.04.15];
294. *Матвеев Г. К.*, Основания Гражданскоправовой Ответственности, М., 1970;
295. *Мейер Д.И.* Русское Гражданское Право, 1873, <<http://goo.gl/8NwUcC>>, [16.04.2013];
296. *Новицкий И.Б., Луц Л.А.*, Общее Учение об Обязательстве, М., 1950, <<http://goo.gl/UZtczw>>, [14.04.15];
297. *Ойгензихт В.А.*, Проблема Риска в Гражданском Праве (Часть Общая), Душанбе, 1972, <<http://goo.gl/uZ2U2a>>, [22.12.14];
298. *Победоносцев К.П.*, Курс Гражданского Права. Часть Третья: Договоры и Обязательства, М., 2003, <<http://goo.gl/9uscipZ>>, [03.04.15];
299. *Покровский И.А.*, Основные Проблемы Гражданского Права, Петроград, 1917, <<http://goo.gl/KEvoHg>>, [30.12.14];
300. *Покровский И.А.*, История Римского Права, М., 2002, <<http://goo.gl/8qPAgq>>, [16.02.14];
301. *Сергеевский Н.Д.*, О Значении Причинной Связи в Уголовном Праве, Т. II, Ярославль, 1880, <<http://goo.gl/M2KrGi>>, [16.07.14];
302. *Серебровский В.И.*, Обязательства, Возникающие из Причинения Вреда, Москва, 1950;
303. *Тебряев А.А.*, Вина Причинителя Вреда в Деликтных Обязательствах, "Юрист", №3, 2002, <<http://goo.gl/zaD7RM>>, [17.02.15];
304. *Тон А.*, Правовая Норма и Субъективное Право. Исследования по Общей Теории Права, "Вестник Гражданского Права", №4, Т. 10, 2010;
305. *Флейшиц Е.А.* Обязательства из Причинения Вреда и из Неосновательного Обогащения, Москва, 1951, <<http://goo.gl/C7Q0vP>>, [08.09.16];
306. *Шварц Х.*, Значение Вины в Обязательствах из Причинения Вреда, Москва, 1939;
307. *Шевчук Д.А.*, Гражданское Право, М., 2009, <<http://goo.gl/wvMr7s>>, [22.07.14];
308. *Шершеневич Г.Ф.*, Учебник Русского Гражданского Права, Москва, 1995 (По Изданию 1907 г.), <<http://goo.gl/ZcMrTo>>, [03.04.15];
309. *Циммерманн Р.*, Римское Право и Гармонизация Частного Права в Европе, 2005, <<http://goo.gl/fCLMff>>, [24.03.14].

ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე; ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობის და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

ნინო პეპანაშვილი